საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

გიორგი ბაციკაძე

# ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარება (1905-1921 წწ.)

(ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმი
2025

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბაციკაძე

20.10.2025

# სარჩევი

წინასიტყვაობა ........ 5
თავი I. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში ........ 12
I.1. სოციალ-დემოკრატები ........ 12
I.2. სოციალისტ-ფედერალისტები ........ 19
I.3. ეროვნულ-დემოკრატები ........ 28
I.4. სოციალისტ-რევოლუციონერები ........ 32
I.5. ანარქისტები ........ 34
დასკვნა ........ 39
თავი II. 1905 წლის რევოლუციიდან პირველ მსოფლიო ომამდე ........ 41
II.1. რევოლუციის ხასიათი და მასშტაბები ........ 41
II.2. მოთხოვნები და მისწრაფებები ........ 50
II.3. „რევოლუცია" ეკლესიაში (1905-1912) ........ 56
II.4. რევოლუციის შემდეგ ........ 61
II.5. ავტონომიის პრობლემა ........ 63
II.6. „სახელმწიფო" სახელმწიფოში : გურიის რესპუბლიკა ........ 68
II.7. პირველი სახელმწიფო სათათბირო (1906 წელი) ........ 83
II.8. მეორე სახელმწიფო სათათბირო (1906) ........ 90
II.9. მესამე სათათბირო (1907-1912 წწ.) : ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი ინტერნაციონალისტები ........ 96
II.9.1. არჩევნები ........ 96
II.9.2. სათათბიროში ........ 99
II.10. ოპოზიცია სათათბიროს გარეთ (1907-1912) ........ 108
II.11. მეოთხე სახელმწიფო სათათბირო (1912-1917) : პოლიტიკური გამოცდა ფედერალისტებისთვის ........ 113
II.12. ხიზნების საკითხი ........ 123
დასკვნა ........ 127
თავი III. ახალი ძალთა ბალანსი : ძვრები დამოუკიდებლობისკენ ........ 129
III.1. ეროვნულ-დემოკრატია ........ 129

III.2. ეროვნული ძალები საზღვარგარეთ....131

III.3. ავტონომია - განხეთქილებიდან თანხმობამდე ....135

III.4. ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა - მოულოდნელი დამოუკიდებლობა ....139

**დასკვნა**....143

**თავი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზა (1918-1921)**....145

IV.1. ნეიტრალიტეტის მანტიით....145

IV.1.1. საერთაშორისო მიზნები ....145

IV.1.2. აქტიური რეგიონული პოლიტიკა ....150

IV.2. პოლიტიკური თანაცხოვრება შინ და გარეთ....157

IV.3. სახელმწიფო, რომელსაც აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია....167

IV.3.1. მთავარი საფრთხე და უსაფრთხოება ....167

IV.3.2. აგრარული რეფორმა, ანუ სოციალ-დემოკრატიული გამოსავალი ....169

IV.3.3. განათლება - მომავლის შენების პატრიოტული შტრიხები ....174

IV.3.4. ეროვნული საკითხი ....178

IV.3.5. საზოგადოებრივი განწყობები....181

IV.3.6. ქართული დემოკრატიის შარავანდი : 1921 წლის კონსტიტუცია....186

**დასკვნა**....188

**შემაჯამებელი დასკვნა**....189

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:** ....199

## წინასიტყვაობა

1918 წელს შექმნილი პირველი რესპუბლიკა საქართველოს ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი ნიშნითაა გამორჩეული, ესენია: დამოუკიდებლობის აღდგენა და პირველი ქართული დემოკრატიის შექმნა. ორივე მათგანს თავისი ანატომია აქვს და საერთაშორისო მოცემულობასთან ერთად, მჭიდროდ უკავშირდება ბოლო პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბებულ მრავალფეროვან და თავისუფლების იდეაზე აღმოცენებულ საზოგადოებას.

თავის მხრივ, XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება იმ პოლიტიკური მოცემულობისა და სოციალური პირობების შედეგია, რომლის ფესვები XIX საუკუნეში შექმნილი კომპლექსური რეალობიდან იღებს სათავეს. 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა და სამართლებრივმა წესრიგმა გამოიწვია პერმანენტული აჯანყებები, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა ყველა სოციალური ფენა (Batsikadze, 2024). წინააღმდეგობის ორგანიზების რესურსი ინტელიგენციას გააჩნდა, ამიტომ იმპერიამ ნაწილობრივ რეპრესიებისა და დიდწილად რბილი ძალის გამოყენებით, ინტელიგენცია თავის სამსახურში ჩააყენა (ბაციკაძე, 2025). ამის წყალობით, საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე პროტესტს მხოლოდ სოციალური სახე შერჩა, იმპერია და თავადაზნაურობა ერთ მხარეს აღმოჩნდა, ხალხი კი საპირისპირო მხარეს. კონფორმისტი წინამორბედების მხილებითა და კრიტიკით გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ე.წ. „თერგდალეულები“, რომელმაც თავის მიზნად დაისახა საზოგადოების ეროვნული განვითარებისა და თავისუფლებისათვის მყარი საფუძვლის მომზადება და გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანება.

საუკუნის ბოლოდან საზოგადოებრივი ცხოვრება კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება, ასპარეზზე გამოდიან ჯგუფები, ე.წ. დასები, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში აყენებენ კლასობრივ ბრძოლაში ჩაგრული, მშრომელი ხალხის ინტერესებს. მე-20 საუკუნეს ხალხი ორი ძირითადი პრობლემით ხვდება: სოციალური უთანასწორობითა და ეროვნულ-პოლიტიკური უუფლებობით. თერგდალეულებისგან განსხვავებით, ქართველ სოციალისტთა პირველი ჯგუფი, იგივე მესამე დასი, სრულად უარყოფს კლასების შერიგების როგორც

პრაქტიკულ, ისე თეორიულ შესამლებლობას და პრობლემების მოსაგვარებლად მხარს უჭერს ხალხის რევოლუციურ ბრძოლას. ამავე პერიოდში ყალიბდება მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემო, 1904 შეიქმნა სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, იქმნებიან სოციალისტ-რევოლუციონერული და ანარქისტული ჯგუფები. პოლიტიკურ სივრცეში მემარცხენეები ცალსახად დომინირებდნენ. სოციალისტებს შორის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება იყო საქართველოს პოლიტიკური მომავლის საკითხი, დისკუსია ავტონომიისა და ფართო თვითმმართველობის მომხრეებს შორის წარიმართა. პარტიათაშორისმა უთანხმოებამ ანტაგონიზმს მიაღწია, რაც განსაკუთრებით მემარცხენეებისა და მემარჯვენეების ურთიერთდამოკიდებულებაზე ითქმის. თუმცა ცალსახა და ერთფეროვანი პოზიციები არც თვით პარტიებს შიგნით ყოფილა, ფაქტობრივად, მიმდინარეობდა იდეათა "დუღილის" პროცესი, რომელიც პოლიტიკური მიმდინარეობების ევოლუციის ხანგრძლივ გზაზე მიანიშნებდა.

ქართულ პოლიტიკურ ექსპერიმენტში საზოგადოება და პოლიტიკა ერთმანეთის მომავალს განსაზღვრავდა. ავტორიტარიზმში მცხოვრები ხალხი იმედის თვალით უყურებდა სოციალისტურ პარტიებს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებამ და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთა გაჩენამ კიდევ უფრო გაამძაფრა რევოლუციური განწყობები.

ხალხის მისწრაფებები, ყოფა და ისტორიული გამოცდილება განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსსა და საზოგადოებრივ აზრს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კვლევისას ყველაზე მნიშვნელოვანი იმის გამორკვევაა თუ რას ესწრაფვის, რა ფასეულობებსა და იდეალებს ემყარება საზოგადოება. 1905 წლის რევოლუციამ ყველაზე კარგად წარმოაჩინა საზოგადოებრივი აზრი და ქართული პოლიტიკისთვის მკაფიოდ განსაზღვრა იდეოლოგიასა და რეალობას შორის კომპრომისის საჭიროებები. აქედან გამომდინარე, 1905 წლის რევოლუცია, როგორც ახალი ეპოქის გამოწვევების შემაჯამებელი მოვლენა, ჩვენი კვლევის საწყისი თარიღია. სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ეროვნულმა პრობლემებმა, თავის მხრივ, ღირებულებებისა და ნორმების ის ჩარჩო შექმნეს, რომელმაც განსაზღვრა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება - საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობის აღქმა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა და არსებობდა პირველი ქართული დემოკრატიული

რესპუბლიკა 1918-1921 წლებში. ეს ყველაფერი განვითარების ერთობ საინტერესო გზასთანაა დაკავშირებული. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, პოლიტიკური პარტიების ძირითად სამოღვაწეო ასპარეზად იქცა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბირო. დეპუტატების აზროვნებას განსაზღვრავდა პრინციპი, რომ ისინი პარლამენტში ხალხს წარმოადგენდნენ, შესაბამისად, რევოლუციის გამომწვევი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული პრობლემების შესახებ ხმა უკვე სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმოდა. რეპრესიებთან ერთად, პოლიტიკური ცხოვრების ცენტრის სათათბიროში გადატანამ, ხალხში სრულად ჩააცხრო რევოლუციური განწყობები და მათი იმედები დეპუტატებისკენ მიაპყრო.

პარლამენტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების ფონზე, ქართველი სოციალ-დემოკრატების პრინციპულმა და მიზანსწრაფულმა მიდგომამ, ახალი ასპარეზის ათვისების თვალსაზრისით, ხელი შეუწყო მათ კიდევ უფრო გაძლიერებას. 1910-იანი წლებიდან თანდათან ძალებს იკრებს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება, მემარჯვენეთა გააქტიურება ძალთა ბალანსს ცვლის. 1914 წლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოდგენაც არავის შეეძლო, ავტონომია უმაღლესი პოლიტიკური სტატუსი იყო პარტიების დღის წესრიგში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, საზღვარგარეთ შექმნილი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომელსაც საქართველოში ეროვნულ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, ცალსახა ბრძოლას იწყებს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. 1917 წელს შექმნილმა საერთაშორისო მოცემულობამ სუვერენიტეტის აღდგენა სავსებით რეალური გახადა, ძალაუფლება კოალიციური ეროვნული საბჭოს ხელში გადავიდა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის 26 მაისს. პირველი რესპუბლიკა სწორედ იმ პოლიტიკურმა ძალებმა ჩამოაყალიბეს, რომელთა მსოფლმხედველობის ევოლუცია წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევ პერიოდში მიმდინარეობდა.

ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნება მეცნიერულად ნაკლებად შესწავლილი საკითხია. ხელზე ჩამოსათვლელი კვლევების უმრავლესობა მე-19 საუკუნემდე პერიოდს მოიცავს, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხეილ გაფრინდაშვილის ნაშრომები, ავტორი სიღრმისეულად იკვლევს მე-19 საუკუნეში აღმოცენებულ მიმდინარეობებს, აგრეთვე, ცალკეული მოღვაწეების

ნააზრევსა და საზოგადოებრივ გზას. იგივე საკითხები კომუნისტური იდეოლოგიის პრიზმიდან აქვს შეფასებული ლეონიდე გორგილაძეს (გორგილაძე, 1961), უმთავრესად იდეოლოგიური ბრძოლისა და მარქსიზმის გავრცელების კუთხით, ამასთანავე, გარკვეულწილად, საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი დისკურსით.

გარდა ცალკეული კვლევებისა, არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი შეფასებები ისევ და ისევ მე-19 საუკუნის ქართული აზროვნების მახასიათებლებზე, რომლებიც ეკუთვნით კიტა აბაშიძეს, ისიდორე მანწკავას, არჩილ ჯორჯაძეს და კონსტანტინე გამსახურდიას. ჯორჯაძის შეფასება ჩვენს საკვლევ პერიოდსაც ეხება და ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას წამბაძველურს უწოდებს, ქართველებისთვის დამახასიათებელ წამბაძველობას უკავშირებს სოციალიზმის გავრცელებასაც - გლობალურ იდეებს ნაზიარები ახალგაზრდები საკაცობრიო დონის იდეებს უფრო ესწრაფოდნენ, ვიდრე ეროვნულს. ამავე პერიოდს ეხება კონსტანტინე გამსახურდია, ქართული პოლიტიკის შეცდომებზე მსჯელობაში ავტორის ნარატივიდან ჩანს, რომ იგი ქართველების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად პოლიტიკურ გულუბრყვილობას თვლიდა (მაცაბერიძე, 2016: 29, 42-44).

წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია - „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარება (1905-1921)“, საკითხის მეცნიერულად შესწავლის პირველი ცდაა. კვლევა ეფუძნება პრინციპს, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესწავლისას გულისხმობს უპირველესად საზოგადოებრივი აზრის - საზოგადოების პრობლემების, ინტერესებისა და მისწრაფებების გამორკვევას, შემდეგ კი მათ ასახვას პოლიტიკურ აზროვნებაში - პარტიების მოქმედებებსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

მაშასადამე, ნაშრომში პასუხს გავცემთ შემდეგ პრობლემებსა და კითხვებს: რას ითხოვდა ხალხი? რისთვის იბრძოდნენ პოლიტიკური პარტიები? რა ადგილი ჰქონდა მათ მოქმედებებში საზოგადოებრივ აზრსა და რეალობას? როგორ და რა მიზეზებით ვითარდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება? როგორ სახელმწიფოს აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია?

„რასაც გამოცდილება და ისტორია გვასწავლის, არის ის, რომ ერები და მთავრობები ისტორიიდან გაკვეთილების სწავლას ვერასდროს ახერხებენ და არც

მათი გათვალისწინებით მოქმედებენ“- ამბობდა გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ჰეგელი (Hegel, 1975: 21). მართალია, დრო და გარემოებები ისე იცვლებიან, რომ კონკრეტული წარსული გამოცდილება შეიძლება სრულიად უსარგებლო იყოს თანამედროვე მოქმედებებისათვის. თუმცა საქმე ისაა, რომ ისტორიის მოკლე მონაკვეთში, მიუხედავად განსხვავებული მოცემულობებისა, ბევრი დეტალი აქტუალობას ინარჩუნებს, რაც მისი ცოდნისა და გააზრების მნიშვნელობას ზრდის.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წელს. პირველ და მეორე რესპუბლიკებს ბევრი რამ აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით. დემოკრატიული განვითარება, პარტიული თანაცხოვრება, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედება, მსგავს საერთაშორისო ურთიერთობებში წარსული მიდგომები, მიზნები და პრინციპები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცალკეული მახასიათებლების გავლენა ისტორიაზე ის საკითხებია, რომლების აწონ-დაწონა, გაანალიზება, შეცდომების შეფასება და გათვალისწინება დადებითი, ზოგჯერ კი აუცილებელია დღევანდელობისთვისაც, რაც თემის აქტუალობას ზრდის. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი კვლევა მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ფუნდამენტური შესწავლის პირველი შემთხვევაა, სიახლის შემოტანით შევეცადეთ მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა საისტორიო მეცნიერებების განვითარებაში და საფუძველი მოგვემზადებინა ამ მიმართულებით კვლევების გასაგრძელებლად.

დისერტაცია ოთხას ერთეულზე მეტი წყაროსა თუ ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა, რომელთაგან თითქმის სამი მეოთხედი პირველადი წყაროა. ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორია საფუძვლიანადაა გამოკვლეული, ამდენად, ამ თემის ირგვლივ პარტიულ პრესასთან და მემუარებთან ერთად, გამოვიყენეთ დიმიტრი შველიძის, ვახტანგ გურულის, მერაბ ვაჩნაძის, სტივენ ჯონსის, ოთარ ჯანელიძის, შოთა ვადაჭკორიას და სხვათა ფუნდამენტური შრომები. რევოლუციისა და შემდგომი პროცესების შესწავლისას უმთავრესად ვეყრდნობით პერიოდული პრესის ფაქტობრივ მასალებს, საარქივო დოკუმენტებსა და მემუარულ

ლიტერატურას. ჟურნალ-გაზეთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „ამირანი“ და ა.შ., იმჟამინდელი ჟურნალ-გაზეთები გამოირჩევიან ინფორმაციის სიუხვით. ზოგადად, პრესა მრავალფეროვან, სიღრმისეულ და ერთობ საინტერესო მონაცემებს გვაწვდის. საარქივო მასალების შემთხვევაში, ამ ნაწილში ვეფუძნებით საისტორიო ცენტრალურ არქივში მოპოვებულ მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებს, კერძოდ: თბილისის გუბერნატორის კანცელარიის (ფონდი N17), უშიშროების კავკასიისა და თბილისის განყოფილებების, იგივე „ოხრანკის“ (ფონდი N94 და N95) და თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს (ფონდი N153) ფონდებში დაცულ დოკუმენტებს. საარქივო დოკუმენტები და პრესის მონაცემები ედრებიან და ავსებენ ერთმანეთს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატების მოღვაწეობის შესასწავლად უმთავრესად გამოვიყენეთ სათათბიროს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც სესიების დასრულებისთანავეა გამოცემული და თემის ირგვლივ პირველწყაროს წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობის, დამოუკიდებლობის გამოცხადების, პირველი არჩევნებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის წლების კვლევა განვახორციელეთ ძირითადად საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც მიკვლეულია საისტორიო არქივში დაცულ ეროვნული საბჭოს (ფონდი N1836), საარჩევნო კომისიის (ფონდი N1834), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა მმართველობის (ფონდი N1861), შინაგან საქმეთა სამინისტროს (ფონდი N1863), საგარეო საქმეთა სამინისტროს (ფონდი N1864), მიწათმოქმედების სამინისტროს (ფონდი N1915), სახალხო განათლების სამინისტროს (ფონდი N1935), სამხედრო სამინისტროს (ფონდი N1969) და ა.შ. ფონდებში. მათ შორის ზოგიერთი მეტად საინტერესო ცნობა და დეტალი პირველად შემოვა სამეცნიერო მიმოქცევაში. გარდა ამისა, აღნიშნულ შემთხვევაშიც, სრულყოფილად დავამუშავეთ პერიოდული პრესა და საკვლევი თემის ირგვლივ საყურადღებო მასალებს მოვუყარეთ თავი. 1918-1921 წლების საკითხები დიდი ხანია, რაც ქართველი და უცხოელი მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღების საგანია, შესაბამისად, არსებობს მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ბევრი ეხება ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ საკითხებს. ამდენად, სადისერტაციო ნაშრომში ვიყენებთ შესაბამისი სამეცნიერო

ლიტერატურის მონაცემებს. ყველაფერთან ერთად, აღსანიშნავია მემუარული ლიტერატურა, რაც საინტერესოდ ავსებს დანარჩენ წყაროებსა და მონაცემებს, მათგან აღსანიშნავია გრიგოლ ურატაძის, თენგიზ ჟღენტის, ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილის, რევაზ გაბაშვილის და სხვათა მოგონებები.

წყაროების დიდი ნაწილი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვლევა, თავმოყრილია თბილისში, კერძოდ, საისტორიო ცენტრალურ არქივსა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რაც დისერტაციაზე მუშაობისას იყო მთავარი სირთულე. აღსანიშნავია, რომ პერიოდული პრესის დიდი ნაწილი გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია დისტანციურად, ეს დიდმნიშვნელოვანი საქმეა და ამარტივებს კვლევა-ძიებას, მაგრამ ჩვენ მიერ დამოწმებული ჟურნალ-გაზეთების ნაწილი გაციფრულების პროცესში იყო კვლევის პარალელურად, ნაწილი კი ჯერ კიდევ არ არის ელექტრონულად ხელმისაწვდომი. ამ ფონზე, ვსარგებლობდი ეროვნული ბიბლიოთეკის სერვისით, რომლის ფარგლებშიც ბიბლიოთეკა კონკრეტული სტატიების ელექტრონულ ასლებს დისტანციურად მაწვდიდა, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო ამ საქმეში ჩართულ ბიბლიოთეკის თითოეულ თანამშრომელს და ქალბატონ ნანა ხვედელიანს. ეროვნული არქივის დოკუმენტები დისტანციურად არ არის ხელმისაწვდომი. არქივში მუშაობისას ცალკეული გამოწვევების დაძლევაში გაწეული დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ეროვნული არქივის წარმომადგენლებს, ბატონ გიორგი სოფრომაძეს, ქალბატონებს: თინათინ ჯაბადარს, თინათინ ფაჯიშვილს და ლელა მგელიაშვილს. და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო მამას, ვლადიმერ ბაციკაძეს, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ხელნაწერების გაშიფვრასა და წყაროების ანალიზში, ასევე, მეუღლეს, მარიამ ურუშაძეს და მეგობარს, დავით დიმიტრაძეს, კვლევის განხორციელებისას გაწეული პრაქტიკული მხარდაჭერისთვის.

# თავი I. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში

## I.1. სოციალ-დემოკრატები[1]

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული მარქსისტული ანუ სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა თანდათან ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად ყალიბდებოდა და მისი იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელობით იქმნება პირველი ქართული დემოკრატიული სახელმწიფო.

1890-იანი წლებიდან ქართველ ახალგაზრდებში ვრცელდება ევროპული მარქსისტული სოციალიზმი,[2] რომელიც ვარშავაში მცხოვრები ქართველი სტუდენტების მეშვეობით შემოდის და უპირისპირდება რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს (ჟორდანია, 1990: 408). ამ მოვლენის გარიჟრაჟზე ჩანან ნოე ჟორდანია, ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, კარლო ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე, ევგენი ვაწაძე, რაჟდენ კალაძე, ისიდორე კვიცარიძე, იოსებ კაკაბაძე. ეგნატე ნინოშვილის ძალისხმევით იწყება ქართველი მარქსისტების თავმოყრა და ორგანიზაციის ჩამოყალიბების ცდა. პირველი კრება შედგა ყვირილაში 1892 წელს. 1893 წელს თბილისში გამართულ მეორე კრებაზე ჩამოყალიბდა ქართული მარქსისტული ჯგუფი და მიიღეს ნოე ჟორდანიას სამოქმედო პროგრამა, რომელიც მომდევნო წელს სათაურით - „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“, გაზეთ ,,მოამბეში’’ დაიბეჭდა შემოკლებული სახით[3]. ეს

---

[1] დისერტაციის აღნიშნული ქვეთავის ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიის სახით ჟურნალში „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (ბაციკაძე, 2025).

[2] მარქსისტული თეორიის თანახმად, მსოფლიოს პროგრესული განვითარების საწინდარია კლასობრივი ბრძოლა. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში აყენებს მშრომელთა კლასს, კლასობრივ ბრძოლაში პროლეტარიატის გამარჯვებისათვის კი მიზნად ისახავს მათ გაერთიანებას, რევოლუციურ ბრძოლას და მუშათა ბრძოლის სახელმძღვანელოდ პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას.
მარქსიზმი საქართველოში აღწევდა ორი გზით - ევროპიდან და რუსეთიდან. პირველი ევროპაში მყოფი ქართველი ახალგაზრდების მეშვეობით, მეორე კი რუსეთიდან მოვლენილი სოციალ-დემოკრატების საშუალებით. ევროპული და რუსული სოციალ-დემოკრატია ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და მათი მიმდევრები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ (ჯონსი, 2007: 124-125).

ჯგუფი, ე.წ. მესამე დასი, ასპარეზზე გამოვიდა 1893 წელს ეგნატე ნინოშვილის საფლავზე (ჟორდანია, 1990: 409-411). აქ წარმოთქმულ სიტყვაში სილიბისტრო ჯიბლაძემ ხაზი გაუსვა თანამოაზრეთა ჯგუფის მსოფლმხედველობას, რომელიც არ ცნობდა კლასთა შერიგების ჭავჭავაძისეულ პრინციპებს, არამედ აღიარებდა კლასთა ბრძოლას და ამ მწვავე ბრძოლაში ჩაგრული მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად (კვალი N22, 1894: 15).

ნიშანდობლივია ნოე ჟორდანიას საპროგრამო წერილი „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“. მასში აბსოლუტურად ნათლადაა აღიარებული ეროვნული იდენტობის და ერთიანობის პრინციპები. დაქსაქსულობა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების ნაკლებობა ერის მისუსტების უმთავრეს მიზეზადაა დასახელებული. შეხედულების თანახმად, საერთო ნივთიერ და ეკონომიკურ ურთიერთკავშირს უნდა შეექმნა ეროვნებისა და ერის გონებრივი ერთობის შეურყეველი ნიადაგი (მოამბე N5, 1894: 102-121). პროგრამა ეკონომიკურ კეთილდღეობას ბედნიერების მთავარ პირობად, ხოლო ვაჭრობისა და წარმოების გაძლიერებას კავშირისა და ერთიანობის ძალად მოიაზრებდა; ბურჟუაზიის გაძლიერებას უნდა გამოეწვია უმცირესობის გამდიდრება უმრავლესობის გაღარიბების ხარჯზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა გაღარიბებული უმრავლესობის შეკავშირებას და კეთილდღეობისთვის ბრძოლაში გაერთიანებას (მოამბე N6, 1894: 88-89).

ამდენად, თავდაპირველი პროგრამის თანახმად, გაერთიანების ძირითად მიზანს ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც თავისუფალი შრომის და წარმოების განვითარების გზით უნდა მიღწეულიყო. ეკონომიკური ურთიერთკავშირის განმტკიცება უზრუნველყოფდა ეროვნულ ერთიანობას. ბურჟუაზიული წესწყობილება მოისპობოდა არა რევოლუციური, არამედ თავისთავადი განვითარების გზით. სოციალ-დემოკრატებს კი ამ პროცესში უნდა დაეცვათ მშრომელი ხალხის ინტერესები.

მრავალფეროვნად მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატების პუბლიცისტური საქმიანობაც. ეგნატე ნინოშვილის აზრით, ინტელიგენციის ძალისხმევა საყოველთაო სოციალური განვითარებისა და თანასწორობისაკენ უნდა მიმართულიყო (ნინოშვილი, 1954: 535-537). იგი არ ეწინააღმდეგებოდა კაპიტალიზმს, თუმცა

თვლიდა, რომ მისი განვითარების ფონზე ინტელიგენციას უნდა მოემზადებინა საფუძველი სოციალური თანასწორობისთვის და გაეზიარებინა ევროპული გამოცდილება (კვალი, N40, 1893: 7-8). კაპიტალიზმის განვითარება მიაჩნდა, ერთი მხრივ, ქართველთა ეროვნული ერთიანობისა და მეორე მხრივ, სოციალურ კლასებად დაყოფის მიზეზად ივანე გომართელს (კვალი N37, 1901: 807). დაჩაგრულთა ინტერესებისთვის ბრძოლას თვლიდა მესამე დასის უმთავრეს საზრუნავად სილიბისტრო ჯიბლაძე (ჟორდანია, 1920: 307), ბურჟუაზიასთან მიმართებით, შრომის და მშრომელთა მფარველობის შესახებ, იმავეს იზიარებდა ნოე ჟორდანიაც (კვალი N34, 1895: 11).

სოციალ-დემოკრატებისთვის ეროვნული განვითარება ნიშნავდა ეკონომიკურ განვითარებას. მსგავსად ნინოშვილისა, ჟორდანიაც ევროპულ გამოცდილებას ემხრობოდა, ქართული ეროვნული ნიადაგის საფუძველზე, რისი საზოგადოებრივი გათავისებაც ისტორიულ საკითხად მიაჩნდა (კვალი N35, 1895: 12). იგი თვლიდა, რომ კლასთა ბრძოლა განაპირობებდა ეროვნულ ზრდას. ამ გარდაუვალ და ბუნებრივ პროცესში მათ უნდა გაეგრძელებინათ სამოციანელების გონებრივი მოღვაწეობა, რასაც საბოლოოდ მუშათა კლასის მიერ კოლექტიური ურთიერთობების დამყარება მოჰყვებოდა (კვალი N18, 1896: 303-304). მსგავს პოზიციას იზიარებდა არჩილ ჯაფარიძეც, რომლის აზრითაც ეროვნულ და პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უძღოდა შრომის დანაწილება და ეკონომიკური განვითარება. შესაბამისად, სოციალ-დემოკრატიის მიზანი უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის განთავისუფლება ბურჟუაზიის გავლენისაგან (ჩვენი ცხოვრება N9, 1906: 2-3). ჟორდანია ბურჟუაზიაში ხედავდა მშრომელთა კლასის გაძლიერების ფაქტორს იმდენად, რამდენადაც მასთან ბრძოლა შექმნიდა ყოველმხრივი წარმატების კატალიზატორს (კვალი N1, 1898: 3-4). მეორე მხრივ, ბურჟუაზიასთან შეთანხმება შეუძლებლად მიაჩნდა რაჟდენ არსენიძეს იმდენად, რამდენადაც სოციალ-დემოკრატიის და მშრომელთა კლასობრივი მოძრაობის მიზანს ბურჟუაზიული წყობის დაშლასა და სრული თანასწორობის დამყარებაში ხედავდა (კვალი N27, 1903: 421). შედარებით რადიკალურია ფილიპე მახარაძე, რომელიც კლასებს შორის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებაში ხედავდა ჩაგრულთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზას (კვალი N20, 1895: 12), ბურჟუაზიას კი სოციალური პროგრესის დაუძინებელ მტრად აცხადებდა (კვალი N21, 1895: 9).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ უკვე იკვეთებოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში იდეური განშტოებების საფუძვლები - შედარებით დაბალანსებული და რადიკალური. მიუხედავად იმისა, რომ საერთო მუშაობაში ზოგჯერ ერთმანეთს ერწყმოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში არსებული მიმართულებები, პრინციპულ საკითხებზე განსხვავებები თავიდანვე გამოიკვეთა.

იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გააქტიურებულ საქართველოს ავტონომიის თემასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ასევე არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები წარმოიქმნა. ავტონომიის იდეას უარყოფითი ადგილი ეჭირა სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილის აზროვნებაში. მაგალითად, რამდენადაც არჩილ ჯაფარიძე სეპარატიზმს თავადაზნაურობის, ხოლო ნაციონალურ-ტერიტორიულ ავტონომიას ბურჟუაზიის გაძლიერების საშუალებად აღიქვამდა, ფიქრობდა, რომ იგი ვერ მოაგვარებდა მშრომელთა პრობლემებს (ჩვენი ცხოვრება N13, 1906: 2-4). ავტონომიას მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერდა მხარს თუ იგი ააშკარავებდა კლასთა ბრძოლასა და ხელს უწყობდა პროლეტარიატის გათვითცნობიერებას. საერთოდ კი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დეცენტრალიზაციას და ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას ანიჭებდა უპირატესობას (ჩვენი ცხოვრება N14, 1906: 2-3). ასეთივე ხაზს მიჰყვება ალექსანდრე წულუკიძის მსჯელობაც, რომლის თანახმად, ავტონომია ბურჟუაზიის მოთხოვნილება იყო და პროლეტარიატის დაქსაქსვის საფრთხეს ქმნიდა. ამავდროულად, იმდროინდელ რუსეთში, ხელისუფლების დემოკრატიზაციამდე ავტონომია ფუჭი მცნება იყო, დემოკრატიზაციისთვის კი მშრომელთა გაერთიანება იყო საჭირო, რასაც ავტონომია ხელს შეუშლიდა (მოგზაური N17, 1905: 261-263). ფილიპე მახარაძეც, რომლისთვისაც ავტონომია იყო არა მუშათა კლასის, არამედ თავადაზნაურობის, სამღვდელოების და ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი, ეწინააღმდეგებოდა მას. მახარაძის აზრით, ეროვნულ საკითხს ავტონომია ვერ გადაწყვეტდა, ვინაიდან ეროვნული კითხვა იგივე სოციალურ კითხვად მიაჩნდა, მისი მოგვარების წინაპირობად კი მუშათა ინტერნაციონალური ერთიანობა, რასაც უნდა დაემხო ბურჟუაზიული წყობილება და დაესრულებინა სოციალური განხეთქილება, ამის შემდეგ გადაწყდებოდა ეროვნული საკითხიც (მოგზაური N21, 1905: 325-326).

მათ შორის არსებობდა შედარებით ავტონომისტური მიმართულებაც. კავკასიის საერთო ავტონომიას ემხრობოდა ვლადიმერ დარჩიაშვილი. იგი არ იზიარებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზოგად და ბუნდოვან ფორმულირებას ეროვნული თვითგამორკვევის უფლების თაობაზე და ხალხის სურვილის გამორკვევის მნიშვნელობაზეც ამახვილებდა ყურადღებას (ივერია N211, 1905: 2). მიუხედავად იმისა, რომ ივანე გომართელი კოსმოპოლიტურ პოზიციაზე იდგა და მსოფლიო ერთა ერთიანობას აღიქვამდა პროლეტარული ნაციონალიზმის საბოლოო შედეგად, აშკარად აღიარებდა ეროვნულ საკითხს და ეროვნულ ინტერესადაც უმრავლესობის, შესაბამისად, მშრომელების ინტერესები მიაჩნდა, რომელიც პიროვნების დამოუკიდებლობაში, ეროვნულ თავისუფლებაში, პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობაში მდგომარეობდა. თავდაპირველად, იგი არ აკონკრეტებდა ფორმას, თუმცა თვლიდა, რომ ქართველ მშრომელებს შინაური ცხოვრება უნდა მოეწყოთ იმგვარად, რომ უზრუნველეყოთ ერის ბუნებრივი განვითარება (გომართელი, 1906: 3-55). 1917 წელს კი ცხადად უჭერდა მხარს ავტონომიას (საქართველო N74, 1917: 2).

ამგვარი განსხვავებების არსებობის შედეგად, ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ორი ჯგუფი გამოიკვეთა. კერძოდ, გაზეთ „კვალის“ მიმართულება (მესამე დასი), დამოუკიდებელი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა-შენარჩუნებას ემხრობოდა, ხოლო გაზეთ „ბრძოლის“ მიმართულება (რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები) რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან შერწყმას. 1901 წელს გაზეთ ბრძოლის რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია არ წარმოადგენდა ცალკე მოძრაობას, არამედ ექვემდებარებოდა (უნდა დაჰქვემდებარებოდა) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (ბრძოლა N1, 1901: 2). ნოე ჟორდანია კი ევროპისკენ იხრებოდა, საქართველოს ევროპის სისხლხორცეულ ნაწილად მიიჩნევდა და მასთან ცხოვრებისეულ კავშირსაც ბუნებრივად აღიქვამდა (კვალი N14, 1896: 231), ხოლო სილიბისტრო ჯიბლაძე 1901 წელს დასავლეთევროპელ სოციალ-დემოკრატებთან საიდუმლო კავშირის დამყარებას ცდილობდა. საბოლოოდ, რევოლუციონერთა მიმართულებამ იმძლავრა და 1903 წელს

მესამე დასიც რსდმპ-ს[4] შეუერთდა. მესამე დასის შესუსტებაზე ჟორდანიასა და ჯიბლაძის დაპატიმრებამაც იმოქმედა (გურული, ვაჩნაძე, 1999: 90). 1902 წლის დასაწყისში, ციხეში მყოფი ჟორდანია გაკვირვებით შეხვდა თბილისის ორგანიზაციის რსდმ პარტიის ნაწილად გამოცხადებას. მას აფიქრებდა პოზიციათა შეუთავსებლობა და გათქვეფის საშიშროება იმ ფონზე, რომ რუსეთის პარტიაში არ იდგა გლეხისა და ნაციონალური საკითხები, განსხვავდებოდა ორგანიზაციული მიდგომა (ჟორდანია, (1953) 1990: 40-41).

დამოუკიდებელი პარტიის ჩამოყალიბების მომხრე ქართველების პოზიციის ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის სიტუაციაც გახდა, რაც რუსი სოციალ-დემოკრატების პრაქტიკული აქტიურობით შეიქმნა. კერძოდ, 1890-იან წლებში მუშებს შორის ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ფონზე, რომელსაც ენერგიულად ხელმძღვანელობდნენ რუსეთიდან ჩამოსული კოგანი, ლუზინი, ფრანჩესკები და სხვა სოციალ-დემოკრატები, ჩამოყალიბებული წრეები ამზადებენ საფუძველს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად (გურული, ვაჩნაძე, 1999: 51-57). ცხადია, აღნიშნული გაერთიანებებიც რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიური ნაწილი გახდა და ინტერნაციონალურ ხასიათსაც ატარებდა. იგი ერთგვარი საპასუხო მოქმედება იყო „მესამე დასის“ საპირწონედ და რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციების განსამტკიცებლად. ამ განხეთქილებაში აქტიური პოზიცია თავიდანვე პრორუსულმა რევოლუციონერებმა დაიჭირეს. არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი გამოსვლისთანავე უარყოფდა ლეგალურ ბრძოლას და ამით, ფაქტობრივად, ემიჯნებოდა რუსეთის იმპერიაში პირველი ლეგალური მარქსისტული გაზეთის - „კვალის“ ბანაკს (ბრძოლა N1, 1901: 1-2). აქტიური აგიტაცია-პროპაგანდა, რევოლუციური იდეების გავრცელება და მუშებს შორის პრაქტიკული რევოლუციური მუშაობის გაძლიერება საკმაოდ მყარ ნიადაგს უქმნიდა ქართული სოციალ-დემოკრატიის რევოლუციონერ ფრთას.

ზოგადად, ზემოთ ხსენებული ფონის გათვალისწინებით და ამის გარეშეც, როგორც ჩანს, ნოე ჟორდანიას და მესამე დასელებს კარგად ესმოდათ პარტიული რევოლუციური ძალის ერთიანობის მნიშვნელობა წარმატებისთვის. ძალთა

[4] რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

გაერთიანება უნდა ყოფილიყო იმ ეტაპამდე მისვლის საშუალება, რომელზეც დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა გაჩნდებოდა. საერთო მოძრაობისგან მესამე დასის იმთავითვე ჩამოშორება მის პოზიციას შეასუსტებდა, მითუმეტეს რომ რევოლუციონერებს მუშებს შორის უფრო მყარად ედგათ ფეხი.

1903 წელს რსდმპ-ს მეორე ყრილობაში მონაწილეობისას კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა უთანხმოება არა მხოლოდ ქართულ და რუსულ სოციალიზმს შორის, არამედ ერთი მხრივ ქართულ, სახელდობრ კი მესამე დასის, და მეორე მხრივ მენშევიზმ-ბოლშევიზმს შორის. კამათი მიმდინარეობდა ეროვნულ, გლეხის, ენის, ცენტრალიზაციის, საორგანიზაციო და სხვა საკითხებზე. მიუხედავად განსხვავებებისა, ქართველი სოციალ-დემოკრატები ყრილობის საბოლოო რეზოლუციას შეუერთდნენ და მის იდეურ ჩარჩოშიც მოექცნენ, მათ შორის მესამე დასელი ჟორდანიაც. დადგენილება გარდა ადამიანის ზოგადი და ფუნდამენტური უფლებების, თანასწორობის, მუშათა და გლეხთა სამუშაო პირობების დაცვისა, გულისხმობდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და ფართო ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობას იმ ტერიტორიებისთვის, რომლებიც ხასიათდებოდნენ განსაკუთრებული საცხოვრებელი პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით (Второй Съезд РСДРП, Протоколы, 1959: 421).

ქართველი სოციალ-დემოკრატების ჯერ კავკასიის კავშირში, შემდეგ კი რსდმპ-ში გაერთიანებით საქართველოში რუსულმა სოციალ-დემოკრატიამ გაიმარჯვა. ეს სიტუაცია ჟორდანიას და ზოგადად ევროპული მარქსიზმის გარშემო გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებს გააქტიურებისკენ უბიძგებდა. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის მიმდინარე ქიშპობის ფონზე ქართული სოციალიზმის გაძლიერების საშუალება შეიქმნა. როგორც ჩანს, ჟორდანიამ წარსული შეცდომები გაითვალისწინა და აქტიური მოქმედება დაიწყო სიტუაციის ხელში ასაღებად. მესამე დასისეული დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი ეროვნული ინტერესების საკითხისადმი დამოკიდებულების პოპულარობამ, კავკასიის კავშირსა და ადგილობრივ კომიტეტებს შორის გაფუჭებულმა ურთიერთობებმა, მუშებს შორის აგიტაციის გაძლიერებამ და ჟორდანიას ავტორიტეტმა 1905 წლისათვის შექმნა სიტუაცია, როდესაც საქართველოში არა მენშევიკური ან ბოლშევიკური, არამედ საქართველოს სოციალ-

დემოკრატიული ორგანიზაცია აკონტროლებდა სიტუაციას (ჯონსი, 2007: 153-160). კავკასიის ორგანიზაციათა ორგანო ჟურნალი „სოციალდემოკრატი“, რომელიც უფრო ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანო იყო, აკრიტიკებდა ბოლშევიზმსა და ლენინს, თუმცა არც მენშევიზმის აშკარა აპოლოგეტის როლში გამოდიოდა (სოციალდემოკრატი N3, 1905: 11-15). იგი მიანიშნებდა რუსული და ქართული პირობების, შესაბამისად რუსული და ქართული სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვაობის ასპექტებზე, დამოუკიდებელი და მყარ იდეოლოგიურ პოზიციაზე მდგარი ორგანიზაციის შენარჩუნების მნიშვნელობაზე (სოციალდემოკრატი N4, 1905: 1). ქართული ორგანიზაციის დამოუკიდებლობის იდეა შემდეგაც არსებობდა. ივანე გომართელი 1906 წელს წერდა: „სოციალიზმის დიად სამეფოში ქართველი ერი თავისი საკუთარი სახით უნდა წარსდგეს და ჩვენი პროლეტარიატი სოციალიზმის სამფლობელოში უნდა შევიდეს, როგორც საერთაშორისო პროლეტარული პარტიის ქართველი წევრი (გომართელი, 1906: 55). ამდენად, ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილი გახდა, მაგრამ ევროპული კურსისა და პარტიული დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფმა საქართველოში დომინირება შეძლო. შექმნილი მოცემულობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ რსდმპ მესამე დასელების გაძლიერების საშუალებად იქცეოდა.

**I.2. სოციალისტ-ფედერალისტები**

1890-იან წლებში აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყალიბდება ახალგაზრდების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელმაც მალე ახალი პოლიტიკური პარტია შექმნა. 1900 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მოღვაწეობას იწყებს გიორგი ლასხიშვილი, შაქრო ბილანიშვილთან ერთად, რომელსაც მალევე უერთდებიან ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ქაიხოსრო ქავთარაძე, სამსონ ფირცხალავა, გიგო რცხილაძე, ილია აღლაძე და შიო ჩიტაძე. ახალმა ორგანომ მოღვაწეობის დასაწყისშივე აღნიშნა 60-იანი წლების თაობის (ილია ჭავჭავაძის ბანაკი, „თერგდალეულები“) დიდი ღვაწლი ეროვნული ბრძოლის დაწყების საქმეში და თავი ამ მიმართულების გამგრძელებლად გამოაცხადა. მათი მთავარი მიზანი იყო ეროვნული იდეის ახალ სოციალურ ნიადაგთან შეთავსება და ეროვნული ბრძოლის ხალხში გავრცელება (ლასხიშვილი, 1934: 132-135). წრეში მალევე გაჩნდა აზრი ახალი პარტიის ჩამოყალიბებაზე. როგორც გიორგი ლასხიშვილი აღნიშნავს, ამ თემაზე საუბარი

განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, როდესაც გუნდს არჩილ ჯორჯაძე შეუერთდა. ახალ პარტიას ახალი მიმართულება უნდა ჩამოეყალიბებინა, იმხანად არსებული ორი მთავარი მიმდინარეობის - ეროვნული იდეის მატარებელი ძველი თაობისა და მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებელი მესამე დასელების, ასე ვთქვათ შუალედური მიმართულება, რომელიც პირველთან ახლოს იდგებოდა ეროვნული იდეალით, ხოლო მეორესთან სოციალური მისწრაფებით. შეკრებებზე, რომლებიც თბილისში, ვალიკო გუნიას და ნიკო ქართველიშვილის სახლებში იმართებოდა, ზემოთ დასახელებული პირების გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები, ალექსანდრე ჯაბადარი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კიტა აბაშიძე, ილია ნაკაშიძე, ევტიხი მამინაიშვილი, სიმონ ვახვახიშვილი და ორიოდე სხვა. აღსანიშნავია, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა და მასში შემავალი ერების მიერ პარტიის ორგანიზაციის ეროვნულ პრინციპზე აგების საკითხზე. კრებაზე მომავალი პარტიის საფუძვლებად საქართველოს ავტონომია, კავკასიის ერთა და მთელი რუსეთის ფედერაცია, სოციალიზმის მინიმუმი და მაქსიმუმი პროგრამები განისაზღვრა. აგრეთვე, გადაწყდა თავისუფალი ორგანოს დაფუძნება საზღვარგარეთ, ვინაიდან ცენზურისა და მაშინდელი პოლიტიკური პირობების გამო ეროვნულ პრობლემებზე თავისუფლად საუბარი შეუძლებელი იქნებოდა. 1901 წელს ჩამოყალიბდა მომავალი პარტიის მოსამზადებელი კომიტეტი (ლასხიშვილი, 1934: 138-141).

ახალმა გუნდმა თავიდანვე წინ წამოსწია ეროვნული საკითხი. ამასთანავე, ისინი მიესალმებოდნენ სოციალურ საკითხში სავაჭრო-სამრეწველო წესწყობილების ჩამოყალიბებას, საქართველოს ევროპის კულტურული ევოლუციის ნაწილად მიიჩნევდნენ და მოწინავე ევროპული იდეების ქართულ საზოგადოებაში გავრცელების და გათვითცნობიერების ხელშეწყობას თავიანთ ფუნქციად თვლიდნენ. რაც ყველაზე მთავარია, დასახული მიზნების შესასრულებლად, „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ხაზს უსვამდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არსებობდა ბევრი ისეთი საკითხი, რომელთა გარშემო შეთანხმება და ქვეყნისა და ერის საჭიროებებისათვის ერთიანი მუშაობა მათ შესაძლებლად მიაჩნდათ (ცნობის ფურცელი N1314, 1900: 2).

1903 წელს პარიზში დააფუძნეს გაზეთი „საქართველო“, რომელიც ჯგუფისა და მომავალი პარტიის საპროგრამო საკითხებს განიხილავდა, ასევე ინტენსიურად იბეჭდებოდა ინფორმაცია მუშათა მოძრაობის შესახებ. პარალელურად გამოდიოდა გაზეთის ფრანგული გამოცემა „Georgie”. გაზეთის პირველივე ნომერში აღინიშნა იდეური გაერთიანების ბრძოლის ძირითადი მიმართულება. მათი სურვილი არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა, არ ემხრობოდნენ სეპარატიზმს, არამედ ისწრაფოდნენ საქართველოს პირობებთან შესაფერისი კონსტიტუციის მოპოვებისათვის. სურდათ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოში დარჩენა და საშინაო საქმეებში სრული დამოუკიდებლობა, ანუ ეროვნული ავტონომიის მოპოვება. აქვე აღნიშნულია, რომ მხოლოდ ამ გზაზე ხედავდნენ ისინი „მკვიდრ ნიადაგს“ (საქართველო N1, 1903: 3-4).

საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, ერთი მხრივ, შეუძლებლად და ამასთანავე, არასასურველად მიაჩნდათ. დამოუკიდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი თუ რუსეთი კავკასიაზე ხელს აიღებდა და ევროპა ხელშეუხებელ ნეიტრალურ ზონად აღიარებდა, რისი იმედიც არ არსებობდა, თუნდაც სრულიად თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი დამყარებულიყო რუსეთში, ვინაიდან იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური მომავალი იმგვარად იყო მიმართული, რომ იგი ნებით კავკასიაზე უარს არ იტყოდა. არც ევროპის ქვეყნებში არსებობდა ამგვარი შეხედულება, კავკასიაზე უარს არავინ იტყოდა იმდენად, რამდენადაც იგი მდიდარი აზიის გასაღებს წარმოადგენდა, რომლის ხელში ჩასაგდებად ისწრაფოდნენ. მეორე მხრივ, მრავალფეროვანი კავკასიის მოქიშპე ერთა შორის ცალკე სახელმწიფოს დაარსებას პოტენციურ მძიმე პოლიტიკურ პრობლემად ხედავდნენ. ამ გარემოებებიდან გამომდინარე ეროვნული ავტონომიის მიღწევა იყო მათი მთავარი საზრუნავი. მომავალი ავტონომიური საქართველოს ნაწილად მოიაზრებდნენ ტერიტორიას აფხაზეთიდან საინგილომდე, დარიალიდან სომხითის ჩათვლით და ახალციხის მაზრას, ლაზისტანის ნაწილის ჩათვლით. ანუ მასში კავკასიის ის ნაწილი შევიდოდა, სადაც უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, იმგვარი სისტემის დამყარებით, რომ მასში მოყოლილი ეროვნული უმცირესობების თვისებები დაცული დარჩენილიყო. საქართველოს პოლიტიკური ავტონომია კი რუსეთის პოლიტიკურ ევოლუციას და დეცენტრალიზაციას უნდა მოჰყოლოდა (საქართველო N2, 1903: 1-3).

გაზეთ ,,საქართველოს'' ჯგუფის აზრი გეორგიევსკის ტრაქტატის შინაარსისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ისინი მეფეს აღარ თვლიდნენ საჭიროდ. მის მაგივრად არჩევით დაწესდებოდა საერო კრება, ვინაიდან, მათი აზრით, ხალხი მზად იყო პოლიტიკური თვითმმართველობისათვის. საერო კრება უნდა ყოფილიყო უმაღლესი სამმართველო ორგანო, უნდა აღიარებულიყო ქართული ენის უპირატესობა საქართველოში და მას სავალდებულო ხასიათი მისცემოდა, ამასთან არ უნდა შეზღუდულიყო ეროვნული უმცირესობების ენის გამოყენება ადგილობრივ დაწესებულებებში, ამისათვის იარსებებდა თარჯიმნის ინსტიტუტი, ხოლო ოფიციალური ენა უნდა ყოფილიყო რუსული და ქართული. არაქართული ერებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ადგილობრივ დაწესებულებებში ხმარებაში იქნებოდა მცხოვრებთა უმრავლესობის ენა. თვითმმართველობა უნდა მოეპოვებინა ეკლესიასაც, ვინაიდან მისი დამოუკიდებლობა ძალმომრეობით იყო მოსპობილი. მათი პროგრამა ეკონომიკურ აღორძინებასაც ავტონომიასა და თვითმმართველობას უკავშირებდა (საქართველო N2, 1903: 4-5).

ნიშანდობლივია, რომ ისინი მუშათა მოძრაობას არა მხოლოდ სოციალურ, არამედ პოლიტიკურ მოძრაობად მიიჩნევდნენ, ვინაიდან პოლიტიკური ნიადაგის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთი ვითარება იყო რუსეთში და ამგვარად უნდა წარმართულიყო მოძრაობა საქართველოში, მარტოოდენ ადგილობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, კერძოდ კი, ეროვნული საკითხის. ეროვნული ავტონომია, დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება უნდა ყოფილიყო ქართველ მუშათა მოძრაობის პოლიტიკური მიზანი, რაც უზრუნველყოფდა ხალხის კეთილდღეობას. ძალიან მოკლედ, იგი უნდა ყოფილიყო რუსეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ნაწილი, თუმცა საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვით (საქართველო N2, 1903: 5-6).

სხვათა შორის, ჯერ კიდევ „ცნობის ფურცელში“ მოღვაწეობის დროს ჯგუფში გაჩნდა აზრი რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან ქართული ავტონომიური ჯგუფის შექმნისა. თუმცა რუსული პარტიის დროშის ქვეშ დადგომას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ კიტა აბაშიძე და ვლადიმერ ლორთქიფანიძე. განსაკუთრებით კი ლორთქიფანიძე და აღნიშნავდა, რომ არცერთი რუსული პარტია

საქართველოს განთავისუფლების გულწრფელი მომხრე არ იქნებოდა (ლასხიშვილი, 1934: 138).

მომავალი პარტია რუსეთის მთავრობის, როგორც ქართული ცხოვრების ძირითადი უკუღმართობის შემქმნელის, წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში იმედს ქართველ მუშებსა და ხელოსნებზე ამყარებდა. ამავდროულად, ყველა წოდებისა და კლასის გაერთიანება შეუძლებლად მიაჩნდათ და მხოლოდ იმათ შეთანხმებას იმედოვნებდნენ, ვინც უარყოფდა წოდებრივ და ბურჟუაზიულ-კლასობრივ მოქმედების ნიადაგს და თავის შესაძლებლობებს საქართველოს განთავისუფლებისაკენ მიმართავდა (საქართველო N4, 1903: 1-4).

გაზეთ „საქართველოს" ჯგუფი აღიარებდა კლასთა ბრძოლას, რისი უშუალო გამოხატულებაც იყო მუშათა მოძრაობა. ამავდროულად, არ ემხრობოდნენ ეკონომიკური უთანხმოების ეროვნული სოლიდარობისა და მთლიანობისათვის მსხვერპლად შეწირვას. მათთვის თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ და სოციალურ საკითხებს. ამ იდეალებისათვის მებრძოლ ერთადერთ ძალას კი მშრომელი ხალხი წარმოადგენდა და არა თავადაზნაურობა, რომლის მოქმედებაც და რუსეთის სამსახური შეუთავსებელი იყო ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლასთან (საქართველო N5, 1903: 1-4).

პარტიის შექმნამდე საჭირო ერთგვარი საინფორმაციო კამპანია გაზეთებმა - „ცნობის ფურცელმა" და შემდეგ „საქართველომ" შეასრულეს. იდეური საფუძვლის მომზადების პროცესში გამოიკვეთა ის პრინციპები, რასაც მომავალი პარტია უნდა დაჰფუძნებოდა. პარტიათაშორისი დიალოგის მიზნით, საერთო მოქმედებებისა და შეთანხმების პერსპექტივების გამოსარკვევად გადაწყდა კონფერენციის მოწვევა, რომელიც 1904 წელს ჟენევაში შედგა. ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია 1904 წლის პირველ აპრილს გაიხსნა და თავდაპირველად 21 კაცი დაესწრო. გაზეთ „საქართველოს" ჯგუფის გარდა ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და უპარტიოები (შველიძე, გაფრინდაშვილი, 2010: 65).

კონფერენციაზე ერთ-ერთ უპირველეს საკითხად დაისვა საქართველოს განთავისუფლების საკითხი. მიზანს წარმოადგენდა დისკუსია, განსხვავებული

პარტიული კუთვნილების მიუხედავად საერთო პოზიციების და სამოქმედო პროგრამის შეჯერება, ასე ვთქვათ, „საერთო ნიადაგის“ გამოძებნა. თუმცა საერთო რეზოლუციის გამოტანის საკითხმა გააჩინა პირველი უთანხმოება, სოციალ-დემოკრატებმა ამაზე უარი განაცხადეს, ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ მათთვის შეუძლებელი იყო „საქართველოოელებთან“ და ანარქისტებთან საერთო რეზოლუციების გამოტანა. ოთხმა სოციალ-დემოკრატმა კონფერენცია დატოვა (ფერაძე, 2018: 264-265).

კონფერენციაზე მიმდინარე მსჯელობის შედეგად მიიღეს რეზოლუციები. ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციამ მხარი დაუჭირა ავტონომიურ ერთა ფედერაციას და უარყო სეპარატიზმი. ავტონომიური საქართველო უნდა ყოფილიყო ერთა ფედერაციული კავშირის ნაწილი. აგრარულ საკითხში აღიარებდნენ მიწების სოციალიზაციას. თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა წარმართულიყო საერთო რევოლუციის ძალით (შველიძე, 2022: 134). კონფერენციის ბოლოს გამოცხადდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბება. მალე სახელი შეიცვალა და ჩამოყალიბდა, როგორც ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. კონფერენციის რეზოლუციები საფუძვლად დაედო პარტიის პროგრამას, რომლის დამუშავება 1905 წელს გაგრძელდა (ლასხიშვილი, 1934: 163).

ამდენად, პარტიაში გაერთიანდა რამდენიმე იდეური მიმართულება. ძირეულ პრინციპებთან, განსაკუთრებით კი ეროვნულ საკითხთან დაკავშირებული თანხმობა იყო პარტიული გაერთიანების წინაპირობა. ამის ნათელი დასტურია კონფერენციაზე მიმდინარე მსჯელობის ამსახველი ოქმები, სახელდობრ, მონაწილეთა გამოსვლები იდეოლოგიურ სხვაობაზე მაღლა მდგომი ეროვნული თანხმობისა და ძალთა გაერთიანების პრინციპებზე.

გაზეთი „საქართველო“ გამოცხადდა პარტიის ორგანოდ. იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა პარტიის საპროგრამო საკითხები. სოციალისტ-ფედერალისტები სოციალურ და ეროვნულ საკითხებს თანაბარ მნიშვნელობას აძლევდნენ. შესაბამისად, გაზეთი სარევოლუციო სტრატეგიების, სოციალურ-ეკონომიკური, აგრარული და განსაკუთრებით ეროვნული საკითხის შესახებ ავრცელებდა სტატიებს.

რაც შეეხება ბრძოლის მეთოდებს, სოციალისტ-ფედერალისტებს რევოლუციამდე საჭიროდ მიაჩნდათ საზოგადოებრივ აზრზე მუშაობა, პროპაგანდითა და შესაბამისი ლიტერატურის გავრცელებით ერთიანი რევოლუციური აზრის შექმნა, რევოლუციის ხალხის გონებაში მომზადება და თვითცნობიერების გაღვიძება, რათა მათთვის ცხადი და გააზრებული ყოფილიყო თუ როგორ უნდა განთავისუფლებულიყვნენ ეროვნულად და ეკონომიკურად. ამავდროულად, ისინი არ უარყოფდნენ ინდივიდუალურ ტერორს და შეიარაღებულ ჯგუფობრივ თავდაცვას, ანუ მთავრობის მიერ ხალხის პროტესტის ჩახშობისას იარაღით თავდაცვას სარევოლუციო პარტიის მოქმედების ერთ-ერთ გზად აღიარებდნენ. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მეთოდი: პროპაგანდა, ინდივიდუალური ტერორი და შეიარაღებული ჯგუფობრივი თავდაცვა. ამავდროულად, უგულებელყოფდნენ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს და მხარს უჭერდნენ პეტერბურგისგან დამოუკიდებელ, ადგილობრივი დღის წესრიგითა და საჭიროებებით მომართულ სარევოლუციო მოქმედებას (საქართველო N11, 1904: 1-5).

სოციალისტ-ფედერალისტების მიერ წამოყენებული ორი პრობლემიდან, რომელიც გულისხმობდა დემოკრატიული ავტონომიის დამყარებასა და სოციალიზმის პროპაგანდას, პირველი თვითმპყრობელობის დამხობისთანავე უნდა დაფუძნებულიყო, ხოლო მეორისთვის იმთავითვე ნიადაგი მომზადებულიყო. რუსეთის იმპერიაში ცენტრალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიების ერთიანობით მიღწეული წარმატებული რევოლუციის შემდეგ დამყარებული საქართველოს ეროვნული ავტონომია შექმნიდა კულტურის ნიადაგს. ფიქრობდნენ, რომ კლასთა ბრძოლა საქართველოს აუცილებლად რევოლუციამდე მიიყვანდა. მანამდე კი ქართველებს ორი ეტაპი უნდა გაევლოთ, უპირველესად ფეოდალიზმის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრა და ავტონომიური რესპუბლიკისა და ეროვნულ-დემოკრატიული თვითმმართველობის დაფუძნება, რომელიც თავისუფალი მოქმედებისა და განვითარების საშუალებას მისცემდა. განათლება, აზრისა და მოქმედების თავისუფლება კი მიიყვანდა ბურჟუაზიული წყობილების დასასრულსა და სოციალური კომუნიზმის განვითარებამდე (საქართველო N12, 1904: 3-5).

სოციალისტ-ფედერალისტები ეწინააღმდეგებოდნენ მიწის ნაციონალიზაციას, ესე იგი მის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას და მხარს უჭერდნენ მიწის სოციალიზაციას, მის სოფლის საზოგადოებების, გლეხთა კავშირებისა და კოოპერაციების მფლობელობაში გადასვლას (საქართველო N23, 1905: 1-3).

პარტია ერთიანობისკენ მოუწოდებდა კავკასიის მშრომელ ხალხს, გაერთიანებულ ძალას იარაღით უნდა ებრძოლა მემამულის, კაპიტალისტისა და რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, სოციალური და პოლიტიკური მონობის მოსპობის, თანასწორობისა და თავისუფლების დამყარებისათვის, კავკასიის ერთა კონფედერაციის შექმნისათვის (საქართველო N21, 1905: 1-2). ისინი არ ცნობდნენ მხოლოდ პოლიტიკურ და ეროვნულ რევოლუციას, არამედ რევოლუციას სოციალური მოძრაობის წინამძღოლობით. ვინაიდან, ეკონომიკური განთავისუფლება იქნებოდა საფუძველი სრული თავისუფლებისა. თუმცა რუსებისგან განსხვავებით, მატერიალურთან ერთად, კავკასია იბრძოდა ეროვნულ-კულტურული ინტერესების დასაკმაყოფილებლადაც, რაც ხელს არ უშლიდა რევოლუციურ ძალთა სოლიდარობას (საქართველო N22, 1905: 1-3). ადგილობრივ რევოლუციონერებს უნდა ებრძოლათ ადგილობრივი თვითმპყრობელობის ორგანოების დასამხობად. შემდეგ მოეწვიათ კავკასიის დამფუძნებელი საერო კრება და შეემუშავებინათ კავკასიის ერთა ფედერატიული კონსტიტუცია (საქართველო N24, 1905: 4-5). ამდენად, კავკასიის ერთიანი რევოლუცია უნდა ყოფილიყო რუსეთის რევოლუციის ნაწილი, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია შეუერთდა 1905 წელს შეკრებილ რუსეთის იმპერიაში მოქმედ სოციალისტურ და სარევოლუციო პარტიათა კონფერენციას. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თაოსნობით მიღებული კონფერენციის რეზოლუციები თანხვედრაში მოდიოდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების ძირითად პროგრამულ პრინციპებთან, ითვალისწინებდა კავკასიის დამფუძნებელი კრების ავტონომიას და მის რუსეთთან ფედერაციულ კავშირს. ისინი ამ კავშირის განმტკიცებაში ორივე მხარის ინტერესს ხედავდნენ, ამიტომ პარტია მხარს უჭერდა კავკასიის მონაწილეობას რუსეთის ცენტრალური დამფუძნებელი კრების მუშაობაში (საქართველო N25, 1905: 1-8).

1905 წელს გაზეთი „საქართველო“ დაიხურა. ამავე პერიოდში პარტიას შეუერთდა მიხეილ ჯავახიშვილი (ლასხიშვილი, 1934: 217-218), რომლის რედაქტორობითაც გამოდიოდა გაზეთი „გლეხი“. იგი პარტიის იდეოლოგიას ავრცელებდა, იბეჭდებოდა სტატიები სოციალიზმის, სახელმწიფოსა და საზოგადოების მოწყობის შესახებ (გლეხი N7, 1906: 1-3), გლეხის მდგომარეობის, საზოგადოებრივი წესრიგის, სამართლის, თვითმმართველობისა და მსგავსი საკითხების თაობაზე (გლეხი N5, 1906: 1-3).

1906-1907 წლებში გაერთიანებიდან გავიდნენ ეროვნულ-დემოკრატები და ანარქისტები. უკვე 1907 წელს, პარტიის მესამე კონფერენციაზე, სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ მარტო განაგრძო მუშაობა, მიიღო ახალი პროგრამა და ცალკე პარტიად იქცა.

პარტიის პოლიტიკური პროგრამა მინიმუმი, სოციალიზმის დამყარებამდე, ასე გამოიყურებოდა: პიროვნების სრული ხელშეუხებლობა და თავისუფლება განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა; დემოკრატიული მმართველობის დამყარება, პარლამენტარიზმი და სახალხო კანონმდებლობა; საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია; ფართო, არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობა (სასოფლო, საქალაქო), ეროვნული უმცირესობების განვითარებისათვის ფინანსური უზრუნველყოფა და არატერიტორიული კავშირების უფლება; დამოუკიდებელი სასამართლო; უფასო, საყოველთაოდ სავალდებულო და ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლება; სეკულარიზმი; სახალხო, საერო ლაშქრის ჩამოყალიბება. ეკონომიკურ ნაწილში: არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება, პროგრესული პროპორციული გადასახადების დაწესება; საზოგადოებრივი საკუთრების გაფართოება; მშრომელთა დაზღვევა, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მატერიალური და სამართლებრივი პირობებით უზრუნველყოფა, 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესება (სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო ნაკლები), 16 წლამდე ბავშვებისთვის მუშაობის აკრძალვა; მინიმალური ხელფასის განსაზღვრა, სანოვაგეზე არსებული ფასების მიხედვით, შვებულების, გაფიცვისა და სხვა ძირითადი უფლებების დაცვა; საქვეყნო ქონების სოციალიზაცია და კოლექტიური შრომის წარმოება. აღნიშნულის შესრულება

უნდა მოჰყოლოდა რევოლუციის გამარჯვებას, რისთვისაც პარტია უპირველეს მიზნად ისახავდა სრულიად რუსეთისა და ადგილობრივი დამფუძნებელი კრებების მოსაწვევად რევოლუციურ ბრძოლას.

### I.3. ეროვნულ-დემოკრატები

XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებას იწყებს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება, რომელიც მოგვიანებით ცალკე პარტიად გარდაიქმნა. ამ მიმართულებას წარმოადგენდნენ პიროვნებები, რომლებიც თავდაპირველად ეროვნული და მარქსისტული იდეური დაპირისპირების, შემდეგ კი პოლიტიკური შეხედულებების გამრავალფეროვნების ფონზე, ერთი მხრივ, სხვებთან შედარებით გამოკვეთილად იდგნენ ეროვნული საკითხის დაცვის პოზიციაზე და მეორე მხრივ, სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე.

ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის სახელით 1901 წელს გავრცელებულ წერილში მწვავედაა გაკრიტიკებული თავადაზნაურობა, როგორც რუსეთის მხარდამჭერი საქართველოში, გაჟღერებულია რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ქართული ეროვნული ინტერესებისთვის ბრძოლისაკენ მოწოდება, რომლის ცენტრშიც მშრომელი ხალხი უნდა მდგარიყო (გიორგაძე, 1928: 579-580).

თავდაპირველად, ეროვნულ-დემოკრატიული იდეის მატარებლები, რომლებმაც ე.წ. პირველი დასისგან იდეური გამიჯვნა თავადაზნაურობის კრიტიკით დაიწყეს და ამავდროულად არ ექცეოდნენ სოციალ-დემოკრატიის მსოფლმხედველობაში, შეუერთდნენ 1904 წლის ჟენევის კონფერენციას და სოციალისტ-ფედერალისტთა კოალიციური გაერთიანების შემადგენლობაში შევიდნენ. აღნიშნული კოალიცია იყო ერთგვარი შუალედური მიმდინარეობა, რომელსაც პირველი დასისგან სოციალიზმი, ხოლო სოციალ-დემოკრატიისგან შედარებით გამოკვეთილი ეროვნული საკითხი განასხვავებდა.

მოგვიანებით თანდათან გამოჩნდა ამ გაერთიანების გახლეჩის განმაპირობებელი გარემოებები. 1905 წლის ზაფხულში არჩილ ჯორჯაძე გიორგი დეკანოზიშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში თავი მოეყარათ ავტონომიის მხარდამჭერებს, დემოკრატ-

ლიბერალებთან შედარებით ნაკლები იყო სოციალისტების რიცხვი, რაც, მისი აზრით, არ მისცემდა ორგანიზაციას რევოლუციაში დომინირების საშუალებას. მას საჭიროდ მიაჩნდა პარტიაში სოციალიზმის გაძლიერება და ნაციონალ-დემოკრატებთან დისტანცირება, ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად (კავკასიონი N10, 1965: 161-162).

1905 წლის 31 მარტს გაიმართა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელზეც გადაწყდა იმპერატორის სახელზე მიმართვის გასაგზავნად კომისიის შექმნა. კრებაზე კამათი ორ ძირითად საკითხზე წარიმართა, მოეთხოვათ დამფუძნებელ კრებაში კავკასიის წარმომადგენლების შეყვანა თუ საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობა. საბოლოოდ, ეს უკანასკნელი გადაწყდა და შეიქმნა კომისია მიმართვის შესამუშავებლად (ივერია N42, 1905: 1). მეორე დღეს გამართულ სახალხო კრებას დიდი რაოდენობით ხალხი დაესწრო, თავადებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც განხილვაში ცენზის არმქონეების მონაწილეობას ან საერთოდ ავტონომიის მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდნენ, ხალხი კი ემხრობოდა ავტონომიის შინაარსს. ცხარე კამათის შემდეგ, თავად-აზნაურთა სახელით, კენჭისყრით მიიღეს საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის შესახებ შემუშავებული ადრესი (ივერია, N43, 1905: 1). მიმართვაში ავტონომია ნახსენები არაა, მაგრამ ნათქვამია, რომ ქართველი ხალხის მშვიდობიანი და კულტურული განვითარება მხოლოდ საკუთარი კანონებითა და ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობით იქნებოდა შესაძლებელი (ცნობის ფურცელი N2787, 1905: 3).

ზემოხსენებული შემთხვევა იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, ახალი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების მცდელობის გზაზე. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ხსენებული მიმართვის სარედაქციო კომისიაშიც იყო და პარტიის ჩამოყალიბების შემდგომ პერიპეტიებშიც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა.

ახალი, გამოკვეთილი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური მოძრაობის შექმნის იდეა კიტა აბაშიძისაგან წამოვიდა. ამ აზრს მხარი აუბა ილია ჭავჭავაძემ, აგრეთვე, მომავალი პარტიის შექმნის პროცესში აქტიურად ჩანან ივანე ზურაბიშვილი, გიორგი გვაზავა, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ყიფიანი, ნიკო თავდგირიძე, პავლე

თუმანიშვილი და სხვები (ჯანელიძე, 1997: 11). უკვე 1906 წლისთვის „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა 74 მუხლიანი პროგრამა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პარტიის სახელწოდება მითითებულია, როგორც ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, გაზეთის რედაქციამ პროგრამას გამოქვეყნებამდე წინასიტყვაობა დაურთო და ხაზი გაუსვა, რომ პარტიის სახელი და პროგრამა თითქმის იდენტურადაა გადმოღებული რუსეთში მოქმედი იგივე პარტიისგან და გააკრიტიკა ის შეცდომები, რაც გადმოთარგმნის დროს გაპარულა (ცნობის ფურცელი N2981, 1906: 1-2). რაც შეეხება თავად პროგრამის შინაარსს, რომელიც კონსტიტუციური ხასიათისაა, გულისხმობს რუსეთის ყველა მცხოვრების სრულ თანასწორობას, პიროვნების სრულ თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, სამართლის აღსრულებას და ძირეულ დემოკრატიულ პრინციპებს, ხოლო სახელმწიფო წყობილების ნაწილში, საყოველთაო, ფარული და თანასწორი არჩევნებით არჩეული პარლამენტია გამოცხადებული ერთადერთ კანონმდებელ ორგანოდ. აგრარულ ნაწილში კი, რაც ყველაზე საყურადღებოა, კერძო საკუთრება აღიარებულია და შესაბამისი კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს აგრარულ საკითხში (ცნობის ფურცელი N2981, 1906: 4). ამასთანავე, წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაცვის კუთხით, საყოველთაო და ხელმისაწვდომი განათლების შესახებ, ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლების თაობაზე და ა.შ. ეროვნულ ავტონომიაზე ნათქვამია, რომ ახალი წყობის დამყარებისთანავე ყველა ერს, მათ შორის საქართველოს, უფლება უნდა მისცემოდა ეროვნული ავტონომიის დაფუძნებისა. ავტონომიური ხელისუფლება დამოუკიდებელი იქნებოდა საშინაო საქმეებში, იარსებებდა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი მთავარმართებლის ინსტიტუტი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ავტონომიური მმართველობის მიერ პარლამენტის გამოცემული კანონების შესრულების პროცესს (ცნობის ფურცელი N2982, 1906: 3).

ჩვენ ვეთანხმებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული არ იყო პარტიის პროგრამა (ჯანელიძე, 1997:19-20), არამედ იყო რუსეთში

მოქმედი იგივე პარტიის წესდების თარგმანი ქართულ ინტერესებთან შეთავსებული დანამატებით, რომელიც გამოხატავდა მომავალი პარტიის ძირეულ პრინციპებს, წარმოაჩენდა ერთგვარ შესავალს, რასაც ეს მიმართულება და უშუალოდ მომავალი პროგრამა უნდა დაჰფუძნებოდა.

თავად პარტიული პროგრამა კი 1906 წლის მარტში გამოიცა. მასში კიდევ ერთხელაა წარმოდგენილი ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა სამართლიანობა, ადამიანის, სიტყვის, ქონების, გადაადგილების, ნების თავისუფლება, თანასწორობა, განათლების საყოველთაობა და ხელმისაწვდომობა. აგრეთვე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული ენის სახელმწიფოებრივ დონეზე ამაღლება, ერობის შემოღება, პოლიტიკური ამნისტია და ა.შ. რაც შეეხება პოლიტიკური მმართველობის ფორმასა და სოციალურ საკითხს, დემოკრატები აქ აყენებენ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას და ემხრობიან ე.წ. საპარლამენტო მმართველობის მოდელს, არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობას.[5] სოციალურ საკითხში კი მხარს უჭერენ კერძო საკუთრებას, ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრასა და მუშათა უფლებების განმტკიცებას (ჯანელიძე, 1997: 26-32). ხაზგასასმელია, რომ ეროვნულ-დემოკრატია ცდილობდა მთელი საზოგადოების და არსებულ ძალთა გამაერთიანებლის ფუნქცია ეკისრა. ამაზე მოგვიანებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ ვეშაპელიც საუბრობდა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში, მის მაგივრობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია ითავსებს. მისი შეხედულების თანახმად, უსახელმწიფო ერის პოლიტიკური ვითარება ითხოვს კლასთა ინტერესებს შორის მოინახოს შუალედი. აქვე, ბურჟუაზიის, როგორც თანამედროვე ეროვნული კულტურის შემქმნელის, განმტკიცება ეროვნულ-დემოკრატიულ აზროვნებაში განსაკუთრებული ყურადღების საგნად ითვლებოდა (საქართველო N119, 1917: 2). მიუხედავად 1905-1906 წლებში მიმდინარე მცდელობისა, ეროვნულ-დემოკრატიული

[5] სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ავტონომიის უკან არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილიც. თუმცა იმჟამად ამის შეუძლებლობის გამოისობით, ლოგიკურია, ამის საჯაროდ გაჟღერებას ერიდებოდნენ (შველიძე, 2022: 178).

პარტიის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ კი ეს საქმე გაურკვეველი დროით გადასწია.

### I.4. სოციალისტ-რევოლუციონერები

ქართული პოლიტიკური აზროვნების გამრავალფეროვნების ეტაპზე საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს კიდევ ერთი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პოლიტიკური ორგანიზაცია. ძირითადად რუსეთში მოქმედი პარტიის წარმომადგენლების აქტიურობით და ასევე ცნობილი ხალხოსნური მოძრაობის თანამგრძნობი ქართველების მონაწილეობით თანდათან იქმნება შესაბამისი იდეური საზოგადოებები. იმ ხალხოსნურმა[6] მოძრაობამ, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მე-20 საუკუნიდან გარკვეული ცვლილებები განიცადა და სწორედ მის საფუძველზე ყალიბდება სოციალისტ-რევოლუციონერების, იგივე ესერების, პოლიტიკური პარტიის საწყისები.

მიუხედავად რუსი სოციალისტ-რევოლუციონერების აქტიურობისა და მათ მიერ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში შექმნილი ზოგიერთი ორგანიზაციისა, რუსეთის პირველ რევოლუციამდე და რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წწ.) აქ პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც ხალხოსნების იდეური შთამომავლები იყვნენ, თავდაპირველად სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად ქმნიან კოალიციას 1904 წელს. თუმცა კოალიცია მალე იშლება საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული განსხვავებების გამო. ამგვარი განსხვავებები არსებობდა ესერებთანაც, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

უპირველეს ყოვლისა, ვიტყვით, რომ რუსეთში მოქმედი ესერების პროგრამა, რომელზე მუშაობაც 1902 წელს დაიწყო, მეოთხე პროექტი 1904 წელს გამოქვეყნდა და 1906 წლის დასაწყისში უმნიშვნელო ცვლილებებით პარტიის ყრილობამ დაამტკიცა,

---

[6] მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში აღმოცენებული მიმდინარეობა (რუსულად „ნაროდნიკობა“), რომელიც ცდილობდა ჩასწვდომოდა გლეხების ცხოვრებას და მათი ინტერესები გამოეხატა, მას საქართველოში წარმატებისთვის არ მიუღწევია, სრულად მიჰყვებოდა რუსულ „ნაროდნიკულ“ იდეოლოგიას. ქართველი ხალხოსნები იყვნენ: ანტონ ფურცელაძე, გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი), სოფრომ მგალობლიშვილი და სხვა (კოტეტიშვილი, 1965).

პროგრამა მაქსიმუმით ითვალისწინებდა კაპიტალისტური საკუთრების მოსპობასა და მშრომელთა სრულ გამარჯვებას. ხოლო პროგრამა მინიმუმის მოთხოვნა იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მშრომელთა თავისუფლება და დემოკრატია. პროგრამა აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, ერთა ფედერალურ კავშირს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფართო ავტონომიას, აგრარულ საკითხში კი წარმოებისა და მიწის სოციალიზაციას და კერძო საკუთრების გაუქმებას (Ерофеев, 2000: 180-182). ნიშანდობლივია, რომ ესერები ცდილობდნენ გამოეხატათ არა მხოლოდ გლეხების ან მუშების ინტერესები, არამედ, ზოგადად, მშრომელი ხალხის ინტერესები, როგორც გლეხების, ისე მუშებისა და ინტელიგენციის სოციალიზებული ნაწილისა. თუმცა მუშები, როგორც ინდუსტრიალიზაციაში დაბადებული კლასი, ბუნებრივად წარმოადგენდნენ იმ რევოლუციის ავანგარდს, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა მშრომელი ხალხი (Malancon, 1985: 5-13). გარდა ლიტერატურის გავრცელებისა და აგიტაციისა, ესერები აქტიურად მიმართავდნენ ინდივიდუალურ ტერორს. მაგალითისთვის, რუსეთის პირველ რევოლუციამდე და მისი მიმდინარეობისას ესერებმა მოაწყვეს 263 დიდი ტერორისტული აქტი (Прохорова, 2013: 27).

მე-19 საუკუნის ბოლოდან საქართველოში აქტიურად ჩამოდიან რუსი ნეოხალხოსნები, იწყებენ ნეოხალხოსნური იდეების პოპულარიზებასა და შესაბამისი წრეების ჩამოყალიბებას მუშებს შორის. 1898 წელს ამ წრეებში მოხდა განხეთქილება და წარმოიქმნა პრორუსული და ნაციონალური მიმართულებები. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მათი მოქმედება კიდევ უფრო აქტიურდება. რუსეთში თანდათან მიაღწიეს შეთანხმებას ესერთა ჯგუფების პარტიად გაერთიანების შესახებ. რუსი ესერები ცდილობენ აქ არსებული ნეოხალხოსნური ჯგუფების პარტიაში გაერთიანებას, ამას ემსახურებოდა გრიგორი გერშუნის ვიზიტი თბილისში 1901 წელს, მარკ ნატანსონის ვიზიტი 1902 წელს. უკვე 1903 წელს თბილისში არსებობდა ესერთა პარტიის ჯგუფი, 1904 წელს ბათუმში შეიქმნა ესერთა პარტიის კომიტეტი (ხვედელიძე, 1988: 101-108). საქართველოში მოღვაწე ესერების უმრავლესობა რუსეთიდან ჩამოსული მოღვაწეები იყვნენ, ქართველი ესერებიდან აღსანიშნავია ილია ქარცივაძე, ივანე ჯაბადარი, შალვა ნათაძე და ა.შ. 1905 წლისათვის

საქართველოში მოქმედი ესერთა ჯგუფები, ბაქოს კომიტეტთან ერთად, შეადგენდნენ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კავკასიის კავშირს.

მიუხედავად ნეოხალხოსნური იდეების გავრცელებისა და ესერთა პოლიტიკური აქტიურობისა საქართველოში, იგი წარმოადგენდა რუსეთის ესერთა პარტიის ნაწილს, პარტიული საქმიანობის ძირითად ბირთვსაც რუსები შეადგენდნენ. ადგილობრივი ელემენტი ნაკლებად მძლავრობდა მასში და რუსეთის მეორე რევოლუციამდე არც შექმნილა საქართველოს ესერთა პარტია.

თუმცა საწყის ეტაპზევე ჩანდა გარკვეული კონტურები დამოუკიდებელი პარტიის შესაქმნელად. შალვა ნათაძის 1906 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში - „ეროვნული საკითხი“, ნათლადაა წარმოჩენილი აზრი, რომ ეროვნული საკითხი იყო მთავარი განმასხვავებელი და თავშივე გასარკვევი თემა. იგი მიიჩნევს, რომ ჩაგრული ეროვნების ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები მდგომარეობს ეროვნული ბაზრის შენარჩუნებაში, რისთვისაც ის მხარს უჭერს ყველანაირ ნაციონალურ მოთხოვნილებას, მათ შორის სეპარატიზმს. ამ ფონზე, მუშებმაც კლასობრივი ინტერესების შესაბამისად უნდა განსაზღვრონ ეროვნული საკითხი. ზოგადად, მიიჩნევს, რომ მუშებში ძლიერია ეროვნული გრძნობა და მზაობა, ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანდეს მოწინააღმდეგე კლასთან. ამავე დროს, სოციალისტების მიზნად ასახელებს მუშების კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებას. ეროვნულად ჩაგრული ერის კლასობრივ ბრძოლას ნაციონალური ბრძოლა უერთდება. ამიტომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმატებული კლასობრივი ბრძოლისათვის საჭიროა ეროვნული პრობლემის მოგვარება. ნათაძე საჭიროდ თვლიდა პარტიის მხრიდან ეროვნული საკითხის გამორკვევას. ის მიიჩნევდა, რომ ტერიტორიული ავტონომია და ფედერაცია ვერ მოაგვარებდა ეროვნულ საკითხს, არამედ ნაციონალური ავტონომია და ფედერაცია (ნათაძე, 1906: 4-16). მართალია ნათაძე არ გამოდის დამოუკიდებელი პარტიის შექმნის ინიციატივით, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეროვნული საკითხის წინ წამოწევა ერთ-ერთი ნაბიჯი იყო დამოუკიდებელი პარტიის შექმნის გზაზე.

### I.5. ანარქისტები

საქართველოში ანარქისტულ მიმდინარეობას არასდროს ჰქონია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მხარდაჭერა. იქიდან გამომდინარე, რომ ანარქიზმი

არ ცნობდა პარტიის საჭიროებას და ჩამოყალიბებული პარტიული ორგანიზაციის ფორმაც არ მიუღია, მას ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულ რამდენიმე ქართველ ანარქისტს საყურადღებო და შეიძლება ითქვას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილიც კი ეჭირა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კლასიკური ანარქიზმი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს იდეას. ანარქისტი თეორეტიკოსები თვლიდნენ, რომ არანაირი შეთანხმება ადამიანებს შორის არ ამართლებს იმ მმართველი ორგანოს (მთავრობის) დაარსებას, რომელიც ინდივიდებს მის ავტორიტეტს დაუქვემდებარებს, ყველა ფორმის ხელისუფლება გამოყენებულია მონოპოლიების დამყარების ინსტრუმენტად, რომელიც სასარგებლოა მდიდრებისა და პრივილეგირებული ადამიანებისათვის. ეკონომიკური თვალსაზრისით, ანარქიზმი უმეტესად ანტიკაპიტალისტურია. სოციალისტების მსგავსად, ანარქისტები ხედავდნენ კაპიტალიზმს როგორც სისტემას, რომელსაც მართავენ ელიტები, სისტემა, რომელიც ეკონომიკურ ექსპლუატაციას უწევს საზოგადოებას და მათ კულტურულად და სულიერად დევნის. შესაბამისად, ანარქისტები ამტკიცებდნენ, რომ მუშის გათავისუფლება მხოლოდ კაპიტალიზმის საყრდენების სრულად განადგურებით იქნებოდა შესაძლებელი. რელიგიის საკითხში ანარქისტები არ ეწინააღმდეგებოდნენ სულიერებას, თუმცა გმობდნენ ორგანიზებულ რელიგიასა და რელიგიურ ინსტიტუტებს (Esenwein, 2005: 66-67).

ამასთანავე, ევროპული და რუსული ანარქიზმი გარკვეულწილად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ქართული ანარქიზმიც სხვადასხვაგვარად განვითარდა. უტოპიური, ბუნდოვანი, ზოგადი თუ სხვა ცალკეული თავისებურებებიდან გამომდინარე, ანარქიზმის ძირითადი იდეოლოგიური ხაზის ქვეშ სპეციფიკური ხასიათის ინდივიდუალური ფიგურები ჩამოყალიბდნენ, რასაც, როგორც ჩანს, ლოკალური მოცემულობაც განაპირობებდა. თავად ქართველ ანარქისტებს შორის ორი მკვეთრი მიმართულება გამოიკვეთა: პატრიოტული და კოსმოპოლიტური. პირველი მიმართულების ორი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხეილ წერეთლის მოღვაწეობა ცალსახად ქართველი ერის ინტერესებისათვის ბრძოლის მაგალითია. საქართველოს თავისუფლებისა და

ავტონომიისათვის ბრძოლას ჩერქეზიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ლაიტმოტივიც კი შეიძლება ვუწოდოთ. მისი შეხედულებით ნებისმიერ ერს ჰქონდა საკუთარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზების, საკანონმდებლო დაწესებულების ქონის უფლება. ჩერქეზიშვილის ეროვნული ავტონომიის იდეა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს ეფუძნებოდა და ვინაიდან ეს უკანასკნელი რუსეთმა დაარღვია, ავტონომიას ქართველი ხალხის ისტორიულ უფლებად აცხადებდა (გერგაია, 2005: 124-125). სწორედ ამ პრინციპს ეფუძნებოდა ჰააგის 1907 წლის მეორე სამშვიდობო კონფერენციისადმი წარსადგენად მომზადებული პეტიცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნით, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის მეთაურობით შეიქმნა და მას ასეულობით ქალი და მამაკაცი აწერს ხელს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომელთა შორის არიან გლეხები, თავადები, აზნაურები, საჯარო მოხელეები, მრეწველები, ვაჭრები, მასწავლებლები, ხელოსნები, მუშები, სასულიერო პირები. პეტიციაში განხილულია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ძირითადი შინაარსი და რუსეთის მიერ მისი დარღვევის ფაქტი. საუბარია რუსიფიკაციის პროცესსა და საქართველოს ანექსიის შედეგად დამყარებულ დღის წესრიგზე, რომელიც ზღუდავდა ქართველთა პოლიტიკურ და ეროვნულ უფლებებს. აგრეთვე, საუბარია ავტოკეფალიის გაუქმებაზე, იმპერიის უსამართლობებზე, 1905-1906 წლებში განხორციელებულ სასტიკ რეპრესიებსა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე. პეტიცია ევროპულ საზოგადოებას ამცნობდა ამ უსამართლობებსა და რუსეთის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს, ითხოვდა ევროპის დახმარებას ამ პრობლემის სამართლიან მოგვარებაში, მათ მიერ რუსეთის იძულებას, დაეცვა საერთაშორისო ნორმები, აღმდგარიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ეროვნული ავტონომია (Bodleian Library MS. Wardr. c. 16). პეტიცია შევიდა კონფერენციის ოქმებში, თუმცა მასზე მსჯელობა და რეზოლუციის მიღება ვერ მოხერხდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის გამო. ტექსტი სხვადასხვა ენაზე გავრცელდა და გამოხმაურება პოვა დასავლურ პრესაში. როგორც თავად ჩერქეზიშვილი წერდა: „მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის პირველად იყო რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა'' (ჩერქეზიშვილი, 1918: 92). იგი დასავლურ პრესაში აქვეყნებდა საქართველოს მხარდამჭერ პუბლიკაციებს, უცხოელ ჟურნალისტებსა და

მკვლევრებს აცნობდა საქართველოსთან დაკავშირებულ დეტალებს და მისი აქტიური საქმიანობა ამ პრობლემის ირგვლივ ტრიალებდა[7] (დავლაშერიძე, 2021) (გვიანიშვილი, 2021) (ფერაძე, 2021). ჩერქეზიშვილის მოღვაწეობაში პოლიტიკურ რწმენაზე წინ იდგა პატრიოტიზმი, ასე ვთქვათ იგი ჯერ იყო ქართველი და შემდეგ ანარქისტი (1904 ჟენევაში გამართულ ქართველ რევოლუციონერთა კონფერენციაზე ჩერქეზიშვილი აცხადებდა: „მე აქ მოვედი არა როგორც სოციალისტი, არამედ როგორც ქართველი" (ფერაძე, 2021: 103). ერთ-ერთი ცნობის თანახმად, მას კავშირი გაუწყვეტია შვეიცარიაში რუს ანარქისტებთან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი არ იზიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას (ბუბულაშვილი, 2021: 15-16). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმხანად ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საქართველოს თავისუფლების ყველაზე დიდი დამცველი.

ქართული პატრიოტული ანარქიზმის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ფიგურაა. ზოგადად, მის ნააზრევში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეროვნულ საკითხს და ერის უფლებას უჭირავს. წერეთლის შეხედულებით, საერთაშორისო სამართლის საგანი უნდა ყოფილიყო ერი და არა სახელმწიფო: „თუ მან [საერთაშორისო სამართალმა] აღიარა თეორიულად თანასწორობა სახელმწიფოთა, მან შემდეგ, საზოგადოებრივ აზრის გალაშქრების ზეგავლენით, თეორიულადვე, ზნეობრივადვე მაინც უნდა აღიაროს ერთა თანასწორობა". ამ პოზიციას წარმოშობდა წერეთლის, როგორც დაპყრობილი ერის შვილობა და თვლიდა, რომ სახელმწიფოს, როგორც ერის სოციალურ ფუნქციათა აღმასრულებელი ორგანიზაციის დაარსების და სარგებლობის უფლება უნდა ჰქონოდა ყველა ერს თანასწორად: „იდეალურ

[7] აღსანიშნავია ინგლისელი ჟურნალისტის, ჰენრი ნევინსონისა და ირლანდიელი ანარქისტის, ნანი დრაიჰორსტის ვიზიტი საქართველოში, მათი ურთიერთობა ვარლამ ჩერქეზიშვილთან, აქ მოგზაურობის ამსახველი და საქართველოს მხარდამჭერი წერილები, რომლებიც დასავლურ პრესაში გამოქვეყნდა. დეტალურად იხილეთ: (შველიძე, 2001), (გელაშვილი, 2018), (ჩხაიძე, 2020-2021).
ნანი დრაიჰოსტის საქართველოში მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერები დაცულია ბრიტანეთში, ოქსფორდის ბოდლიანის ბიბლიოთეკაში, უორდროპის კოლექციაში (Bodleian Library MS. Wardr. c. 1, fol. 226-228).

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ყველა ერს აქვს უფლება სუვერენობისა“ (წერეთელი, 1910: 252-254). წერეთელი იყო „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც 1914 წლიდან იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. იგი უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ქართულ პოლიტიკურ ჯგუფებთან, დამოუკიდებლობის მხარდამჭერთა რაოდენობის გაზრდის მიზნით (მამულია, ასტამაძე, 2019: 530-531) და ამ საქმეს აქტიურად ემსახურებოდა შემდეგ წლებშიც.

ქართველ ანარქისტთა კოსმოპოლიტურ ჯგუფს ეკუთვნიან ძმები გოგელიები, კომანდო (გიორგი) და შალვა. ეს მიმართულება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ავტონომიას, რამდენადაც შიდა ავტონომიას ექსპლუატაციის ფორმად აღიქვამდა. შალვა გოგელია ნაციონალურ საკითხს სოციალურ საკითხთან აიგივებს, რომელიც სახელმწიფოსა და ეკონომიკური ექსპლუატაციის მოსპობასთან ერთად უნდა მოგვარებულიყო. აღნიშნული ჯგუფი განსაკუთრებით ნაციონალურ ავტონომიას უგულებელყოფდა, ისინი თვლიდნენ, რომ ნაციონალური ტერიტორიისთვის ბრძოლა სხვა ტერიტორიების დაკავებისთვის ბრძოლაში გადაიზრდებოდა. ამ საკითხებზე გაცილებით წინ იდგა კლასთა ბრძოლა და სოციალიზმის დამყარების იდეა, რასაც თავისთავად უნდა გადაეწყვიტა სხვა პრობლემები (გოგელია, 1908: 143-147).

ჩვენ მიერ დასახელებული პირების გარდა, ქართველ ანარქისტებს შორის გვხვდებიან: მიხეილ აბრამიძე, ვინმე კინწურაშვილი, ალექსი მეტრეველი, ევტიხი სინაძე, ანდრია ხარაბაძე, ვასო მეგრელი, სიმონ მაჭავარიანი, ვახტანგ კერესელიძე, კონსტანტინე აგლაძე, ივანე ზეკარიძე, ივანე კემულარია, ალექსანდრე ახმეტელი და სხვები. ანარქისტების მთავარ საქმიანობად იქცა რევოლუციური ტერორი, საქართველოში ტერორისტთა რამდენიმე ჯგუფი მოქმედებდა და აღნიშნული სუბიექტების მთავარ საქმიანობას შეადგენდა სწორედ ტერორისტული აქტების ორგანიზება. მაგალითად, ივანე გუნიას სახლში გროვდებოდა და ინახებოდა ბომბები (სცა, ფ. 95, ან. 1, საქ. 6, ფურც. 1-29). ჩერქეზიშვილ-წერეთლის ჯგუფისაგან განსხვავებით, ძმები გოგელიები მკვეთრად ემხრობოდნენ რევოლუციური ტერორის საჭიროებას (გერგაია, 2005: 76-84). ანარქისტულმა ტერორიზმმა თავის წრეში ბევრი

უმიზნო და მავნებელი სუბიექტი მიიზიდა. ბარბაროსული აქტები მოსახლეობაში ანარქიზმისადმი სიმპათიებს ანადგურებდა.

ამდენად, გოგელიების ჯგუფი პოლიტიკური რწმენით ხელმძღვანელობდა. მათგან განსხვავებით, ჩერქეზიშვილისა და წერეთლისთვის ერთი იყო იდეოლოგია და მეორე ერის სამსახური. თითქოს ისინი ანარქიზმის უტოპიურობას ითვალისწინებდნენ და ემსახურებოდნენ არა პოლიტიკურ თეორიებს, არამედ ქართველი ერის იმჟამინდელ ინტერესებს. საბოლოო ჯამში, ანარქიზმს, როგორც მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ იდეოლოგიას, საქართველოში ფართო გასაქანი არასდროს ჰქონია, ორგანიზაციული სტრუქტურის არარსებობისა და ტერორიზმის გამო ხალხში მათი ავტორიტეტი დაეცა.

## დასკვნა

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ყალიბდება პოლიტიკური პლურალიზმის საფუძველი. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმრავლესობა მემარცხენე მიმდინარეობების სახით იყო წარმოდგენილი. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები. მემარჯვენეთა ბანაკს განეკუთვნებოდნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც „თერგდალეულების" იდეურ ხაზს აგრძელებდნენ და განსხვავებით სოციალისტური პარტიებისგან, რომლებიც კლასთა ბრძოლას ემხრობოდნენ, ყველა კლასის შერიგებისა და გაერთიანების ინიციატივით გამოდიან.

ქართველი სოციალ-დემოკრატები და ესერები რუსეთის შესაბამის პარტიებს შეუერთდნენ, რაც მათ უფრო ფართო, იმპერიაში არსებული მოძრაობების ნაწილად აქცევდა. დამოუკიდებელი ქართული პარტია მხოლოდ ფედერალისტებმა შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალისტები ზოგადად მემარცხენე პოზიციებს იზიარებდნენ, ისინი ცდილობდნენ, რომ მემარცხენე ფრთის ყველაზე მემარჯვენე ძალა ყოფილიყვნენ, ამით კი უფრო ეროვნული მიმართულება აეღოთ.

აღსანიშნავია, რომ ყველა პარტიის თეორიულ თუ პრაქტიკულ სამოღვაწეო მიზნებში ცენტრალური ადგილი დაიკავა უბრალო, მშრომელი ხალხის ინტერესებმა. პარტიები თავიანთ საქმიანობას უკავშირებენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომლის ძირითადი მიზანი იყო ხალხის უფლებების დაცვა და

მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. პოლიტიკური პროგრამა მაქსიმუმის თვალსაზრისით, ყველაზე მემარჯვენე ძალაც კი, საქართველოს ავტონომიით შემოიფარგლებოდა. სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა იყო და ეს ბრძოლა სოციალურთან ერთად იყო პასუხი ძალადობრივ დაქვემდებარებაზე, მაინც სეპარატიზმთან ასოცირდებოდა.

ქართულ პოლიტიკურ ძალებს შორის საერთო ნიადაგის მოძებნის ცალკეული მცდელობები ამ ეტაპზე კრახით დასრულდა. უფრო მეტიც, მემარჯვენე და მემარცხენე ფრთებს შორის დაპირისპირებამ სრული ანტაგონიზმის სახე მიიღო. კლასობრივ ბრძოლაზე ორიენტირებული სოციალ-დემოკრატები შეუძლებლად თვლიდნენ კლასთა შერიგებას. ისინი ეროვნულ საკითხს მეორე პლანზე წევდნენ, რამდენადაც მისი მოგვარების წინაპირობად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას უკავშირებდნენ, განსხვავებით ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატებისგან, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე ეროვნული დროშით გამოვიდნენ. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატებისთვის, სუსტი საზოგადოებრივი განვითარების პირობებში, საქართველოს ავტონომია იყო თავად-აზნაურთა ბატონობის შენარჩუნების საშუალება. ამ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირება ორმხრივ შეურაცხყოფაშიც გადაიზარდა.[8] იდეოლოგიურ ბანაკებს შორის ამტყდარმა პუბლიცისტურმა ომმა ავტონომისტებს ფეოდალთა ინტერესების დამცველთა იარლიყი მიაკერა, სოციალ-დემოკრატებს კი ინტერნაციონალისტების.

[8] აღნიშნული დაპირისპირება დაწვრილებით აქვს აღწერილი დიმიტრი შველიძეს (შველიძე, 2022: 180-191). მემარჯვენე-მემარცხენეთა პოლემიკამ უაღრესად კრიტიკულ საფეხურს მიაღწია. ფედერალისტები თვლიდნენ, რომ სოციალ-დემოკრატების მეცადინეობით შექმნილმა ნიადაგმა (კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ხელშეწყობამ) განაპირობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ნოე ჟორდანია ზემოხსენებულ ნიადაგს არა სოციალ-დემოკრატების, არამედ რეაქციის შექმნილად აღიქვამდა, ამავდროულად კი ილიას მკვლელობას აცხადებდა, როგორც ყველა კლასისა და პარტიისთვის აღსაშფოთებელ მოვლენად (ჩვენი გზა N28, 1907: 2).

# თავი II. 1905 წლის რევოლუციიდან პირველ მსოფლიო ომამდე

## II.1. რევოლუციის ხასიათი და მასშტაბები

საქართველოში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო გამწვავდა. 1864 წელს ბატონყმობა, ფაქტობრივად, ფორმალურად გაუქმდა და გლეხთა უმრავლესობის პრობლემა ვერ მოაგვარა. მიწა ისევ ბატონის საკუთრება იყო, რომლის გამოსყიდვის უფლებაც გლეხს ჰქონდა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში გლეხი ამას ვერ ახერხებდა და ისევ მებატონეზე დამოკიდებული რჩებოდა, რეალურად ისინი მხოლოდ პიროვნულად განთავისუფლდნენ. საკითხი ვერც საგლეხო რეფორმამ გადაჭრა და თანდათან უკიდურესი კლასობრივი დაპირისპირებისაკენ წავიდა.[9]

ერთი მხრივ, გლეხთა პიროვნული თავისუფლების, მეორე მხრივ კი, ინდუსტრიული განვითარების ფაქტორმა გაზარდა მუშათა კლასი. კლასობრივი დაპირისპირების გამწვავება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ასპარეზზე გამოსვლისა და რევოლუციური მოძრაობის ხელშეწყობის ფონზე. სოციალურ ურთიერთობებში ხელისუფლება მემამულეთა და მეწარმეთა ინტერესების მხარეს იდგა, იგი არ პასუხობდა უმრავლესობის მოთხოვნებს. ოპოზიციური ფლანგის გაჩენამ პოლიტიკური წინამძღოლი გაუჩინა პრობლემებით გარემოცულ მოსახლეობას, რამაც პროტესტის ერთიანობის ხარისხი ხელშესახებად აამაღლა. ზოგადად, რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ.) რუსეთის იმპერიის მარცხმა ხელი შეუწყო 1905 წლის რევოლუციის აღმავლობას (Mainardi, 2020: 10). ცხადია, ეს მარცხი არ იყო რევოლუციის უშუალო განმაპირობებელი, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. უფრო კონკრეტულად, ოპოზიციურ ძალებში წარმატების, ხოლო ხალხში, იმპერიის დასუსტების ფონზე, ცვლილებების იმედი აამაღლა. მეორე მხრივ, საგულისხმო ფაქტია ოპოზიციის აქტიურობა. რევოლუციური მოძრაობა არ წარმოშობილა მხოლოდ ოპოზიციის საქმიანობით, თუმცა მათი წვლილით გაფართოვდა და გაძლიერდა.

---

[9] საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე აგრარული ურთიერთობებისა და მოძრაობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: (ზენდიანიშვილი, 1965), (ზენდიანიშვილი, 1989).

მოვლენები აქტიურად განვითარდა მთელ საქართველოში. 1905 წლის რევოლუციის დროს მიმდინარე პროცესებმა ცხადად წარმოაჩინა მოსახლეობის მისწრაფებები. რევოლუციური მოძრაობა აღმოცენდა თითქმის ყველა კუთხეში, მის მამოძრავებელ ბირთვს ძირითადად მუშები და გლეხები ქმნიდნენ, ე.ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც ყველაზე მწვავედ საგრძნობი იყო როგორც სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, ისე პოლიტიკური დღის წესრიგი.

გლეხების მთავარი პრობლემა მცირემიწიანობა იყო. გლეხს არ ჰქონდა ოჯახის გამოსაკვებად საკმარისი სახნავ-სათესი მიწა. იგი იძულებული ხდებოდა მემამულისაგან იჯარით აეღო ნაკვეთი, მასზე მოწეული მოსავლის ნაწილი კი მისთვის გადაეხადა. ამას ემატებოდა გადასახადები, რომელსაც ხშირად ძალდატანებით კრეფდნენ, გლეხები ინახავდნენ სასულიერო წოდებას, ასრულებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ სამუშაოსა და ბეგარას (ანთელავა, გუჩუა, 1967: 10-26). ამასთანავე, სახაზინო მიწების დიდი და საუკეთესო ნაწილი ადგილობრივ მემამულეებს, რიგ შემთხვევებში მოახალშენე უცხოტომელებსაც ეკუთვნოდათ (გლეხი N4, 1906: 10), რაც ზრდიდა ადგილობრივთა უკმაყოფილებას. მაგალითად, 1905 წლის მარტში სოხუმსა და გუდაუთაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივები მოითხოვდნენ გადმოსახლებული რუსების წასვლას და ართმევდნენ მიწებს. მსგავსი დამოკიდებულება გვხვდება თითქმის ყველა იმ რეგიონში, სადაც კოლონიზაცია მიმდინარეობდა[10] (ცნობის ფურცელი N2767, 1905: 3).

ხშირი იყო უთანხმოება ფეოდალებსა და გლეხებს შორის. მაგალითად, 1905 წელს ქართლის სოფელ ტირძნისში, ნაკვეთზე დავის მიზეზით, მემამულე სულხანიშვილმა კაზაკების დახმარებით მოკლა რამდენიმე გლეხი ტატუნაშვილი (სოციალდემოკრატი N2, 1905: 15). იმავე წელს, სოფელ ფხვენისში მოკლეს მემამულე თავადი ამილახვარი და აზნაური უთნელიშვილი (ივერია N107, 1905: 2). ზოგიერთ შემთხვევაში ირღვეოდა გლეხსა და მიწათმფლობელს შორის დადებული შეთანხმება, მაგალითად 1906 წელს, ჭიათურის სოფელ სვერში გლეხისთვის წაურთმევიათ

[10] კახეთში, სოფელ მარტყოფის მოსახლეობის საპროტესტო მიმართვის ერთ-ერთ მუხლში, ისინი ითხოვდნენ:“ჩვენს სამშობლოში თავისუფალი ადგილები მიეცეს ჩვენივე ტომის უმიწაწყლო ხალხს“ (ივერია N42, 01 აპრილი 1905. *გლეხთა მოძრაობა ტფილისის მაზრაში*).

მოწეული პური, მიუხედავად გარკვეული გარიგებისა (გლეხი N6, 1906: 11). როგორც ჩანს, მემამულეები თვითნებურად ხელისუფლების მხარდაჭერის ან განუკითხაობის იმედით მოქმედებდნენ.

მრავლად იყო შეხლა-შემოხლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები სხვადასხვა მხარეში, მიწის, საძოვრების თუ ტყის გამოყენების საკითხზე. მარწუხებში მოქცეული გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ხელისუფლება არათუ არ ფიქრობდა, არამედ გადასახადის გადაუხდელობისა და მებატონეების წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში რადიკალურ ზომებსაც მიმართავდა (გლეხი N3, 1906: 5-6). ამ კლასობრივ ბრძოლაში ხელისუფლება მემამულის ინტერესებს იცავდა, შესაბამისად, მემამულე და ხელისუფალი, რომელთაგან განთავისუფლებასაც უნდა მოეგვარებინა პრობლემა, ხალხის აზრით, ერთ მხარეს იდგა. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა გააერთიანა ხელისუფლებისა და მემამულის ერთიანობამ. შესაბამისად, ეკონომიკურ და კლასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული აგრარული მოძრაობა რევოლუციურ, განმათავისუფლებელ მოძრაობად წარიმართა.

უნდა ითქვას, რომ თავად-აზნაურებს შორის მცირედ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აკმაყოფილებდნენ გლეხთა მოთხოვნებს. მაგალითად, გორის მაზრის მემამულე ფავლენიშვილებმა თანხმობა განაცხადეს გლეხებისათვის სანადელო მიწის სრულ საკუთრებაში გადაცემაზე, მემამულის მიწაზე განისაზღვრა გადასახადი მოსავლის ერთი მეათედით, გლეხების სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმეს საძოვრები, ტყე და სხვა ბუნებრივი რესურსები (ცნობის ფურცელი N2862, 1905: 4). გორის მაზრის სოფელ ნიაბში, მეტეხსა და სასირეთშიც მიაღწიეს შეთანხმებას გლეხებსა და მემამულეებს შორის (ივერია N128, 1905: 4). საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლება უშლიდა ხელს მემამულეებსა და გლეხებს შორის შეთანხმებას. მაგალითად, ჩოხატაურში კრიმ-გირეისთან შეხვედრისას გლეხებმა განაცხადეს და მემამულე თავადებმა, ივანე და ჯაბა ერისთავებმა, დაადასტურეს, რომ მათ შორის იყო მზაობა მიწის საკითხზე მორიგებისა, თუმცა ამას პოლიცია აღუდგა წინ, მაზრის უფროსმა მათ არ მისცა მოლაპარაკების გამართვის საშუალება (ცნობის ფურცელი N2764, 1906: 2). იმპერიული ხელისუფლებისათვის მთავარ საყრდენს

საქართველოში მატერიალურად და კარიერულად დაკმაყოფილებული თავადაზნაურობა წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობის შემდეგ დაიხვეწა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში თვითმპყრობელობა წინ აღუდგებოდა კლასებს შორის თანხმობის ნებისმიერ პოტენციურ შესაძლებლობას, რაც მაგალითიდანაც ჩანს, რადგან ხალხს შორის თანხმობა შეასუსტებდა იმპერიული მიზნების საყრდენს.

სახნავ-სათესი მიწების სიმცირესთან ერთად, მოსახლეობა ტყისა და საძოვრების თავისუფალი მოხმარების შეზღუდვასაც უჩიოდა. 1905 წელს კახეთის რამდენიმე სოფლის მოსახლეობამ საპროტესტო მოთხოვნები წარუდგინეს მაზრის უფროს ჯანდიერს, რაშიც ისინი ნაქონი და შემდეგ ხაზინის მიერ დასაკუთრებული ტყის დაბრუნებას და შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას, ასევე საძოვრების გამოყენების და „საბალახე“ გადასახადის გაუქმებას ითხოვდნენ (ცნობის ფურცელი N2790, 1905: 2). ასეთი სიტუაციის ფონზე ხშირი იყო ხალხის მიერ ტყის თვითნებურად მოხმარების ფაქტი. 1905 წლის ივლისში ტყის რევიზორი ვინმე კობიევი (კობიაშვილი) მმართველობას აცნობებდა, რომ ადგილობრივმა გლეხებმა გერგეტის სახაზინო ტყეში თვითნებურად გაჩეხეს და გამოიტანეს ხე-ტყე (სცა, ფ. 17, ან. 1, ს. 9610, ფურც. 189). იდენტური მდგომარეობა იყო ახალციხის მაზრის სოფლებშიც, გარდა იმისა, რომ ადგილობრივი გლეხები მიწათმფლობელების მიწებს იჭერდნენ, უნებართვოდ სარგებლობდნენ ტყით (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ. 5264, ფურც. 47, 51). სასოფლო საზოგადოებების საერთო საკუთრების სახაზინოდ ქცევისა და მასზე გადასახადის ან შეზღუდვების დაწესების მაგალითები სხვა შემთხვევებშიც გვხვდება, რაც, ცხადია, იწვევდა ხალხის გულისწყრომას.

მიწასთან დაკავშირებული პრობლემები არ ყოფილა რევოლუციური განწყობის შემქმნელი ერთადერთი ფაქტორი. მამასახლისებისა თუ სხვა ადგილობრივი მოხელეების გულგრილი, ზოგჯერ უწესო, დამოკიდებულების შესახებ ბევრი ცნობა მოიძებნება. მაგალითად, 1905 წლის 7 თებერვალს თბილისის რამდენიმე ათასი მცხოვრები ხელმოწერით მიმართავდა ქალაქის საბჭოს, ბიუროკრატიის წარმომადგენელთა უკანონობის აღკვეთის მოთხოვნით (ცნობის ფურცელი N2737, 1905: 1). ხალხის უკმაყოფილების დასაშოშმინებლად მემამულეებისაგან შექმნილი ე.წ.

„შავი რაზმი“, რომელიც კაზაკებთან ერთად მოქმედებდა, კიდევ უფრო ზრდიდა ანტაგონიზმს. ცალკე კაზაკი ჯარისკაცების დაუდევარი და საზარელი მოქმედებები, მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება ამძაფრებდა ხალხის აღშფოთებას (ივერია N10, 1906: 7-8). კაზაკების მოქმედებით გურიასა და სამეგრელოში საქმე იქამდეც იყო მისული, რომ ქალები და გოგონები ტყეში დამალვას ცდილობდნენ, დაფიქსირებულია გაუპატიურების უამრავი საზარელი შემთხვევა (მახარაძე, 2020: 54-56). ამდენად, სასოფლო საზოგადოებებისათვის ამბოხის მთავარი მიზეზი იყო სოციალური უთანასწორობა, ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით კი მიწისა და გადასახადების საკითხები, ასევე ადმინისტრაციის თვითნებობა და მიკერძოებული სამართალი.

საზოგადოების პრობლემების მოსმენისა და გამოსწორების ნაცვლად წარმოებული ხისტი რეაქცია რევოლუციის ცეცხლზე ასხამდა წყალს. გლეხთა მოძრაობის საწინააღმდეგო რეპრესიები პროტესტანტებს აიძულებდა, დაეტოვებინათ სოფელი, ინდუსტრიულ ცენტრებში მომუშავე მუშები კი ებმებოდნენ რევოლუციურ გამოსვლებში (გიორგაძე, 1928: 563).

არანაკლებ კრიტიკულ მდგომარეობაში იყვნენ მუშებიც. გარდა ჯამაგირის სიმცირისა და რთული სამუშაო პირობებისა, ირღვეოდა შრომის უფლებები და იყო მუშების პიროვნული შეურაცხყოფის შემთხვევები. მაგალითისათვის, ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში ისევე მუშაობდნენ 7-8 წლის ბავშვები, როგორც ზრდასრულები. გავრცელებული პრაქტიკა იყო მუშების ცემა. მათ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევდა ხელისუფლება (კარალიძე, 2009: 72-73). ბუნებრივია, მუშები პროტესტს მიმართავდნენ და თვითონ ეძებდნენ გამოსავალს. 1905 წლის იანვარში ფოთის საზღვაოსნო კანტორების მუშების გაფიცვის მიზეზი გამხდარა აუტანელი სამუშაო პირობები, კერძოდ, მუშაობა დღეში 16-18 საათი, შეუსაბამო დატვირთვით, მუშაობა კვირა დღეს, მცირე ჯამაგირი (მოგზაური N5, 1905: 53-54). ქვანახშირზე საგრძნობლად გაზრდილი მოთხოვნილების მიუხედავად, ტყიბულის მუშები იღებდნენ 2-3 აბაზამდე, მათ შორის ღამე მომუშავეებიც. არ არსებობდა ნორმალური სამუშაო პირობები და უსაფრთხოება, რის გამოც ხშირი იყო უბედური შემთხვევები (ცნობის ფურცელი N2740, 1905: 4).

1905 წლის იანვრის ბოლოს მუშათა გაფიცვები დაიწყო თბილისში, ბათუმში, სამტრედიაში, ჭიათურაში და ა.შ. 17 იანვარს ბათუმში ხელფასის მომატების მიზნით გაიფიცა ასობით მუშა და რკინიგზას მუშაობა შეაწყვეტინა. იმავე მოთხოვნით გამოვიდნენ რკინიგზის მუშები და ბათუმი-საჯავახოს რკინიგზის ხაზის მცველები. ხელფასის მომატებასთან ერთად, სადგომი ბინით უზრუნველყოფას ითხოვდნენ სადგურ რიონის ბუფეტის თანამშრომლები. აღსანიშნავია, რომ 19 იანვრისათვის ბათუმში, ერთი მხრივ, გაფიცვების გამო მინიმუმამდე იყო დასული ქარხნების მუშაობა, მეორე მხრივ კი, იმდენად კრიტიკული იყო განწყობა გაფიცულებს შორის, რომ მათი მუქარის საფუძველზე მუშაობა შეაჩერა დაწესებულებების ზოგიერთმა თანამშრომელმა და მეეტლეებმა. პარალელურად უფრო მასშტაბური გაფიცვა მიმდინარეობდა თბილისში, რკინიგზისა და სხვადასხვა საწარმოთა ათასობით მუშას შორის. საგულისხმოა, რომ 19 იანვარს დიდუბეში შეკრებილმა 2000-მდე მუშამ, რომლებმაც დეპუტაციის არჩევისა და ამის საშუალებით გუბერნატორისათვის მათი მოთხოვნების გაცნობა ითხოვეს, ადმინისტრაციამ თანხმობა მისცა ერთი პირობით, რომ მათი მოთხოვნები მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს შეეხებოდა. მაგრამ მუშებმა აღარ მოისურვეს წარმომადგენლების არჩევა (Кавказ N19, 1905: 3). დიდუბემდე მუშები ავლაბარში შეიკრიბნენ, მათი რიცხვი 4000-ს აღწევდა, ამ შეკრების დარბევის შემდეგ კი გამოსვლა დაიწყო დიდუბეში (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ. 5285ა, ფურც. 32). როგორც ჩანს, მუშებს, გარდა ეკონომიკურისა, ჰქონდათ სხვა სახის მოთხოვნებიც, რაც ადმინისტრაციამაც უწყოდა. 21 იანვარს გაიფიცნენ ტყიბულის, ყვირილისა და შორაპნის მუშები, რომლებმაც მშვიდობიანი დემონსტრაცია გამართეს, იგივე პროცესი მიმდინარეობდა ფოთში. მსხვერპლი მოჰყვა დემონსტრაციას ბათუმში, ასევე, მწვავედ წარიმართა მუშათა გამოსვლა ქუთაისში (ცნობის ფურცელი, N2730, 1905: 1). უკმაყოფილების ხარისხი კარგად ჩანს იქიდანაც, რომ რკინიგზა განზრახ დააზიანეს, ასევე 28 იანვარს მოხდა შეიარაღებული თავდასხმა ჯუმათის რკინიგზის სადგურზე (Кавказ N27, 1905: 3).

მხოლოდ თებერვალ-მარტში, მთელი საქართველოს მასშტაბით გლეხებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეტაკების, მკვლელობის, კანცელარიის გადაწვის, დემონსტრაციის დარბევის, შეიარაღებული თავდასხმისა და მსგავსი შემთხვევების ათეულობით ფაქტი დაფიქსირდა (Шахназарян, 1906: 66-72).

1905 წლის 5 მარტს ზუგდიდში მოხდა შეტაკება, ერთი მხრივ, გლეხებსა და მეორე მხრივ, ბოქაულსა და პრინცესა მიურატის მამულის მცველებს შორის, დაპატიმრებული მეამბოხეების განთავისუფლების მოტივით. მუშათა თავყრილობა გაიმართა სოხუმში. 28 თებერვალს თელავში თავი მოიყარა 500-მდე ადამიანმა, სადაც გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობას!“ (მოგზაური N9, 1905: 119-120).

საპროტესტო განწყობები გამძლავრდა თითქმის ყველა პროფესიასა და ფენაში, რაც რევოლუციის საერთო სახეზე მეტყველებს. 1905 წლის ზაფხულში გაიფიცნენ ზემო ავჭალის მასწავლებლები და მოითხოვდნენ საზაფხულო შესვენებას. 21 ივნისს გორში გაიფიცნენ ხელოსნები, მედუქნეები, მეეტლეები, მედროგეები, მუშები, ხაზაზები, ყასბები, მიკიტნები, მაღაზიის მეპატრონეები და ა.შ. შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა. 24 ივნისს მუშაობა შეაჩერა ბათუმის ყველა დაბალი თუ უფროსი რანგის მოსამსახურემ (ივერია N105, 1905: 4). 25 ივნისს დილიდან დაიწყო გაფიცვა ქუთაისში, დაიკეტა ყველა სავაჭრო დაწესებულება, დუქანი, საცხობი, სტამბები, ქარხნები, რკინიგზის სავაჭრო სადგურები, შეჩერდა მოძრაობა. გაზეთები წერდნენ, რომ ქუთაისი მკვდარ ქალაქს დაემსგავსაო. 20-დან 28 ივნისამდე ყოველგვარი მუშაობა შეწყდა თბილისში, შეჩერდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების, ფაბრიკა-ქარხნების, სტამბებისა და სხვა დაწესებულებების მუშები. შეწყდა გაზეთების გამოსვლა, გაჩერდა ტრამვაი, გაფიცვაში ჩაებნენ ვაჭრები და ქალაქის თვითმმართველობის მოხელეებიც (ცნობის ფურცელი N2849, 1905: 1, 3). 29 ივნისს მოხდა საყოველთაო გაფიცვა ოზურგეთში, დაიკეტა ყველა მაღაზია და შეწყდა ეტლების მოძრაობა, ქალაქში სიჩუმემ დაისადგურა, დუქნები დაიკეტა სოფლებშიც (ივერია N109, 1905: 2). როგორც ვხედავთ, რევოლუცია თანაბარი მასშტაბებით მიმდინარეობდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. უკმაყოფილებას, ასევე, იწვევდა ცარისტულ არმიაში სავალდებულო სამსახური. 1905 წლის ოქტომბერში ხალხის ჯარში გაწვევას მოჰყვა კიდევ ერთი მღელვარება ახალციხეში. ადგილობრივები ითხოვდნენ ორ წლიანი სავალდებულო სამსახურის სამშობლოში შესრულებას, კულტურულ მოპყრობას და ა.შ. (სცა, ფ. 17, ან. 1, ს. 9614, ფურც. 18).

19 ოქტომბერს ნაძალადევში შეკრებილმა ათასობით დემონსტრანტმა მოითხოვა პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა განთავისუფლება, სოფლებიდან ეგზეკუციების გაყვანა და თბილისში სამხედრო წესების გაუქმება. მომდევნო დღეებში უწყვეტად გრძელდებოდა გამოსვლები. 22 ოქტომბერს საპროტესტო აქცია კაზაკებთან შეტაკებით დასრულდა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი დემონსტრანტებს შორის, ათეულობით დაღუპულისა და დაჭრილის სახით (ივერია N189, 1905: 3-4). ნიშანდობლივია, რომ ვინც საერთო პროტესტს მხარს არ უბამდა, აგრესიის ობიექტები ხდებოდნენ, როგორც ერთიანობის პრინციპის დამრღვევნი. მაგალითად, თბილისში ერთ-ერთი გაფიცვის დროს გაფიცული მუშებისაგან ისმოდა მუქარა მოსახლეობის მიმართ (სცა, ფ. 153, ან. 1, საქ. 653, ფურც. 153). მსგავსი შემთხვევები მუშებში უკიდურესად დაძაბულ განწყობებზე მიუთითებს.

ჩვეულებრივი მოვლენა გახდა სამხედროებსა და მოქალაქეებს შორის შეტაკებები, გახშირდა მსხვერპლი, რასაც შემდეგ მოსდევდა ხალხის პროტესტი. მსგავსი შემთხვევა მოხდა ბათუმში ნოემბერში, ხალხი მოითხოვდა ე.წ. კაზაკების, გასამხედროებული ძალების ქალაქიდან გაყვანას. 29 ნოემბრის სახალხო კრებაზე გადაწყდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ და არაფერი მიეყიდათ კაზაკებისათვის. კაზაკების თავხედობისა და ხალხის დარბევა-დაწიოკების გამო, 1-ელი დეკემბრის საზოგადო კრებაზე ფოთის რკინიგზის მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს საკუთარი მილიციის დაარსება, თავისა და ოჯახების დასაცავად (ცნობის ფურცელი N2963, 1905: 3). ფაქტობრივად, მოსახლეობა შეუდგა სამოქალაქო წესრიგისა და უსაფრთხოების დამოუკიდებლად უზრუნველყოფას. რევოლუციის სიმძლავრემ განაპირობა ავტოკრატიის გავლენის შესუსტება, რამაც ადგილობრივებს მეტი გასაქანი მისცა თავისუფლად მოქმედებისა და ძალაუფლების ხელში აღებისათვის.

რევოლუციის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მასშტაბებს მიაღწია თბილისში 1905 წლის დეკემბერში დაწყებულმა მღელვარებამ. პროტესტი რკინიგზის მუშების გაფიცვით დაიწყო. სიტუაცია განსაკუთრებით გართულდა 17 დეკემბრიდან, მთავრობამ გამოსცა განკარგულება იარაღის ტარების, თავშეყრის აკრძალვის შესახებ, გაფიცულებს დაევალათ დუქნების გაღება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადმინისტრაცია სამხედრო ძალით, დაპატიმრებებითა და ჯარიმით იმუქრებოდა.

რამდენიმე ადგილობრივის შუაღამით დახოცვის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. გაფიცვა არათუ შეწყდა, არამედ 20 დეკემბერს მას შეუერთდნენ ფარმაცევტებიც. ხელისუფლება შეუდგა დუქნების ძალით გახსნას (ცნობის ფურცელი N2971, 1906: 1-2). ფაქტობრივად, ნაძალადევი ჩამოყალიბდა ხანმოკლე დამოუკიდებელ ერთეულად, არსებობდა მებრძოლთა რაზმები და სამხედრო შტაბი. რეალურად სიტუაციის კონტროლი ოპოზიციის ხელში გადავიდა. შეიქმნა თბილისის სარევოლუციო პარტიათა ბიურო, რომელიც ხალხში ნდობით სარგებლობდა. არეულობას სათავისოდ იყენებდნენ ტერორისტები, რომელთა მოქმედებებით თავზარდაცემული იყო ხალხიც.

აღსანიშნავია, რომ საქვეყნო მღელვარებაში არნახულად აქტიურობდნენ ოპოზიციური პარტიები. ისინი ორგანიზებას უწევდნენ მუშებისა და გლეხების შეხვედრებს, ავრცელებდნენ ლიტერატურას, ეწეოდნენ აგიტაციას, ხშირ შემთხვევაში გეგმავდნენ და ახორციელებდნენ გამოსვლებს. მსგავს საქმიანობას ახორციელებდა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია. მაგალითად, გაზეთ „ცნობის ფურცლის" ერთ-ერთ კორესპონდენციაში, რომელშიც საუბარია კახეთის სოფელ ვარდისუბნის გლეხების მიტინგზე, აღნიშნულია, რომ სოფელში მოსული პირები გლეხებს ესაუბრებოდნენ მიწის სოციალიზაციაზე, რაც მათთვის განსაკუთრებით მისაღები აღმოჩნდარა, ისინი აცნობდნენ რევოლუციურ იდეებს. მიტინგის რეზოლუციაში საუბარია არჩევით საკანონმდებლო ორგანოზე თბილისში (ცნობის ფურცელი N2967, 1905: 3-4). აქედან სავარაუდოა, რომ ისინი ყოფილიყვნენ ფედერალისტების წარმომადგენლები. მათივე ორგანიზებით 1905 წლის ნოემბერში გაიმართა მიტინგი ლეჩხუმში, რომელსაც რამდენიმე ასეული ადგილობრივი ესწრებოდა, განიხილებოდა იგივე საკითხები. 4 დეკემბერს ქართლში, სოფელ ხელთუბანში, გლეხთა მიტინგი გაიმართა სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, რომელსაც 500-მდე გლეხი ესწრებოდა (ცნობის ფურცელი N2968, 1905: 4). განსაკუთრებით ენერგიულად მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატები, ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურასა და იდეებს, ეწეოდნენ აგიტაციას, მართავდნენ შეკრებებს, ორგანიზებულ გამოსვლებს და ფაქტობრივად, ქმნიდნენ ძალას, რომელსაც იდეოლოგიურთან ერთად შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაეწია, მაგალითად, ე.წ. „წითელ რაზმებს", რევოლუციის საწინააღმდეგო „შავი რაზმების" საპირწონედ და

ა.შ. ოპოზიციის აქტიურობა გავლენას ახდენდა რევოლუციის გაძლიერებასა და ხალხში პოლიტიკური მისწრაფებების გააქტიურებაზე და მოსახლეობაში ზრდიდა ოპოზიციის პრესტიჟს.[11]

მასობრივ მღელვარებასა და წამოყენებულ მოთხოვნებში აისახა საზოგადოებრივი აზრი და საქვეყნო გამოწვევები, ის თუ რას ითხოვდა ხალხი და რასაც უნდა დაჰფუძნებოდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 1905 წლის რევოლუცია იყო მშრომელი ხალხის საერთო რევოლუცია, მასში გამოკვეთილი ადგილი არ ეჭირა მუშას ან გლეხს, არამედ იგი წარიმართა ერთიან და ურთიერთგანმსაზღვრელ პირობებში. გარდა იმისა, რომ იგი არსებითად უკავშირდებოდა საერთო კომპლექსურ პრობლემებს, იყო არათუ ცალკეული სოციალური კლასის, ან მისი ლიდერობით მიმდინარე მოძრაობა, არამედ კლასობრივი დაყოფის წინააღმდეგ მიმართული, უმრავლესობის ერთიანობის გამომხატველი პროცესი, რომელშიც გადაწყდა ახალი საუკუნის ქართული პოლიტიკური აზრის შინაარსი. ამ ისტორიულ მოვლენაში საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნები გამოვლინდა. განსხვავებული ფენის, სფეროსა თუ რეგიონის წარმომადგენელთა ბრძოლის მიზნები და მნიშვნელობა სწორედ საერთო რევოლუციურ სურათს გვაჩვენებს.

### II.2. მოთხოვნები და მისწრაფებები

სხვადასხვა სოციალური ფენის, სფეროსა და რეგიონის წარმომადგენელთა მისწრაფებები ყველაზე ნათლად ასახავენ საერთო საზოგადოებრივ აზრს. 1905 წლის აპრილში, კახეთში, სოფელ ხოდაშენში ხალხის ყრილობაზე მისულ მომრიგებელ შუამავალს ხალხი არსებულ პრობლემებზე, მიწის სიმცირეზე, გაჭირვებაზე, ადმინისტრაციის უსამართლობასა და გადიდებულ გადასახადებზე ესაუბრა და წარუდგინა შემდეგი შინაარსის მოთხოვნები: გლეხებისთვის სამონასტრო სახაზინო ადგილების, ტყის, საძოვრებისა და უსამართლოდ ჩამორთმეული ნაკვეთების უფასოდ დაბრუნება; ადგილობრივი ადმინისტრაციის გაუქმება, ხალხს მიეცეს უფლება აირჩიოს წარმომადგენელი ადგილობრივ ფუნქციათა შესასრულებლად,

[11] სოციალ-დემოკრატების რევოლუციური საქმიანობა ჭიათურის მაგალითზე ძალიან კარგად აქვს აღწერილი აღნიშნული პროცესების მონაწილე ვალიკო ჩუბინიძეს (ჩუბინიძე, 1953: 5-44).

რომელიც საქმეს აწარმოებს ქართულ ენაზე; მღვდლებისათვის დაწესებული გადასახადის გაუქმება და სანაცვლოდ სახელმწიფო ჯამაგირის დანიშნვა, ამასთანავე, ეკლესიის შენახვის დაკისრება ყველა წოდებისათვის თანაბრად; ადგილობრივ სასწავლებელში ყველაფერის სწავლება მშობლიურ ქართულ ენაზე; არყის ხდაზე აქციზის მოსპობა; ადგილობრივებისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა საქართველოში; გზის საკეთებელ ბეგარაში ყველა წოდების მონაწილეობა; თავისუფლება ადგილობრივებს შინაურ საქმეებში, ფართო თვითმმართველობა ანუ ერობა, დაფუძნებული საყოველთაო, პირდაპირ, დახურულ და სრულიად თანასწორ არჩევნებზე; დამფუძნებელი კრების მოწვევა, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზით. მომრიგებელთან წერილის გაგზავნისას გლეხებმა ითხოვეს თარგმანთან ერთად ორიგინალის გაგზავნა, როგორც აღნიშნულია, ისინი ნაკლებად ენდობიან რუსულ ნაწერს: „იმთავითვე მაგან დაგვღუპა: ჩვენ არ გვესმოდა და სწერდნენ, რაც უნდოდათო“ (ცნობის ფურცელი N2789, 1905: 2-3). ეს უკანასკნელი ხალხში ადგილობრივი ადმინისტრაციის ავტორიტეტის სრულ დაცემაზე მეტყველებს.

1905 წლის თებერვალში, სიტუაციის გამოსარკვევად გურიაში მივლენილ მთავრობის წარმომადგენელ სულთან კრიმ გირეისთან შეხვედრაზე, ჯვარცხმის საზოგადოებამ (ჩოხატაური), რომელსაც ათასამდე ქალი და კაცი ესწრებოდა, არჩეული დეპუტატების მეშვეობით წარადგინა შემდეგი მოთხოვნები: დროებით ვალდებული გლეხების განთავისუფლება უფასოდ, თავისი ნადელით, ხოლო სახაზინო გლეხებისათვის ნადელების საკუთრებაში გადაცემა; გადასახადების გაწერა შემოსავლის შესაბამისად, 500 მანეთზე ნაკლებ შემოსავლიანი ოჯახების განთავისუფლება გადასახადისაგან; ფარული გადასახადებისა და ბაჟების მოსპობა; ეკლესიის გამიჯვნა სახელმწიფოსაგან, ე.ი. სეკულარული მოწყობა; უფასო სავალდებულო სწავლა-განათლება 16 წლამდე; სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და გაფიცვის თავისუფლება, პიროვნებისა და ოჯახის ხელშეუხებლობა; დამფუძნებელი კრების მოწვევა და ა.შ. (მოგზაური N9, 1905: 7-8). იდენტური მოთხოვნები ჰქონდათ გურიის სხვა სასოფლო საზოგადოების წარმომადგენლებსაც.

დმანისში, სოფელ გომარეთისა და მომიჯნავე სოფლების საზოგადოებების მიერ წარდგენილ პეტიციაში, გარდა ზემოთ დასახელებული, სხვა კუთხეებში გაჟღერებული ასპექტებისა მიწასა და გადასახადებზე, გვხვდება მოთხოვნები მთავრობის მოხელეთა წესწყობილების, პოლიციისა და სასამართლოს გაუქმების, მის ნაცვლად კი არჩევითი სასამართლოს შემოღებისა და საქმის წარმოების მშობლიურ ქართულ ენაზე დაწესების შესახებ. პეტიციაში ხალხი მოითხოვდა, რომ მიწების სიმცირის გამო აკრძალულიყო უცხოტომელების გადმოსახლება საზღვარგარეთიდან და ადგილობრივებს მისცემოდათ სახელმწიფო მიწების თავისუფლად ათვისების უფლება. აგრეთვე, დაფიქსირებულია ისეთი პრეტენზიები, როგორიცაა: უფასო სავალდებულო სწავლა-განათლება 16 წლამდე - ორივე სქესისათვის, ქართულ ენაზე, პიროვნების თავისუფლება, ხელშეუხებლობა, სრული თანასწორობა და საქართველოს ავტონომია (სცა, ფ. 17, ან. 1, საქმე 9610, ფურც. 62-64).

ყველა სიძნელესთან დამატებით პრობლემას ქმნიდა სამართლის პოვნის საშუალების ფაქტობრივი არარსებობა. გარდა იმისა, რომ სასამართლო პროცესი თვეობით და ზოგჯერ წლობითაც შეიძლება გაგრძელებულიყო, საქმე რუსულ ენაზე წარმოებდა, ეს კი აბსოლუტური უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო და არსებულ სასამართლოსაც გამოუსადეგარს ხდიდა. მასთან არსებულ თარჯიმნის ინსტიტუტში გაბატონებული კორუფცია გზას უჭრიდა გაღარიბებულ მოსახლეობას. ამიტომაც, აქტუალური იყო სასამართლოს გაეროვნების საკითხი. გარდა ხსენებული შემთხვევებისა, შიდა ქართლში, სოფელ საღოლაშენის გლეხებმა ადგილობრივი მემამულისადმი წარდგენილ პრეტენზიებს შორის დააფიქსირეს შემდეგი: „ჩვენ არ გვსურს პოლიცია თავის სტრაჟნიკებით, რადგანაც ესენი ჩვენს საქმეს არ არჩევენ, ემსახურებიან ქრთამს და მხოლოდ მთავრობის ბრძანებას ასრულებენ“; „ჩვენ არ გვსურს არცერთი სასამართლო, რადგანაც მომეტებულს ადგილს სამართალი სწარმოობს უვიც თარჯიმნების შემწეობით. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს ეს და დაარსდეს საგლეხო თვით-მართველობა“ (ივერია N30, 1905: 1).

პრობლემები იმდენად ერთგვაროვანი და საერთო იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, რომ სხვადასხვა, ერთმანეთისგან დაშორებულ კუთხეებშიც იდენტური მოთხოვნები გვხვდება.

ნიშანდობლივია, რომ რევოლუციის მიმდინარეობისას მოსახლეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს შორის ხშირად გვხვდება მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების მიღებისა და საქმის წარმოების საკითხი. ზემოთ დასახელებული შემთხვევების გარდა, მაგალითისათვის, 1905 წელს ჯვარცხმის საზოგადოებამ, სხვა ძირითად პრობლემებთან ერთად, მოითხოვა დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო უმაღლესში ქართული ენის განსაკუთრებულ საგნად სწავლება (ივერია N14, 1905: 3).[12] თბილისში მასწავლებლებმა თვითმმართველობისათვის წარსადგენად შეადგინეს რეზოლუცია, რომლითაც ისინი შეუერთდნენ ქალაქის მიერ აღძრულ შუამდგომლობას და მოითხოვეს საქალაქო პირველდაწყებით სკოლაში არსებული მანკიერებების აღმოფხვრა, პოლიტიკური მიზნების მაგიერ განათლებაზე ორიენტირება და გაუგებარი ენის ნაცვლად მშობლიურ ენაზე სწავლება (ცნობის ფურცელი N2794, 1905: 2).

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ორიოდ სიტყვით შევეხოთ სკოლებისა და ზოგადად, განათლების ირგვლივ არსებულ დამოკიდებულებებს. თვითმპყრობელობის მიერ მოწყობილი სკოლა, რომელიც გარდა იმისა, რომ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის გამო სიმპათიით არ სარგებლობდა, ხალხისათვის დამატებით ფინანსურ ტვირთს ქმნიდა. ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობა უარსაც კი ამბობდა სკოლებზე, 1905 წლის მარტში სოფელ კაკაბეთის მღელვარე მოსახლეობამ დახურა სკოლა (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ. 5263, ფურც. 11). აპრილში, სოფელ ნიკორწმინდაში შეკრებილი გლეხები ითხოვდნენ სკოლის დახურვას იმ შემთხვევაში თუ მასში სწავლება არ იქნებოდა ქართულ ენაზე და უფასოდ (ცნობის ფურცელი N2808, 1905: 4). მსგავსი შემთხვევების გამომწვევი მიზეზების არასწორი გაგებისა თუ იგნორირების გამოისობით ზოგჯერ სახელმწიფო აპარატის მოხელეები დაასკვნიდნენ, რომ მოსახლეობა არ ინტერესდებოდა სწავლა-განათლებით. ახალციხის მაზრის უფროსი ერთ-ერთ პატაკში მიუთითებდა, რომ მაზრაში არ იყო განათლებისადმი მოთხოვნილება, ვინაიდან ისინი სოფლის სამუშაოებით იყვნენ დაკავებული და სულაც არ აინტერესებდათ წერა-კითხვაო (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ. 9614, ფურც. 13). ცხადია,

---

[12] იმავეს ითხოვდნენ მარტყოფელი გლეხები (ივერია N42, 01 აპრილი 1905. *გლეხთა მოძრაობა ტფილისის მაზრაში*).

რეალურად ეს ასე არ იყო, ჩვენ მიერ მოყვანილი სხვადასხვა კუთხის მოსახლეების მოთხოვნები მოწმობენ, რომ მათ სურდათ სკოლა და განათლება, თუმცა, უპირველესად, მშობლიურ, გასაგებ ენაზე და უფასოდ. 1905 წლის 25 მარტს ახმეტაში შეკრებილები ითხოვდნენ სკოლის გადასახადისაგან განთავისუფლებას, რაც დაპირებისამებრ მთავრობას უნდა ეკისრა (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ, 5265). როგორც სოფელ საღოლაშენის გლეხების პეტიციაშია ნათქვამი: „ჩვენ გვსურს სწავლა-განათლება, რადგანაც უსწავლელ კაცს ყველა სჩაგრავს ამ წუთისოფელში“ (ივერია N30, 1905: 1). საქმე ისაა, რომ გაღატაკებული, ნაირგვარი ბეგარა-ვალდებულებებით დატვირთული გლეხებისათვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებები ზოგჯერ იმდენად გამოუვალ მდგომარეობას ქმნიდა, რომ თავის გატანის სანაცვლოდ უარსაც ამბობდნენ განათლებაზე, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ სასკოლო გადასახადი უნდა გაეღოთ უშედეგოდ, ვინაიდან სწავლა მათთვის გაუგებარ რუსულ ენაზე წარმოებდა.

შესაბამისად, რევოლუციას საქართველოში ყველაფერთან ერთად ეროვნული ხასიათიც ჰქონდა, რამდენადაც ეროვნული პრობლემები ცალსახად მწვავედ არსებობდა. ქართველი გლეხების მოთხოვნებში ნათლად აისახა ზემოთ განხილული მიზეზები, რომლებიც განაპირობებდნენ საერთო საპროტესტო განწყობას მთელ ქვეყანაში. სოციალური უთანასწორობა, კლასობრივი დაპირისპირება, ეკონომიკური პრობლემები, ადგილობრივი მმართველობის გულგრილობა, გლეხის კისერზე დადებული ბეგარა-ვალდებულებები და ეროვნული შევიწროება ქმნიდა რევოლუციური წინააღმდეგობის მძლავრ და საერთო სახალხო საფუძველს, რასაც არა მხოლოდ მომზადებული შეხვდა ახალი ოპოზიციური სპექტრი, არამედ ხალხის სოციალურ და ეროვნულ მოთხოვნებს შეუსისხლხორცა პოლიტიკური მოთხოვნები, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა მხარეში წამოჭრილ საკითხთა შორის ისეთი მოთხოვნების არსებობაში, როგორიცაა, მაგალითად, დამფუძნებელი კრება.

მუშა-მოსამსახურეების მიერ წამოყენებული მოთხოვნები უფრო მეტად დაკავშირებული იყო შრომით პირობებთან. 1905 წლის 8 მარტს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშებმა (თბილისი) რკინიგზის უფროსს წარუდგინეს მოთხოვნები, რომელთა შორის იყო:

1. დაპატიმრებულთა განთავისუფლება, დაბრუნება და ჯამაგირის გაზრდა;

2. სახელოსნოში მისაღებად რუსულის ცოდნის მოთხოვნის გაუქმება და ყველა წესის ქართულ ენაზე დაბეჭდვა;
3. რვა-საათიანი სამუშაო დღის დაწესება (ცნობის ფურცელი N2767, 1905: 3).

სოფელ აძვიმბჯის (სოხუმი) ხე-ტყის ქარხნის მუშები მოითხოვდნენ ხელფასის გაზრდას, ბინით უზრუნველყოფას, შეღავათებს ავადმყოფობისას, 8-საათიან სამუშაო დღეს, შიდა განაწესის რეგულირებას და ა.შ. (ცნობის ფურცელი N2823, 1905: 2-3). ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მუშების მწვავე პირობებზე, გარდა მუშაობის სირთულისა და დაბალი ანაზღაურებისა, ხშირი იყო უხეში მოპყრობის შემთხვევები. ამიტომ ტომჩაკის ფეხსაცმლის ქარხნის მუშები, ხსენებული სახის საკითხების გარდა, ითხოვდნენ კარგად მოპყრობასა და გაფიცვის უფლებას (ივერია N81, 1905: 3).

ცვლილებებისათვის იბრძოდნენ სხვადასხვა დარგის მოსამსახურეები. ქუთაისელი ფარმაცევტები მოითხოვდნენ ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მოსამსახურეთა ხელშეწყობას (მოგზაური N5, 1905: 4). ხშირი იყო ნოქრების, მედუქნეების, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა თუ სხვა სფეროს წარმომადგენლების გაფიცვები, რომლებიც იმავე შინაარსის მოთხოვნებს აყენებდნენ.

ქართული ოპოზიცია და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატია, თვლიდა რა პროლეტარიატს ძირითად სარევოლუციო ძალად, მასიური მღელვარების დაწყებამდეც და მის შემდეგაც აქტიურ მუშაობას ეწეოდა მუშებს შორის და ფაქტობრივად, ამით შექმნა რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ინდიკატორი, რომელმაც რევოლუცია და კეთილდღეობის გზა ერთმანეთს დაუკავშირა.

მაგალითისათვის, 1905 წლის თებერვალში ჩაქვის საუფლისწულო მამულის გაფიცული მუშები, თავდაპირველად, მოითხოვდნენ ნორმალური სამუშაო პირობების შექმნასა და ხელფასის გაზრდას. მომდევნო თვეებში გამოსვლები კიდევ უფრო გაფართოვდა და პოლიტიკური პარტიების აგიტატორების პროპაგანდის მეშვეობით მიტინგებზე მუშებს შორის გაისმოდა ცარიზმის დამხობის,

თანასწორობისა და თავისუფლების მოთხოვნები (თურმანიძე, 2009: 260, 271-272).[13] პარტიები მწვავე სოციალური თუ ეროვნული მღელვარების პოლიტიკურ მიზნებთან კომბინაციას ცდილობდნენ. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთ მოკვლევაში აღნიშნულია, რომ 1905 წლის მარტში გორში მიმდინარე პროტესტისას გლეხებმა აგრარულთან ერთად წამოაყენეს ისეთივე პოლიტიკური მოთხოვნები, როგორიც გურიაში (სცა, ფ. 153, ან. 1, საქ. 685, ფურც. 7-8). ცალ-ცალკე მიმდინარე პროტესტის ანალოგიური პოლიტიკური შინაარსი, გარდა მისი ბუნებრიობისა, სწორედ პოლიტიკური ორგანიზების მცდელობაზე მიუთითებს.

რევოლუციაში არა მხოლოდ მუშები და გლეხები, არამედ თავადაზნაურობაც მონაწილეობდა. რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ქართული სოციალისტური პარტიების ლიდერებზე, რომელთაგან მაგალითად ჟორდანია, ლასხიშვილი, ჯაფარიძე, წულუკიძე, ლეჟავა, ურატაძე და ა.შ. აზნაურთა ფენას განეკუთვნებოდნენ, ასევე თავად-აზნაურები იყვნენ ზუგდიდში რევოლუციური მოძრაობის ლიდერები, დადიანი და ალშიბაია. გორის მაზრაში 1906 წელს დაკავებულ აგიტატორებს შორის იყვნენ აზნაურები ქვლივიძე და ლოლაძე, ასევე რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ თავადები ლევან, დიმიტრი და მიხეილ დიასამიძეები (სცა, ფონდი 25, ან. 1, ს. 16, ფურც. 32-33, 55). თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთ ცნობაში ანტისახელისუფლებო მოძრაობის ბრალდებით ძებნილ პირებს შორის იხსენიება ქარელში მცხოვრები თავადი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ციციანოვი, იგივე ციციშვილი (სცა, ფონდი 153, ან. 1, ს. 809, ფურც. 54-59). ამდენად, სარევოლუციო განწყობები იმდენად გაიშალა და გასცდა მხოლოდ სოციალურ სარჩულს, რომ მასში ფეოდალური კლასის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული.

### II.3. „რევოლუცია“ ეკლესიაში (1905-1912)

განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიაშიც. უფრო მეტიც, ფაქტობრივად, იგი რევოლუციის ლიკვიდაციის შემდეგაც გრძელდებოდა. ცნობილი ავტოკეფალისტი სასულიერო პირი, ნიკიტა თალაქვაძე

---

[13] ბათუმის ოლქში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებზე დაწრილებით აგრეთვე იხილეთ: თურმანიძე ოთარ, „გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი. 1979

(თალაკვაძე) თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ.) რუსეთის მარცხისა და ამის ნიადაგზე რევოლუციის მომძლავრების პირობებში საქართველოს ავტონომიაზე საუბარი შეიქნა, ამ ავტონომიასთან ერთად კი ქართველმა სამღვდელოებამ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოითხოვა (თალაქვაძე, 2013: 803). ფაქტობრივად, ეკლესიის რეფორმირებისთვის ბრძოლა დაიწყო როგორც ხალხის მიერ, ისე ეკლესიის შიგნიდან. შიდა ბრძოლის უწინარესი მიზანი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, რითაც უნდა გაჩენილიყო მისი რეფორმირების შესაძლებლობა.

1905 წლის მარტში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ შეიმუშავა და მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა პეტიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. პეტიციით მოითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობის სრულ აღდგენას, ვინაიდან ეს იყო ერთადერთი საშუალება იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩამდგარი ეკლესიისათვის რეალური ფუნქციების დასაბრუნებლად. გარდა ამისა, პეტიცია ითხოვდა ღვთისმსახურების არჩევითობის პრინციპის დამკვიდრებას, სასკოლო საქმის ძირფესვიან რეფორმას, სიტყვის, ბეჭდვისა და შეკრების თავისუფლებას, მღვდლებისათვის სამოქალაქო უფლებების მინიჭებასა და მათ განთავისუფლებას პოლიტიკური ვალდებულებებისაგან, მღვდლებისათვის ხელფასის დანიშვნას სახელმწიფო ხაზინიდან. გარდა ავტოკეფალიისა და საეკლესიო რეფორმისა, 1905 წლის 15 აპრილის პეტიციით საქართველოს ეპარქიის 472 სასულიერო პირი ითხოვდა სახაზინო მმართველობაში გადასული ყოველგვარი საეკლესიო ქონების დაბრუნებას (სცა, ფონდი 1458, ან. 1, ს. 173, ფ. 3-4, 6-8). აქ ჩანს, რომ ეკლესიაში მიმდინარე “რევოლუცია” და სახალხო ბრძოლა ერთმანეთთან მეტწილად თანხვედრაში იყო. ერთადერთი განმასხვავებელი ეს იყო მიწის საკითხი, თუ ხალხი მიწის სრულ პრივატიზაციასა და სოციალიზაციას მოითხოვდა, ეკლესია ადრე მის საკუთრებაში არსებული მიწის დაბრუნებას ცდილობდა.

1905 წლის 12 ივლისს იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს ნებართვით შედგა სამეგრელოს სასულიერო პირთა კრება, რომელიც შეთანხმდა, ეშუამდგომლა მთავრობასთან რიგი საკითხების გადასაჭრელად, მათ შორის: სასულიერო სკოლების

ნაცვლად ეროვნული სკოლების დაარსება, სამღვდელოების განთავისუფლებას მრევლზე მატერიალური დამოკიდებულებისაგან და მათთვის ჯამაგირის დანიშვნა ხაზინიდან, ქართულ ენაზე გამომავალი საეკლესიო ბეჭდური ორგანოს დაარსება. კრებამ ერთხმად დაადგინა მღვდლების არჩევითობის პრინციპი, საქმისწარმოება ქართულ ენაზე და ა.შ. (ივერია N123, 1905: 4).

1905 წლის მაისის ბოლოს თბილისში მიმდინარე სამღვდელოების ყრილობამ დაადგინა საეკლესიო სკოლებში ყველა საგნის ქართულად სწავლება, სასულიერო სასწავლებლებში კი მშობლიური და რუსული ენების გათანაბრება, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და საღვთო სჯულის სწავლება სრულად ქართულად (ჯაფარიძე, 2003: 60). ყრილობა დარბევით დასრულდა, რომელმაც დიდი საპროტესტო გამოხმაურება პოვა ქართულ საზოგადოებაში, მხარდამჭერი კრებები იმართებოდა სხვადასხვა კუთხეში. ყრილობის დადგენილება რუსეთის სინოდმა უარყო და წევრთა მიმართ განახორციელა რეპრესიები. ქართველი ავტოკეფალისტების ბრძოლა გაგრძელდა შემდეგაც, პროცესში ჩართული იყო ასეულობით სასულიერო პირი. 1905 წლის დეკემბერში თბილისში შეიკრიბა სამღვდელოება, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და ალავერდის ეპისკოპოსებმა ეგზარქოსს წარუდგინეს ულტიმატუმი, 1906 წლის 14 იანვრამდე აღედგინა საქართველოს ავტოკეფალია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სრულიად საქართველოს სამღვდელოება განახორციელებდა ამას. სამღვდელოების არჩეულმა დელეგატებმა შეიმუშავეს ეკლესიის რეორგანიზაციის წინასწარი გეგმაც (ჯაფარიძე, 2003: 83-84). რუსი ეგზარქოსის, ნიკონის ბრძანებით ქართულ ეპარქიებსა და ტაძრებში წირვა-ლოცვის აკრძალვის გამო, 1907 წელს ქართველმა ეპისკოპოსებმა და მრევლმა რუსეთის სინოდს წარუდგინეს მიმართვა, რომელშიც იყო მოთხოვნები ღვთისმსახურების ქართულად აღდგენაზე, სასულიერო სემინარიაში ქართველი ხელმძღვანელის დანიშვნაზე, ქართული ეკლესიების ქართველთა ხელში დაბრუნებისა და ქართველ სამღვდელოებასა და მრევლზე ძალადობის აღმოფხვრაზე (როგავა, 2002: 186-187).

ავტოკეფალისტური მოძრაობა გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. 1906-1912 წლებში გამოიცა რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერი უფლების დაცვის შინაარსით, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის,

მელიტონ კელენჯერიძის, ნიკოლოზ დურნოვოს და სხვათა ავტორობით (როგავა, 2002: 198). ხელისუფლების ხისტი რეაქციის მიუხედავად, ბრძოლა არ შეწყვეტილა. თბილისის უშიშროების განყოფილების 1912 წლით დათარიღებული ერთ-ერთი აგენტურული ცნობა იტყობინებოდა, რომ ქართველი ავტოკეფალისტების მოძრაობამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და ძირითადად მიმართული იყო ეგზარქოს ინოკენტისა და ახალი ეპისკოპოსის, ანტონ გიორგაძის წინააღმდეგ. ავტოკეფალისტური მოძრაობის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ სასულიერო პირები: იოსებ ჩიჯავაძე, ილია შუბლაძე, ალექსანდრე დავიდოვი, ტიმოთე ბაქრაძე, დავით ჩიკვაიძე, ნიკიტა თალაქვაძე და წიგნის მაღაზიის მფლობელი იოსებ მერკვილაძე. ცნობაში აღნიშნულია, რომ მოძრაობის ღერძს წარმოადგენდა ეპისკოპოსი დავითი, ხოლო იოსებ მერკვილაძე 1904 წლიდან სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივი ორგანიზაციის, 1906 წლიდან კი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო (სცა, ფონდი 95, ან. 1, საქმე 56, ფურც. 1-3).

ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას მხარს უჭერდა ინტელიგენცია. 1905 წლის 3 მარტს თბილისის გუბერნიის მარშლის მოადგილე ჯამბაკურ-ორბელიანი, თავად-აზნაურთა წარმომადგენლები, გრ. დიასამიძე და ალ. ყანჩელი ეგზარქოსს სთხოვდნენ გორის ესპისკოპოსის განთავისუფლებულ თანამდებობაზე დაენიშნა ქართველი, ქართული ენის მცოდნე პირი (ცნობის ფურცელი N2760, 1905: 2). ამ პროცესებში ჩართული იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვები. ხელისუფლების რეაქციული წნეხის ფონზე 1907-1910 წლებში არსებობდა რომის პაპთან და კონსტანტინოპოლის პატრიარქთან კავშირის დამყარებისა და ავტოკეფალიის მოსაპოვებლად მათი მხარდაჭერის მოპოვების მცდელობები (ზუბულაშვილი, 2006: 283-295).

მიუხედავად იმისა, რომ მათი მოთხოვნები გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვეოდა, კონკრეტულად, ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აღდგენისა და მღვდლებისათვის ხელფასის დანიშვნის ნაწილში, სამღვდელოებასა და გლეხებს შორის არსებული ანტაგონიზმი მათი გაერთიანების გზას არ ტოვებდა. თავად მოწინავე სასულიერო პირები აღნიშნავდნენ, რომ ხალხის მძარცველებად გადაქცეული სამღვდელოება გახდა მათივე ავტორიტეტის დაცემისა და

საზოგადოებისაგან იზოლაციის წინაპირობა. მათი აზრით, ხალხსა და სამღვდელოებას შორის ბოლოდროინდელი გაუცხოების ერთ-ერთი მიზეზი უშემოსავლოდ დარჩენილი მღვდლების გამოუვალი მდგომარეობა იყო, როდესაც ისინი შემოსავლის მიღებას ხალხის ხარჯზე ცდილობდნენ. ამიტომ, სასულიერო პირებისთვის ბიუჯეტიდან ხელფასის დანიშვნის გარდა, ავტოკეფალისტები ეკლესიისათვის ჩამორთმეული მიწების დაბრუნებასაც მოითხოვდნენ, რათა ღვთისმსახურებს ეკლესიის მიწის დამუშავების შესაძლებლობა ჰქონოდათ. სასოფლო საზოგადოებები კი საპირისპიროს ითხოვდნენ, რომ მიწა ხალხის ხელში გადასულიყო. ეს შეუთავსებლობა განაპირობებდა იმას, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლა საერო და სასულიერო ცხოვრებაში დამოუკიდებლად მიმდინარეობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტ-ფედერალისტები, როგორც მთავარი ავტონომისტები, მხარს აქტიურად უჭერდნენ ეკლესიის ავტოკეფალისტურ მოძრაობას. როგორც დიმიტრი შველიძე აღნიშნავს, პარტიაში ორი პოზიცია არსებობდა ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხში. ერთნი თვლიდნენ, რომ სოციალისტური პარტიისთვის შეუფერებელი იქნებოდა ეკლესიის საქმეებში ჩარევა და უარყოფდნენ ავტოკეფალიისათვის ბრძოლის მხარდაჭერის აუცილებლობას, მეორენი კი პირიქით, ამ ბრძოლასეროვნული ბრძოლის ნაწილად და მის მხარდაჭერასაც აუცილებლად თვლიდნენ (შველიძე, 1993: 300-301). სოციალისტ-ფედერალისტების ბეჭდური ორგანოები მხარს უჭერდნენ და ავრცელებდნენ დეტალებს ავტოკეფალიის საკითხზე. უფრო მეტიც, ავტოკეფალისტები თანამშრომლობდნენ ფედერალისტთა გაზეთებთან. მაგალითად, მღვდელი ილია შუბლაძე „ახელის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთთან“ (სცა, ფონდი 95, ან. 1, საქმე 56, ფურც. 1).

ქართველი ანარქისტების ნაციონალისტური შტოც თანაუგრძნობდა ეკლესიის ავტოკეფალიას. მათთვის კლასიკურ ანარქისტულ იდეებზე წინ იდგა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის შეხედულებით, ავტოკეფალიისათვის ბრძოლა რუსული ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა და მხარს უჭერდა მას (გერგაია, 2005: 138-139). ვარლამ ჩერქეზიშვილი კი პირდაპირ და აქტიურად მონაწილეობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის

საერთაშორისო ასპარეზზე ბრძოლის საქმეში (ტყეშელაშვილი, 2012: 219-221). შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალისტი ანარქისტებისთვის ავტოკეფალიაც ეროვნული ბრძოლის ნაწილს შეადგენდა.

სოციალ-დემოკრატები ისევე კრიტიკულად უყურებდნენ ეკლესიის შიგნით არსებულ მანკიერებებს, როგორც ამ მანკიერებებით შეწუხებული ხალხი. პარტიის კრიტიკული პოზიცია ლოგიკური იყო. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული პრესა აშუქებდა საეკლესიო პროცესებს. 1906 წელს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „სხივი" მიუთითებდა, რომ ჩვენებური (ე.ი. ავტოკეფალისტური) სამღვდელოებაც ოპოზიციის შემადგენელი ნაწილი იყო (სხივი N14, 1906: 1). ზოგადად, პარტიის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავდა ბრძოლას ქართული ეკლესიის ძარცვისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ, ამას მათი სათათბიროში მოღვაწეობაც ცხადყოფს და უფრო ვრცლად ქვემოთ შევეხებით. ნოე ჟორდანია 1912 წლის ერთ-ერთ სტატიაში გმობდა ქართული ეკლესიის მიმართ განხორციელებულ რუსიფიკაციის პოლიტიკას. აქვე აღნიშნავდა, რომ ეკლესიით, როგორც საზოგადო დაწესებულებით, დაინტერესებულია დემოკრატია, იგი აგებული უნდა იყოს ნაციონალურ ნიადაგზე, ფუნქციონირებდეს მრევლის სახსრებით და აღარ უნდა განიცდიდეს დევნასა და შევიწროებას (ჩვენი ცხოვრება N14, 1912: 3).

### II.4. რევოლუციის შემდეგ

საქართველოში 1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით საისტორიო არქივსა და პერიოდულ პრესაში გაბნეული ინფორმაცია იმდენად დეტალური და ვრცელია, რომ ცალკე ამ საკითხზე მრავალტომეული კვლევის შექმნა შეიძლება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი დეტალები ნათლად ასახავენ საზოგადოებრივი აზრის ხასიათსა და საპროტესტო განწყობების მასშტაბებს. ის თუ რას ითხოვდა ხალხი, პირობითად შეიძლება სამ კატეგორიად გავყოთ: უპირველესი და ყველაზე პრობლემური აგრარულ-ეკონომიკური შინაარსის თემები იყო, შემდეგ სოციალური თანასწორობისა და ეროვნული საკითხები.

ხელისუფლების მწვავე რეაქციამ განაპირობა რევოლუციის ჩაცხრომა. დასავლეთ საქართველოში სახალხო მღელვარების ჩახშობას ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი ალიხანოვ-ავარსკი. სასტიკად დევნიდნენ ამბოხებულებს,

წავდნენ სოფლებს, მიმდინარეობდა მასობრივი რეპრესიები. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, რევოლუციის ჩახშობის პერიოდში განცდილი რბევა-აწიოკება მტრის შემოსევას ჰგავდა (ჯავახიშვილი, 2016: 64). ამასთანავე, სიტუაციის გასანეიტრალებლად ხელისუფლება დათმობებზე წასვლის იმიტაციის მეთოდსაც იყენებდა. 1906 წლის 9 ნოემბრის კანონის მიხედვით, უქმდებოდა გადასახადი მიწაზე, მასზე არსებული დავალიანებები, გლეხებს ეძლეოდათ სასოფლო გაერთიანებიდან („ობშჩინა") თავისუფლად გამოსვლის და მიწის გაყიდვის უფლებები, ასევე სარგებლობაში არსებული ნაკვეთების დატოვების შესაძლებლობა და ა.შ. (Полное собрание..., 1909: 970-974).

1907 წლიდან გლეხებს შორის რევოლუციური ბრძოლა საერთოდ განელდა, ხოლო მუშებში ერთადერთ საპროტესტო საშუალებად გაფიცვა დარჩა, რომლის შემთხვევებმაც საგრძნობლად იკლო. 1907 წელს, ეკონომიკური და სამუშაო პირობების ნიადაგზე, გაიფიცნენ ადელხანოვის ქარხნის მუშები და მეთორნეები (ხაბაზები) თბილისში, ნოქრები გორში, სტამბის შეგირდები ბათუმში და ა.შ. (ჩვენი გზა N1, N3, N7, N9, 1907). მომდევნო წლებში მსგავსი ფაქტები თითზე ჩამოსათვლელია. 1908 წელს გაიფიცნენ მენახშირეები სურამში (ამირანი N121, 1908: 4), 1909 წელს ხელფასის დაგვიანების გამო გაიფიცნენ მუშები ტყიბულში (მომავალი N82, 1909: 3), 1913 წელს გაიფიცნენ ტიპოგრაფიის მუშები ბათუმში (სცა, ფ. 13, ან. 30, საქ. 46, ფურც. 1) და ა.შ.

რაც შეეხება სასოფლო საზოგადოებებს, ხელისუფლების რეაქციით დათრგუნულ პროტესტთან ერთად იკლო რევოლუციური ორგანიზაციების მოქმედებებმა. 1910 წლის ანგარიშებში გორის, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, დუშეთის და ახალციხის მაზრის უფროსები თბილისის გუბერნატორის კანცელარიას აცნობებდნენ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში დასახლებებში პოლიტიკური მოძრაობის გაძლიერება არ შეინიშნებოდა. ამასთანავე, თელავის მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ იმატა სათათბიროს გავლენის ქვეშ მყოფი აგიტატორების პროპაგანდისტულმა აქტივობამ და დუმაში გამოთქმული აზრების გავრცელებამ (სცა, ფ. 17, ან. 1, საქმე 6921, ფ. 1-10, 45, 50, 122-128). შეიძლება ითქვას, რომ სათათბიროს მოწვევით ოპოზიციის ყურადღების ცენტრმა საკანონმდებლო სივრცეში გადაინაცვლა და პოლიტიკური ბრძოლა სახალხო ველიდან საკანონმდებლო ტრიბუნაზე გაგრძელდა.

### II.5. ავტონომიის პრობლემა

1905 წლის რევოლუციის ხანაში ხალხის მოთხოვნების იერარქიაში მოწინავე პოზიციაზე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები იდგა იმდენად, რამდენადაც ამ მხრივ არსებული კატასტროფული სურათი გაუსაძლის, გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა მოსახლეობის უმრავლესობას და წარმოადგენდა დაუმორჩილებლობის მამოძრავებელ მთავარ ფაქტორს. სოციალურ-ეკონომიკურს კი თან ახლდა ეროვნული და პოლიტიკური საკითხები. ნიშანდობლივი ფაქტორია ოპოზიციური პარტიების მიზანმიმართული აქტიურობა, რომელმაც მოსახლეობის ყოფიერ პრობლემებს ორგანიზებულად და სავსებით სწორად შეუთავსა საქვეყნო პოლიტიკური მოთხოვნები. შიმშილის, უსამართლობისა და ჩაგვრის პირობებში მყოფი ხალხისთვის რომ თავდაცვისა და ოჯახის გადარჩენის ინტერესი მოწინავე ადგილზეა, ეს არც არავისთვისაა გასაკვირი. გლეხთა უმრავლესობას, რომელიც გამუდმებით ფიზიკურად შრომობდა, რათა ოჯახი და მემამულე ერჩინა, არ ჰქონდა განათლება, დიდმა ნაწილმა არ იცოდა წერა-კითხვაც. შესაბამისად, მათთვის ნაკლებად ცნობილი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ორგანიზების თეორიული პრინციპები. მიუხედავად ამისა, გლეხების გამოსვლებში ხშირად ვხვდებით მსგავსი ტიპის მოთხოვნებსაც, რაც სწორედ ოპოზიციის როლზე მიგვანიშნებს. მოსახლეობა ითხოვდა განათლებას მშობლიურ ენაზე, არჩეულ წარმომადგენლობას, გასაგებ და თავსებად სასამართლოს, ოპოზიცია კი მას პოლიტიკური ორგანიზების თეორიულ ჩარჩოებში ათავსებდა და სწორედ ამგვარად უნდა ვივარაუდოთ ხალხის მოთხოვნებში ავტონომიის, თვითმმართველობის, დამფუძნებელი კრებისა თუ მსგავსი შინაარსის ასპექტების არსებობა.

ამ ვარიანტებთან მიმართებაში განსხვავდებოდა ქართული პარტიების დამოკიდებულებები და საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილის მოთხოვნებში კონკრეტული პოლიტიკური ფორმის არსებობა კონკრეტული პარტიის აქტიურობაზეც მიგვანიშნებს. ამგვარად, იქმნებოდა ხალხურ-ოპოზიციური კომბინაცია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფართო მასებში, თავდაპირველად, იგი დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. გარდა იმისა, რომ ყველაზე გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია მას არ ემხრობოდა და ამ

თემას პარტიულ აგიტაციაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, არსებობდა ავტონომიასთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი რამდენიმე სხვა ფაქტორიც.

პოლიტიკური პარტიების პროგრამებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და ნათელია მათი დამოკიდებულება ავტონომიის თემაზეც. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, საქართველოს ავტონომიის მომხრეთა შორის ძირითადად თავადაზნაურობას და ზოგადად არისტოკრატიას ვხედავთ.

მაგალითად, 1905 წლის 31 მარტს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე გადაწყდა იმპერატორის სახელზე გასაგზავნად ,,უქვეშევრდომილესი'' ადრესის შემუშავება, რომელშიც უნდა შესულიყო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საკითხი (ცნობის ფურცელი N2786, 1905: 3). ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობდა მომდევნო დღეებშიც. მსგავსად ტფილისისა, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ 11 აპრილს დაამტკიცა იმპერატორის სახელზე გასაგზავნი ადრესი, რომელშიც ითხოვდნენ შინაურ საქმეებში ავტონომიას, საქართველოს წარმომადგენლობითი კრების არჩევას (ცნობის ფურცელი N2798, 1905: 1-2). 1907 წლის მარტში პეტერბურგში, კავკასიის ავტონომიის საკითხზე მოხდა მწვავე შეხლა-შემოხლა პორუჩიკ კოზლოვსა და ქუთაისის მაზრის წინამძღოლ თავად ნიჟარაძეს შორის (ისარი N49, 1907: 3). თავად-აზნაურებში ბევრი მოიძებნებოდა ავტონომიის მხარდამჭერი და მსგავსი მაგალითების მოყვანაც საკმაოდ შეიძლება.

ქართველი ინტელიგენციის ნაწილისთვის ავტონომია მოიაზრებოდა როგორც ჩაგრული ერების ინტერესების დაცვის საშუალება. არჩილ ჯაჯანაშვილის აზრით, იმპერიალისტურ სახელმწიფოში ეროვნული დეცენტრალიზაცია და ერების აღჭურვა სახელმწიფოებრივი ფუნქციებით თავად იმპერიის მთლიანობისთვის იყო საჭირო. კიტა აბაშიძეც თვლიდა, რომ ეროვნულ ავტონომიას შეეძლო რუსული ბიუროკრატიული დესპოტიზმის, კულტურული და სულიერი მონობისგან დაცვა. ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, ფედერალიზმისა და თვითგამორკვევის პოზიციაზე იდგნენ ზურაბ ავალიშვილიც და გიორგი გვაზავაც (ირემაძე, საბანაძე, ჯგერენაია, 2019: 109-138).

კლასობრივი ბრძოლის იდეით მოღვაწე სოციალ-დემოკრატები ეროვნულ ავტონომიას პროლეტარიატისთვის უსარგებლოდ თვლიდნენ, რადგანაც მას ერთა შორის განხეთქილება შეიძლება გამოეწვია. გაზეთი ,,სოციალდემოკრატი'' წერდა:

“ეროვნული ავტონომია - თავად-აზნაურობის და სამღვდელოების გაძლიერებაა… ეროვნული ავტონომია აგდებს რა განხეთქილებას სხვადასხვა ერთა შორის, ერთმანეთს აშორებს ამ ერთა მუშებს და ასე დაუძლურებულნი ადვილათ საყვლეფი რჩებიან” (სოციალდემოკრატი N2, 1905: 8). 1906 წლიდან მენშევიკებმა კულტურულ ავტონომიაზე გაამახვილეს ყურადღება. მრავალრიცხოვან პარტიაში მრავლად იყო განსხვავებული იდეებიც. პრობლემის რეალურად არსებობის მოცემულობას გვერდს ვერავინ აუვლიდა, რაზეც ავტონომიის საკითხისადმი პარტიული აზრის ევოლუციის სურათიც მეტყველებს. მენშევიკები კავკასიის საოლქო თვითმმართველობას ემხრობოდნენ. მოგვიანებით ცენტრალისტი ბოლშევიკების ბელადებშიც გაჩნდა ეროვნული ავტონომიისადმი თეორიული მხარდაჭერა (ბენდიანიშვილი, 1980: 192-196). თეორიული იმიტომ, რომ ლენინის განმარტებით ეს იყო მხარდაჭერა გამოყოფის უფლებისა და არა თავად გამოყოფისა, მასში არაფერი იგულისხმებოდა გარდა თეორიული უფლებისა (ლენინი, 1951: 598-599).

ლენინი აღიარებდა, რომ რუსულმა შოვინისტურმა ნაციონალიზმმა წაბილწა ერთა თანაცხოვრების საქმე. ამასთან ერთად, მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილების ფონზე მიმდინარე რევოლუციისადმი ხელისუფლების ხისტმა რეაქციამ საქართველოში კიდევ უფრო გაამწვავა ეროვნული საკითხი, რომლის მოგვარების თეორიული ხედვა და პრაქტიკული მისწრაფება ყველა ქართულ პარტიას ჰქონდა. მასში კი ავტონომიის იდეას თავისი ანატომია გააჩნდა.

“ნაციონალურ ენაზე კულტურის შექმნა და ამ ნიადაგზე თავის მერმისის აგება - წინმსვლელობის აუცილებელი გზაა” - ამ პოზიციას იზიარებდნენ ნოე ჟორდანია და აკაკი ჩხენკელი 1908 წელს. ჟორდანიას აზრით, ხალხს სურდა ნაციონალური ყოფა-ცხოვრება და კულტურა, მაგრამ არა პოლიტიკა და ამგვარად აღქმული საზოგადოებრივი პოზიცია მიაჩნდა სოციალ-დემოკრატიის მიერ მოთხოვნილი კულტურული ავტონომიის წინაპირობად (ჟორდანია, 1908: 4-6). ჩხენკელი შენიშნავდა, რომ რაკი ქართველი მშრომელი მასა ინტერნაციონალისტურ სოციალ-დემოკრატიას გაჰყვა, არ ნიშნავს, რომ ის ნაციონალურ მიდრეკილებებს მოკლებული იყო (ხომლი N9, 1908: 3), მეტიც, სოციალ-დემოკრატიას, ფაქტობრივად, ეროვნულ პარტიად თვლიდა, როგორც ქართველი მშრომელების პირმშოსა და მისი სულისკვეთების გამომხატველს (ხომლი N15, 1908: 2-3). ამ სულისკვეთების

საპირწონედ კი კულტურულ ავტონომიას (ხომლი N26, 1908: 2-4). ზოგადად, მას სოციალ-დემოკრატიის ფართო თვითმმართველობა უფრო მეტის გამომხატველად მიაჩნდა, ვიდრე სოციალისტ-ფედერალისტების ავტონომია (ხომლი N21, 1908: 3). საერთოდ კი ისინი ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიაში ეროვნული შუღლის გაზრდის საშიშროებას ხედავდნენ და ამიტომ კატეგორიულად უარყოფდნენ.

ფედერალისტებისთვის ხალხის სოციალური და კულტურული განვითარების საწინდარი იყო ეროვნული პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა, სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალიზმის არსი კი პირიქით: სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისა და ინტერნაციონალური თანამშრომლობის გზას უნდა უზრუნველეყო ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა.

რასაკვირველია, ავტონომისტები არსებობდნენ ბურჟუაზიასა და გლეხებშიც, რომლებიც შესაბამის პარტიებს უჭერდნენ მხარს. თუმცა საზოგადოების პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელ ნაწილში სიტუაცია სხვაგვარად გამოიყურებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე გლეხთა მოძრაობები წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ტიპურ მაგალითს. 1905 წლის რევოლუციაც სოციალური ბრძოლის კარდინალური ასპექტით დაიწყო და ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელს წარმოადგენდა სწორედ კლასობრივი დაპირისპირება, მემამულე თავადაზნაურობის მიერ გლეხთა ექსპლუატაციისა და მკვეთრი სოციალური უთანასწორობის პრობლემები.

ნაციონალური ბრძოლა საზოგადოების ნაწილისთვის ძველ წესწყობილებასთან ასოცირდებოდა. ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა კრიმ-გირეის გურიაში, სოფ. სურების საზოგადოებასთან შეხვედრისას ერთ-ერთი გამომსვლელი, ხალხის მიერ არჩეული მოსაუბრე, თავის სიტყვაში ამბობდა: "ეხლა ჩვენ შესახებ ავრცელებენ ხმებს სალდათებში, გურულების მოძრაობა ეროვნულია, თავისი მეფე უნდათო. სიცრუეა ყველა ეს. ჩვენთვის სულ ერთია რუსი, სომეხი, თათარი. ჩვენ ყველა ქვეყნის მუშებს ძმობას ვუცხადებთ" (ცნობის ფურცელი N2767, 1905: 3).

ნოე ჟორდანია გლეხებში ნაციონალიზმის ნაკლებობას თავადაზნაურობას მიაწერდა, ვინაიდან იგი გლეხის მთავარ ყოფით შემავიწროებლად იქცა, რამაც ნაციონალური ბრძოლისთვის აუცილებელ ერთობას საფუძველი გამოაცალა და იგი

ფეოდალურ ჩარჩოებში დატოვა, ასეთ პირობებში დაბადებული ბურჟუაზია კი ავტომატურად ინტერნაციონალისტია (ჟორდანია, 1908: 24-25). იმ ფონზე, რომ თავადაზნაურობა სწორედ ავტონომიის მხარდამჭერად გამოდიოდა, მასთან უმწვავეს კლასობრივ ბრძოლაში შესულ გლეხობასთან ამ საკითხზე მანიპულირება კიდე უფრო ადვილი ხდებოდა ავტონომიის მთავარი მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებისთვის.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ პარტია თამაშობდა მთავარ როლს მოცემულ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შექმნაში.

როგორც ჩანს, უამისოდაც გაიგივებული იყო ავტონომია და ფეოდალური წესწყობილება. მოკლედ რომ ვთქვათ, იმდენად შორს იყო წასული კლასობრივი დაპირისპირება, რომ ხალხი ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ ისეთ საკითხს, რომელიც როგორღაც უკავშირდებოდა ძველ წესწყობილებას. თავად პარტიის პოზიციაზეც ჰქონდა გავლენა ავტონომიის საკითხის გარშემო არსებულ ისტორიულ კონტექსტს.

ეროვნული საკითხი განსაკუთრებით ეთნიკურად ჭრელ რეგიონებსა და იმ ადგილებში იჩენდა თავს, სადაც იმპერია კოლონისტებს ასახლებდა და კოლონიური პოლიტიკის შოვინისტური მხარეც კარგად ჩანდა. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის რევოლუციური მოძრაობის დახასიათებისას მაზრის უფროსი მიუთითებდა, რომ ქართული დასახლებები მღელვარებდნენ არა მხოლოდ აგრარული, არამედ ნაციონალური ასპექტის გამო. მისი აღნიშვნით, სხვა ეროვნებები ამ მოძრაობაში მხოლოდ მაშინ ებმებოდნენ, როდესაც მათთვის კონკრეტული პრაქტიკული საჭიროება ჩნდებოდა, იგი თავიდანვე ქართული ეროვნული მოძრაობა იყო და ძირითადად, ქართულ სოფლებში მიმდინარეობდა. ამ მოცემულობასვე თვლიდა იგი რეგიონში რევოლუციის არც თუ ისე დიდი წარმატების მიზეზად (ფ. 17, ან. 1, ს. 9614, ფურც. 16).

ისევ და ისევ, ეროვნული ავტონომიის, ზოგადად, ეროვნული სახელმწიფოს იდეისადმი შიში ხალხსა თუ პოლიტიკოსებში, არ მიგვაჩნია ეროვნულ ნიჰილიზმად და ეროვნული ინტერესების უგულებელყოფად.

ქართულ საზოგადოებას არ ჰქონდა მონარქიის გარდა არც ერთი სხვა ტიპის მმართველობის, მით უმეტეს კი დემოკრატიული სახელმწიფოს, გამოცდილება. მე-20 საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური ცხოვრების სადავეები ისევ მემამულეებისა და

ბურჟუაზიის ხელში იყო. ეს პირობები რეალურს ხდიდა მშრომელი ხალხის და მათი ინტერესების დაცვის მოტივით მოქმედი პოლიტიკური პარტიების შიშს, რომ ავტონომია გაბატონებული კლასის პოზიციებს გაამყარებდა, სოციალურად დაწინაურებული ფენებისათვის შედარებით მარტივი იქნებოდა უპირატესობის მოპოვება, რაც კლასობრივი ბრძოლის ფონზე გაღარიბებული უმრავლესობისთვის მისაღები ვერ იქნებოდა.

სწორედ მოწინააღმდეგე კლასის გაბატონების შიში განაპირობებდა ავტონომიისადმი უარყოფით დამოკიდებულებას საზოგადოების ნაწილში და არა თავად ავტონომიის იდეა. ქართველი სოციალ-დემოკრატები კი ამ მოცემულობას არა მხოლოდ იყენებდნენ პოლიტიკური მიზნებისათვის, არამედ რეალურად ისინიც კლასობრივი დაპირისპირების ინტერესებიდან გამომდინარე უფრთხოდნენ ავტონომიას.

ქართველი მენშევიკები სახელმწიფოს მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის საკითხს მომავლის თემად განიხილავდნენ. მაშინ, როდესაც მოსახლეობის მშრომელი უმრავლესობა შეძლებდა ეკონომიკური ცხოვრების ცენტრში დადგომასა და კლასობრივ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვებას. ერთა თვითგამორკვევის უფლებაში შეგვიძლია სწორედ აღნიშნული მიდგომა დავინახოთ, რომელსაც უფრო მეტი შეიძლება მიეცა საქართველოსთვის, ვიდრე ავტონომიას. რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის გადემოკრატიულების რწმენის უტოპიურობა თუ რეალურობა კი ცალკე საკითხია.

### II.6. „სახელმწიფო“ სახელმწიფოში : გურიის რესპუბლიკა

1905 წლის რევოლუციის მსვლელობისას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხშირი იყო რევოლუციური მოძრაობის მიერ ძალაუფლებისა და სიტუაციაზე კონტროლის ხელში აღების შემთხვევები. რევოლუციური ორგანიზაციები ქმნიდნენ დროებით დამოუკიდებელ ერთეულებს, რომლებიც გარკვეულ წესრიგს ამყარებდა კონკრეტულ ტერიტორიაზე. მაგალითად, ამგვარი ე.წ. „რესპუბლიკა“ შეიქმნა ზუგდიდშიც. აღსანიშნავია, რომ მწვავე კლასობრივი ბრძოლის ფონზე მიმდინარე გლეხთა მოძრაობაში, ზუგდიდის შემთხვევაში რევოლუციური მოძრაობის ლიდერებად მოგვევლინნენ თავადები. 1905 წლის 30 მარტს, გლეხთა მოძრაობით

შეშფოთებული თავადაზნაურობის კრებაზე, თავადმა ვასილ ალშიბაიამ თავის სიტყვაში ეს მოძრაობა შეაფასა როგორც შესანიშნავი ისტორიული მოძრაობა უფლებისათვის, დაბეჩავებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელსაც აუცილებლად უნდა მიეღწია მიზნისთვის და აღნიშნა, რომ საჭირო იყო მათ მიერ გლეხების მხარდაჭერა ამ საქმეში. იონა მეუნარგიამ საჭიროდ მიიჩნია დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება, მუშნი დადიანმა კი აღნიშნა, რომ ყველაფრის სათავე იყო ძველი პოლიტიკური და სოციალური წყობილება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც ისინი უნდა შეერთებოდნენ მოძრაობას (ივერია N45, 1905: 4) (ცნობის ფურცელი N2791, 1905: 3). ეს იყო იშვიათ გამონაკლისთაგანი, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ მეფის ხელისუფლება და თავადი ერთ მხარეს იდგა. შემდეგ ამ გამოსვლას ბევრმა თანაგრძნობა გამოუცხადა, მათ შორის თავად-აზნაურებმა. გაზეთ „ცნობის ფურცელში" თანაგრძნობის წერილები იგზავნებოდა თბილისიდან, ევლახიდან, აბასთუმნიდან და ა.შ. ზუგდიდში შეიქმნა რევოლუციური ორგანიზაცია, ირჩევდნენ წარმომადგენლებს, კრეფდნენ გადასახადებს, შეიქმნა სასამართლო. დეკემბრის დასაწყისში, ფაქტობრივად, კონტროლი შეიარაღებული რაზმების ხელში იყო (რევოლუციის მატიანე N3, 1925: 128-129).

განმათავისუფლებელი ბრძოლა ფართოდ გაიშალა შორაპნის მაზრაში, ხელისუფლება აქაც კარგავდა სიტუაციაზე კონტროლს. ბელაგორში (ხარაგაული) მოხდა ასეთი შემთხვევა: ადგილობრივ საბოქაულოში დაპატიმრებული კაცი ძალით გაათავისუფლა 500-მდე ადგილობრივმა. რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგნენ კარპე მოდებაძე, სამუელ ბუაჩიძე და სხვები (ჩვენი გაზეთი N15, 1910: 2). აფრასიონ მერკვილაძის მეთაურობით მოქმედებდა ე.წ. „წითელი რაზმი", რომელიც ხელისუფლების ანტისარევოლუციო „შავი რაზმების" საპირწონედ იქმნებოდა სახალხო მღელვარების კერებში.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები სვანეთში. 1905 წლის აპრილში სოფელ მაზერში შეკრებილმა მიიღეს ფიცი, რომ შეეწყვიტათ ყოველგვარი დამოკიდებულება მთავრობასა და მებატონეებთან. ჩამოყალიბდა დე ფაქტო ხელისუფლება, ხალხი ირჩევდა ასისთავებს და ადგენდა რაზმებს წესრიგისთვის. ამას მხარი დაუჭირეს სხვა სასოფლო საზოგადოებებმაც, ხალხი ორგანიზებულად გაერთიანდა. ოქტომბერში

სოფელ ლატალის სკოლაში გამართულ კრებაზე მიიღეს დადგენილება ადგილობრივი ხელისუფლების ლიკვიდაციისა და განიარაღების საკითხზე. სახალხო რაზმებმა სრული კონტროლი დაამყარეს ადმინისტრაციაზე. 1906 წლის იანვრისთვის რევოლუციონერების ხელში იყო თითქმის მთელი სვანეთი. ამ პროცესებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მასწავლებლები (გაბლიანი, 1927: 127-130). ბალსზემო სვანეთშიც, სადაც ბატონყმობა არ არსებობდა, მიმდინარეობდა რევოლუცია, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. 1905 წლის სექტემბერში ლატალში აირჩიეს კომიტეტი, შეიქმნა ორგანიზაციები, შეიარაღებული რაზმები, ბოიკოტი გამოუცხადეს მთავრობას და აირჩიეს მოხელეები (რევოლუციის მატიანე N3, 1925: 99).

1905 წლის 19 ივლისს შეიკრიბა ზემო რაჭის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა. სახალხო კრებაზე გადაწყდა, რომ უკუეგდოთ ადგილობრივი ადმინისტრაცია და არჩეული ასისთავებისა და ათისთავების მეშვეობით წარემართათ საერთო საქმე. შეწყდა პოლიცია-კანცელარიასთან ურთიერთობა (მოგზაური N29, 1905: 461).

ახალციხეში ნიკო სიხარულიძის თაოსნობით ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, დაიწყო პროპაგანდა არდაჰანშიც, კომიტეტი შეიქმნა აწყურშიც. აგიტატორები იგზავნებოდნენ სოფლებში, ადგილობრივებისგან შეიქმნა სამხედრო შენაერთი. 16 ნოემბერს გაიფიცა ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფი, 20 ნოემბერს სასწავლებლები და სკოლები. მიტინგებზე იკრიბებოდნენ ქალაქის და მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები. მაზრის უფროსი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ფაქტობრივად, კომიტეტს ეკისრა ხელისუფლების როლი, ხალხმა იგი აღიარა მთავრობად და თავიანთი საჭიროებების გასაჟღერებლად სწორედ მას მიმართავდნენ (სცა, ფ. 17, ან. 1, ს. 9614, ფურც. 18-19).

ადმინისტრაციული მმართველობის ხელში აღების გარდა, არსებობდა სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული სახალხო გაერთიანების შემთხვევები, რომელშიც გლეხები საკუთარი წარმოების უნარიანობის გაზრდისა და ურთიერთ დახმარების საკითხებს დამოუკიდებლად უწევდნენ ორგანიზებას. მაგალითად, 1906 წლის იანვარში, თელავის მაზრის სოფელ გულგულაში, ადგილობრივი მემამულის, ივანე კოლელიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა კომუნა - „ერთობა და ძმობა“. გულგულას

კომუნაში, თავდაპირველად, 70 კომლი გაერთიანდა, შემდეგ კი 100-120 კომლამდე გაიზარდა. კომუნის წევრთა კოლექტიური შრომით დამუშავდა ვენახები, მოწესრიგდა საკარმიდამო ნაკვეთები. კომუნის წევრები განიხილავდნენ სამოქმედო გეგმას, მათ შორის კულტურულ და საგანმანათლებლო საკითხებს (კაკაშვილი და სხვა, 2015: 22-34). ფაქტია, რომ ხალხი ყველგან თავისუფლებისკენ ისწრაფოდა და მომენტისთანავე აწყობდა თავის ცხოვრებას, შესაბამისად საერთო სურვილისა.

მსგავსი სიტუაცია იყო თითქმის ყველა კუთხეში, საზოგადოება ხელში იღებდა ძალაუფლებას და თავად ქმნიდა სასურველი ტიპის მმართველობას. ამგვარი მოძრაობა გამორჩეული ორგანიზებითა და თავისებური მახასიათებლებით მიმდინარეობდა გურიაში.

მცირემიწიანობითა და საგადასახადო სისტემით გამოწვეული გაჭირვება იყო ქართველი გლეხების მდგომარეობის საერთო მახასიათებელი. ამ მხრივ გამონაკლისს არც გურია წარმოადგენდა. გლეხი იძულებული იყო იჯარით აეღო მემამულის მიწა და სანაცვლოდ მოსავლის ნაწილი მიეცა. ამასთანავე, გადაეხადა ტყისა და საძოვრის სარგებლობისთვის, შეესრულებინა ბეგარა-ვალდებულებები და სხვა სახელმწიფო გადასახადები.

გურული გლეხების მცირემიწიანობით გამოწვეული სიღარიბე, მსგავსად განსაკუთრებით საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისა, გარე სამუშაოზე წასვლას განაპირობებდა. მე-19 საუკუნის ბოლოდან კი ისინი ძირითადად მახლობელ ქალაქებში, განსაკუთრებით კი ფოთსა და ბათუმში მუშაობდნენ. ამ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურდა ბათუმის, როგორც ბაქოს ნავთობის სატრანსპორტო ფუნქცია, ამან ხელი შეუწყო ქალაქის ინდუსტრიულ განვითარებასა და მუშათა რიცხვის ზრდას. 1883 წელთან შედარებით, ბათუმიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტი 1902 წლისათვის დაახლოებით 24-ჯერ გაიზარდა. ხოლო მოსახლეობა თუ 1878 წლისათვის დაახლოებით 3000 სულს შეადგენდა, 1903 წლისათვის გაათმაგდა. აქედან დაახლოებით მესამედი სხვადასხვა ქარხანაში, რკინიგზის სადგურებსა თუ სახელოსნოებში დასაქმებული მუშა იყო (კარალიძე: 70-71), რომელთა ძირითადი ნაწილი სწორედ მეზობელი რეგიონებიდან საშოვარზე ჩამოსული გლეხები იყვნენ. მუშათა ჭარბი რაოდენობა განაპირობებდა უმუშევრობის დონეს. ზოგჯერ ქალაქში საშოვარზე წასული გლეხი იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. გლეხების

გამოუვალ მდგომარეობას მემამულეები ექსპლუატაციისთვის იყენებდნენ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა უკმაყოფილებას (Каландадзе, Мхеидзе, 1906: 7-9).

ბათუმში მუშები წარმოადგენდნენ რევოლუციური მოძრაობის ბირთვს. 1902 წლიდან გააქტიურებული მუშათა მოძრაობის საპასუხოდ ხელისუფლება ბათუმიდან ასახლებდა რევოლუციურ ელემენტებს. მაგალითად, 1903 წლის დასაწყისში გაასახლეს 400 კაცი (გოგოლიშვილი 2022: 15). მათ შორის დიდი რაოდენობით იყვნენ გურიიდან. რეპრესირებულები უბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებს და ეწეოდნენ რევოლუციურ აგიტაციას. გურიაში მუშური და გლეხური მოძრაობა ერთმანეთს დაუკავშირდა და ამით განისაზღვრა მისი გამორჩეული ხასიათიც, აქ მუშა ამავდროულად იყო გლეხიც.

აღსანიშნავია, რომ მუშების რევოლუციურმა მღელვარებამ ხალხში აამაღლა მათი ავტორიტეტი, როგორც ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლის, „ბათუმელი მუშა" გახდა დაწინაურებული ადამიანის სინონიმი (Уратадзе, 1968: 20). ეს ფაქტი ერთგვარად გამოხატავდა საზოგადოების განწყობას პოლიტიკური რეჟიმისადმი, ძალიან აფასებდნენ იმ ადამიანს, რომელიც თავდაუზოგავად ებრძოდა მმართველობას, გაუსაძლის დღის წესრიგს. ხალხში არსებული რევოლუციური განწყობების გაშლა უფრო დააჩქარა უკმაყოფილო მუშების ანტისახელისუფლებო აგიტაციამ. იტალიელი ისტორიკოსი, დიპლომატი, მოგზაური და გურიაში არსებული სიტუაციის მოწმე ლუიჯი ვილარი თვლიდა, რომ გურული მოძრაობა წარმოიშვა სოციალ-დემოკრატების მტკიცე პროპაგანდის შედეგად, რომელიც შერწყმულია ქართული პრესის მიერ წახალისებულ ხალხის ნაციონალისტურ გრძნობებთან (Villari, 1906: 91-92). რეალურად, პოლიტიკური აგიტაცია საზოგადოებრივი მღელვარების უკვე არსებულ ბაზისს დაემყარა და მასთან ერთად შერწყმით განაგრძო ევოლუცია. გურიაში გლეხური და პროლეტარული შინაარსი ერთმანეთს გადაეჯაჭვა, ისე, როგორც შეერწყა ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალისტური შეხედულებები. ამ მოცემულობამ და რევოლუციის სიმძლავრემ სოციალ-დემოკრატიას თეორიული პრინციპებიდან პრაქტიკულ მოცემულობაზე მორგებისაკენ უბიძგა.

გურიის რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებას უშუალო ნიადაგი მოუმზადა სოციალურმა გარემომ. 1902 წელს სოფელ ნიგოითში მოხდა დაპირისპირება გლეხებსა და მემამულე მაჭუტაძეს შორის. აქვე დაიწყო მოძრაობის პოლიტიკურ კალაპოტში

ორგანიზება. მასწავლებელ გრიგოლ ურატაძის (შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი და ელჩი რუსეთში) კონსულტაციით გლეხებმა წარადგინეს იმგვარი მოთხოვნები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებოდა მიწის მესაკუთრეებს და არ გამოიწვევდა მთავრობის ჩარევას. როგორც ურატაძე აღნიშნავს: „და ეს იმიტომ, რომ მოძრაობა გლეხებს შორის პირველად დაიწყო, ბრძოლის გამოცდილება ჯერ არ ჰქონდათ და იყო საშიშროება, რომ პოლიციის ჩარევის შემთხვევაში მათი წინააღმდეგობა გატყდებოდა და ეს შეუძლებელს გახდიდა ბრძოლის განახლებას მრავალი წლის განმავლობაში" (Уратадзе, 1968: 32-35). ხაზგასასმელია, რომ 700-800-მა გლეხმა ერთგულება და გამარჯვებამდე ბრძოლა შეჰფიცეს ერთმანეთს. ერთსულოვნება და მიზნისადმი პრინციპული ერთგულება მოგვიანებით კიდევ უფრო გამოჩნდა, როდესაც პოლიციამ ამ თავყრილობის გამოძიება და რეპრესიები დაიწყო.

მოძრაობის შინაარსობრივი გარდაქმნის კუთხით აქ კიდევ ერთი საინტერესო დეტალია. ხალხის ისეთ მოთხოვნებზე, როგორიც იყო საიჯარო გადასახადის შემცირება, ე.წ. „დრამის ფულის" და საძოვრის გადასახადის გაუქმება, საზოგადოებრივი საქმის სამართლიანი გადანაწილება, გადაწყვეტილების მიღება მემამულეებს შეეძლოთ, თუმცა მათი ინიციატივით საქმეში ერთვებოდა ხელისუფლება და პოლიცია. ისინი ჩვეულ რეპრესიულ პოლიტიკას მიმართავდნენ. გლეხი კი დარწმუნდა, რომ ხელისუფლება არათუ მის პრობლემას არ მოაგვარებდა, არამედ ცალსახად მემამულეების ინტერესებს ატარებდა. ეკონომიკური პრობლემის მოსაგვარებლად პოლიტიკური ნება გახდა საჭირო, ამიტომ გარდაიქმნა იგი მკაფიოდ პოლიტიკურ, ანტიცარისტულ მოძრაობად. ამას აღნიშნავდა მოძრაობის თანამედროვე ურატაძეც: „რამდენადაც მოძრაობა ძლიერდებოდა, იმდენად კარგავდა იგი ეკონომიკურ ხასიათს და იძენდა პოლიტიკურს" (Уратадзе, 1968: 51).

აქ პროლეტარიატი და გლეხობა თავისებურად გაერთიანდა და ამ თავისებურებებმა ადგილობრივი სახის სოციალიზმის წარმოშობას შეუწყო ხელი. ამასთანავე, რამდენიმე თვიანი არსებობის მანძილზე, გურიის სახალხო ხელისუფლება შეეხო თითქმის ყველა სახელმწიფოებრივ ასპექტს: აგრარულ, საგადასახადო, თავდაცვის, სასამართლო, საგანმანათლებლო და სხვა საკითხის რეფორმირებას. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ჰარმონიული სახალხო მმართველობა,

რომელმაც შექმნა ეფექტური სახელმწიფოებრივი მოდელი. გურიის მოძრაობა ორი ძირითადი მახასიათებლით წარიმართა:

I. სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივი, სახალხო სპეციფიკაზე დაფუძნებული ფორმის ჩამოყალიბებით;

II. მოსახლეობის საუცხოოდ ორგანიზებული ერთიანობით.

1901 წლის მოუსავლიანობის ფონზე გაზრდილ დაბაბულობას, როდესაც გლეხი საიჯარო ქირის გადახდასაც ძლივს ახერხებდა და მემამულეებისგან ვერც ადამიანური შეღავათებით სარგებლობდა, თან დაემთხვა ბათუმის მოვლენები და გაძევებული მუშების დაბრუნება სოფლებში. თუ მათ დაბრუნებამდე სოფლებში იშვიათად მოიძებნებოდა აკრძალული ლიტერატურა, შემდეგ პირიქით, იშვიათი იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდა პროკლამაცია ან მიწისქვეშა ბროშურა (Каландадзе, Мхеидзе, 1906: 11-12). 1903 წლის გაზაფხულზე გლეხთა გაფიცვები მოედო მთელ გურიას. სახალხო მღელვარების პარალელურად მიმდინარეობდა ორგანიზაციული მზადება, სოფელ ხიდისთავში არსებობდა ჯგუფი იასონ მეგრელიძის ხელმძღვანელობით, რომელიც მართავდა საორგანიზაციო თათბირებსა და მრავალრიცხოვან მიტინგებს (ჟღენტი, 1927: 11-12).

სოციალ-დემოკრატიაში მიმდინარე აზრთა სხვადასხვაობა ეხებოდა გლეხების რსდმპ-ში მონაწილეობის საკითხსაც. რუსი მენშევიკები არ ეთანხმებოდნენ ქართველი მენშევიკების პოზიტიურ დამოკიდებულებას გლეხებისადმი და ამ კლასს არ განიხილავდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ქართველები თვლიდნენ, რომ გლეხი ნახევრად პროლეტარი იყო და იგი პასუხობდა რევოლუციურ მოძრაობას. ამ მხრივ მათი შეხედულება უფრო დაუახლოვდა ბოლშევიკებისას, თუმცა მკვეთრად განსხვავდებოდა რევოლუციური სტრატეგიები (Jones, 1989: 418-421). განსხვავებული შეხედულებები არსებობდა ქართული სოციალ-დემოკრატიის შიგნითაც.

გლეხების მოძრაობის მონაწილე გრიგოლ ურატაძე სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერის მიღებას ცდილობდა, ამას ელოდა ხალხიც. ბათუმის ორგანიზაციის წევრი კარლო ჩხეიძე[14] ეწინააღმდეგებოდა გლეხთა მოძრაობის სოციალ-დემოკრატიის

[14] ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იყო ბათუმის სარევოლუციო გამოსვლების ხელმძღვანელი, ეწეოდა აგიტაციას, გამოდიოდა მიტინგებზე, მასთან ერთად მოქმედებდნენ ბათუმის კომიტეტის წევრები: ილია ჯინჭარაძე, ვიქტორ რამიშვილი, მიხეილ სიხარულიძე, არსენ,

იდეოლოგიური დროშის ქვეშ მოქცევას: „ჩვენ მარქსისტები ვართ. მარქსიზმი პროლეტარიატის ფილოსოფიაა. გლეხს, როგორც წვრილ მესაკუთრეს, არ ძალუძს აღიქვას მარქსიზმის იდეოლოგია [...] ჩვენ შეგვიძლია მას მხოლოდ მატერიალური ან სხვა სახის დახმარება გავუწიოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იდეოლოგიური[...]“. მისი აზრით, პარტია ასე უნდა მოქცეულიყო თუ სურდა მარქსიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე დარჩენა. როგორც ურატაძე აღნიშნავს, ჩხეიძის აზრს მიემხრნენ სხვებიც. არც ქუთაისის ორგანიზაციას დაუჭერია გამოკვეთილი პოზიცია. განსხვავებული პოზიცია დაიჭირეს ნოე ჟორდანიამ და სილიბისტრო ჯიბლაძემ. ისინი პირდაპირ ჩაერთნენ მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზების საქმეში. ჟორდანია ამბობდა: „მართალია მარქსიზმი გლეხებს მესაკუთრეებად და წვრილ ბურჟუებად თვლის, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ასეთი პირობები და ჩვენი გლეხები არაფრით განსხვავდებიან ქალაქის მუშებისგან. მაშასადამე, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიმუშაოთ გლეხებში“. როგორც ჯიბლაძე ამბობდა, მიუხედავად თეორიული სხვაობისა, პარტია შორიდან ვერ უყურებდა ასეთი ტემპის მოძრაობას. სოციალ-დემოკრატიაში არ იყო ერთიანი აზრი გლეხების საკითხზე. მღელვარედ მიდიოდა ბათუმის კომიტეტის სხდომა ამ საკითხზე (1903 წ.), თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბათუმის კომიტეტი იღებდა გურიის გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობას, ამ მიზნით შეიქმნებოდა სოფლის მუშაკთა კომიტეტი, რომელშიც შევიდოდნენ გლეხები და მუშათა წარმომადგენლები ბათუმის კომიტეტის დანიშვნით (Уратадзе, 1968: 40-52). ფაქტობრივად, შეიქმნა გურიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, გაფართოებული მოძრაობის ხასიათიდან გამომდინარე ეს უკვე წინააღმდეგობას აღარ იწვევდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ჟორდანიამ და ჯიბლაძემ. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მენშევიკური სოციალ-დემოკრატია მარქსიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოებს გასცდა და მოერგო რეალურ მოცემულობას, რამაც შექმნა სოციალიზმის ქართული შემთხვევის არსი და ამით შემდეგი წარმატების წინაპირობა.

1903 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციული სტრუქტურის მხრივ, თავდაპირველად, გურია დაიყო ხუთ რაიონად, შემდეგ კი ავიდა შვიდამდე. თითოეული რაიონის წარმომადგენელი ქმნიდა ცენტრალურ კომიტეტს, მასთან კი

---

ბენიამინ და ხარიტონ ჟღენტები, მარია ხრუსტალიოვა და სხვები (სცა, ფონდი 94, ანაწერი 1, საქმე 55, ფურცლები 44-45).

არსებობდა პროფესიონალ მომუშავეთა ბიურო, რაიონულ კომიტეტებს შეადგენდნენ რაიონის წარმომადგენელი, ხაზინადარი და ორგანიზატორი. თითოეულ საზოგადოებას ჰყავდა მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობდა მოწყობილ წრეებს, წრეების ათისთავებსა და ასისთავებს (ჟღენტი, 1927: 17-18). 1904 წლის იანვარში შედგა გურიის მშრომელთა მეორე კონფერენცია, რომელმაც ჩამოაყალიბა კომიტეტის პროგრამა და მიზნად დაისახა ხელისუფლებისა და სამღვდელოების სრული ბოიკოტი, უარი გადასახადების გადახდასა და ვალდებულებების შესრულებაზე, ხაზინისა და მემამულეების მიწის დასაკუთრება (Шахназарян, 1906: 48-49). კონფერენციის შემდეგ ორგანიზაციის მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდა, იგი სცდებოდა პარტიულ ფარგლებს და შედიოდა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში (Каландадзе, Мхеидзе, 1906: 31).

ამგვარად, ქართულ სოციალიზმში პრაქტიკულმა მიმართულებამ უფრო იმძლავრა, ვიდრე თეორეტიკულმა. თუ მარქსიზმის თეორია გლეხს რევოლუციურ ძალად არ მოიაზრებდა, გურიაში ჩამოყალიბდა ადგილობრივ მახასიათებლებზე დაფუძნებული სოციალიზმი, რომელიც თანაბარ რევოლუციურ ძალად აერთიანებდა გლეხსა და მუშას.

1905 წლისათვის ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ძალას აღარ წარმოადგენდა. ზოგიერთი მოხელე გარბოდა, ხოლო ვინც რჩებოდა აზვირთებული მოძრაობის წინააღმდეგ რეალური საშუალება არ გააჩნდა. ზოგჯერ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სახალხო შეხვედრებზე დასწრების საშუალებასაც არ აძლევდნენ (კალანდაძე, 1926: 30). ქუთაისის გუბერნიის რაიონული პროკურორის შეფასებით, 1905 წლის თებერვლისთვის სერიოზულ სახეს იღებდა მოძრაობა ზუგდიდსა და შორაპანში, გურია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. მთავრობის წარმომადგენლები და სოფლის მოხელეები აცხადებდნენ, რომ მუშაობის გაგრძელება აღარ შეეძლოთ (Jones, 1989: 424).

რაც შეეხება ხალხის ორგანიზებას, გურიის სასოფლო საზოგადოებების იდენტურმა პრობლემებმა განაპირობა მოსახლეობის დაჯგუფება საერთო საჭიროებების გარშემო, მოძრაობის მასშტაბებიდან და საყოველთაო გამოხმაურებიდან გამომდინარე ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა ხალხის მოსმენა და სიტუაციის ადგილზე გამორკვევა, რისთვისაც 1905 წლის თებერვალში გურიაში

მიავლინეს სულთან კრიმ-გირეი. შეხვედრები ეწყობოდა სასოფლო საზოგადოებებთან, რომლებიც ირჩევდნენ წარმომადგენლებს და ასახელებდნენ მოთხოვნებს. პირველი შეხვედრა გაიმართა სოფელ ბახვში. ისინი მოითხოვდნენ: 1. გადასახადების შემცირებას, მისი აკრეფის შეურაცხმყოფელი მეთოდებისა და მოხელეების თავგასულობის აღმოფხვრას; 2. ე.წ. „დრამის ფულის“ გაუქმებას, რაც წარმოადგენდა მღვდლების მომსახურების საფასურს ყოველგვარ რიტუალზე; 3. ისეთი ვალდებულებების გაუქმებას, რომელიც მხოლოდ ერთეულებს ადგებოდათ, ხალხს კი არავითარ სარგებელს არ აძლევდა; 4. სახელმწიფო ბეგარისა და საზოგადოებრივი საქმის გადანაწილებას ყველაზე, განურჩევლად წოდებისა; 5. ისეთი გადასახადების მოსპობას, რომელიც მხოლოდ გლეხებს ეკისრათ, აგრეთვე, არაპირდაპირი გადასახადების, შემავიწროებელი ბაჟებისა და აქციზების გაუქმებას; 6. მიწის გლეხზე გადაცემას განკარგვის უფლებით და დროებით ვალდებული გლეხების მიწიანად განთავისუფლებას; 7. სიტყვის, კრების, მწერლობისა და გაზეთების თავისუფლებას, პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობას; 8. განათლების ხელმისაწვდომობას („გაუნათლებელი ხალხი სუსტია, შეიძლება ამიტომ სდევნის მთავრობა განათლებას“), საყოველთაო, თანასწორ, სავალდებულო პირველდაწყებით განათლებას; 9. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ადგილზე მოხდას; 10. სამართლიანი, საყოველთაო და თავისუფალი არჩევნების გზით არჩეულ მთავრობას (ცნობის ფურცელი N2755, 1905: 2).

ბახვის გლეხების მოთხოვნები გამოიცა არალეგალურ ბოლშევიკურ გამოცემა „ვპერიოდში“, რომელშიც იგი ბახვის მანიფესტად იწოდა (Вперёд N12, 1905: 2-3). რეალურად ასეთივე მანიფესტი იყო სხვა საზოგადოებებშიც, მსგავსი იყო თორმეტივე სასოფლო საზოგადოების მოთხოვნა, რომელსაც კრიმ-გირეი შეხვდა (ჯამში იყო 25). შემოქმედელი გლეხების მოთხოვნებში იყო თავისუფლად გადაადგილებისა და ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებიც, ასევე მოხელეთა მექრთამეობის პრობლემა და სამართლის არ არსებობა. გარდა იმისა, რომ სასამართლო გაუგებარ ენაზე წარმოებდა, მასში გლეხი სამართალს ვერ პოულობდა (ცნობის ფურცელი N2756, 1905: 2-3). ხალხი ითხოვდა საკანონმდებლო თავისუფლებას: „ის კანონები, რომლებიც ჩვენს მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, შეიმუშაოს ხალხმა“ (ცნობის ფურცელი N2757, 1905: 3). ასევე, სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევებას.

ერკეთის საზოგადოება შეეხო ენის პრობლემასაც, მოითხოვდნენ, რომ სკოლაში სწავლება ყოფილიყო ქართულ ენაზე და არა რუსულზე, რათა ბავშვს რეალურად შეძლებოდა განათლების მიღება (ცნობის ფურცელი N2766, 1905: 2). შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მანიფესტები ასახავდა იმ ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობას გააჩნდა და აერთიანებდა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეროვნულ ასპექტებს. ჰომოგენურმა საჭიროებებმა საზოგადოების კონსოლიდაციას შეუწყო ხელი და ორგანიზების მყარი საფუძველი მისცა.

მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. როგორც ვილარი აღნიშნავს, ყველა ერთხმად თანხმდებოდა რუსული მმართველობის მოშორების აუცილებლობაზე. ამ საკითხში ერთიანი იყო ორი დაპირისპირებული პარტიის, სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების აზრიც (Villari, 1906: 98). თავად მთავრობის მოქმედებაც, ელემენტარული პროტესტის წინააღმდეგ მიმართული მძიმე რეპრესიები, ხელს უწყობდა მოსახლეობაში უარყოფითი განწყობების ზრდას, ხალხისთვის ხელისუფლება იყო მჩაგვრელისა და ექსპლუატატორის დამცველი (Шахназарян, 1906: 37).

მოსახლეობა იმდენად უარყოფითად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ, რომ კრიმ-გირეისთან შეხვედრებისას დასწრების უფლებასაც არ აძლევდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეებს და მათ გაძევებას მოითხოვდნენ. რევოლუცია კიდევ უფრო გამძაფრდა. მის აღმავლობას ხელი შეუწყო გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკის და მისი მოადგილის, ალექსანდრე ყიფშიძის რევოლუციისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ. აგვისტოში, მას შემდეგ, რაც გურიიდან მთავრობის ჯარი გაიწვიეს, გამოცხადდა „გურიის რესპუბლიკის“ შექმნა (ზრეგაძე, 2004: 132-133). გურიას სრულად კომიტეტი აკონტროლებდა, მის ხელში იყო შესასვლელი გზებიც, იმისათვის, რომ გუბერნატორი გურიაში შესულიყო, კომიტეტის ნებართვა გახდა საჭირო (Уратадзе, 1968: 115). 1905 წლის 20 ოქტომბერს სოფელ ნასაკირალთან მოხდა დიდი შეტაკება კაზაკებსა და რევოლუციონერებს შორის, რომელიც ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა (მახარაძე, 2020: 164-168).

ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა დემოკრატიული ხელისუფლება. 18 დეკემბერს, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, ოზურგეთში აირჩიეს თვითმმართველობა, აირჩიეს 20 ხმოსანი და 10 კანდიდატი, ყველა სოციალ-

დემოკრატი (სოციალ-დემოკრატიული ფურცელი N7, 1905: 2). ქალაქის თავად აირჩიეს მიხაკო ახალაძე (ჟღენტი, 1927: 28). თავდაპირველად, ოზურგეთის ხმოსნებს ქალაქის თავობა შეუთავაზებიათ ექიმ პარმენ ჭიჭინაძისთვის, თუმცა უარი მიუღიათ (სოციალ-დემოკრატიული ფურცელი, N9, 1905: 2). კომიტეტის მეთაურად ითვლებოდა ბენიამინ ჩხიკვიშვილი, რომელსაც ხალხში „გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტს“ ან „გურიის მეფეს“ ეძახდნენ. არჩევნების დროს მას მიუღია 958 ხმა და ერთ-ერთ ჩანაწერში მოხსენიებულია, როგორც „დროებითი პარლამენტის პრეზიდენტი“. კომიტეტის წევრებს ჰქონდათ გარკვეული ფუნქციები, ნესტორ ერქომაიშვილი მეთაურობდა „წითელ რაზმს“, ანტონ ლომჯარია ხელმძღვანელობდა ვაჭრობას და ა.შ. (ისარი N20, 1908: 3-4). მხარეში დამყარდა სრული თანასწორობა და თავისუფლება. არსებობდა ორგანიზებული სახალხო მმართველობა, საკითხები განირჩეოდა საერთო კრებებზე, მხარის მართვა ხალხის ხელში გადავიდა, დაიწყო საზოგადოების მოთხოვნებზე დამყარებული ცხოვრების მოწყობა.

ხალხმა შექმნა საკუთარი სახალხო სასამართლო, მასზე გაირჩეოდა სამოქალაქოც და სისხლის დანაშაულებიც. მთელი საზოგადოება თავის ვალდებულებად თვლიდა ეზრუნა კრიმინალის მოგვარებაზე, შედეგად იკლო ყაჩაღობისა და ძარცვის მაჩვენებელმა. დამნაშავეს მოსახლეობა საერთო ბოიკოტს უცხადებდა. გადაწყვეტილება მიიღებოდა საერთო კენჭისყრით, ხმის მიცემის უფლება ჰქონდა ყველას, განურჩევლად სქესისა (Villari, 1906: 93-96). იმხანად ქუთაისის გუბერნატორად მყოფი ვლადიმერ სტაროსელსკი აღნიშნავდა: „დამყარდა სრული წესიერება. ძარცვა და ყაჩაღობა იშვიათ მოვლენად გადაიქცა. არც ერთს დამნაშავეს დამალვა არ შეეძლო. სასამართლოს დადგენილებებმა ყველგან ნდობა მოიხვეჭა და რაც გასაკვირველია, ამ სასამართლოებს თითქმის ყოველთვის მემამულე თავადაზნაურობაც მიმართავდა ხოლმე (სტაროსელსკი, 1928: 21). სასჯელის სახით განსაზღვრული იყო ისეთი დასჯის ზომები, როგორიცაა: შენიშვნა, ჯარიმა, საზოგადოების წინაშე მონანიება, საზოგადოებრივი სამუშაოს ურიგოდ შესრულება, მსუბუქი ბორკილებით მუშაობა, გადასახლება. სიკვდილით დასჯის სასჯელი არსებობდა მხოლოდ ჯაშუშობისა და განსაკუთრებით მძიმე სასჯელის გამეორების შემთხვევებში.

ზოგიერთ საქმეზე ირჩეოდნენ მსაჯულები, თუმცა ხალხს ჰქონდა მათი გადაწყვეტილების გაუქმების უფლება. არსებობდა მედიატორის ინსტიტუტი, საქმეების გამოსაძიებლად ხალხი ქმნიდა კომისიას. საჩივრის აღძვრა შეეძლო ყველას (ცნობის ფურცელი N2911, 1905: 2).[15]

მოსახლეობის თანხმობა და ორგანიზებულობა ქმნიდა გურიის რესპუბლიკის სამართლებრივი ცხოვრების მთავარ საყრდენს. გურიის შემთხვევაში კი შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება წარმოადგენდა ხალხს და ხალხი ხელისუფლებას.

გაუქმდა ყოველგვარი წოდება. სასოფლო საქმეების მოსაგვარებლად იქმნებოდა კომისიები, გზებისა და ხიდების მოსაწესრიგებელ სამუშაოზე გამოდიოდა ყველა წოდება - თავადიც, აზნაურიც და მღვდელიც (ჟღენტი, 1927: 25-26). მიწა, ფაქტობრივად, გლეხის ხელში გადავიდა. ყველა საზოგადოებაში არსებობდა არჩევითი კომისია, რომელიც განაგებდა და ანაწილებდა მიწას, ყველას ეძლეოდა თანაბრად, მათ შორის ყოფილ მემამულეებს. აღნიშნული კომისია გადასახადებს აწესებდა მოსავლის მიხედვით, რომლის აკრეფაც ხდებოდა როგორც ფულადი, ისე ნატურალური სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახს მცირე მოსავალი მოუვიდოდა, რომელიც მის გამოსაკვებად იყო საკმარისი, თავისუფლდებოდა გადასახადისგან. საძოვრები მოექცა ხალხის კონტროლის ქვეშ, დადგინდა ფიქსირებული გადასახადები. ტყის მიზნობრივად გამოყენების მიზნით შეიქმნა კომისია, რომელიც გასცემდა ნებართვას ტყის ჩეხაზე, მდიდრებისთვის დაწესდა გარკვეული გადასახადი, ღარიბები კი უსასყიდლოდ სარგებლობდნენ (Каландадзе, Мхеидзе, 1906: 64-66). იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სოფელი კოლექტიურად ეხმარებოდა გაჭირვებულ ოჯახს სამეურნეო საქმეებში (მოგზაური N26, 1905: 411-412). სასოფლო წრეებში აკრეფილი ფულის ნაწილი ხმარდებოდა სწორედ გაჭირვებულებს.

აღსანიშნავია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით და მათ შორის გურიაში, სამღვდელოების მიმართ უკმაყოფილება პროტესტის ერთ-ერთი მოწინავე საკითხი იყო. ხალხში გამძაფრებულ უკმაყოფილებას მღვდლების მოქმედება განაპირობებდა. რელიგიურ საიდუმლოებებს (ჯვრისწერა, ნათლობა, ზიარება და ა.შ.) სასულიერო პირები გარკვეული გადასახადების სანაცვლოდ ასრულებდნენ, ხალხის

---

[15] ასევე: ცნობის ფურცელი N2767, 11.03.1905. *ხალხური სასამართლო გურიაში*

გამოსვლებიდან ჩანს, რომ ვინც ამ საფასურებს ვერ იხდიდა, ეს ვალად ედებოდა. სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისათვის მღვდლების სასარგებლო გადასახადი, ე.წ. „დრამა ფული“ გარდა იმისა, რომ დამატებით ფინანსურ წნეხს წარმოადგენდა, იწვევდა ადამიანურ პროტესტს. მერკანტილური ინტერესებით მოხელმძღვანელე სასულიერო პირების ავტორიტეტი არათუ მხოლოდ ქვეითდებოდა თავისუფლებისთვის მებრძოლ საზოგადოებაში, არამედ ზრდიდა მათდამი ნიჰილისტურ, ზოგჯერ აგრესიულ დამოკიდებულებას და ნაირგვარ უმსგავსობათა აღმოფხვრის სურვილს.

თავად მოწინავე სასულიერო პირები ეკლესიისადმი ხალხის გულისწყრომისა თუ გაუცხოების მიზეზის ახსნისას არ უარყოფდნენ სამღვდელოების ფინანსურ დამოკიდებულებას მოსახლეობაზე და ამას იმით ხსნიდნენ, რომ უხელფასო სამღვდელოებისათვის თავის რჩენის ერთადერთ საშუალებად მღვდელმსახურების სანაცვლოდ გადასახადის მიღება რჩებოდა. თავად ამ მიზეზს კი რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას უკავშირებდნენ, რომელმაც ქართული ეკლესია ქონების გარეშე დატოვა და ეკლესიიდან ქართული ენის განდევნით მოსახლეობაში გულგრილობა გააღვივა (სცა, ფ. 1458, ან. 1, ს. 173, ფ. 3-4).

ხალხის გულისწყრომას იწვევდა არა რელიგია, არამედ რელიგიურობის მანტიაში გახვეული უწესობა. ეს მთელი საქართველოს მოთხოვნებში გამოჩნდა, ხალხს სურდა ეკლესიის იმგვარი რეფორმაცია, რომ იგი ისევ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო და მისი ცხოვრებით ეცხოვრა.

გაჯავრებული გურულების რეფორმები ამ თემასაც შეეხო. სოფლის ყრილობებმა ზოგიერთ ადგილას შემოიღო სამოქალაქო დაქორწინება, თითქმის ყველგან მოისპო ნადიმები და ქეიფები საეკლესიო დღესასწაულებზე (სტაროსელსკი, 1928: 22).

დიდი ყურადღება ეთმობოდა სწავლა-განათლების საკითხს. ხალხი მოითხოვდა საყოველთაო, სავალდებულო და ხელმისაწვდომ განათლებას მშობლიურ ენაზე. შეიქმნა სასკოლო კომიტეტები, ისინი ზრუნავდნენ სკოლის შენობების კეთილმოწყობასა და პედაგოგების გასამრჯელოს ხარჯთაღრიცხვაზე. მოქმედებდა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით გამართული თბილისის პედაგოგიური ყრილობის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამა (მახარაძე, 2020: 115-117).

გურიის მმართველობა ზრუნავდა თავდაცვასა და უსაფრთხოებაზეც. ფუნქციონირებდა შეიარაღებული ძალა „მოწინავე რაზმი“, იგივე „წითელი რაზმი“. კომიტეტი კრეფდა ე.წ. „თოფის ფულს“, რომელიც შეიარაღებას ხმარდებოდა, მას იხდიდა ყველა, ღარიბებისთვის დაწესებული იყო შედარებით ნაკლები (ჟღენტი, 1927: 17). რაზმთან არსებობდა ტერორისტთა ჯგუფებიც, ხელისუფლებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ. ზოგიერთ სოფელში არსებობდა იარაღის სახელოსნოები, სადაც მიმდინარეობდა შეკეთება, ცდილობდნენ წარმოებასაც (მახარაძე, 2020: 82-83). ხანმოკლე არსებობის განმავლობაში რესპუბლიკის მიერ განხორციელებული რეფორმები იმდენად ვრცელ საკითხებს შეეხო და იმგვარი კონსტრუქციული ორგანიზების შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად შეიძლება ჩაითვალოს.

საჭირბოროტო საკითხების განსახილველად სახალხო შეკრებებს სისტემური სახე ჰქონდა, კრება ადგენდა გამოსვლის რეგლამენტს, სიტყვა ეძლეოდა ყველას. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ დამოწმებულ მასალებსა და ზოგადად, ამ ამბებთან დაკავშირებულ პერიოდიკაში ხაზგასმულია სახალხო კრებებში, არჩევნებსა და ყოველგვარი ორგანიზების პროცესში მამაკაცებისა და ქალების თანასწორი ჩართულობა. მაგალითად, 1903 წელს გამართულ ბათუმის კონფერენციაში სოფელ სუფსას წარმოადგენდნენ ქალები - ბაბი და სოფიო გურგენაძეები. თვითმხილველთა აღწერით, იყო შემთხვევები, როდესაც ცოლები უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე ქმრები (ჟღენტი, 1927: 17-18). 1905 წლის 24 თებერვალს, კრიმ-გირეისთან შეხვედრაზე, ხიდისთავის საზოგადოების მიერ არჩეულ 25 დეპუტატში სამი ქალი იყო (ცნობის ფურცელი, N2757, 1905: 2). ამგვარი სიტუაცია იყო საქართველოს ყველა კუთხეში. გურიის რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობამ აჩვენა ქართული საზოგადოების დემოკრატიული და ტოლერანტული მისწრაფებები, რომელიც გამოჩნდა მაშინვე, როგორც კი ხალხს საკუთარი ცხოვრების მოწყობის საშუალება მიეცა.

მსგავსი ‘რესპუბლიკებისგან’ განსხვავებით გურიამ უფრო დიდხანს იარსება და საორგანიზაციო კუთხითაც მეტის შექმნა მოასწრო, რაშიც უმთავრეს როლს ასრულებდა ხალხის ერთიანობა. ეს იმდენად დიდი მოვლენა იყო, რომ მის აღმავლობასაც და ჩაცხრომასაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქვეყნის ზოგად რევოლუციურ განწყობაზე. ახალქალაქის მაზრის უფროსი თბილისს მოახსენებდა,

რომ რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების პროპორციულად ეცემოდა ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტი, გურიისა და იმერეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ კი სრულად დაწყნარდა (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ. 5360, ფურც. 7).

საქართველოსთვის სრულიად უცხო და უპრეცედენტო იყო დემოკრატიული ტიპის მმართველობა. 1801 წლამდე ქვეყანას ბაგრატიონების დინასტია და აბსოლუტური მონარქი მართავდა. რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ კი არათუ ავტონომია, დაბალი რანგის თანამდებობებზეც კი არ მოიძებნებოდა ეთნიკურად ქართველი. მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობის შემდეგ, მიდგომა ფორმალური დათმობებით შეიცვალა, თუმცა ნიშანდობლივი არაფერი მომხდარა. ამ გამოცდილების ფონზე, გურიის რესპუბლიკაში განხორციელებული დემოკრატიული სოციალიზმი და სახალხო მმართველობა ხაზგასასმელი შინაარსის მოვლენაა.

## II.7. პირველი სახელმწიფო სათათბირო (1906 წელი)

გაძლიერებული რევოლუციის ფონზე იმპერიამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ხალხისთვის ხმის სახელმწიფოებრივ დონეზე გაჟღერების საშუალება ფორმალურად მაინც მიეცა. 1905 წლის 6 აგვისტოს გამოიცა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი, რომლითაც ფუძნდებოდა სახელმწიფო სათათბირო, არჩევითი ორგანო, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო კანონშემოქმედებით საქმიანობაში (Полное собрание..., 1908: 637-638). საქვეყნო მღელვარების დასამშვიდებლად, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას შეემატა 17 ოქტომბრის მანიფესტი. იგი მოსახლეობას ანიჭებდა ისეთ უფლებებს, როგორიცაა: პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვის, შეკრებისა და კავშირის თავისუფლება, უზრუნველყოფდა არჩევნებში ფართო საზოგადოების მონაწილეობას, სათათბიროს სიტყვა სახელდებოდა გადამწყვეტად კანონების დამტკიცებისთვის (იქვე: 754-755). მანიფესტმა აღფრთოვანება გამოიწვია, ხალხი საზეიმო დემონსტრაციებს მართავდა. ეს მოვლენა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხელისუფლებაზე პროლეტარიატის პირველ გამარჯვებად გამოაცხადა (სცა, ფ. 17, ან. 1, საქ. 5295ა, ფურც. 8). მაგრამ ხელისუფლების ნაბიჯს ბევრი უნდობლად უყურებდა, სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა.

გაზეთ მოგზაურის რედაქცია ნიჰილისტურად უყურებდა სახელმწიფო სათათბიროს, რადგან იგი ფორმალურ და უფუნქციო ორგანოდ მიაჩნდა, რომელსაც არ შეეძლო თვითმპყრობელობის შესუსტება. ამასთან ერთად, იგი არ იქმნებოდა საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ცენზი განაპირობებდა, შესაბამისად, ვერ გამოხატავდა მშრომელი ხალხის ნებას (მოგზაური N31, 1905: 489-491). ფილიპე მახარაძეც ოქტომბრის მანიფესტს რუსეთის ავანტიურისტული პოლიტიკის ნაწილად თვლიდა, მისი აზრით, მანიფესტი ფიქციური სამართლებრივი აქტი იქნებოდა და მასში დაპირებული თავისუფლება ქაღალდზე დარჩებოდა მანამ, სანამ საყოველთაო, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების გზით არ აირჩეოდა დამფუძნებელი კრება (მოგზაური N38, 1905: 590-593).

ბოიკოტს უჭერდა მხარს სტალინიც. მისთვის სათათბიროში მონაწილეობა და რევოლუციური ბრძოლა შეუთავსებელი იყო, ვინაიდან მასში მონაწილეობა მეფის სათათბიროს გაძლიერებად და რევოლუციური მუხტის შესუსტებად მიაჩნდა (საითიძე, 2003: 75). ზოგადად, ბოლშევიკები პარტიის სტოკჰოლმის კონფერენციაზე (1906 წელი) მოითხოვდნენ სათათბიროს ბოიკოტს (ჟორდანია, (1953) 1990: 52).

განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ მენშევიკები. გაზეთ ,,სოციალდემოკრატის'' რედაქცია 17 ოქტომბრის მანიფესტს რევოლუციის პირველ გამარჯვებად აღიქვამდა. სათათბიროსთან დაკავშირებით მათი ტაქტიკა შემდეგნაირი იყო: სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ რა დემოკრატიული რესპუბლიკის საშუალებით სოციალიზმის განხორციელებას, იბრძოდნენ მეფობასთან რესპუბლიკისთვის და ბურჟუაზიასთან სოციალიზმისთვის. მეფობასთან, როგორც პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილ ძალასთან ბრძოლა ყველასთვის შესამჩნევი იყო, ბურჟუაზია კი მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს, შესაბამისად, არც მასთან ბრძოლა ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს. სახელმწიფო სათათბირომ კი ბურჟუაზიასაც მიანიჭა ეს უფლებები, შესაბამისად, სახელმწიფო სათათბირო იქნებოდა ასპარეზი პოლიტიკურ კლასად ფორმირებულ ბურჟუაზიასთან პოლიტიკური ბრძოლისათვის. ამდენად, მენშევიკებმა მანიფესტი და სათათბირო მათი მიზნის განხორციელებისა და პროლეტარიატის გათვითცნობიერების იარაღად, მისი ბოიკოტი კი თვითმპყრობელობის ხელშეწყობად მიიჩნიეს და მასში აქტიური მონაწილეობაც გადაწყვიტეს (სოციალდემოკრატი N6, 1905: 1, 4-6).

გაზეთ ივერიის ბანაკი გულგრილად უყურებდა 1905 წლის აგვისტოს ბრძანებით განსაზღვრულ სათათბიროს იმდენად, რამდენადაც იგი უცვლელად ტოვებდა თვითმპყრობელობას, მას არ გააჩნდა საკანონმდებლო უფლებები, არამედ მხოლოდ საკონსულტაციო და არ წარმოადგენდა ფართო საზოგადოებას, ვინაიდან ირჩევდა საზოგადოების შედარებით შეძლებული ნაწილი, ვინც აკმაყოფილებდა ქონებრივ ცენზს (ივერია N139, 1905: 1). 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ კი დამოკიდებულება შეიცვალა და მსგავსად მენშევიკებისა, მანიფესტი ხალხის გამარჯვებად გამოცხადდა, მისი პრაქტიკაში განხორციელება კი საჭიროებად (ივერია N190, 1905: 1).

სოციალისტ-ფედერალისტებმა, თავდაპირველად, ბოიკოტი გამოუცხადეს სათათბიროს იმ მოტივით, რომ მას არ ექნებოდა რეალური ძალა პროგრესისთვის, მხოლოდ ცრუ იმედს მისცემდა საზოგადოებას და გაანელებდა რევოლუციურ ბრძოლას. შეცდომა იქნებოდა ბრძოლის მსგავს ორგანოში გაგრძელება, ვინაიდან რევოლუცია უნდა დასრულებულიყო ხალხის სრული გამარჯვებით და საყოველთაო, თავისუფალ და თანასწორ არჩევნებზე დამყარებული დამფუძნებელი კრების მოწვევით (ცნობის ფურცელი N3023, 1906: 2). თუმცა სოციალისტ-ფედერალისტებმა, მიუხედავად პირვანდელი მკვეთრი დაპირისპირებისა, მალევე შეიცვალეს პოზიცია, სათათბირო პოლიტიკური მოქმედების სტრატეგიად ჩათვალეს და გადაწყვიტეს, რომ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სათათბირო შეიძლებოდა გამოყენებულიყო რევოლუციური ბრძოლის იარაღად (შრომა N1, 1906: 3). არაა გამორიცხული, რომ მათი გადაწყვეტილების ცვლილება დაკავშირებული ყოფილიყო მენშევიკი სოციალ-დემოკრატების (რომლებიც იმხანად უკვე ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ საქართველოში) არჩევნებში სრული აქტიურობით ჩართვასა და წარმოქმნილ გარემოსთან, როდესაც მენშევიკებმა აწიეს წინასაარჩევნო მუხტი და პირველ პოლიტიკურ ბრძოლაში ერთპიროვნული გამარჯვების საშიშროება გაუჩინეს დანარჩენ პარტიებს. მენშევიკებმა თავიდანვე იცოდნენ რას აკეთებდნენ, პრინციპული მიდგომა შედეგებში აისახა.

სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მომხრეთა პოზიცია თეორიული და ტაქტიკური თვალსაზრისით მომგებიანი უნდა ყოფილიყო იმდენად, რამდენადაც ოპოზიციის მხრიდან რეჟიმთან ბრძოლის ყოველგვარი ასპარეზის ათვისება

წარმატების, სულ მცირე პოლიტიკურად გაძლიერების, მეტ პერსპექტივას წარმოშობდა. ამასთანავე, გაზრდიდა მხარდაჭერას ხალხში, რამეთუ ოპოზიციას მისცემდა რევოლუციურ ბრძოლასთან ერთად საკანონმდებლო ასპარეზზე საზოგადოების მოთხოვნების დაცვის, ხალხის ხმის გაჟღერების შესაძლებლობას.

მენშევიკი სოციალ-დემოკრატები აქტიურად ეწეოდნენ წინასაარჩევნო აგიტაციას, ავრცელებდნენ მოწოდებებს, ორგანიზებულად ცდილობდნენ ამომრჩევლის მობილიზებას. ასევე, ხელს უშლიდნენ სხვა პარტიების საარჩევნო კამპანიას. რაც, საბოლოოდ, მათი გამარჯვებით დასრულდა, საქართველოდან ხუთი მანდატი მენშევიკებმა მიიღეს, ერთი სოციალისტ-ფედერალისტების, დემოკრატებისა და რადიკალების ბლოკმა, ერთი კონსტიტუციურ-დემოკრატებმა (რუსეთის პარტია) და ერთი უპარტიო კანდიდატმა (საითიძე, 2003: 79-84).

ქართველი დეპუტატები სათათბიროს გამოსვლებში ძირითადად ორ საკითხს ეხებოდნენ, რეაქციის შედეგად ქვეყნისა და მოსახლეობისათვის მიყენებულ ზიანსა და იმპერიული ხელისუფლების პოლიტიკას. ისიდორე რამიშვილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხალხის მტრებს უწოდებდა და აკრიტიკებდა მათ იმ გულგრილობისა და დანაშაულებისათვის, რასაც მშრომელი ხალხის პროტესტის წინააღმდეგ იჩენდნენ, ხაზს უსვამდა ხალხის მოთხოვნებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების შეუთავსებლობას, კანონისა და სამართალწარმოების არარსებობას. მას მიაჩნდა, რომ ეკლესია წარმოადგენდა პროვოკატორებისა და ხელისუფლების აგენტების ბუდეს, რომელიც არათუ ღმერთს ემსახურებოდა, არამედ ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას. ასევე, იგი აჟღერებდა საქართველოში ხელისუფლების მიერ მოწყობილ დანაშაულებს, ძარცვას, შერჩევით სამართალს და მოსახლეობის მდგომარეობას (Отчеты I, 1906: 1157-1160). ამაზე ამახვილებდა ყურადღებას სოციალ-დემოკრატი სერგი ჯაფარიძეც და ხელისუფლებას ამხელდა ჩადენილ დანაშაულებში (იქვე: 1824).

სოციალ-დემოკრატი ივანე გომართელი ყურადღებას ამახვილებდა გამოხატვისა და ბეჭდვის თავისუფლების მნიშვნელობაზე, პოლიციის მიერ ერთ-ერთი გამოცემის დარბევის შემთხვევის სათათბიროს სხდომაზე განხილვისას იგი აღნიშნავდა, რომ ხელისუფლების მხრიდან მსგავსი შეზღუდვა ხალხის შიშისა და მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი იყო და მისი დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტი (იქვე:

1334-1335). სოციალისტ-ფედერალისტი იოსებ ბარათაშვილი ხაზს უსვამდა ხელისუფლების პოლიტიკისა და ხალხის ნების შეუთავსებლობას და დასძენდა, რომ მათი მოვალეობა უნდა ყოფილიყო ხალხის დაცვა, მღელვარება დაწყნარდებოდა მაშინ, როდესაც ხელისუფლება მიწას მისცემდა ხალხს და გამოხატავდა ხალხის ნებას (იქვე: 1997-1998).

სოციალ-დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ სახალხო კრებების შესახებ კანონპროექტს, რომელიც კრებების იმგვარ დარეგულირებას გულისხმობდა, რომ მისი თარიღი, ადგილი, ზოგადი ხასიათი და ა.შ. პოლიციის სრული კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო და არა საზოგადოების ნებაზე დამოკიდებული. ისიდორე რამიშვილი თვლიდა, რომ კანონპროექტი არ იყო დემოკრატიული, არ გამოხატავდა მშრომელთა ინტერესებს და როგორც მშრომელთა წარმომადგენელი სათათბიროში, ეწინააღმდეგებოდა მას (იქვე: 1525). ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ხალხმა უკვე აჩვენა პოლიტიკური თვითორგანიზების უნარი და ვერ ხედავდა პოლიციის მიერ კრებების მეთვალყურეობისა და მისი ადმინისტრირების საჭიროებას, რეალობას იყო მოკლებული მთავრობის წარმოდგენა იმაზე, რომ ხალხს თვითმმართველობის უნარი არ ჰქონდა და ამგვარი კანონი მხოლოდ შეზღუდავდა თავისუფლების ხარისხს. მან სათათბიროს წარუდგინა პროექტის დემოკრატიული ვარიანტი, რომელიც გულისხმობდა კრების სრულ თავისუფლებას ყველა მოქალაქისათვის და მის წარმართვას სასურველ ენაზე, კრებების თავისუფლების შეზღუდვისთვის თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემასა და კრებების თავისუფლების შემზღუდველი ყველა კანონის გაუქმებას (იქვე: 1530-1531).

ზოგადად, სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარდგენილი დეკლარაცია ნათლად ასახავდა პარტიის მიზნებსა და პოზიციებს. ისინი თვლიდნენ რა თავს მშრომელთა, განსაკუთრებით კი პროლეტარიატის, წარმომადგენლებად, სათათბიროში შექმნეს დამოუკიდებელი ფრაქცია, რომლის მიზანსაც მშრომელთა მოთხოვნების დაცვა წარმოადგენდა. ფრაქცია აცხადებდა, რომ იბრძოლებდა დემოკრატიის, საზოგადოების სრული თავისუფლებისა და თანასწორობისათვის. ისინი დეკლარაციით მოითხოვდნენ მუდმივი ჯარის სახალხო მილიციით შეცვლას, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას (ხელფასის ზრდა, 8-

საათიანი სამუშაო დღე და ა.შ.), გლეხებისთვის მიწის გადაცემას, თანაბარი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეულ ადგილობრივ თვითმმართველობებს. ასევე, ყველა ეროვნების თანასწორობას და თვითგამორკვევის უფლებას. ამ მოთხოვნების შესასრულებლად კი საყოველთაო, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი არჩევნებით არჩეულ დამფუძნებელ კრებას. ამასთანავე, სათათბიროსგან მოითხოვდნენ, რომ ეს უმაღლესი ინსტიტუტი გამხდარიყო ხალხის ინტერესების დამცველი და მფარველი, ქცეულიყო საერთო სახალხო ორგანოდ. გარდა მშრომელთა ინტერესების გატარებისა, ფრაქცია მოვალეობად მიიჩნევდა მშრომელთა ორგანიზებისათვის პოლიტიკურ მხარდაჭერას. ამ პრინციპებს ეყრდნობოდა სათათბიროს კანონშემოქმედებით საქმიანობაში მათი მოღვაწეობა (Отчеты I, 1906: 1403-1405). ფრაქციის პოლიტიკურ ძალას ქართველი დეპუტატები წარმოადგენდნენ, მის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია (ჟორდანია, (1953) 1990: 53).

ნიშანდობლივია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს სრულიად რუსეთის წარმომადგენლად თვლიდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი მხოლოდ საქართველოს სახელით გამოდიოდნენ (საითიძე, 2003: 96-97). ამავდროულად, ფედერალისტ იოსებ ბარათაშვილის გამოსვლებში ჩანდა საქართველოს არა რუსეთთან ერთიან ორგანიზმში აღქმა, არამედ თანაბარი უფლებების მქონე სუბიექტისა, რომელსაც შეეძლო საერთო მიზნებისთვის ერთობლივ ბრძოლაში ჩაბმა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ინტერნაციონალური პოზიციის ფონზე, სოციალ-დემოკრატების გამოსვლები შინაარსობრივად შეიცავდა ისტორიულ-პოლიტიკურთან ერთად, ეროვნულ პრობლემებზე ირიბად აპელირებასაც. მაგალითად, სიმონ წერეთელი მართლმსაჯულების ნაკლოვანებებსა და ტოტალურ უსამართლობაზე მსჯელობისას აღნიშნავდა, რომ საქართველოში სასამართლო გამოძიება წარმოებდა ხალხისთვის სრულიად გაუგებარ ენაზე (Отчеты I, 1906: 1887). ისიდორე რამიშვილი ერთ-ერთი გამოსვლისას საუბრობდა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ იმ შეურაცხყოფასა და უმსგავსობაზე, რომლის ატანაც ადგილობრივებს უწევდათ ხელისუფლების მხრიდან. მისი აღნიშვნით, ლოთმა, გარყვნილმა და მექრთამე მოხელეების მოქმედებებმა ადგილობრივებში განსაზღვრეს რუსისა და რუსეთის ხელისუფლების სახე. იგი საუბრობდა რუსიფიკაციის პოლიტიკაზე, თავშივე იკრძალებოდა ისეთი სკოლების გახსნა, სადაც სრულად არ იქნებოდა აღმოფხვრილი

ქართული თუ სხვა ადგილობრივი ენები; კავკასიაში ასახლებდნენ რუსებს. ყოველივე ეს აძლიერებდა სეპარატიზმს, დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებას (იქვე: 1237-1238). მაგრამ რამიშვილი თვლიდა, რომ საერთო სოციალურ მდგომარეობაში მყოფი, ჩაგრული ერები, მშრომელები, საერთო ნიადაგზე ერთიანდებოდნენ, ინტერნაციონალური ინტერესებით იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ოპოზიციური პარტიები სათათბიროშიც საერთო ინტერესებით იყვნენ ბუნებრივად გაერთიანებული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ცხოვრებაში კი ყველას სხვადასხვა გზა ჰქონდა (იქვე: 1525).

ამ პოზიციაში გარკვეულწილად ჩანდა პარტიის ტაქტიკური თვალთახედვით განპირობებული ინტერნაციონალური მიდგომები. გამარჯვებისთვის ბრძოლის ეტაპზე საერთაშორისო ერთიანობის მხარდაჭერა ერთა საერთო მიზნის მიღწევისათვის წარმატებას უფრო რეალურს ხდიდა. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალ-დემოკრატებისთვის ეს არ იყო ერების საერთო ბრძოლაში მეტად თუ ნაკლებად დაცალკევების ეტაპი და თუნდაც თვითგამორკვევის ბუნდოვან უფლებას ჯერდებოდნენ, სრული თავისუფლებისა და დემოკრატიის დამყარების იმედით, რასაც ეს საკითხი თავისთავად სამართლიანად უნდა გადაეწყვიტა.

ინტერნაციონალური პოზიცია ეჭირათ სხვა სოციალ-დემოკრატებსაც. მაგალითად, ივანე გომართელი კავკასიის ავტონომიას საჭიროდ არ მიიჩნევდა და მხარს უჭერდა თავისუფალი რუსეთის ერთიანობას (საითიძე, 2003: 99-100).

1906 წელს პეტერბურგში, დავით სარაჯიშვილის ინიციატივით, გაიმართა არაფორმალური შეხვედრა, რომელსაც პირველი სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, ალექსანდრე ცაგარელი და ილია ჭავჭავაძე ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი საქართველოს ავტონომიის თემის გარკვევა იყო. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ინიციატივას ჟორდანია და რამიშვილი დადებითად შეხვდნენ და თავად შეხვედრამაც კონსტრუქციულად ჩაიარა. შეხვედრის მონაწილე მალაქია ბოლქვაძე იგონებს, რომ ავტონომიაზე საუბრისას ისიდორე რამიშვილმა თქვა: „ჩვენ ახლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი...“. გამართული საუბარი ბევრი რამის მთქმელი აღმოჩნდა, როგორც ჭავჭავაძეს აღუნიშნავს, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერებთან შეიძლებოდა მოლაპარაკება, განსხვავებით სხვა ფანატიკოსებისგან და ისიც სიახლე

იყო, რომ შეიძლება სათათბიროში ქართველ დეპუტატებს საქართველოს ავტონომიისთვის არ ებრძოლათ, მაგრამ არც მის წინააღმდეგ წავიდოდნენ (ბოლქვაძე, 1908: 125-130). ილია ჭავჭავაძის შთაბეჭდილებით, ნაციონალური გრძნობა იმდენად ღრმად იყო ჩანერგილი, რომ ავტონომიის უარყოფა თავის მოტყუებას ჰგავდა. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს შეფასება ყველა მენშევიკის აზროვნებას არ გამოხატავდა, ქართული სოციალ-დემოკრატიის შინაარსის განმსაზღვრელ ხელმძღვანელებში ავტონომიის უკუგდებას უფრო ტაქტიკური ხასიათი ჰქონდა, მათთვის წარმოუდგენელი იყო გარკვეული პრობლემების მოგვარების გარეშე დღის წესრიგში დამდგარიყო ავტონომიის მოთხოვნის საკითხი.

სათათბირო 1906 წლის ზაფხულში ისე დაითხოვეს, რომ მას ქვეყნის დღის წესრიგზე ხელშესახები გავლენა არ მოუხდენია. სათათბიროს შემოღების რეალურ მოტივთან დაკავშირებით მოგვიანებით სავსებით გამართლდა ფილიპე მახარაძის შეხედულება, რომ იგი თავად ხელისუფლებისთვის იყო ტაქტიკური სვლა რევოლუციური მუხტის გასანეიტრალებლად, რასაც მეფის პოლიტიკის პრაქტიკულად სასტიკად რეაქციული და თეორიულად დემოკრატიული მიდგომების კონტრასტი ცხადყოფდა.

### II.8. მეორე სახელმწიფო სათათბირო (1906)

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წინ ბოლშევიკებმა პოზიცია შეიცვალეს და ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმართულება მონაწილეობდა არჩევნებში. მაგრამ თუ მენშევიკები თვლიდნენ, რომ სათათბირო რევოლუციის გაძლიერებით შეშინებულმა ხელისუფლებამ ხალხის წარმომადგენლების მოსასმენად შექმნა და მას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევოლუციის გასაძლიერებლად, ბოლშევიკებს იგი კვლავ ფიქციად და თვალის ასახვევ ნაბიჯად მიაჩნდათ, რისი გამოყენებაც პრაქტიკულად მხოლოდ აგიტაციისთვის შეიძლებოდა (საყვირი N3, 1907: 2). უფრო მეტიც, მოგვიანებით ბოლშევიკებმა პირვანდელი ბოიკოტი შეცდომადაც შეაფასეს, ლენინმა მას უწოდა „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“. ამჯერად, ბოლშევიკებმაც ჩათვალეს, რომ არჩევნების გამოყენება შესაძლებელი იყო მათი პოზიციების გასამაგრებლად მუშებსა და გლეხებში. მაგრამ ორივე ფრთის არჩევნებში

მონაწილეობის გადაწყვეტილება არ ნიშნავდა სოციალ-დემოკრატიის ერთიანობას. ამ ეტაპზე უთანხმოების საფუძველი არჩევნების დროს სხვა პარტიებთან შეთანხმების საკითხი იყო, თუ მენშევიკები შესაძლოდ თვლიდნენ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებთან (კადეტებთან) შეთანხმებას, ბოლშევიკები კატეგორიულად უარყოფდნენ (რევოლუციის მატიანე N2, 1929: 35-36).

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტ-ფედერალისტებში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ჩანდა სათათბიროსთან დაკავშირებით, პარტია თავიდანვე აქტიურად ჩაება არჩევნებში. პარტიაში გაჩნდა აზრი, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის ძალთა კონსოლიდაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელსაყრელი იქნებოდა სოციალ-დემოკრატებთან საარჩევნო ბლოკი (მეგობარი N11, 1906: 1). არც ისინი ცნობდნენ სათათბიროს სრულფასოვან ორგანოდ, მაგრამ შეიძლებოდა მისი გამოყენება ბრძოლის იარაღად. ფედერალისტების პროგრამის მიხედვით, საბოლოო პოლიტიკურ მიზანს კლასიკურად წარმოადგენდა დამფუძნებელი კრება, ხალხის კანონმდებლობა და თვითმმართველობა. სოციალურ საკითხში პარტია მხარს უჭერდა მიწის გადაცემას მშრომელი ხალხის ხელში, საერთო სარგებლობისათვის და ფართო კანონმდებლობას მუშების უფლებების დასაცავად, რვა-საათიან სამუშაო დღეს, მინიმალური ანაზღაურების, შრომისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფას (მეგობარი N57, 1906: 1-2).

თუ სოციალ-დემოკრატების პროგრამა წინ ეკონომიკურ საჭიროებებს აყენებდა, რომელიც მიწაზე საზოგადოებრივი მეურნეობების ჩამოყალიბებას გულისხმობდა, ხოლო პოლიტიკურ ნაწილში ფართო თვითმმართველობას, სოციალისტ-ფედერალისტების წინასაარჩევნო პროგრამა ტრადიციულად ითხოვდა საქართველოს ავტონომიას ფედერაციულად მოწყობილ რუსეთში.

არჩევნებში ჩაებნენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც. ისინიც სხვა პარტიების პოზიციაზე იდგნენ იმ მხრივ, რომ სათათბიროს არასრულფასოვან ინსტიტუტად თვლიდნენ, სადაც ნამდვილი ნაყოფიერი მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ მასში ხედავდნენ იარაღს საყოველთაო, სამართლიან და თანასწორ არჩევნებზე დამყარებული დამფუძნებელი კრების მოსაწვევად პოლიტიკური ბრძოლისათვის.

ამ გზაზე პარტიის პროგრამის პოლიტიკური ნაწილი გულისხმობდა ხალხის ფართო თვითმმართველობას, ერთა შორის ფედერაციულ კავშირსა და

თვითგამორკვევის უფლების აუცილებლობას, ადამიანისა და მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიას. სოციალურ ნაწილში პარტია ამომრჩეველს ჰპირდებოდა ბრძოლას მუშათა უფლებების დასაცავად. რაც შეეხება მიწას, აქ ისინი მიზნად ისახავდნენ კერძო საკუთრების აღმოფხვრას და მიწის სოციალიზაციას. მიწები უნდა გადასულიყო დემოკრატიულად არჩეული სახალხო თვითმმართველობების მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო საზოგადო სახელმწიფო მნიშვნელობის მიწები დაექვემდებარებოდა ნაციონალიზაციას (მეგობარი N71, 1906: 2).

მეორე სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა, კონკრეტულად კი მენშევიკებმა, სრული გამარჯვება მოიპოვეს. ქუთაისის გუბერნიაში აირჩიეს გერასიმე მახარაძე, ირაკლი წერეთელი და ჭოლა (ზიკენტი) ლომთათიძე (ისარი N28, 1907: 1-2). ქალაქ თბილისიდან არშაკ ზურაბიანცი (ზურაბოვი), თბილისის გუბერნიიდან კი არჩილ ჯაფარიძე, ნიკოლოზ კაციაშვილი და სევერიან ჯუღელი (ისარი N31, 1907: 2), შვიდივე მენშევიკი.

ქართველი დეპუტატების გამოსვლები ორ ძირითად შინაარსობრივ მიმართულებად შეგვიძლია დავყოთ, ესენია: უმთავრესად სოციალური და პოლიტიკური.

პოლიტიკურ ნაწილში ქართველი სოციალ-დემოკრატები ორ ძირითად მიზანს ატარებდნენ, ხელისუფლების დისკრედიტაციასა და ხალხის ნების გაჟღერებას საკანონმდებლო ასპარეზზე. ამასთან, მათი პოლიტიკური ბრძოლა კიდევ უფრო უშუალო და მკაფიო გახდა, რასაც დიდწილად ირაკლი წერეთლის აქტიურობა და დახვეწილი დიპლომატიური შესაძლებლობები განაპირობებდნენ.

პოლიტიკურ საკითხში ირაკლი წერეთელს მკვეთრად ანტისახელისუფლებო პოზიცია ეჭირა. იგი აღნიშნავდა, რომ ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ, გლეხებისა და ზოგადად, მშრომელების ინტერესების უკუგდებამ გააძლიერა უკმაყოფილება ხალხში. საზოგადოების პრივილეგირებული ფენის კეთილდღეობის ფონზე ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ეკონომიკურმა გაჭირვებამ, სოციალურმა უთანასწორობამ და უსამართლობამ, რომელშიც ხელისუფლება ცალსახად მის საყრდენ მემამულეთა მხარეს იჭერდა, გააფართოვა რევოლუციური განწყობები, მთავრობისგან მიტოვებულმა ხალხმა დაიწყო ბრძოლა, რასაც

ხელისუფლებამ ნაცვლად პრობლემის მოგვარებისა, სასტიკი რეპრესიებით უპასუხა. სწორედ ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად შექმნილი დღის წესრიგი უბიძგებდა მათ თავისი ინტერესების დაცვისკენ. წერეთელი ხალხის მსახურად, მათი პოლიტიკური სურვილის აღმსრულებლად თვლიდა თავს, სათათბიროს კი საამისო ასპარეზად. ვინაიდან ხელისუფლება არ ემორჩილებოდა ხალხს, არამედ მხოლოდ ძალას, იგი პოლიტიკოსთა მიზნად სწორედ საზოგადოებრივი ძალის გაერთიანებას ხედავდა, ხალხთან ერთიანობით კი საკანონმდებლო ხელისუფლება შეძლებდა აღმასრულებლის დამორჩილებას (Отчеты II, 1907: 120-129). ეს იყო სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მიზანი სათათბიროში, რომელიც გამოხატავდა ზოგადად მემარცხენეთა ხედვასაც, მემარჯვენეები კი უარყოფითად ხვდებოდნენ ხელისუფლების მამხილებელ დეტალებს, რასაც ნათლად მოწმობს სტენოგრაფიულ ჩანაწერში მითითებული დეპუტატთა რეაქცია და შეძახილები. ხელისუფლების ინტერესების პირდაპირ თუ ირიბ წარმომადგენლებს ნექტარივით მოხვდათ მარტივი განმარტებით წარმოჩენილი რთული სიმართლე.

იმავეს იმეორებდა არჩილ ჯაფარიძეც, არჩევნებში ხალხმა მთავრობისადმი სრული უნდობლობა გამოხატა, თვითონ კი როგორც ხალხის წარმომადგენელი, სოციალ-დემოკრატების სახელით მოითხოვდა ხალხის ნება გარდაქმნილიყო კანონად და მას დამორჩილებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება (იქვე: 156-157).

ჩვენთვის საინტერესო პოზიციები გამოიკვეთა ოზურგეთის მაზრაში სადამსჯელო რაზმის მოქმედებების, ბაქოში მიმდინარე გაფიცვისა და მსგავსად პრობლემატური საკითხების განხილვისას. არჩილ ჯაფარიძე მოუწოდებდა სათათბიროს, რომ ეს საკითხები საჩქაროდ განეხილათ. მართალია დუმას არ შეეძლო სადამსჯელო რაზმის გამოყვანა გადაეწყვიტა, მაგრამ ხალხის წარმომადგენლები ჩუმად არ უნდა შეხვედროდნენ ხელისუფლების პირდაპირ ძალადობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, „მაშინაც კი, თუ ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ჯალათის ხელი არ გაჩერდება, ჩვენი მოვალეობაა, როგორც ხალხის წარმომადგენლებმა, ვთქვათ ჩვენი სიტყვა, როცა ჯალათის ხელი აღიმართება მსხვერპლზე“ (იქვე: 1549-1550). პოზიციურად იგივე აზრზე იყო გერასიმე მახარაძეც. ბაქოში მიმდინარე მღელვარების გამომწვევ მიზეზებში, მათ შორის ეთნიკურ დაპირისპირებებში, მახარაძე ხელისუფლებას სდებდა ბრალს და მისი მცდარი პოლიტიკის ნაწილად განიხილავდა.

ამასთანავე, დეპუტატებს მოუწოდებდა, რომ როგორც არჩეულ წარმომადგენლებს, ყველაფერი უნდა ეღონათ, რათა თავიდან აერიდებინათ კიდევ ერთი კატასტროფა და რეპრესიები (იქვე: 1565-1570).

წერეთელი ტრიბუნის მაქსიმალურად გამოყენებას განაგრძობდა ხელისუფლების მხილებისა და ხალხის მდგომარეობის დაცვისათვის. იგი განიხილავდა ლანჩხუთში სადამსჯელო რაზმების მოქმედებებს, ძალადობის, ძარცვა-გლეჯის ფაქტებს, ქუთაისის გუბერნიაში გენერალ-გუბერნატორ ალიხანოვის სადამსჯელო ექსპედიციის სავალალო შედეგებს, მის სისასტიკეს, კიდევ ერთი კატასტროფის თავიდან ასარიდებლად კი მოითხოვდა ლანჩხუთში შეყვანილი სადამსჯელო რაზმის საკითხზე სასწრაფო წესით განხილვას (Отчеты II, 1907: 1578-1581).

ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის მოტივით ხელმძღვანელობდა ჭოლა ლომთათიძეც. ის აკრიტიკებდა მთავრობას და აღნიშნავდა, რომ რევოლუცია და თავად რევოლუციის გამომწვევი სიღარიბე მთავრობის პოლიტიკის შედეგი იყო. მოჰყავდა მაგალითები საქართველოდან, სადაც მიუხედავად ნაყოფიერი მიწებისა, გლეხები შიმშილობდნენ და ცდილობდა მათ დასახმარებლად გამოეყენებინა სათათბიროს ტრიბუნა (იქვე: 236-238). მან ქუთაისის გუბერნატორს მოსთხოვა გურიის სოფლებიდან საეგზეკუციოდ ჩაყენებული ჯარის გაყვანა (ისარი N31, 1907: 3). ლომთათიძე რომ საკუთარ თავს სათათბიროში ხალხის ნების გამომხატველად თვლიდა იქიდანაც ჩანს, რომ პეტერბურგში წასვლამდე იგი სამეგრელოში ჩავიდა, გლეხებთან შეხვედრები გამართა, მოისმინა მათი სიტყვა, ისაუბრა და მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრა სათათბიროში (წინ N11, 1907: 3).

სოციალური მიმართულებით ოპოზიციისა და ზოგადად, მეორე სათათბიროს დღის წესრიგში იდგა აგრარული და უმუშევართა დახმარების საკითხი. წერეთლის აზრით, სანამ სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა არ მოერგებოდა გაჭირვებაში მყოფი ხალხის საჭიროებებს, ეს საკითხი ვერ მოგვარდებოდა. როდესაც ხალხს გადაეცემოდა მიწა, მაშინ შეიქმნებოდა წარმოება და შიდა ბაზარი. რუსეთის საპირისპირო მიდგომებმა მოსახლეობა შიმშილამდე მიიყვანა. სოციალ-დემოკრატების აგრარული პრობლემის გადაჭრის ხუთი პუნქტი მდგომარეობდა შემდეგში: 1. გლეხებისთვის მიწის საკუთრების განკარგვისას ყოველგვარი

შეზღუდვის აღმოფხვრა. ვინაიდან გლეხთა მცირე საკუთრების გარდა, დარჩებოდა მიწის საკუთრების სხვა ფორმები (ქალაქის, სააგარაკო და სოფლის მიწები), მიწის განკარგვისას თანაბარი შეზღუდვების დამყარება ყველასთვის, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე; 2. ეკლესია-მონასტრებისა და იმპერატორის საკუთრებაში არსებული მიწების ადგილობრივ თვითმმართველობებზე გადაცემა, გამოსასყიდის გარეშე. სახელმწიფო მიწების დაუსახლებელი ნაწილის დემოკრატიული ხელისუფლების განკარგულებაში დარჩენა, გადასახლებულთათვის მიწის ფონდის შესაქმნელად; 3. კონფისკაციას დაქვემდებარებული მიწების ფართობის განსაზღვრა საყოველთაო, თანაბარი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ; 4. იმავე თვითმმართველობებს უნდა გადაეწყვიტათ საკითხი, თუ როგორ გამოიყენებდა მოსახლეობა საჯარო საკუთრებაში გადასულ მიწებს; 5. ყველა მოქალაქის უფლების გათანაბრება და ძველი წოდებების გაუქმება, გადასახლებისა და ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის, შესაბამისად მიწის განკარგვასა და გამოყენების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობის უფლება (Отчеты II, 1907: 723-730).

მეორე მოწვევამაც პირველის ბედი გაიზიარა. ორივე სახელმწიფო სათათბირო ხელისუფლების ერთგვარი ექსპერიმენტი გამოდგა. ერთი მხრივ, თითქოს დემოკრატიული ცვლილებებისა და მეორე მხრივ, სასტიკი რეაქციის გაგრძელების ფონზე თავიდანვე ცხადად ჩანდა, რომ სათათბიროს მოწვევის გადაწყვეტილება რევოლუციის განელების მიზნით გადადგმული ტაქტიკური ნაბიჯი იყო. მისი ფორმალური ხასიათი პრაქტიკაშიც ნათლად გამოჩნდა. მწვავე ოპოზიციური აზრის საკანონმდებლო ტრიბუნაზე გამოტანა, რომლის საკვანძო დეტალებსაც ოპოზიციური პრესა გულმოდგინედ ავრცელებდა, თვითმპყრობელობას ძვალივით გაეჩხირა ყელში. გარდა სათათბიროების დათხოვნისა, დაიწყო პოლიტიკური დევნა და რეპრესიები. იგი მთავრობისთვის ინსტრუმენტად იქცა, განსაკუთრებით საშიში ოპონენტების იდენტიფიცირებისათვის. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სათათბიროს არჩევამდე ყველაზე რეალური მოლოდინები ბოლშევიკებს აღმოაჩნდათ.

## II.9. მესამე სათათბირო (1907-1912 წწ.) : ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი ინტერნაციონალისტები

### II.9.1. არჩევნები

სათათბირო ხელისუფლებამ ისევ თვითმპყრობელობის გასაძლიერებლად გამოიყენა. კერძოდ, წარმატებული სვლის შემდეგ, რაც ოპოზიციის ძირითადი ნაწილის პოლიტიკური ბრძოლის სახალხო რევოლუციური ასპარეზიდან ფსევდოსაკანონმდებლო სივრცეში გადატანაში მდგომარეობდა, განელდა ორგანიზებული რევოლუციური პროცესები, გაადვილდა პოლიტიკური ლიდერების დაჭერისა და განეიტრალების საკითხი. ამასთანავე, პირველ ორ სათათბიროში ოპოზიციის აქტიურობის ფონზე, მეფემ მასში ოპოზიციის მაქსიმალურად შემცირება გადაწყვიტა.

გაზეთ "ისრის" რედაქცია წერდა: „მთავრობა ვერ მოითმენდა ისეთ სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც მის ძირითად კანონებს იწუნებს, ხოლო თითონ პარლამენტარიზმისკენ მიისწრაფვის; ის ვერ მოითმენდა, რომ სათათბირო აგრარულ საკითხში გლეხობას უჭერდა მხარს და ჰგმობდა მთავრობის იმ პროექტს, რომელსაც სახეში უფრო თავად-აზნაურობის ინტერესები ჰქონდა" (ისარი N120, 1907: 1).

აღნიშნული კი 1907 წლის 3 ივნისის იმპერატორის მანიფესტით მეორე სათათბიროს დათხოვნასა და ახალ საარჩევნო კანონში გამოიხატა (Полное собрание..., 1910: 319-336). კანონით უფრო შეიზღუდა მუშებისა და გლეხების არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა, კავკასიიდან აირჩეოდა ათი დეპუტატი, კავკასიის რუსი მაცხოვრებლები ცალკე ირჩევდნენ ერთ წარმომადგენელს. ამ უკანასკნელი დეტალის ფუნქციური დატვირთვა კარგად გამოჩნდა, როდესაც ამ მანდატზე არჩეულმა თ. ტიმოშკინმა დაპირება გასცა, რომ უმთავრეს ყურადღებას კავკასიაში „რუსულ საქმეს მიაქცევდა", ეცდებოდა სასურველად მოეწყო კავკასიის კოლონიზაციის საქმე, კავკასიაში გადმოსახლებული რუსების გამრავლებისათვის ხელი შეეწყო და უზრუნველეყო მათი დასახლება ნაყოფიერ მიწებზე, რომლებსაც ე.წ. „ინოროდცები" იჩემებენო (ისარი N226, 1907: 2).

მშრომელი ხალხის წარმომადგენლობის მინიმუმამდე დაყვანამ მესამე სათათბირო უფრო ფორმალურ ინსტიტუტად აქცია, ვიდრე ისედაც ფორმალური წინა ორი. ამდენად, ის მიზეზები, რის გამოც ხელისუფლებამ სათათბიროს მოწვევა

გადაწყვიტა (რევოლუციის აღმავლობა და ხალხში პოლიტიკური პარტიების აქტიურობა), შემდლო სათათბიროს საშუალებითვე დროებით აღმოეფხვრა.

გაზეთი „ცისკარი“ აღნიშნავდა, რომ მესამე სათათბირო მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რადგან მანდატების უმრავლესობა სწორედ ამ კლასების წარმომადგენლებს ეჭირათ, მიუხედავად იმისა, რომ მუშები და გლეხები შეადგენდნენ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. სახელმწიფო სათათბირო, რომელიც თეორიულად ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო უნდა ყოფილიყო, მესამე მოწვევის შემთხვევაში, პრაქტიკულად, მთავრობის მხარდამჭერებით სავსე ორგანოს წარმოადგენდა. რედაქცია ამ მოცემულობაში იმ საფრთხეს ხედავდა, რომ ვითომდა ხალხის წარმომადგენლობის მხარდაჭერით ხელისუფლება ჩვეულ საქმიანობას გააგრძელებდა, რაც ამ ინსტიტუტისადმი ნდობასა და საჭიროების აღქმას გააქრობდა (ცისკარი N6, 1907: 1-2).

მაგრამ ხსენებული ნაბიჯები არ იყო გათვლილი შორეულ პერსპექტივაზე იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური მღელვარების ძირითად მიზეზს ხალხის პრობლემები წარმოადგენდა და არა ოპოზიცია. როგორც რაჟდენ არსენიძე მესამე სათათბიროსთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ამასთანავე თუ წინეთ მთავრობა თავის თავს ხალხის მომხრეთ სახავდა და თავის უმოქმედობას დუმის შეურიგებელ დეპუტატებს აბრალებდა, ახლა ის ასეთ ოპოზიციისგან განთავისუფლებულია და შეუძლია მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი გამოიყენოს... სწორეთ ახლა თამამად ითქმის მაზე: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“. ეს საქმით გამოჩენა კი მხოლოთ განმათავისუფლებელ მოძრაობას შემატებს ახალ ძალებს და არა ბიუროკრატიას. ამნაირათ მესამე დუმაც, თავის უნებურათ, ახალ რუსეთის ძალთა ზრდას შეუწყობს ხელს“ (ცისკარი N7, 1907: 2-3). ამგვარი აზრით, იგი არ იყო მთლად უსარგებლო რამ, არამედ იქნებოდა თვითმპყრობელობის მავნებლობის კიდევ ერთი ილუსტრატორი და ისევ განმათავისუფლებელი მოძრაობის წისქვილზე დაასხამდა წყალს.

ტრადიციულად არაერთგვაროვანი იყო დამოკიდებულება მესამე სათათბიროსადმი, აზრთა სხვადასხვაობა კანონის შინაარსმა კიდევ უფრო გააღრმავა. სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაში აზრი ორად გაიყო, საბოლოოდ, გაიმარჯვა ბოიკოტის მომხრეთა პოზიციამ (ისარი N137, 1907: 3). სოციალ-

ფედერალისტები თავიდანვე გულგრილად უყურებდნენ მესამე სათათბიროს და არც არჩევნებში მიუღიათ მონაწილეობა. ჩვეული ენთუზიაზმით ისევ სოციალ-დემოკრატები აგრძელებდნენ ბრძოლას.

პირველი და მეორე სათათბიროს ბედმა მისდამი ყურადღება გაანელა საზოგადოებაში. თავდაპირველად, იმის იმედი გაჩნდა, რომ ხალხის პრობლემები იმპერიის საკანონმდებლო ცხოვრებაში რაღაც მხრივ პოვებდა ასახვას. მაგრამ მალევე გამოიკვეთა სათათბიროს პირწმინდად ფორმალური ხასიათი, რომელსაც არ შეეძლო საზოგადოების პრობლემების გადაჭრა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. ზემოთ აღნიშნულმა მდგომარეობამ გავლენა იქონია საარჩევნო აქტივობაზე. მთელ საქართველოში დუნედ მიმდინარეობდა არჩევნები. მრავლად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც უქმდებოდა ყრილობები ამომრჩეველთა ტოტალური გამოუცხადებლობის მიზეზით, ზოგიერთ საარჩევნო უბნებზე არ გამოცხადებულა კომისიის თავმჯდომარეც კი (საითიძე, 2003: 184-185). ამ საქმეში თავისი როლი ჰქონდა მთავრობასაც, გარკვეულ შემთხვევაში არჩევნები ჩატარდა ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის შეუტყობინებლად (ჩვენი გზა N25, 1907: 3). ბოიკოტის რეჟიმში მყოფი პარტიებიც გულგრილად უყურებდნენ არჩევნებს, რამაც თავისი გავლენა იქონია პროცესზე. სათათბირო დარჩა მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად. ამასთანავე, საქართველოში სოციალ-დემოკრატიის ენთუზიაზმით, გავლენითა და ორგანიზებულობით, ეს ინსტრუმენტიც მხოლოდ მათ ხელში იყო მოქცეული. სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მესამე სახელმწიფო სათათბიროს.

მოცემულ პერიოდში რუსეთში მოქმედებდა ე.წ. „პროგრესისტთა“ მოძრაობა, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს აერთიანებდა. მესამე სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატიას სწორედ პროგრესისტთა ბლოკი უწევდა კონკურენციას. თბილისის გუბერნიიდან სოციალ-დემოკრატ ნიკოლოზ ჩხეიძესა და პროგრესისტ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს შორის გაიმართა არჩევნები. ამომრჩეველთა სათათბირო კრებაზე, რომელსაც უნდა აერჩია ერთ-ერთი, შედგა დისკუსია კანდიდატებს შორის.

ანდრონიკაშვილი აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატების ტაქტიკას და ფიქრობდა, რომ მათ ვერ გამოიყენეს მეორე სათათბიროს დემოკრატიული

შემადგენლობა, უფრო მეტიც, იგი ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატების ზედმეტი აგიტაცია გახდა მთავრობის მიერ სათათბიროს დაშლის მიზეზი. მისი შეხედულებით, წარგზავნილ კანდიდატს უნდა შეძლებოდა სხვებთან ერთად საქმის კეთება, ძლიერი ოპოზიციის შესადგენად და სათათბიროში მთავრობის საყრდენის დასარღვევად. ჩხეიძე კი თვლიდა, რომ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა საკანონმდებლო დაწესებულებას და კანონს, თუ იგი არ აღსრულდებოდა პრაქტიკაში. რადგან კანონის შემქმნელი და განმახორციელებელი უმთავრესი ძალა - ხალხია, რომელსაც იმხანად არ ჰქონდა სათანადო პოლიტიკური სიმწიფე, სოციალ-დემოკრატებმა უპირველეს მიზნად დაისახეს ხალხის გათვითცნობიერებასა და სათათბიროს გარშემო ორგანიზება. ასევე, პროლეტარიატისა და გაღატაკებული გლეხების ინტერესების დაცვა სხვა კლასების ინტერესების წინაშე (ჩვენი გზა N34, 1907: 1-2). ამომრჩევლებმა თბილისის გუბერნიის დეპუტატად ნიკოლოზ ჩხეიძე აირჩიეს. ასევე სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი ქუთაისის გუბერნიიდან, ხოლო ბათუმიდან და სოხუმიდან დამოუკიდებელი კანდიდატი, გენერალი პროკოფი შერვაშიძე.

რსდმპ თბილისისა და ფოთის კომიტეტების არჩევნების შემდგომ პროკლამაციებში ნათლად იყო გადმოცემული პარტიის, ასე ვთქვათ, ის პროგრამა მინიმუმი, რაც კიდევ უფრო შეკვეცილი ოპოზიციური პოტენციალის მქონე მესამე სათათბიროში შეიძლება მიღწეულიყო. პარტია მიზნად ისახავდა მშრომელი ხალხის პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებას და თვლიდა, რომ სათათბიროს ტრიბუნის გამოყენება ხელისუფლებისა და თვითმპყრობელობის გადადგმული ნაბიჯების გასაკრიტიკებლად, ხელს შეუწყობდა პოლიტიკურად გამოწრთობილი ელემენტების ჩართვას ხელახალ რევოლუციაში, პროგრესული ცვლილებების განსახორციელებლად. პარტია პრინციპულ მზადყოფნას აცხადებდა ყველა საშუალებით დაეცვა პოლიტიკური უფლებები და სახალხო ინტერესები სათათბიროში (საითიძე, 2003: 193).

**II.9.2. სათათბიროში**

ქართველი დეპუტატების მეტად საინტერესო დამოკიდებულებები გამოჩნდა მესამე სათათბიროში, რომლებიც რამდენიმე მიმართულებით მსჯელობის საშუალებას იძლევა. საქართველოს წარმომადგენლების გამოსვლებში შეგვიძლია გამოვყოთ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული ასპექტები.

პოლიტიკური ბრძოლის გვერდით, ზეპარტიულ დღის წესრიგში იდგა ზოგადი ქართული პრობლემატიკა.

სოციალ-დემოკრატები ხელიდან არ უშვებდნენ ხელისუფლების კრიტიკის შესაძლებლობას. ბევრ კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისასაც კი, რომელიც შეიძლება არ ყოფილიყო მეფის პოლიტიკის მანკიერებებთან უშუალოდ დაკავშირებული, ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ აქცენტი გაეკეთებინათ თვითმპყრობელობის უარყოფით ხასიათზე, რის გამოც თავმჯდომარე ხშირად მოუწოდებდა, დაბრუნებოდნენ განსახილველ საკითხებს. შერვაშიძის გამოსვლები კი, ძირითადად, კავკასიასთან დაკავშირებული თემებით შემოიფარგლებოდა.

სოციალ-დემოკრატები კრიჭაში უდგებოდნენ ხელისუფლებას. მათი შენიშვნა, რომ მთავრობა რეალურ გარდაქმნებს თავს არიდებდა და არა ხალხისთვის, არამედ ავტოკრატიისთვის სასარგებლო რეფორმებს მიმართავდა, მემარჯვენეებს სიმშვიდეს ურღვევდა (Отчеты IV, 1908: 3785-3786).

გეგეჭკორის ხაზგასმა გაბატონებული კლასის მიერ იმ დასკვნამდე მისვლაზე, რომ რევოლუცია არა ხალხის გაჭირვების, არამედ ოპოზიციის აგიტაციის შედეგი იყო, ავტოკრატიის ახალი სუსტი წერტილის მხილებას ჰგავდა (Отчеты V, 1908: 315-323). მენშევიკების დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ რიტორიკაში, ჩანდა კლასიკური პოპულისტური აქცენტები. სტოლიპინის რეფორმები შეძლებულ გლეხებს, ე.წ. კულაკებს უქმნიდა უპირატეს პირობებს. ამას შენიშნავდა გეგეჭკორიც, რომ რეფორმის მეშვეობით ხელისუფლება ძლიერ გლეხებში დასაყრდენის გაჩენას იმედოვნებდა. ფაქტობრივად, ხელისუფლება რეალობას გაურბოდა. მათი შიშები იმდენად დაშორდა რეალობას, რომ ყველა პრობლემა ოპოზიციას მიაწერა, რაც ავტორიტარიზმისთვის უჩვეულო არაა. ამ შემთხვევაში მთავრობა ადაპტირდა არა იმდენად რეალურ გამოწვევებთან, რასაც ხალხის მღელვარების მიზეზების მოგვარება შეეძლო, არამედ თვითმპყრობელობის გამოწვევებთან და აგრარულ საკითხთან მიდგომა შეიცვალა ისე, რომ იგი მეტად კონტროლირებადი გამხდარიყო.

კავკასიაზე თამამ გამოსვლაში ჩხეიძე მიმართავდა ხელისუფლებას, რომ რევოლუციური ძალების შებოჭვა მხოლოდ დროებით შედეგს გამოიღებდა. ამასთანავე, ჩაგვრის წინააღმდეგ და თავისუფლებისთვის მომხდარი რევოლუციის სეპარატიზმად აღქმა ტოტალიტარიზმის მორიგ შეცდომად ჩათვალა.

ნიშანდობლივია, რომ იგი მკვეთრად უარყოფდა სეპარატიზმს. უფრო მეტიც, შორეულ, ასე ვთქვათ სოციალ-დემოკრატიულ იდეალისტურ პერსპექტივაში, სეპარატიზმის ადგილს ვერ ხედავდა და დამშვიდებული და კულტურული კავკასია განთავისუფლებული რუსეთის საამაყო ნაწილადაც წარმოედგინა (Отчеты VI, 1909: 72-80). მის გამოსვლაში კრიტიკა ეხებოდა ქართველ თავადებსაც, ვინაიდან იმპერიამ სწორედ ქართველ და სომეხ დიდგვაროვნებში იპოვა ადგილობრივი დასაყრდენი და თავისი მიზნების განმახორციელებლებად აქცია ისინი (იქვე: 86).

ჩხეიძის შეხედულებით, კავკასიაში სეპარატიზმის გაღვივებას თავად ხელისუფლება ცდილობდა: კავკასიელები მანამდე არ დაწყნარდებოდნენ, სანამ არ მიაღწევდნენ იმ უფლებრივ მდგომარეობას, რომელიც საშუალებას მისცემდა ემუშავათ თავისი ეროვნებისა და მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის (იქვე: 95-96).

მკვეთრ და მკაფიო პოლიტიკურ გზავნილებს შეიცავდა პროკოფი შერვაშიძის სიტყვაც. იგი აღნიშნავდა, რომ საქართველო ნებაყოფლობით დაუახლოვდა რუსეთს, მაგრამ პირვანდელი იმედები არ გამართლდა, ასი წლის შემდეგ ქართველები თავს მოტყუებულად, ეკონომიკურად გაღატაკებულად და პოლიტიკურად გაცურებულად გრძნობდნენ (იქვე: 96-98).

ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ სათათბიროში წარმოდგენილი პოლიტიკური ფორმულა ამგვარად ჩამოყალიბდა: ყველა ერის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა თავისუფალ რუსეთში (იქვე: 1115-1121). მათთვის რუსეთის სიდიადე გულისხმობდა თითოეული ერის თანაბარ სიდიადეს, ხელისუფლებას კი მუხლი უნდა მოეყარა ერის თავისუფლების უმაღლესი იდეალის წინაშე. შესაბამისად, ორივე დეპუტატი აქტიურად დაუპირისპირდა ფინეთის ფართო თვითმმართველობის შემზღუდავ კანონპროექტს და რუსული თვითმპყრობელური პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკით ცდილობდნენ თავისუფლებით დამფრთხალი მემარჯვენეებისთვის დისკომფორტის შექმნას (Отчеты X, 1910: 1959-1982, 2221-2233).

სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება ტრადიციულ იდეოლოგიურ ხაზს მიჰყვებოდა. 1905 წლის რევოლუციის ხმა სოციალ-დემოკრატების პირით ვრცელდებოდა სათათბიროში. ჩხეიძისა და გეგეჭკორის მოთხოვნებს შორის იყო: გლეხებისთვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემა, წოდებებისა და ყოველგვარი ცენზის გაუქმება, მემამულეების, ეკლესიისა და ხაზინის მიწების საზოგადოებისთვის

გადაცემა, გადასახადების დაწესება შემოსავლებისა და მოსავლიანობის მიხედვით, მიწაზე გადასახადის განსაზღვრის უფლების ადგილობრივ თვითმმართველობებზე მიკუთვნება და ა.შ. საზოგადოდ, თვითმმართველობების არსებობა მეტად ზუსტად უპასუხებდა ერთმანეთისგან კლიმატით, მოსავლით, სახეობებით და ა.შ. განსხვავებული პროვინციების განსხვავებულ საჭიროებებს (Отчеты III, 1908: 656-658, 1920-1922) (Отчеты V, 1908: 321-324).

საზოგადოების გაუნათლებლობა, როგორც 'თავდაცვითი' იარაღი ავტოკრატიის ხელში და პირველი მტერი დემოკრატიისა, ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას წარმოადგენდა და მრავალმხრივ აფერხებდა განვითარებას. გეგეჭკორი აქაც, ცხადად, აქცენტირებდა განათლების სისტემის პოლიტიკურ ჩრდილზე: ფეოდალების ინტერესების გამომხატველი ხელისუფლება ხალხის გაუნათლებლობას მისი მიზნებისთვის იყენებდა. შესაბამისად, არც განათლების გავრცელებას ისახავდა მიზნად. ეს კი მაშინ, როდესაც წარმოების ზრდამ გააჩინა მოთხოვნები ცალკეულ პროფესიებზე, წარმოიქმნა სკოლების გამრავლების საჭიროება. დემოკრატიულ პერსპექტივაში საგანმანათლებლო სივრცე უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობის თავისუფალი განვითარების ადგილი (Отчеты VII, 1909: 2377-2390).

პროხალხური სტრატეგია მოიცავდა პიროვნების ხელშეუხებლობის პრობლემასაც. საკითხის განხილვისას, გეგეჭკორი და ჩხეიძე პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვის აუცილებლობასაც დემოკრატიული მოტივებით ასაბუთებდნენ, რამდენადაც ამ ღირებულებას უნდა შეექმნა პოლიტიკური თავისუფლებისა და სამოქალაქო განვითარების წინაპირობა (Отчеты IX, 1910: 1880-1895, 2074-2079).

არახალია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ეროვნული საკითხი წინა პლანზე არ იდგა და მათში მძლავრობდა ინტერნაციონალური პოზიციები. მესამე სათათბიროს წევრის, პავლე მილიუკოვის შთაბეჭდილებით, ქართველი დეპუტატები თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ნაწილად თვლიდნენ, დიდი სახელმწიფო ერთეულების ფრაგმენტაცია მცირე ეროვნულ სახელმწიფოებად სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგობას იწვევდა და ისინი რუს სოციალ-დემოკრატებთან ერთად ესწრაფოდნენ ერთი სოციალისტური სამშობლოს ჩამოყალიბებას (Милюков, 1991: 291). ორივე დეპუტატი რომ თავს სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის

წარმომადგენლად თვლიდა, ეს სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან კარგად ჩანს. მაგრამ მესამე სათათბიროში მოღვაწეობისას ორივე ქართველი მენშევიკი პირდაპირ თუ ირიბად წარმოადგენდა და იცავდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს, რაც სამ საკითხში გამოვლინდა.

პირველი, ეს იყო ქართული ენის პრობლემა სკოლაში. ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი სწავლებას, თუ ადგილობრივ სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე წარიმართებოდა. ამავდროულად, დაუფარავად და გაბედულად აგრძელებდა საუბარს რუსიფიკატორული პოლიტიკის ისეთ გამოვლინებებზე, როგორიცაა ბიუროკრატების მცდელობა, შეექმნათ მეგრული ანბანი და შეეტანათ იგი სკოლებში, მაშინ, როდესაც მეგრელები ჩვეულებრივი ქართველები არიან, წერენ და ლოცულობენ ქართულად. იმ ფონზე, როცა თავად ქართული ენა იდევნებოდა, მსგავსი მიდგომა მეტს არაფერს უნდა მომსახურებოდა, ვიდრე ერის გახლეჩა-გაუცხოების საქმეს. ამიტომ ასკვნიდა იგი, რომ რუსეთის სასკოლო პოლიტიკა იყო კავკასიაში რუსიფიკაციის ინსტრუმენტი (Отчеты VII, 1909: 2518-2529).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობის რეზოლუცია აღიარებდა ერების მიერ მშობლიური ენის შეუზღუდავად გამოყენების, მშობლიურ ენაზე განათლებისა და ენის დაცვის აუცილებლობას. ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ამას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა და შესაბამისად პოზიციონირებდნენ.

მეორეა ქართული ეკლესიის მდგომარეობა და ეგზარქოსის პოლიტიკა, რასაც ორივე სოციალ-დემოკრატი ენერგიულად დაუპირისპირდა. ისინი იმავე დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ რუსეთმა ეკლესიაც პოლიტიკური მიზნების განხორციელების ინსტრუმენტად გადააქცია. ის პარადოქსი, რომელშიც საეგზარქოსო, ერთი მხრივ, ადგილობრივებს არწმუნებდა მის რელიგიურობაში, მეორე მხრივ კი, აიძულებდა გაუგებარ რუსულ ენაზე ლოცვას, ჩხეიძეს მეტი არაფრის თქმის საშუალებას აძლევდა, თუ არა იმისა, რომ ეს მიდგომა მიზნად ისახავდა არა სარწმუნოებაში განმტკიცებას, არამედ რუსულის გავრცელებას. აქ მთავარი იყო ენის პროპაგანდა, საკუთრის დავიწყება და რუსეთის შეყვარება. რწმენის გაძლიერება გაუგებარ ენაზე ლოცვით ვერ მოხერხდებოდა. ამგვარი პოლიტიკა კი იღებდა შესაბამის რეაქციას (იქვე: 2518-2529). თემის ირგვლივ მღელვარება იმ ხარისხშიც ავიდა, რომ ჩხეიძემ მონარქისტი და

შავრაზმელი დეპუტატის, პურიშკევიჩის საპასუხოდ მიანიშნა: ქართველებმა ქრისტიანობა მაშინ მიიღეს, როდესაც მისი წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენ. ხოლო სინოდი კრძალავდა ქართულ ენას, რომელზეც მრავალი წიგნი გადათარგმნილა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნიდან (Отчеты VIII, 1909: 1388-1389). მსგავს ფაქტებზე გაჩუმება შეუძლებლად წარმოედგინა გეგეჭკორსაც. იგი გმობდა რუსეთის მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უკანონო შეზღუდვას, მისდამი გამოხატულ დამცირებას, მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვის ფაქტს, ეროვნული განძის დატაცებასა და ეკლესიების ძარცვას. ტრიბუნიდან აცხადებდა, რომ ძირძველ ქართულ ეკლესიას ჰქონდა ყველა ის ღირსება, რომელიც ეროვნული ეკლესიის არსს წარმოადგენს. მისივე გაზიარებული შეხედულებით, ქართული ეკლესიისთვის ისეთი ზიანი არ მიუყენებია ჩინგიზ ხანს, შაჰ აბასს თუ სხვა პირსისხლიან დამპყრობლებს, როგორც ამას რუსეთი აკეთებდა, რომელიც სდევნიდა და ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ ქართულს. ასევე, გმობდა ეკლესიიდან ქართული ენის განდევნის, ეროვნული სასულიერო პირებისა და ავტოკეფალისტების დევნის ფაქტებს, რომელსაც მემარჯვენეები სეპარატისტებს უწოდებდნენ. გეგეჭკორი ამგვარ მოცემულობას რწმენასთან ერთად ეროვნულ შეურაცხყოფად თვლიდა და სათათბიროს ტრიბუნიდან აქტიურად საუბრობდა რუსეთის სინოდის ანტიეროვნული, პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად ქცეული მოღვაწეობის მაგალითებზე (Отчеты XI, 1912: 116-124).

მესამე და პრობლემურთან ერთად, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დაგეგმილი ჩანაფიქრი, რაც ქართველ დეპუტატებს არ გამორჩენიათ, კოლონიზაციის თემაა. მორიგი გამოსვლის დროს ჩხეიძე საუბრობდა კოლონიზაციის პოლიტიკაზე და აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაცია კავკასიაში სხვა ერების ჩამოსახლებით მიზნად ისახავდა ისედაც მრავალეთნიკური რეგიონის აჭრელებასა და ძმათამკვლელი ომისთვის საფუძვლის მომზადებას. ამასთანავე, მიუთითებდა, რომ კავკასია იქამდე არ დაწყნარდებოდა, სანამ არ მიეცემოდა თავისი ეროვნებისა და მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მუშაობის საშუალება. გეგეჭკორი ფაქტებს იშველიებდა, აღნიშნავდა საქართველოში რუსული ელემენტის მიზანმიმართულ მომატებას და მოჰყავდა სტატისტიკური მაჩვენებლები იმისა, რომ საკვანძო სამსახურებსა და დაწესებულებებში ძირითადი ადგილები და განსაკუთრებით წამყვანი პოზიციები

სწორედ რუსებს ეჭირათ. დასკვნა კი ერთი იყო: მიმდინარეობდა კავკასიის მიზანმიმართული კოლონიზაცია და ეთნიკური აჭრელება (Отчеты VI, 1909: 72-119).

სოციალ-დემოკრატების გამოსვლებში ჩვენ ვხედავთ ენის, კულტურული ფასეულობების, რელიგიის, სასამართლოს, ეროვნული თანასწორობისა და, ასე ვთქვათ, ზოგადი ქართული ეროვნული ინტერესების დაცვისკენ მიმართულ იდეებს. უფრო მეტიც, უმაღლესი პოლიტიკური ტრიბუნის აღნიშნული მიზნებისთვის გამოყენების არაერთ ნათელ ფაქტს. მეფის არმიის მაღალჩინოსანი შერვაშიძეც, ფაქტობრივად, მემარჯვენე, ატარებდა ეროვნული შინაარსის აქცენტებს თავის თითზე ჩამოსათვლელ გამოსვლებში.

ინტერნაციონალიზმის ალმურში მყოფი სოციალ-დემოკრატების ეროვნულ გამოვლინებებს, ცხადია, თავისი ლოგიკური მიზეზები გააჩნდა.

ქართული პოლიტიკური პარტიები აღმოცენდნენ საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც, ერთი მხრივ, უმრავლესობას შეადგენდა, მეორე მხრივ კი, ყველაზე მეტად საჭიროებდა ინტერესების დაცვისთვის პოლიტიკურ მხარდაჭერას. ამან, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური პარტიების მოტივები განსაზღვრა, ისინი ორგანულ, ხალხის ინტერესების თანმხვედრ მიმდინარეობებად აქცია.

ქართველი დეპუტატები თავს ჭეშმარიტად ხალხის წარმომადგენლებად თვლიდნენ და სათათბირო ტრიბუნასაც უყურებდნენ, როგორც საზოგადოების საჭიროებების გახმოვანებისა და ინტერესების დაცვის ინსტრუმენტს. ვინაიდან ყველაზე დიდი მხარდაჭერით სოციალ-დემოკრატები სარგებლობდნენ, ეს შესაძლებლობა უპირატესად სწორედ მათ მიეცათ. თუმცა საარჩევნო სისტემის ცენზობრივი წესის გამო, რომელიც განსაკუთრებით მკაცრი და შევიწროებული სახით მესამე სათათბიროს არჩევნებისას დაკანონდა და მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს აძლევდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, სოციალ-დემოკრატებს ხშირად აყვედრიდნენ ხალხის წარმომადგენლობაზე პრეტენზიის ქონას.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები, მართლაც იქცნენ მოსახლეობის ინტერესების ერთადერთ დამცველებად პოლიტიკურ არენაზე, ვისაც შეეძლო მინიმუმ ხმამაღლა გაეჟღერებინა ხალხის გასაჭირი. ეს თავად ხალხისთვისაც ასე იყო, რევოლუციური ბრძოლის მინელების პარალელურად გაიზარდა სათათბიროს ქართველ დეპუტატებთან

პრობლემების მოსაგვარებლად ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობისთვის მიმართვის შემთხვევები.

1909 წლის 23 ოქტომბერს გორის მაზრის გლეხებმა დეპუტატ ჩხეიძეს გაუგზავნეს დეპეშა და დახმარება სთხოვეს მემამულე გიგო სავანელის შევიწროებისგან დასახსნელად, რომელიც შეიარაღებული დარაჯების მეშვეობით აიძულებდა გლეხებს სანადელო მიწის ფულის გადახდას (სახალხო გაზეთი N10, 1909: 4). სოფელ ჭოტორისა და ქალაქ სიღნაღის მემამულეთაგან შევიწროებული მოქალაქეები მთავრობასთან შუამდგომლობის თხოვნით მიმართავდნენ კარლო ჩხეიძეს, რათა გადასცემოდათ სახაზინო მიწები (მომავალი N13, 1909: 3). თავის მხრივ დეპუტატები აქტიურად ცდილობდნენ შუამდგომლობებზე მოქმედებას. მაგალითად, სოფელ დეისისა და ჩილის მაცხოვრებლებმა, რომელთაც თავადი ამილახვარი გუბერნატორის დადგენილების თანახმად 58 ათას მანეთს ახდევინებდა, დახმარებისთვის მიმართეს გეგეჭკორს. ამ უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკთან. შუამდგომლობა ნამესტნიკმა დააკმაყოფილა, გუბერნატორის დადგენილება გააუქმა და გლეხები ამ გადასახადისგან გაათავისუფლა. ასევე, გეგეჭკორს რამდენიმე დეპეშა მიუღია გურიის სხვადასხვა კუთხიდან, რომლითაც გლეხები მას შუამდგომლობას სთხოვდნენ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან გასული წლების „დრამა ფულის“ ანუ მღვდლის გადასახადის აკრეფის შეჩერების თაობაზე. კორესპონდენციიდან ვიგებთ, რომ გეგეჭკორს ამ თემაზე მოლაპარაკება დაუწყია გენერალ-გუბერნატორთან (მომავალი N25, 1909: 3). დეპუტატების მხრიდან დახმარების მცდელობა ზრდიდა მათ ავტორიტეტს. ევგენი გეგეჭკორს, როგორც „ხალხისა და მთავრობათა დაწესებულებების შორის შუამავალ პირს“, დახმარებას სთხოვდნენ სოხუმის ოლქის მაცხოვრებლებიც, ისინი წუხდნენ მთავრობის მიერ ადგილობრივების დევნისა და იქ რუსების ჩასახლების გამო, გეგეჭკორს კი სთხოვდნენ, რომ შევიწროებისა და უსამართლობის აღნიშნული შემთხვევა ეცნობებინა უმაღლესი მთავრობისათვის (ფონი N16, 1909: 2). ასევე, სახაზინო ტერიტორიებიდან გაძევებული ოჩამჩირელი გლეხები თხოვნის წერილს უგზავნიდნენ დეპუტატ პროკოფი შერვაშიძეს (სახალხო გაზეთი N14, 1909: 4).

ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში მრავლადაა მსგავსი ცნობები. თუ 1905-1906 წლებში მთავრობისგან შევიწროებული გლეხები საკუთარი ძალებით ცდილობდნენ მსგავსი პრობლემების გადაჭრას, რეაქციის შემდეგ პერიოდში სახალხო ტრიბუნის ფუნქცია სათათბიროს დეპუტატებმა მიიღეს. ხალხის წარმომადგენელი და მშრომელთა ინტერესების დამცველის პრეტენზიის მქონე დეპუტატები კი, ნათელია, ცდილობდნენ მათ ხელთ არსებული რესურსები გამოეყენებინათ პრობლემების გადასაჭრელად. ამასთან ერთად კი შეხებოდნენ ყველა იმ საზოგადოებრივ გამოწვევას, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ მკაფიოდ წარმოაჩინა, რომელმაც დაადასტურა, რომ ყოფით გამოწვევებთან ერთად არსებობდა ეროვნული პრობლემებიც. ხალხი ითხოვდა განათლების მიღების შესაძლებლობას მშობლიურ ენაზე, ადგილობრივ სასამართლოს და თვითმმართველობას ასევე მშობლიურ, გასაგებ ენაზე, ეწინააღმდეგებოდა კოლონიზაციას და უცხო ტომელების ჩამოსახლებას, ეკლესიის რუსიფიკაციას, ქართულად ღვთისმსახურების შეზღუდვას და ეროვნული ფასეულობების უგულებელყოფას. პოლიტიკოსი, რომელსაც ხალხის წარმომადგენლის პრეტენზია გააჩნდა და მათი ინტერესების დაცვა პოლიტიკური მოღვაწეობის ერთადერთ თუ არა, ერთ-ერთ ძირითად მიზნად მიაჩნდა, გვერდს ვერ აუვლიდა საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებს.

ამასთანავე, ქართველ სოციალ-დემოკრატებს კი უწოდებდნენ ინტერნაციონალისტებს და ეროვნული ნიჰილიზმისთვის აკრიტიკებდნენ, მაგრამ მენშევიკებს რომ რეალურად სურდათ ეროვნული ინტერესების დაცვა, ეს პრაქტიკიდანაც ჩანს. საქმე ისაა, რომ რევოლუციის გამარჯვებით მენშევიკებს რუსეთის იმგვარად გადემოკრატიულების ილუზია ჰქონდათ, სჯეროდათ პროგრესული სახელმწიფოს შექმნის და მასში ყველა ერის თანასწორად ცხოვრების შესაძლებლობის. არა თუ სჯეროდათ, ამ მიზანს ემსახურებოდნენ კიდეც. ამდენად, ქართველი მენშევიკების მოღვაწეობა პასუხობდა ეროვნულ საკითხს კულტურული, მაგრამ არა პოლიტიკური ნაციონალიზმის ფარგლებში, თავად ქართული საზოგადოების ინტერესები განაპირობებდა ეროვნული საკითხისადმი ყურადღების იმგვარ აუცილებლობას, რომელიც ეროვნული საკითხის უგულებელყოფის საშუალებას არ ტოვებდა წარმატების მოსურნე პროხალხური პოლიტიკური სუბიექტებისთვის. ეს ასეც რომ არ ყოფილიყო, ამ ეტაპზე სოციალ-დემოკრატებსა და

სხვა ქართულ პარტიებს შორის ეროვნულ საკითხში ერთადერთი განსხვავება ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზების, სახელდობრ, ავტონომიის საკითხში მდგომარეობდა, რაც უფრო მეტად იდეოლოგიური რწმენისა და პოლიტიკური აღქმის საგანს წარმოადგენდა, ეროვნული ფასეულობების დაცვისა და ერის ინტერესებისთვის ბრძოლის აუცილებლობის ნაწილში კი განსხვავება არც არასდროს არსებობდა.

### II.10. ოპოზიცია სათათბიროს გარეთ (1907-1912)

ერთი მხრივ, რევოლუციის ჩახშობისა და მეორე მხრივ, სახელმწიფო სათათბიროში ქართული ოპოზიციიდან სოციალ-დემოკრატების დომინირების ფონზე, სხვა ოპოზიციური პარტიების ბრძოლის მთავარ საშუალებად ბეჭდური სიტყვა დარჩა.

სოციალისტ-ფედერალისტები გაზეთ „მეგობრის“ დახურვის შემდეგ (1907 წლის იანვარი), ჯერ გაზეთ „ისრის“, 1908 წლის მარტიდან კი „ამირანის“ საშუალებით ავრცელებდნენ თავიანთ აზრებს. პოლიტიკურ ნაწილში უპირველესი ადგილი, ცხადია, ავტონომიას ეჭირა. სხვადასხვა პარტიასთან მიმდინარე იდეოლოგიურ თუ ტაქტიკურ კამათში ფედერალისტები იცავდნენ ავტონომიის იდეას და იგი მიაჩნდათ არა მხოლოდ ისტორიულ სამართლიანობად, არამედ აუცილებელ სოციალურ-პოლიტიკურ საჭიროებად (ისარი N56, 1907: 4). პარტია კრიტიკულად უდგებოდა მესამე სათათბიროს და მისი არჩევის წესს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მასში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობას (ისარი N136, 1907: 1).

ამასთანავე, მიმდინარეობდა ხელისუფლების შოვინისტური პოლიტიკის მხილება. ეროვნული და პოლიტიკური თემების გარდა, პარტიის გაზეთები ეხებოდნენ აგრარულ პრობლემებს, გლეხების რთულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და მიწის საკითხს. მიწის საკითხის გადასაჭრელად საჭიროდ იყო მიჩნეული ადგილობრივი მახასიათებლებისა და საჭიროებების გათვალისწინება. პარტიული აზრი უარყოფითად აფასებდა ქართული მიწის უცხოტომელებზე გასხვისების, ხიზნების დასახლებისა და კოლონიზაციის ფაქტებს, მაშინ, როდესაც მიწის სიმცირე წარმოადგენდა ქართველი გლეხის მთავარ პრობლემას. ზოგადად, ფედერალისტურ პრესაში დიდი ადგილი ეთმობოდა მოსავლიანობის, წარმოების გაზრდის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და მსგავს თემებს. ასევე, სოციალისტური იდეოლოგიის

განმარტება-გავრცელებას, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აუცილებლობისა და ხელმისაწვდომობის პრობლემებს (მიქელაძე, 2008: 100-124). იგივე კურსს აგრძელებდა გაზეთი „ამირანი". გრძელდებოდა ავტონომიაზე მსჯელობა (ამირანი N4, 1908: 2-3). სწორედ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის პრეროგატივად იყო მიჩნეული აგრარული რეფორმა და მიწის სოციალიზაცია. ქართული მიწა უწინარესად ქართველი ხალხის საკუთრებად ითვლებოდა (ამირანი N5, 1908: 3). გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა სხვა პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატებთან მეტოქეობას (ამირანი N17, N21, N27, 1908). აგრეთვე, ავტონომიის პოპულარიზაციის მიზნით იბეჭდებოდა სტატიები უცხოეთის სახელმწიფოების ავტონომიებზე. თავად ავტონომიის ავ-კარგზე, ფედერალისტები ვრცლად და ინტენსიურად საუბრობდნენ სახალხო განათლების, სკოლების მოწყობის, წერა-კითხვის გავრცელებისა და ეროვნულ-კულტურული ფასეულობების დაცვის თემებზე (ამირანი N24, N25, N80-85, 1908).

მომდევნო წელში პარტია კიდევ უფრო გააქტიურდა, პრესის ფურცლებიდან იდეოლოგიურ ბრძოლასთან ერთად განახლდა პრაქტიკული მოქმედებები. გააქტიურება განსაკუთრებით ეროვნული და აგრარული მიმართულებით წარიმართა. 1908 წელს თბილისის კომიტეტი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისკენ მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს. ფედერალისტები ჩართული აღმოჩნდნენ თბილისის საადგილმამულო კომისიის საქმიანობაში, ისინი მიზნად ისახავდნენ ხელი შეეწყოთ ქართული მიწის ქართველი გლეხის ხელში დარჩენისთვის, პარტია აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბანკთან, შეღავათიანი სესხებისათვის, დახმარებას უწევდა გლეხებს სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში და ა.შ. ამ მიზნით 1909 წლიდან პარტიაში ქაიხოსრო (ქაქუჩელა) ქავთარაძის მეთაურობით მოქმედებდა „სამიწათმოქმედო სექცია". კოლონიზაციის ხელშეშლის მიზნით პარტიის მეოთხე ყრილობამ (1909 წლის დეკემბერი) მიიღო გადაწყვეტილება ტერორის თაობაზე, რომელიც მიმართული იქნებოდა რუსი გადმოსახლებულებისა და უცხო ტომელებზე მიწის გაყიდვის მოსურნე ქართველების წინააღმდეგ. 1910 წლის კრებაზე გაჩნდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების კონგრესის მოწყობისა და ფედერაციული კავშირის ჩამოყალიბების იდეა. ჟანდარმერიის მიერ პარტიის წევრების წინააღმდეგ

ჩატარებულმა დარბევებმა და რეპრესიებმა აღნიშნული მუხტი დააცხრო (შველიძე, 2011: 342-356).

1908-1910 წლებში გამოდიოდა სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი „დროება“, ასევე „სახალხო გაზეთი“ (სცა, ფ. 480, ან. 2, ს. 385). 1909-1910 წლებიდან საინფორმაციო ველზე, სოციალისტ-ფედერალისტურ გამოცემებთან ერთად, საგრძნობლად აქტიურდებიან სხვა ეროვნული მიმართულების ბეჭდური ორგანოები. 1909 წელს პეტრე სურგულაძის რედაქტორობით საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ჟურნალი „ერი“ (სცა, ფ. 480, ან. 2, ს. 371). შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (1914 წ.) წინამორბედ ორგანიზაციას საქართველოში, რომელიც წვრილ მესაკუთრეთა, როგორც ქვეყნის უმრავლესობის, წარმატების, კონსოლიდაციის, ზრდა-განვითარების, მტრისგან თავდაცვისა და ეროვნული თავმოყვარეობის ამაღლებისთვის ბრძოლას ასახელებდა თავის მისწრაფებად (ერი N1, 1909: 3-4). გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ეროვნულ ფასეულობათა, ერთობისა და თავისუფლების იდეის მატარებელი სხვადასხვა სტატია. 1910 წელს, მსგავსად ფედერალისტებისა, მთავრობის შეტევის შედეგად, აღნიშნული წრე დაიფანტა (სალია, 1962: 16). ამ წრემ მომდევნო წლებში საზღვარგარეთიდან გააგრძელა ბრძოლა უკვე უშუალოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

1909 წელს სვიმონ ყიფიანის რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ (სცა, ფ. 480, ან. 2, საქ. 386), რომელიც ეროვნულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს აშუქებდა. მართალია, იგი არ წარმოადგენდა პარტიულ ორგანოს, თუმცა აქტიურად თანამშრომლობდნენ პოლიტიკოსები, მაგალითად, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მიხაკო წერეთელი და გიორგი გვაზავა. ეროვნულ-დემოკრატების გააქტიურების მხრივ ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ამ მიმართულების ჟურნალ „კლდის“ და გაზეთ „იმერეთის“ გამოცემა 1912-1913 წლებში. 1912 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „ჩვენი დროება“ (სცა, ფ. 480, ან. 2, საქ. 702, 713, 738).

სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერები) პარტია საქართველოში მოქმედების დაწყებისას ძირითადად რუსებით იყო წარმოდგენილი და მეტ-ნაკლები აქტიურობით ხასიათდებოდა. იგი დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა და თავიდან არც სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, პარტიის წევრები

ეწეოდნენ რევოლუციურ საქმიანობას რევოლუციის შემდეგ პერიოდშიც. მაგალითისთვის, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, 1907 წელს თბილისში სწორედ ესერების ორგანიზებით განხორციელდა დიდი რაოდენობით თანხის ექსპროპრიაცია (გურული, 1998: 9-11, 31-33). 1908 წელს ესერებმა თბილისის მოსწავლეებში გაავრცელეს პროკლამაცია სათაურით „თბილისის ყველა მოსწავლეს“, ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა კრებების ორგანიზებას, მასწავლებლებისა და განსაკუთრებით სასწავლებელთა დირექტორების მიმართ იყენებდნენ ტერორით მუქარას (სცა, ფ. 94, ან. 1, ს. 55, ფურც. 91). 1913 წლის დასაწყისისთვის ანა ფედეევა თბილისში აგზავნის სხვადასხვა აკრძალული ლიტერატურის 83 ეგზემპლარს, მისივე ორგანიზებით იმართება ესერთა ჯგუფის შეხვედრა, სადაც წარადგინეს პარტიის პროგრამა, პერიოდულად გრძელდებოდა კონსპირაციული შეხვედრები. თანდათან პარტიის რიგებში ვხედავთ ქართველებს. ესერთა ერთ-ერთ ჯგუფში შედიოდნენ ვინმე დავით მარგიშვილი და თამარ ივანეს ასული თავართქილაძე[16] (სცა, ს. 95, ან. 1, ს. 62, ფურც. 3-6). მიუხედავად ცალკეული მოქმედებებისა, პარტია ამ ეტაპზეც უმნიშვნელო პოლიტიკურ ძალად რჩებოდა.

საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატებშიც. რევოლუციის საწინააღმდეგო რეაქცია ოპოზიციურ პარტიებზე რევოლუციონერების მასობრივი რეპრესიებით გამოიხატა, რაც საგრძნობლად აისახა რსდმ პარტიაზეც. 1907 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან გადაასახლეს 3700-ზე მეტი ადამიანი, საპყრობილეებში ერთ ადგილზე 3-4 პატიმარი მოდიოდა (კომუნისტური..., 1971: 222-223). თუ 1907 წელს ამიერკავკასიის სოციალ- დემოკრატიული ორგანიზაციები 15760 წევრს მოითვლიდა, 1908 წლისთვის 1570-ით შემცირდა (გურული, ვაჩნაძე, 1999: 240).

1908-1909 წლებში ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა ბრძოლა მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებს შორის.

მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა უარი თქვეს რევოლუციურ გამოსვლებსა და შეიარაღებულ ბრძოლაზე, რადგანაც მთავრობასთან კონფრონტაცია ახალი რეპრესიების წინაპირობად იქცეოდა, რაც მათ ორგანიზაციებს დაასუსტებდა, ამიტომ მთავარი აქცენტი ლეგალურ მუშაობაზე

---

[16] თამარ ივანეს ასული თავართქილაძე იყო ტიპოგრაფია „ნადეჟდას“ თანამშრომელი (სცა, ფონდი 95, ანაწერი 1, საქმე 62, ფურცელი 8).

გადაიტანეს. ბოლშევიკები კი ლენინის ტაქტიკურ ხაზს მიჰყვებოდნენ, უგულებელყოფდნენ პარლამენტარული ბრძოლის მიდგომას და ახალი რევოლუციისთვის ემზადებოდნენ.

1909 წელს სილიბისტრო ჯიბლაძის მოხსენების საფუძველზე თბილისის კომიტეტის რეორგანიზაცია დაიწყო, რომელიც მენშევიკების პოზიციების განმტკიცებით დასრულდა. ამას თან დაერთო 1910 წელს ბოლშევიკთა ბევრი პარტიული მუშაკის დაპატიმრება (გურული, ვაჩნაძე, 1999: 241-251). 1911 წლისთვის მათი რიცხვი თბილისში 100 აქტივისტს არ აღემატებოდა (ჯონსი, 2007: 278). მენშევიკი ლიდერების ტაქტიკამ ამ შემთხვევაშიც გაამართლა და ცალსახა უპირატესობა მოიპოვეს კიდეც. შემდგომში, პოზიციათა დაახლოების მცდელობისა და ერთობლივი მუშაობის მიუხედავად, ბოლშევიკებთან მიმართებით მენშევიკების უპირატესი პოზიცია არ შერყეულა.

სოციალ-დემოკრატები ტრადიციულად, აქტიურად აგრძელებდნენ პუბლიცისტურ საქმიანობას და სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას. 1908-1912 წლებში გამოსცემდნენ შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „ხომლი“, „ჩვენი საქმე“, „ახალი დროება“, „ჩვენი აზრი“, „ჩანგი“, „მომავალი“, „ახალი სხივი“, „ჩვენი ცხოვრება“, „მერცხალი“ და ა.შ. (სცა, ფ. 480, ან. 2, ს. 265, 363, 373, 381, 383, 391, 703, 734). პერიოდული პრესის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა სათათბიროში მიმდინარე მოვლენებსა და ქართველი მენშევიკების მოღვაწეობის დეტალებს.

საერთო სახალხო რევოლუციამ, ერთი მხრივ, მთელი ქვეყნის მოსახლეობა გააქტიურა, მეორე მხრივ კი, კრიტიკულად მოაზროვნე და თავისუფლებისკენ მიდრეკილი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაში შეიტანა წვლილი. ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთ ცნობაში ნათქვამია, რომ რევოლუციისას ბათუმის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები არ ემორჩილებიან მასწავლებლებს, მათ თვალწინ იკრიბებიან და რაც აღელვებთ თვითონვე წყვეტენ, ცხოვრობენ თავისუფალი საზოგადოებრივი ცხოვრებით. 1908 წელს ქუთაისში მოქმედებდა მოსწავლეების ე.წ. „გიმნაზისტთა ჯგუფი“, რომელმაც გამოსცა ჟურნალი „სკოლის ცხოვრება“, იგი პირველი ნომრის გამოცემისთანავე აიკრძალა. სასწავლებლებში რევოლუციური პროცესების გავრცელებამ იმდენად შეაშფოთა მმართველობა, რომ 1908 წელს ჟანდარმთა სამმართველო ხელისუფლებას აცნობებდა: „ვინაიდან ქალაქ ტფილისში

სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა საზიანოა და იქ ლექციების წაკითხვა გენერალური გუბერნატორის ბრძანებით დროებით აკრძალულია, მიმაჩნია, რომ სახალხო უნივერსიტეტის გახსნა მიხაილოვში (ხაშური, გ.ბ.), ამჟამად, სრულიად არასასურველია“ (სცა, ფ. 94, ან. 1, ს. 55, ფურც. 39, 43, 89).

რევოლუციის მასშტაბურობამ საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურება თვალნათლივ დაადასტურა. ყველაზე მთავარი, რაც აქედან ჩანდა, ეს იყო სამართლიანობის აღდგენისა და დემოკრატიული ცვლილებების სურვილი და მისთვის ბრძოლის მზადყოფნა.

### II.11. მეოთხე სახელმწიფო სათათბირო (1912-1917) : პოლიტიკური გამოცდა ფედერალისტებისთვის

მეორე სათათბიროს არჩევნების წინ სოციალისტ-ფედერალისტებმა ისევ შეიცვალეს პოზიცია და არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეს, სოციალ-დემოკრატები იგივე ენთუზიაზმითა და პრინციპულობით აგრძელებდნენ ბრძოლას.

ხელისუფლების რეაქციამ და სათათბიროს მუშაობამ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი სწორედ სათათბიროში გადაიტანა. ფედერალისტებისთვისაც ნათელი იყო, რომ ამ საშუალების ხელიდან გაშვება პოლიტიკურად კიდევ უფრო დასუსტებას გამოიწვევდა. ამასთანავე, მათი ტაქტიკის მთავარ შინაარსს სოციალ-დემოკრატებთან ეროვნულ საკითხზე აქცენტირებით ბრძოლა წარმოადგენდა. საარჩევნო ორთაბრძოლის მთავარ კერად დასავლეთ საქართველო იქცა. ეროვნულად შედარებით ჭრელ აღმოსავლეთში, ეროვნული ნიშით მებრძოლ პარტიას, გამობრძმედილი სოციალ-დემოკრატების დაჯაბნა გაუჭირდებოდა. ფედერალისტების გარშემო შედგა ყველა ეროვნული და ავტონომისტური ძალის კონსოლიდაცია. მათ კანდიდატებს უჭერდნენ მხარს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „იმერეთი“ და ჟურნალი „კლდე“. ვასილ წერეთელი ქართველი ერის პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებისთვის აუცილებლად მიიჩნევდა სოციალისტ-ფედერალისტების კანდიდატის გამარჯვებას და ამომრჩეველს კიტა აბაშიძის არჩევისკენ მოუწოდებდა (იმერეთი N3, 1912: 2). „კლდე“ მიწასთან ასწორებდა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს და ეროვნულ ნიჰილიზმში სდებდა ბრალს (კლდე N5, 1912: 3-4). ამასთანავე, ჟურნალი

საარჩევნო კამპანიას ხატავდა როგორც ბრძოლას, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიას, მეორე მხრივ კი, მთელ ერს შორის (კლდე N4, 1912: 1).

თავად სოციალ-დემოკრატებიც პოლემიკის იმავე კურსს მიჰყვებოდნენ, ისინი პროგრესისტთა კანდიდატ მიქელაძესა და ფედერალისტ აბაშიძეს თავადაზნაურობის სახედ წარმოაჩენდნენ, რომელსაც არჩევნებში უპირისპირდებოდა ხალხის ინტერესების წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიის სახით (არჩევანი N2, 1912: 1-3). ორივე მხარე იდენტურ პროპაგანდას ეწეოდა თბილისის გუბერნიის დეპუტატობის კანდიდატ ჩხეიძესა და ანდრონიკაშვილთან დაკავშირებით (კლდე N4, 1912: 8-9).

ამდენად, მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული ძალები და მემარცხენეთა შორის ყველაზე მემარჯვენე ფედერალისტები ერთად დაჯგუფდნენ. ავტონომისტთა ძალების კონსოლიდაციამ შედეგი გამოიღო და ქუთაისში სოციალისტ-ფედერალისტი ვარლამ გელოვანი აირჩიეს,[17] თბილისში მენშევიკი კარლო ჩხეიძე, ბათუმის, ყარსისა და სოხუმის მანდატი კი მენშევიკ აკაკი ჩხენკელს ერგო. მსგავსად მესამე სათათბიროს არჩევნებისა, ჩხეიძესთან ფინალურ საარჩევნო რბოლაში ამჯერადაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოხვდა. მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალების მქონე კანდიდატების პირობებში არჩევნების ბედი სომეხმა ხმოსნებმა გადაწყვიტეს და მხარი ჩხეიძეს დაუჭირეს. გარდა იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა ანდრონიკაშვილს ნაციონალისტად სახავდა, საარქივო დოკუმენტები სოციალ-დემოკრატებსა და სომხებს შორის არჩევნებში გარკვეული გარიგებების არსებობაზე მიუთითებს, კერძოდ, პარტია სომხებს ჰპირდებოდა ელიზავეტოპოლში მათი კანდიდატის მხარდაჭერას. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებულთა კანდიდატებში მრავლად იყვნენ წამოყენებული სომხები (კუპატაძე, 2005: 31-32). ამას თან ერთოდა სოციალისტ-ფედერალისტების შედარებით პასიური მოქმედებები თბილისში, პარტიის ძირითადი აქცენტი ქუთაისზე იყო გადატანილი. თავად პოლიტიკური ოპონირების მთავარი ასპექტი - ეროვნული საკითხიც, ეთნიკურად შედარებით ერთფეროვან დასავლეთში, მეტ გასაქანს აძლევდა ფედერალისტებს.

[17] არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ფედერალისტებმა აბაშიძის ნაცვლად კანდიდატად წამოაყენეს ვარლამ გელოვანი. დაწვრილებით იხილეთ ბონდო კუპატაძის შესაბამისი ნაშრომი (კუპატაძე, 2005: 41-43).

ძლიერი სომხური ბურჟუაზიის პირობებში კი თბილისში ეს ბერკეტი ინტერნაციონალისტური ტაქტიკის სოციალ-დემოკრატებს ეპყრათ. ფაქტობრივად, ეს შემთხვევაც ნათელი მაგალითია მენშევიკების ეროვნულ საკითხზე ტაქტიკური დამოკიდებულებისა. რამდენადაც პარტიის უპირველეს, ძირითად მიზანს სოციალიზმის გამარჯვება წარმოადგენდა და ეს საერთო სახალხო ერთობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, მისი გონებრივი ღერძი დღის წესრიგში უმთავრეს ამოცანად სოციალ-დემოკრატიული რესურსის კონსოლიდაციას განიხილავდა და გამარჯვებამდე მისასვლელ ეტაპზე უარყოფდა სოციალისტურ ნიადაგზე გაერთიანების ხელის შემშლელ ფაქტორებს, რომელთაგან ერთ-ერთად ისინი ეროვნული ნიშნით დაყოფას ხედავდნენ. აშკარაა, რომ მათ შორის არსებობდნენ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები, რომლებიც არათუ ამ ეტაპზე, არამედ ზოგადად უარყოფდნენ ეროვნულ საკითხს. თუმცა ქართული მენშევიზმის ლიდერთა პოზიციებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ავტონომიის უგულებელყოფა წარმოადგენდა ტაქტიკურ მიდგომას, რასაც პოლიტიკური აზრის ევოლუციაც მოწმობს, როდესაც ავტონომიის სრული უკუგდებიდან კულტურული ავტონომიის მოთხოვნამდე მივიდა.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში გასული სამი ქართველი დეპუტატი წარმოადგენდა საქართველოს ორ უმთავრეს იდეოლოგიურ ბანაკს, რომელთა დაახლოებაც ამ ეტაპზე კიდევ უფრო შეინიშნებოდა.

მათთვის ხალხის სამსახურის ამომავალი მიზანი იგივე დარჩა, თვლიდნენ, რომ საკანონმდებლო ტრიბუნაც ხალხის საჭიროებებისთვის უნდა გამოეყენებინათ და თავად კანონებიც მათ ინტერესებს დაჰქვემდებარებოდა. კანონპროექტების განხილვისას დღის წესრიგში აყენებდნენ მშრომელთა უფლებებს, ახალგაზრდებს, ეროვნულ უმცირესობებს, სიტყვის თავისუფლებასა და სხვა დემოკრატიულ ფასეულობებს.

ნიშანდობლივია, რომ განსხვავებით პირველი სათათბიროსგან, ამჯერად ორივე პარტიის დეპუტატების წარმომადგენლობითი პოზიცია ინტერნაციონალური იყო, ისინი საუბრობდნენ არა მხოლოდ მათი გუბერნიების, არამედ საზოგადო თუ სხვა ქვეყნების პრობლემებზეც. ამასთანავე, მეოთხე სათათბიროში ქართველების მუშაობა უფრო კონკრეტული საკითხების ჩარჩოებში მოექცა, თუ წინამორბედები ტრიბუნას

იყენებდნენ ფართო სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ თემებზე სასაუბროდ, ამჟამად მსჯელობა მეტწილად ვიწრო, პროცედურულ და პარტიულ დისკუსიებზე გადავიდა. ჩვეული სიმწვავით მიმდინარეობდა პოლიტიკური პოლემიკა.

სტენოგრაფიულ ჩანაწერებში მოცემული უხვი მასალა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სათათბიროში ქართველი მენშევიკებისა და სოციალისტ-ფედერალისტების პოზიციები პირობითად თანმხვედრ და განსხვავებულ კატეგორიებად დავყოთ, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში არსებულ კონტრასტებს უკეთ წარმოაჩენს.

საერთო პოლიტიკური პოზიცია ეჭირათ ორივე პარტიის წარმომადგენლებს. აქტიურად მიმდინარეობდა ხელისუფლების საწინააღმდეგო რიტორიკა და მის პოლიტიკაზე მსჯელობა.

რაშიც დიდი ადგილი ეჭირა შოვინისტური და კოლონიური მახასიათებლების ხაზგასმას. მაგალითად, ჩხენკელი ბრალს სდებდა სათათბიროს, რომ იგი მხოლოდ სლავების ინტერესებით ხელმძღვანელობდა, თითქოს იმპერიაში მხოლოდ რუსები ცხოვრობდნენ, ამგვარი მიდგომა კი სასარგებლო არავისთვის იქნებოდა და მთავრობას მოუწოდებდა ყველა ეროვნების პოზიციიდან ელაპარაკა (Отчеты XIV, 1913: 1074). მორიგ ღრმა პრობლემას ახმაურებდა გელოვანიც, როდესაც დასძენდა, რომ ხელისუფლება თანამდებობებზე არ ნიშნავდა ადგილობრივებს, არამედ ისეთ ჩინოვნიკებს, რომლებიც ადგილობრივ სპეციფიკას არ იცნობდნენ და ამასთანავე, ბევრ უსამართლობას იჩენდნენ მოსახლეობისადმი, რაც მძიმე შედეგებს იწვევდა (Отчеты XVII, 1914: 41). ამას გარდა, კავკასიაში რეფორმების განხორციელების დაგვიანება, მმართველობის არაჰუმანური მეთოდებით წარმართვა და რუსეთის მიერ ერთა შორის დაპირისპირების მიზანმიმართული წახალისება გელოვანის გამოსვლებში განხილული პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც მემარჯვენეებით სავსე სათათბიროში გაისმოდა (Отчеты XIII, 1913: 1718-1724). იმავეზე მიუთითებდა ჩხეიძე, მისი აზრით მთავრობის მოქმედებები ახალისებდა ხალხისადმი ძალადობას და განუკითხაობას, საერთო ჯამში კი ყალიბდებოდა უსამართლობის სისტემა. ამასთანავე, თვლიდა, რომ პარლამენტი ხალხს უნდა ემართა (Отчеты XV, 1914: 260, 704-705). სათათბიროს ქართველი დეპუტატები რუსეთის ხელისუფლებას ამჯერადაც იმას უმეორებდნენ, რის თქმასაც ხალხი ცდილობდა 1905 წელს.

პარტიების წარმომადგენლები საზოგადოებრივი და სოციალ-ეკონომიკური მიდგომების მხრივაც მსგავს პოზიციებზე იდგენენ. სოციალ-დემოკრატი ჩხეიძე გმობდა რუსულ საგანმანათლებლო სისტემას და პირდაპირ ამბობდა, რომ მისი ღერძი შპიონაჟი და დასმენა იყო. პერიფერიებში, მათ შორის კავკასიაში, უარესი მდგომარეობა სუფევდა, დევნიდნენ და სკოლებიდან აძევებდნენ დამსახურებულ მასწავლებლებს, მათ ადგილას კი ნიშნავდნენ ისეთებს, ვინც რუსულის მეტი არაფერი იცოდა და ეს ხდებოდა ისეთ სოფლებშიც კი, სადაც მხოლოდ ქართულად საუბრობდნენ. მას მექრთამეობის, დევნისა და ამდაგვარი უმსგავსობების მაგალითები მოჰყავდა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციისა და მილიციის საქმიანობიდანაც, რომლის წარმომადგენლებმაც ასევე არაფერი უწყოდნენ ადგილობრივთა ენაზე (Отчеты XII, 1913: 1425-1426, 1454-1456). იმავეს აჟღერებდა გელოვანი, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები იმისა თუ პედაგოგობისთვის რამდენად შეუფერებელი პერსონალი მუშაობდა სკოლებში, განუკითხავი საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით (Отчеты XVIII, 1914: 1064-1066). ადგილობრივი სასამართლოების საკითხზეც აბსოლუტურად იდენტურ აზრზე იყვნენ მენშევიკი ჩხენკელი და ფედერალისტი გელოვანი. კრიტიკულ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ პერიფერიებში მართლმსაჯულება თეორიულადაც არ არსებობდა და ვერც იარსებებდა, ვინაიდან საქმე წარმოებდა ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე. ამას არათუ შველოდა თარჯიმნის ინსტიტუტი, არამედ დამატებით მექრთამეობისა და მიკერძოების შემთხვევებს ზრდიდა, რამაც სასამართლოსადმი სრული უნდობლობა ჩამოაყალიბა. ორივე მათგანი გამოსავლად ადგილობრივი მართლმსაჯულების ქართულ ენაზე წარმოებაში ხედავდა (Отчеты XIV, 1913: 153-157, 278-280).

ბუნებრივია, ჩხენკელი აქტიურად იცავდა პროლეტარიატს. იმის ახსნის მცდელობა, რომ არა ოპოზიცია, არამედ ქარხნების აუტანელი პირობები, არაადამიანური მოპყრობის, შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაუცველობის აუარებელი შემთხვევა იწვევდა არეულობებს, სინამდვილეს ჯიუტად დაპირისპირებული მეფის ბანაკისათვის ისევ გაუგებრად ჟღერდა (Отчеты XVI, 1914: 429-432). იგივე ბედს იზიარებდა გელოვანის მოწოდება ხელისუფლებისადმი, რომ ნაცვლად ძარცვისა, დაეცვა გლეხების ინტერესები და ეფიქრა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მსგავსი საკითხები წვრილმანებად რჩებოდა იმპერიალისტური

გეგმების პირობებში, გელოვანი ერთა შორის უკმაყოფილების მიზანმიმართულ წაქეზებას უკავშირებდა მემარჯვენეების პათოსს, რომ თითქოს პერიფერიები ფინანსურ ტვირთად აწვა სახელმწიფოს და ამას კონკრეტული მაგალითებით უარყოფდა (Отчеты XIII, 1913: 1332-1336).

ეროვნული მნიშვნელობის პოზიციების მხრივ მენშევიკებსა და ფედერალისტებს შორის ტრადიციული განსხვავებები მოცემულ პერიოდშიც გაგრძელდა. თუმცა ამ განსხვავებებმა უფრო სპეციფიკური ხასიათი მიიღო და პარტიული პოზიციების დაახლოების ნიშნებიც გამოიკვეთა.

ისტორიკოსების ნაწილი ვარლამ გელოვანს მიიჩნევს ქართველ დეპუტატთა შორის ეროვნული პოზიციის ერთადერთ თუ არა ყველაზე მთავარ წარმომადგენლად (საითიძე, 2003). აღნიშნული მიდგომის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვარლამ გელოვანმა მეოთხე სათათბიროს პირველი სესიის მსვლელობისას თავის გამოსვლაში ისაუბრა საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ყოფაზე, იმხანად არსებულ ყოველმხრივ სავალალო მდგომარეობაზე და ეს პრობლემები რუსულ ბიუროკრატიას დაუკავშირა, რომელიც საქართველოს ასი წელი ქართველების ჩარევის გარეშე მართავდა და ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, გამოსვლის ბოლოს კი ერის ფეხზე წამოდგომის, გადარჩენისა და ხალხის მისწრაფებების უზრუნველყოფისათვის საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მოითხოვა (Отчеты XII, 1913: 647-653). სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმული ეს სიტყვები ნამდვილად დიდი პოლიტიკური ნაბიჯი გახლდათ. თუმცა ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია გელოვანის ამ გამოსვლისა თუ სათათბიროში მოღვაწეობის უმაღლეს ეროვნულ გამოხატულებად შეფასება.

ფაქტობრივად, ჩხენკელი, ჩხეიძე და გელოვანი თანაბარმნიშვნელოვნად იბრძოდნენ ქართული ეროვნული ინტერესების დასაცავად. იმავე გამოსვლაში გელოვანი მოითხოვდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას და უარყოფითად აფასებდა საქართველოში რუსების ინტენსიური ჩასახლების პროცესს. ქართული ენის დაცვას ცდილობდა სხვა მოხსენებებშიც, გმობდა ხელისუფლების მცდელობას სკოლებიდან სრულად გამოედევნა ქართული და მშობლიურ ენაზე სწავლის გაუქმებას სულის ამოგლეჯის ტოლფასად თვლიდა (Отчеты XVIII, 1914: 1062-1063). ასევე აქტიურობდა ჩხენკელიც, რომელიც მოითხოვდა ღვთისმსახურების მშობლიურ

ენაზე შესრულებას, ყველა ენისთვის თანაბარი თავისუფლების მინიჭებასა და დევნის შეწყვეტას. დაუფარავად ამხელდა რუსულ ხელისუფლებას, რომელიც ენის შევიწროებაში კავკასიის არცერთ ხალხს ინდობდა, რუსიფიკაციის მიზნით ენას დევნიდნენ ეკლესიიდან, სასამართლოდან, განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ სკოლებს. შოვინიზმის მაგალითებზე ტრიბუნიდან გაჭრილად საუბრობდა ჩხეიძეც, გმობდა ქართული ენის სკოლებიდან გამოდევნის გეგმას და აქვე დასძენდა, რომ სოციალ-დემოკრატები პერიფერიების რუსიფიკაციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ იბრძოლებდნენ (Отчеты XII, 1913: 1396-1398, 1419-1431, 1467-1468).

ორივე მიმდინარეობა აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის. გელოვანი მთავრობას სდებდა ბრალს იმაში, რომ მათ მიერ გაზრდილი გადასახადები ურთულებდა ხალხს ცხოვრებას და ერობის ჩამოყალიბების შესახებ გუბერნატორის დაპირებები მხოლოდ დაპირებებად რჩებოდა (Отчеты XV, 1914: 1406). საქართველოს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას თვითმმართველობის უქონლობას უკავშირებდა ჩხენკელიც, მის განუხორციელებლობასა და ხელისუფლების პოზიციას კი იმით ხსნიდა, რომ ეს მხარეები ე.წ. „ინოროდცებით" იყო დასახლებული (Отчеты XX, 1915: 3588).

ისტორიული ობიექტურობის პრინციპი მოითხოვს, ითქვას, რომ გარკვეული კოსმოპოლიტური შტრიხები, რის გამოც სოციალ-დემოკრატებს ხშირად აკრიტიკებდნენ, მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტები, ახასიათებს ვარლამ გელოვანის ზემოთ ხსენებულ გამოსვლასაც. სანამ მან ავტონომიის იდეა გააჟღერა, კატეგორიულად უარყოფდა სეპარატიზმს, საქართველო რუსეთის ნაწილად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ასეც უნდა დარჩენილიყო არა მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების, არამედ რუსი ხალხისა და კულტურისადმი პატივისცემის გამო.

ეროვნულ საკითხში ორი პარტიის ერთადერთი განმასხვავებელი ავტონომიის საკითხია. პოლიტიკური მოწყობის ნაწილში გეორგიევსკის ტრაქტატის ჩარჩოებს არც მეოთხე მოწვევის ქართული წარმომადგენლობა გასცილებია.

სათათბიროს მუშაობის მესამე წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიკავა და ხელისუფლებასთან ოპონირების ახალ პრიზმად იქცა. ახალმა მოვლენამ გელოვანის პოზიციები გადააფასა და ეროვნული საკითხისადმი პერსონალური თუ პარტიული თვალთახედვის

ანატომიაც ალბათ ყველაზე ნათლად წარმოაჩინა. პარლამენტარის რიტორიკაში ომმა გვერდზე ჩასწია ყველა პრობლემა, იგი ერთ-ერთ ინტერვიუში მიმოიხილავდა რუსეთ-საქართველოს წარსულ ურთიერთობებს და რუსეთის მიერ ტრაქტატის დარღვევას, მაგრამ იქვე დასძენდა: „თუმცა ეს საშინაო საქმეა და ახლა ყველა შეურაცხყოფისა და წყენინების გახსენების დრო არ არის. მომხდური მტერი სამშობლოს საზღვრებთან არის და ახლა რუსეთის ყველა მოქალაქის ვალია, განურჩევლად ეროვნებისა, წინ აღუდგეს მტერს. ამ გრძნობას უნდა დაუმორჩილდეს ყველაფერი. ახლა დრო არ არის ცალკეულ ეროვნებათა კერძო მოთხოვნებზე საუბრისა“ (საითიძე, 2003: 299). გელოვანისთვის რუსეთის იმპერიის დაცვა იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ფედერალისტების ნიშად ქცეული ეროვნული დროშაც უკანა პლანზე გადავიდა. ეს მოცემულობა ორი ფაქტორით აიხსნება: პირველი, ფედერალისტებისთვის საქართველოს ეროვნული ავტონომია რუსეთის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებოდა, ამიტომ თვლიდა გელოვანი ამ საკითხს შიდა პოლიტიკურ, ასე ვთქვათ შიდა რუსულ, თემად, რუსეთს კი სამშობლოდ. ხოლო მეორე ის, რომ თავადების ჩამომავალ გელოვანში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სულდგმულობდა თავადაზნაურული სულისკვეთება, რომელიც საერთო რუსული საქმისთვის თვითმპყრობელობასთან ერთობას დასაშვებად მიიჩნევდა. მსგავსი ტენდენციის არსებობა გარკვეულწილად რეალურს ხდიდა მენშევიკების ბრალდებას, რომ ფედერალისტების ავტონომია ძველი წყობილებისა და პრივილეგირებულთა პოზიციების გამყარების საშიშროებას შექმნიდა, მსოფლიო ომი პარტიისათვის ერთგვარი პოლიტიკური გამოცდა გამოდგა.

ამასობაში, საერთაშორისო კონფლიქტი კონსოლიდაციის წინაპირობა არ გამხდარა სოციალ-დემოკრატებისთვის, ჩხეიძე რუსეთის იმპერიას მსოფლიო ომის ერთ-ერთ დამნაშავე მხარედ, ხოლო მის მთავრობას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური გახრწნის შემოქმედად ასახელებდა, საიდანაც გამოსავალს სრულ დემოკრატიზაციასა და განთავისუფლებაში ხედავდა და ბიუჯეტის განხილვისას მტკიცედ უპირისპირდებოდა ომის ხარჯებს. სოციალ-დემოკრატიის დეკლარაცია მიუთითებდა ომის იმპერიულ არსზე, რომელშიც ბურჟუაზია ფეხქვეშ თელავდა მშრომელთა ინტერესებს და აცხადებდა, რომ მხოლოდ ხალხს შეეძლო ქვეყნის გადარჩენა, თუ ისინი ხელში აიღებდნენ მართვის სადავეებს (Отчеты XXI, 1916: 1273-1285). ეს იმ შემთხვევათაგანია, რომელშიც ქართული სოციალ-

დემოკრატიის ეროვნული პრინციპები ფედერალისტებისაზე მაღლა დგას. თუ ფედერალისტი გელოვანისთვის იმპერიის მტრის შემოსევა შოვინისტ ხელისუფლებასთან ერთობას შესაძლებელს ხდიდა, სოციალ-დემოკრატებისთვის თანაბარი მტერი იყო გარე დამპყრობელიც და შიდა იმპერიალიზმიც. ფაქტობრივად, პირველ სათათბიროში ფედერალისტ ბარათაშვილის მიერ თვით იდენტიფიცირება, როგორც ცალსახად საქართველოს წარმომადგენელი, გელოვანის შემთხვევაში აღარ გაგრძელდა. ქართველ სოციალ-დემოკრატებს კი შედარებით მყარი პრინციპები დარჩათ.

ყველაფერთან ერთად ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მეოთხე სათათბიროს დეპუტატებისთვის მანდატი ისევ ხალხის სამსახურის შინაარსს ატარებდა, რაც უპირველესად საქმეში აისახებოდა. უპირველეს ყოვლისა, ისინი ხალხთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნებასა და მათი საჭიროებების გარკვევას ცდილობდნენ. ფაქტობრივად, დეპუტატები არჩევის შემდეგ უფრო აქტიურად თანამშრომლობდნენ მოსახლეობასთან.

მაგალითად, 1913 წლის არდადეგების დროს აკაკი ჩხენკელი ინტენსიურად ხვდებოდა თავისი სამანდატო ოლქის მოსახლეობას, ივლის-აგვისტოში მან მოიარა ყარსის სოფლები, ოლთისი, არდაჰანი, ბათუმი, ასევე ქუთაისი და ტყიბული. მოსახლეობა უამბობდა თავის საყოფაცხოვრებო, სოციალურ თუ სხვა სახის საჭიროებებსა და პრობლემებზე, გადასცემდნენ სხვადასხვა სათხოვარს და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ თავად ხალხი დიდი ნდობით და იმედით ეკიდებოდა მათი დეპუტატის როლს, ეს კი იქიდანაც ჩანს, რომ თავად მასაც მრავალი აკითხავდა დახმარების სათხოვნელად ბათუმიდან, ყარსიდან და სოხუმიდან (საითიძე, 2003: 317-319). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხალხთან მსგავსი შეხვედრები ერთმნიშვნელოვნად პრაქტიკული მიზნით იმართებოდა, რაზეც მეტყველებს დეპუტატების შუამდგომლობით ინიცირებული სხვადასხვა საკითხი, როგორიცაა: სასწავლებლის გახსნა ტყიბულში, სარწყავი სისტემის მოწყობა ქიზიყში, დატუსაღებული მუშების განთავისუფლება, ყარსის მიმართულებით რკინიგზის გაყვანა, თვითმმართველობისა თუ სხვა საკითხები (კუპატაძე, 2005: 113).

ვარლამ გელოვანმა შემოიარა ქუთაისის გუბერნია და შეისწავლა გლეხების სავალალო მდგომარეობა, რომელთაც წლიდან წლამდე თავის გასატანად მოსავალი არ

ჰყოფნიდათ, ამის შესახებ კი აცნობებდა ზედა ინსტანციებს, სათათბიროს მიმართავდა, რათა მხედველობაში მიეღოთ აღნიშნული მდგომარეობა და დახმარება გაეწიათ ხალხისთვის (Отчеты XV, 1914: 2021-2025). აკაკი ჩხენკელი სათათბიროს აცნობდა სამტრედიიდან, ქუთაისიდან და ოზურგეთიდან მიღებულ დეპეშებს, რომლებშიც მასწავლებლები გასამრჯელოს გაზრდა მოითხოვდნენ და მიმართავდა განათლების მინისტრს, რათა მხედველობაში მიეღო მასწავლებლების გასაჭირი (Отчеты XX, 1915: 3413).

1915 წელს ვარლამ გელოვანი გარდაიცვალა. ამას მოჰყვა კარლო ჩხეიძის ავადმყოფობა და სათათბიროში საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური თუ სხვა ინტერესების წარმომადგენლად აკაკი ჩხენკელი დარჩა. ზოგადად, მისი აქტიური მოღვაწეობით სათათბიროში, ყველა დროის ქართველ დეპუტატებს შორის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ადგილი უჭირავს და მასში მთავარია ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლა.

ჩხენკელის სახელთანაა დაკავშირებული შევიწროებული აჭარლების ურყევი მხარდაჭერა. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას (1914-1918 წწ.) სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ერთ-ერთ ძირითად ფრონტად იქცა, შესაბამისად გამძაფრდა მისი პოლიტიკური მნიშვნელობა, აქ მოსახლე მუსლიმი ქართველები კი სხვადასხვაგვარი იმპერიული მანიპულაციის მსხვერპლად იქცნენ. ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირებულმა რუსეთის იმპერიამ აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადა და მათი სიკვდილით ან გადასახლებით დასჯა გადაწყვიტა, ამის რეალური მიზეზი კი შესაძლოა ყოფილიყო იმპერიული შიში მუსლიმ მოსახლეობაში ოსმალეთის გავლენის მოპოვებისა, შესაძლოა ადგილების გამოთავისუფლება უცხოტომელი კოლონისტებისთვის, ან ორივე ერთად. ამას კი სანიმუშო პრინციპულობით დაუპირისპირდა ჩხენკელი. იგი გმობდა რუსულ შოვინიზმსა და ნაციონალიზმს, ხელისუფლებას მოუწოდებდა ამგვარი ჩანაფიქრების უკან წაღებისაკენ. მხურვალე გამოსვლაში იგი აღწერდა ყოველგვარ გულგრილობას, დაუდევრობასა თუ მიზანმიმართულ უსამართლობას, რასაც აჭარაში ჰქონდა ადგილი. ამავდროულად, აჭარლების სასამართლო პროცესებზე მოწმეებად სხვა ეროვნების ხალხი გამოჰყავდათ, რაც ერთა შორის ურთიერთობებს აფუჭებდა. რეალურად კი ვერაფრის დამტკიცება ვერ მოხერხდა და მოითხოვდა უდანაშაულოთა

განთავისუფლებას (Отчеты XXI, 1916: 1472-1482). მოცემული გამოსვლით არ შეწყვეტილა მისი ბრძოლა აჭარლების პრობლემების მოსაგვარებლად. სათათბიროში დაისვა საკითხი ომის გამო ოსმალეთში გადასახლებული აჭარლების დაბრუნების შესახებ. ჩხენკელი თვლიდა, რომ ყველა წასულს დაბრუნების უფლება ჰქონდა და მათ ამაში ხელისუფლება უნდა დახმარებოდა. ამასთანავე, იგი წინ აღუდგა დატოვებული მიწებისა და ქონების უცხოტომელებზე გასხვისების ფაქტს და გადასახლებულთა მიწების მათთვისვე შენახვას ცდილობდა (Отчеты XXII, 1916: 3939-3950).

ამდენად, მეოთხე სათათბიროს არჩევნებამდე ეროვნულ-დემოკრატიული ძალების ფედერალისტების გარშემო დაჯგუფებამ მათ წარმატებას შეუწყო ხელი. სამივე ქართველი დეპუტატი თანაბარი შემართებით იბრძოდა ხალხის უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად. მაგრამ სოციალ-დემოკრატების პრინციპულობამ და იმპერიალიზმთან ცალსახა დამოკიდებულებამ უპირველესად პარტიის პოლიტიკური ფასეულობების სიმყარე წარმოაჩინა, რაც მათი შემდგომი წარმატებების ერთ-ერთ ფაქტორადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ.

### II.12. ხიზნების საკითხი

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების კუთხით მრავალმხრივ საინტერესოა ე.წ. „ხიზნების“ საკითხი, რომელიც მესამე და მეოთხე სათათბიროს მიმდინარეობისას გააქტიურდა. საქართველოში ერთგვარ სოციალურ ფენად ქცეული „ხიზნები“ და კლასობრივი ურთიერთობების აღნიშნული სახე მსოფლიოს ბევრი ხალხისთვის უცხოა. „ხიზნებს“ უწოდებდნენ უმიწაწყლო გლეხებს, რომლებიც გარკვეული მიზეზით ტოვებდნენ პირვანდელ საცხოვრისს, გადადიოდნენ სხვაგან და მემამულის მიწას გარკვეული გადასახადის სანაცვლოდ ამუშავებდნენ. აგრეთვე, ინარჩუნებდნენ პიროვნულ, შესაბამისად, გადაადგილების თავისუფლებას. ერთიანი ფეოდალური საქართველოს დაშლის შემდეგ (მე-15 ს.), ქართველი ფეოდალები ძლიერდებიან და მათი დამოუკიდებლობის ხარისხიც იზრდება. მათთვის მამულის მეტი დამმუშავებელი მეტ შემოსავალს ნიშნავდა, ამდენად ფეოდალების ინტერესებშიც შედიოდა „ხიზნების“ მიღება და მათზე მიწის იჯარით გაცემა. მსგავსი პროცესები განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონებში შეინიშნებოდა.

მე-19 საუკუნეში კი ოსი და სომეხი „ხიზნების“ სიმრავლით შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები გამოირჩეოდა.

გლეხთა მოძრაობის პარალელურად „ხიზნებიც“ იწყებენ მიწისთვის ბრძოლას. ამ შემთხვევაში მათი და თავადაზნაურობის ინტერესები ერთმანეთს ეჯახება, ვინაიდან მიწა ამ უკანასკნელის საკუთრებაშია. პრობლემის ირგვლივ განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციები განვითარდა.

1903 წელს გამართულ რსდმპ მეორე ყრილობაზე ნოე ჟორდანიამ სასურველად ჩათვალა პარტიის პროგრამაში შეეტანათ მოთხოვნა ყმური ურთიერთობების, დროებით ვალდებულების ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე. ვინაიდან მოუგვარებელი რჩებოდა „ხიზნების“ საკითხიც, რომელთა რაოდენობა ორივე გუბერნიაში 50000 სულს აღწევდა, ჟორდანიამ ყრილობას შესთავაზა ორივე პრობლემის გაერთიანება და პარტიის პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით შეყვანა: „კავკასიაში გლეხების საკუთრებაში იმ მიწების გადაცემა, რომლითაც ისინი სარგებლობენ, როგორც დროებით ვალდებულები, ხიზნები და ა.შ.“ (Второй Съезд РСДРП, Протоколы, 1959: 240-243). სოციალ-დემოკრატებისთვის ხიზნობის ინსტიტუტიც კლასობრივი ჩაგვრის რიგითი გამოვლინება იყო.

1913 წელს სწორედ მეოთხე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ხიზნებს საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ სარგებლობაში არსებული მიწები, მემამულეებზე ყოველგვარი გამოსასყიდის გაცემის გარეშე.

საკითხის გააქტიურებას მოჰყვა თავადაზნაურობის გააქტიურება. მემამულეები დაუპირისპირდნენ ჯერ კიდევ 1911 წლის კანონპროექტს, რომელიც ხიზნური მიწების სავალდებულო გამოსყიდვას ითვალისწინებდა. ზოგიერთი მემამულე დასაშვებად მიიჩნევდა ხიზანთა მოწყობას სახაზინო მიწებზე და ხელისუფლებას აქეთკენ მოუწოდებდა. იგივე მოხდა 1913 წელს. ისინი ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, რომ ხიზნების მხარეს იჭერდა და გამოსავალს როგორც ხიზნების, ისე უმიწო გლეხების სახელმწიფო მიწით უზრუნველყოფაში ხედავდა. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მთავრობამ ათასობით დესეტინა მიწა გადასცა უცხოელ კოლონისტებს (ანთელავა, გუჩუა, 1967: 175-178).

ხიზნების მოქმედებებმა ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით დიდ მასშტაბებს მიაღწია, ვიდრე ეს თავადაზნაურობასთან დაპირისპირებაა. 1905 წლის რევოლუციისას სამაჩაბლოს ხეობებში მოსახლე ოსმა ხიზნებმა შეიმუშავეს მოთხოვნათა 36 მუხლი, რომლებშიც მოითხოვდნენ მათ სარგებლობაში არსებული მემამულისა და სახაზინო მიწების საკუთრებაში გადაცემას, მიწის ნაკლებობის გამო გადმოსახლებული ოსებისთვის სახაზინო მიწებისა და ხაზინის შემწეობით ამ ადგილების გამოსყიდვის უფლებას, აგრეთვე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ოსების ერთ ადმინისტრაციულ ოლქში გაერთიანებას, ერთი საარჩევნო ოლქის შედგენას და ა.შ. (ცნობის ფურცელი N2796, 1905: 2). ბუნებრივია, ამგვარი სეპარატისტული გამოვლინების შემდეგ, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებში აღშფოთებას იწვევდა ხიზნებისთვის მიწის საკუთრებაში გადაცემის ინიციატივა. ამას თან ერთოდა შეხლა-შემოხლის შემთხვევები, 1913 წელს ქართლში, სოფელ სკრაში არსებულ მამულზე, რომლის შეძენაც ქართველმა გლეხებმა გადაწყვიტეს, ოსები პრეტენზიას აცხადებდნენ, რასაც ოსებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება და მკვლელობები მოჰყვა (კლდე N36, 1913: 8-9).

ხიზნების საკითხი ერთობ კომპლექსურ ხასიათს ატარებდა. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასა და ბედზე მოფიქრალი ადამიანი უარყოფითად უყურებდა ოსი ხიზნებისთვის მიწის დაკანონებას და ამაში სამომავლო საფრთხეებს ხედავდა, მით უმეტეს როცა სეპარატისტული გამოვლინებები უკვე არსებობდა. აღნიშნულ პოზიციაზე ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი იდგა. მეორე მხრივ კი, პრობლემა გადაჭრას საჭიროებდა, ათეულობით ათასი ხიზანი საქართველოში ცხოვრობდა, მათი გადასახლების პერსპექტივა არარეალური იყო და თან სხვა სახის საფრთხეებს შეიცავდა, არადა მათ სარჩო, შესაბამისად კი მიწა სჭირდებოდათ. თითქოს სოციალ-დემოკრატებს გათავისებული ჰქონდათ ხიზნების გამოუვალი მდგომარეობა და ამას ეფუძნებოდა მათი პოლიტიკა, თუმცა ისინი ხიზნების საკითხში ეროვნული ინტერესების კონტურებს ვერ ხედავდნენ, მათთვის ეს ბატონყმური ურთიერთობების ჩვეულებრივ სახეს წარმოადგენდა (Отчеты XIX, 1914: 866). ამავდროულად, აქ იკვეთებოდა კლასობრივი ბრძოლის საკითხი, სოციალ-დემოკრატებისთვის ნებისმიერი მშრომელის ინტერესი ქართველი თავად-აზნაურისა და მემამულის ინტერესზე

მაღლა იდგა. თავად მემამულეთა მდგომარეობა დამნაშავე ბავშვის წუხილს ჰგავდა. სწორედ მათი ხელშეწყობით დასახლდნენ ხიზნები, მათზე იჯარით გასცემდნენ მიწებს და იღებდნენ შემოსავალს, შემდეგ კი მათგან საქართველოს დამცველთა ბანაკში აღმოჩნდნენ. თანაც, ამ პარადოქსულ შემთხვევაშიც კი, ტრადიციულ ხაზს გაჰყვნენ და თანახმა იყვნენ ხიზნების პრობლემა სახაზინო მიწების ხარჯზე მოგვარებულიყო. რომ შევაჯამოთ, ქართველი მემამულეებისა და სოციალ-დემოკრატებისთვის ხიზნების თემა ეროვნულ ასპექტებს არ შეიცავდა. ამ მხრივ გამონაკლისია „ჟურნალ" კლდის გარშემო შეკრებილი ეროვნული ჯგუფი.

ხიზნებზე მიწების გადაცემის მოწინააღმდეგე ბანაკის პოზიციებს ჟურნალი „კლდე" გამოხატავდა. ჟურნალში ინტენსიურად იბეჭდებოდა ამ შინაარსის სტატიები. ასევე, ქართლელი გლეხების მიმართვები სათათბიროს ქართველი დეპუტატებისადმი, რომელშიც ისინი დეპუტატებს სთხოვდნენ მხედველობაში მიეღოთ მათი მდგომარეობა - მემამულეების ხელშეწყობით ჩამოსახლებული ხიზნების გამრავლებით გამძაფრებული მიწის ნაკლებობა და მათთვის არ გადაეცათ საძოვრები, წყლისპირები და ტყეები, ვინაიდან ამგვარი ნაბიჯი კიდევ უფრო დაამძიმებდა ქართველი გლეხების მდგომარეობას (კლდე N8, 1914: 10-12).

განსაკუთრებით ალექსანდრე ყიფშიძე აქტიურობდა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფის პოზიციასაც გამოხატავდა. იგი თვლიდა, რომ ხიზნობა უნდა გაუქმებულიყო, თუმცა მისი გაუქმების წამოყენებულ ვერსიებს არ ეთანხმებოდა, ვინაიდან იგი გაღარიბებული მემამულე აზნაურების დაცვასაც ცდილობდა (კლდე N15, 1913: 3-4). მისთვის ხიზნების საკითხს ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე უბრალო სოციალურ პრობლემას, როგორც ეს სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს და ასე ვთქვათ, ეროვნული დასის წარმომადგენლებს, მათ შორის წინა მოწვევის სათათბიროს ქართველ დეპუტატებს, გააქტიურებისკენ მოუწოდებდა (კლდე N42, 1913: 3-4).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ხიზნების საკითხი ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე შეჩერდა. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ საკითხში თავად ეროვნულ-დემოკრატიული ძალები სულ რამდენიმე წელიწადში სოციალ-დემოკრატიულ პოზიციაზე გადავიდნენ. ჟურნალ „კლდის" ჯგუფის თაოსნობით 1917 წელს ჩამოყალიბებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

დამფუძნებელი ყრილობის დადგენილება ითვალისწინებდა ხიზნებისა და მოიჯარადრეებისთვის სარგებლობაში არსებული ნაკვეთების სრულ საკუთრებაში დამტკიცებას (საქართველო N134, 1917: 3).

როგორც ჩანს, თანდათან ეროვნულ-დემოკრატებმაც დაინახეს, რომ ამ კომპლექსური პრობლემის სხვანაირად მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა. მრავალრიცხოვანი ხიზნობის არსებობა ფაქტი იყო და მის წინაშე იდგა ქვეყანა. სხვა საკითხია თუ ვინ გამოიწვია ეს მოცემულობა, თუმცა ის ნათელია, რომ ადრე თუ გვიან, მას გვერდს ვერავინ აუვლიდა. სოციალ-დემოკრატების რეალისტური მიდგომა, რომელმაც პირველად გულწრფელი აღშფოთება გამოიწვია, შემდეგ სხვებისთვისაც გასაგები გახდა.

ხიზნების საკითხმა მკაფიოდ გამოკვეთა, რომ ფაქტობრივად, თავადაზნაურობა იდეურადაც და პრაქტიკულადაც გასული იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩარჩოებიდან, მათი ეპოქა საბოლოოდ დასრულდა. ბოლო დროის ქართულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ეს კლასი, როგორც ინტელიგენცია და ერთობლიობა, მთლიანად გააჩანაგა.

## დასკვნა

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. სოციალურმა უთანასწორობამ, ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ეროვნულმა ჩაგვრამ წარმოშვა ხალხის უკმაყოფილებისა და რევოლუციის საფუძველი. პოლიტიკური პარტიების საქმიანობამ პროტესტს შედარებით ორგანიზებული სახე მისცა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვექტორები ერთმანეთს შეერწყა. სახალხო რევოლუციის მასშტაბებმა ქართველი სოციალ-დემოკრატები იდეალისტური მიდგომიდან მყარად დააყენა რეალისტურ რელსებზე და ისინი სათავეში ჩაუდგნენ მუშურ-გლეხურ მოძრაობას, რამაც მათი პრესტიჟი და გავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა.

საერთო მისწრაფებები, რისთვისაც ხალხი იბრძოდა, ეხებოდა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს და იდენტური იყო მთელი საქართველოს მასშტაბით. ხალხი მოითხოვდა მიწის პრივატიზაციას, სოციალურ თანასწორობას, დემოკრატიულ

მმართველობას, სამართლიან საგადასახადო პოლიტიკას, საკუთარი ენისა და ეროვნული იდენტობის დაცვასა და თავისუფლებას.

მწვავე კლასობრივი ბრძოლა იყო რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. მთავრობა იმდენად მოწყვეტილი იყო ხალხს, რომ ამ კლასობრივ კონფლიქტში ცალსახად იცავდა მემამულეთა ინტერესებს. ხელისუფლების მიერ მოთხოვნების იგნორირებამ ხალხს დამოუკიდებლობისაკენ უბიძგა. ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება და 1905 წელს შექმნილი პოლიტიკური ერთეულების დემოკრატიული პრინციპები საერთო მიზნის გარშემო შემდგარ სახალხო ერთობისა და ბუნებრივი საჭიროებების პირობებში დაიბადა.

რევოლუციის ჩახშობის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა სათათბიროში გადაინაცვლა. სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ქართველი მენშევიკები ენთუზიაზმით ჩაერთნენ ოთხივე მოწვევის სათათბიროს არჩევნებში და თითოეულ არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს. სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა სათათბიროს თუნდაც შეზღუდული პოლიტიკური ველის გამოყენებას, მათ პოლიტიკურად გაძლიერებაში დაეხმარა. 1910-იანი წლებიდან ასპარეზზე ბრუნდებიან ეროვნულ-დემოკრატები და ფედერალისტების გარშემო ჯგუფდებიან. ავტონომისტების მხარდაჭერამ ფედერალისტებს, ექვსი წლის შემდეგ, სათათბიროში მანდატი მოაპოვებინა.

სათათბიროში მენშევიკებისა და ფედერალისტების მოღვაწეობას შორის ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება საქართველოს ავტონომიის საკითხი იყო. მეოთხე სათათბიროს მუშაობას მსოფლიო ომმა მოუსწრო. ამის გამო, ფედერალისტმა დეპუტატმა გელოვანმა ყველა პოლიტიკური მიზანი გვერდზე გადადო და რუსეთის მხარდაჭერა სამშობლოს დაცვასთან გააიგივა. ამის საპირისპიროდ, სოციალ-დემოკრატები განუდგნენ იმპერიალისტურ ომს, რომლის ორივე მხარე მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ. ისინი დარჩნენ ოპოზიციურ ძალად და ქართულ ინტერესებთან ყველაზე ახლოს აღმოჩნდნენ.

## თავი III. ახალი ძალთა ბალანსი : ძვრები დამოუკიდებლობისკენ

### III.1. ეროვნულ-დემოკრატია

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობა იქცა ქართული პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული ცვლილების პერიოდად. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ 1912 წლისათვის გაიზარდა სოციალისტ-ფედერალისტების გავლენა, პარტია მეოთხე სათათბიროს არჩევნებს მომზადებული შეხვდა, რასაც თან დაერთო სხვა ეროვნული ჯგუფების გააქტიურება საზოგადოებრივ ასპარეზზე, ამან კი სოციალ-დემოკრატების ოპონენტთა ბანაკი გააძლიერა. თუ ბოლო წლებში ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტონომიის უმთავრესი მედროშეები სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ, ამ პოზიციას 1913-1914 წლებიდან თანდათან ის ჯგუფი იჭერს, რომლის საფუძველზეც 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოფიციალურად ყალიბდება. აღსანიშნავია, რომ ისინი შედარებით კრიტიკულ, უფრო ხისტ პოზიციას იკავებენ სოციალ-დემოკრატიასთან მიმართებაში, შესაბამისად, ყველაზე გავლენიანი პარტიის მთავარ მოწინააღმდეგეებად ყალიბდებიან.

ჟურნალ „კლდის“ გარშემო შეკრებილი ჯგუფი თავის მიზნად ფართო განათლების, ეკონომიკური გაძლიერების, ნაციონალური გრძნობების გაძლიერებისა და განმტკიცების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად (კლდე N01, 1912: 2). ისინი ერთობ თამამი განწყობით ებმებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში: „ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენში არ არის არც ისეთი დაწესებულება არც ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც გავლენა ჰქონდეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობაზედ. პირიქით ჩვენ გულ-ახდით ვამბობთ, რომ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელნიც აქამდე მოქმედებდნენ, ცხოვრების გარეშე რჩებიან, რადგან „ზოგადი“ მისწრაფებანი კონკრეტულ ფორმებში ვერა ყალიბდებიან“ - აცხადებდა ჟურნალ „კლდის“ რედაქცია 1912 წელს (კლდე N03, 1912: 3). ბუნებრივია, ეს იყო ერთგვარი შესავალი, რომლითაც მომავალი პარტია, ერთი მხრივ, ემიჯნებოდა სხვა პარტიებს და მეორე მხრივ, თავის პოლიტიკურ მიზნებზე მიუთითებდა. ისინი ეროვნული პოლიტიკის დროშით მოდიოდნენ და მასში ხალხის ამოქმედებას, ამისთვის კი ეკონომიკურ გაძლიერებას გულისხმობდნენ. ეკონომიკური სიძლიერე კი მაშინ დადგებოდა, როცა ქართველი ხალხი იქნებოდა თავისი სამშობლოს პატრონი (კლდე N03, 1912: 5). ახალი ჯგუფის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედო შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: პოლიტიკური მიზანი - ეროვნული სახელმწიფოს შექმნა; სოციალური მიზანი - კერძო საკუთრება და დემოკრატია (კლდე N32, 1913: 1-2), მაშასადამე - ეროვნულ-დემოკრატია.

შეიძლება ითქვას, რომ მათი პოლიტიკური კურსი ესადაგებოდა ფედერალისტებისას. თუმცა, ახალი წრე არცერთ პარტიას არ ცნობდა, რევაზ გაბაშვილი სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნულ პროგრამას თვალთმაქცურს, სოციალისტურს კი მხოლოდ დროის შესაბამის ტაქტიკას უწოდებდა (კლდე N05, 1914: 6). ისინი დისტანცირდნენ სოციალიზმისგან, ვინაიდან უმთავრეს პრინციპად, როგორც აღინიშნა, კერძო საკუთრებას მიიჩნევდნენ. ეს შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ეროვნული პოლიტიკა ძალიან ხშირად იმ კლასის ინტერესების დაცვაა, რომელსაც ეკუთვნის ფაქტიურად საქართველო...", ე.ი. ბურჟუაზია და გლეხობა (კლდე N8, 1914: 3).

ეროვნულ-დემოკრატიული წრე 1915 წლიდან გაზეთ „საქართველოს" აფუძნებს, აქ სახელის სიმბოლური დატვირთვა მომავალი პარტიის იდეოლოგიურ ქვაკუთხედსაც გამოხატავდა. გაზეთის რედაქცია 1917 წელს უკვე დაუფარავად მიუთითებდა, რომ საჭირო იყო სრული განთავისუფლება და დამოუკიდებლობის აღდგენა (საქართველო N57, 1917: 1). თუმცა, ოფიციალურად არა სრულ დამოუკიდებლობას, არამედ ისევ „გეორგიევსკის ტრაქტატის" პირობების დაცვას და ტერიტორიულ ავტონომიას გულისხმობდნენ.

როგორც ერთ-ერთი ეროვნულ-დემოკრატი, სპირიდონ კედია ფიქრობდა, რომ არსებული სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის გარემოცვაში ეროვნულ-დემოკრატია შემოიტანდა ქართველი ერის ცხოვრების საზრისს, საქართველოს ცხოვრებაში ადგილს დაიჭერდა საღი ნაციონალიზმი და რეალური ეკონომიზმი. მომავალი პარტიის მნიშვნელობაზე გრიგოლ ვეშაპელი წერდა: „იქ სადაც ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ არის, მის მაგივრობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია ეწევა, ეროვნული პარტია ვერ გაჰყვება მარტო ერთი კლასის ინტერესით ნაკარნახევ პოლიტიკას. უსახელმწიფო ერის პოლიტიკური ვითარება იმას ითხოვს, რომ ეროვნულ დემოკრატიის შემადგენელ კლასთა ინტერესებს შორის მოინახოს ერთი სწორი მოქმედების ხაზი" (საქართველო N119, 1917: 2). იმავეს გულისხმობდა ვასილ წერეთელი, როდესაც ამბობდა, რომ ეროვნულ-

დემოკრატიული პარტია უნდა ყოფილიყო ყველას პარტია, ერის, სახელმწიფოს და კერძო საკუთრებისთვის მებრძოლი, რაც ერთობით, თავისუფლებითა და თანასწორობით უნდა მომხდარიყო (ჯანელიძე, 1999: 122).

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატიამ, ერთი მხრივ, თერგდალეულთა ჭავჭავაძისეული ხაზის გაგრძელების ახლებური გზის შექმნა დაისახა მიზნად, რომელსაც კლასთა შორის საერთო პოლიტიკის წარმოების ღერძი უნდა მოენახა, მეორე მხრივ კი, ანტაგონისტურ პოლიტიკურ ვითარებაში დაეჭირა იმგვარი მიმართულება, რომელიც შეეცდებოდა ყველა იმ საჭიროებისთვის ეპასუხა, რასაც იმხანად არსებული პარტიები ვერ ახერხებდნენ.

ამგვარი თამამი ნაბიჯებითა და წარმოდგენილი პროგრამით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი ათ წლიანი პაუზის შემდეგ და 1917 წელს პარტიადაც ჩამოყალიბდა. 1917 წლის გაზაფხულზე სხვადასხვა კუთხეში ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტები, ივნისში თბილისში მოიწვიეს დამფუძნებელი ყრილობა და ოფიციალურად გამოცხადდა პარტიის ჩამოყალიბება. დაიწყო ბრძოლა ეროვნული თავისუფლების, საკანონმდებლო ავტონომიისა და კერძო საკუთრების საფუძველზე ეკონომიკური გაძლიერებისათვის (ჯანელიძე, 1999: 140-160, 204).

### III.2. ეროვნული ძალები საზღვარგარეთ

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და კავკასია ერთ-ერთ ძირითად ფრონტად იქცა. ბუნებრივია, ომმა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოწინავე ადგილი დაიკავა, სხვადასხვაგვარი იმედებითა და მოლოდინებით. ჭრელ პოლიტიკურ გარემოში ამ თემაზეც განსხვავებული პოზიციები წარმოიშვა. უარყოფითი იყო პარტიების ზოგადი დამოკიდებულება ომის, როგორც იმპერიული ხასიათის მოვლენისადმი.

თუმცა, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ორიენტაცია არსებობდა ომის განვითარებისა და პოტენციური შედეგების საკითხზე, ზოგი ანტანტას უჭერდა მხარს, ზოგი კი გერმანიას. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ შიდაპარტიული აზრი არ ყოფილა ერთიანი, მენშევიკების ნაწილი პროგერმანულ, ნაწილი პროანტანტურ პოზიციას იჭერდა. ეს უკანასკნელნი, მათ შორის ჟორდანია,

ანტანტის გამარჯვებაში უფრო მეტ სარგებელს ხედავდნენ, რადგან გამარჯვებულ ბანაკში აღმოჩენა რაიმე სარგებლის მომტანი შეიძლება ყოფილიყო. მერყევი და ცვალებადი განწყობები არსებობდა ესერებსა და ფედერალისტებს შორის (გოცირიძე, 2009: 77-78).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საგრძნობლად გააქტიურდნენ ემიგრაციაში მყოფი ეროვნული ძალები, ფაქტობრივად, პრაქტიკულ მოქმედებებზე გადასვლა დაიწყო და ამისათვის საერთაშორისო თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. ჯერ კიდევ 1911 წელს ჟენევაში, პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა ქართველ სეპარატისტთა ლიგა, მის საფუძველზე 1914 წელს შეიქმნა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომლის მიზანს საქართველოს რუსეთისგან განთავისუფლება, მისი დემოკრატიული გარდაქმნა და კავკასიის კონფედერაციული მოწყობა შეადგენდა (მამულია, ასტამაძე, 2019: 56-59). ამისათვის აქტიურად დაიწყო გერმანიასთან, როგორც ომში რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგესთან, ურთიერთობების დამყარების უმნიშვნელოვანესი პროცესი.

მაშინ, როდესაც ქართული პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ გეგმებს წლების განმავლობაში არგებდნენ იმპერიაში არსებულ პოტენციურ შესაძლებლობებს, კომიტეტმა აქცენტი რუსული მმართველობის სრულ მოსპობაზე გააკეთა და ეს ისეთი საგარეო მოკავშირის პოვნით დაიწყო, რომლის ინტერესშიც რუსეთის განადგურება შედიოდა.

კომიტეტის წევრებმა, თავადმა გიორგი მაჩაბელმა და ანარქისტმა მიხეილ წერეთელმა, 1914 წლის 24 სექტემბერს გერმანიის საგარეო უწყების მაღალჩინოსან ვეზენდოკს გაუგზავნეს მემორანდუმი, 27 სექტემბერს კი დამატებითი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ცდილობდნენ გერმანიისთვის საქართველოსა და კავკასიის როლის წარმოჩენას და ორი მხარის ინტერესების შეთავსებას. მემორანდუმში მარტივად იყო განმარტებული პოლიტიკური გზავნილი, შექმნილ სიტუაციაში გერმანიისა და ნეიტრალური კავკასიის თანამშრომლობა გერმანიას რუსეთის დამარცხებას გაუადვილებდა, კავკასიას კი რუსეთისგან განთავისუფლებას. გეგმის მიხედვით, დამოუკიდებელი საქართველო და კავკასიის სხვა ქვეყნები კონფედერაციულად იქნებოდნენ დაკავშირებული, საერთო საჭიროებების შესაბამისად (მამულია, ასტამაძე, 2019: 83-90). გერმანიის საგარეო უწყება,

ფაქტობრივად, იწყებს თურქეთთან მუშაობას საქართველოს სრული ტერიტორიული მთლიანობის თურქეთის პოტენციური პრეტენზიებისგან დასაზღვევად. 1915 წლის სექტემბრისთვის მაჩაბელი იტყობინებოდა, რომ თურქი მინისტრები თანხმობას გამოხატავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (იქვე: 192). მიუხედავად იმისა, რომ აქ ზედმეტია რაიმე გარანტიებზე საუბარი, კომიტეტის აქტიურობითა და გერმანიის ჩართულობით დიპლომატიური მუშაობა სასურველი შედეგისკენ მიიწევდა, გერმანელები დიდი სერიოზულობით მოეკიდნენ კომიტეტის შეთავაზებას.

ოქტომბერში უკვე გაერთიანებული, ქართული, ჩერქეზული, დაღესტნური და თათრულ-ლეკური ჯგუფები მიმართავენ გერმანიას თანამშრომლობისა და კავკასიის კონფედერაციის მხარდაჭერის აუცილებლობის ნოტით (იქვე: 200-202).

დიპლომატიურთან ერთად, კომიტეტი ასეთივე აქტიურობით მოქმედებდა ბრძოლის ველზე. მათ გეგმებში შედიოდა ქართველების აჯანყება და შეიარაღება, რისთვისაც აქტიურ მუშაობდნენ (ბაქრაძე, 2010: 51-55). კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ლეო კერესელიძის მეთაურობით, ოსმალეთში ჩამოყალიბებული „ქართული ლეგიონი", ქართველებისგან შემდგარი შენაერთი, 1915 წლიდან უშუალოდ ფრონტზე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ლეგიონერების რიცხვი რამდენიმე ასეულს შეადგენდა და პერიოდულად იცვლებოდა, უმრავლესობას ქართველი ტყვეები და სასაზღვრო ქართული დასახლებების მაცხოვრებლები შეადგენდნენ (ბატიაშვილი, 2008: 73-84).

ასევე აქტიურად დაიწყო კავშირის დამყარება საქართველოს შიგნით. 1914 წლის ნოემბერში გიორგი მაჩაბელი საქართველოში ჩამოვიდა (მამულია, ასტამაძე, 2019: 106). მაჩაბელს ქუთაისში ფარულად შეხვდნენ ეროვნულ-დემოკრატი ამირეჯიბი და გაბაშვილი, ფედერალისტი რცხილაძე და ფირცხალავა, მენშევიკი ჟორდანია და გეგეჭკორი. საერთო მოქმედებაზე შეთანხმება არ შედგა, თუმცა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ხელს არათუ შეუშლიდნენ, შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდნენ და თავიანთი კურსით იმოქმედებდნენ (გაბაშვილი, 1959: 125-127). როგორც ჟორდანია წერს, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ორი აზრი არ ყოფილა, სხვაობა იყო ტაქტიკაში. იგი ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ აჯანყებას, რაც რუსეთისთვის საქართველოს აოხრების საბაბად მიაჩნდა და აქცენტს საერთო

დემოკრატიულ რევოლუციაზე აკეთებდა (ჟორდანია, (1953) 1990: 71-72). მის პოზიციას ეტყობოდა, რომ იგი მოცემულობის მიხედვით შეიცვლებოდა. ფაქტობრივად, ორი ტაქტიკა გაფორმდა: ერთნი ფსონს გერმანიაზე დებდნენ, მეორენი ანტანტისა და რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებაზე, ან ერთი გაამართლებდა, ან მეორე.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტში ჩაბმა და დასუსტება კოლონიების ან დაპყრობილი ერებისთვის სრული თუ ნაწილობრივი განთავისუფლების შანსებს ლოგიკურად ზრდის, პირველ მსოფლიო ომს ქართულ საზოგადოებაში ასეთი მისწრაფებები აშკარად არ გაუღვივებია. კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1914 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში საგანგებო განყოფილების გამგე წერდა, რომ განსხვავებული პოლიტიკური აზრის ადამიანებიც კი იმპერიის დასაცავად გაერთიანდნენ და დაირაზმნენ. ამაზე ვორონცოვ-დაშკოვიც მიუთითებდა თავის წერილში, რომ კავკასიის მობილიზაციისას საერთო ეროვნული მზაობა და შემართება გამოიკვეთა (გოცირიძე, 2009: 74, 80). მაგრამ საზოგადოების რაღაც ნაწილში არსებობდა საპირისპირო აზრიც. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ საქართველოში ჩამოსულს მთელი ინტელიგენცია და პარტია გერმანოფილურ პოზიციაზე დახვდა (ჟორდანია, (1953) 1990: 69). ხალხის ორაზროვნებაზე თავისი გავლენა იქონია ოპოზიციის პასიურობამ.

თიანეთის, ახალციხის, სიღნაღის, დუშეთის და თელავის მაზრების უფროსები გუბერნატორს ატყობინებდნენ, რომ 1916 წელს გლეხებში რევოლუციური აგიტაციისა და მოძრაობის არანაირი შემთხვევა არ შეინიშნებოდა (სცა, ფ. 17, ან. 1, ს. 9618, ფურც. 1-6). 1917 წლის ზარათებშიც იგივე ვითარებაა, ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივების განწყობები გარეგნულად წყნარია, გლეხები არ იჩენენ პოლიტიკურ აქტიურობას და ასრულებენ მთავრობის მითითებებს, ისინი მოელიან, რომ ომის დასრულების შემდეგ ყველა პრობლემა მოგვარდება. სიმშვიდე იყო მუშებსა და მოსწავლე-ახალგაზრდებს შორისაც, ჩაკვდა რევოლუციური ორგანიზაციების მოქმედებები დასახლებებში (სცა, ფ. 17, ან. 1, ს. 9619, ფურც. 1-7, 21-23).

მეოთხე მოწვევისას ოპოზიციური ბრძოლის სრულად სათათბიროში გადატანა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა. პარტიებმა შეწყვიტეს აქტიური მოქმედება ხალხში,

ბრძოლის მთავარ საშუალებად ტრიბუნა დარჩა. ამ პერიოდისთვის შთამბეჭდავი პრაქტიკული მოქმედებებითა და აქტიურობით ცალსახად გამოირჩეოდა განმათავისუფლებელი კომიტეტი. მაშინ, როდესაც საქართველოში მოქმედი პარტიები ცვლილებებისთვის გარეშე შესაძლებლობებს ელოდნენ, კომიტეტი თავად ცდილობდა ამ შესაძლებლობების შექმნას. სწორედ ეს უკანასკნელი იწყებს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ცალსახა და დაუღალავ ბრძოლას, საუკუნის შემდეგ პირველად.

### III.3. ავტონომია - განხეთქილებიდან თანხმობამდე

1912 წლის სათათბიროს არჩევნებში ფედერალისტების წარმატებამ ავტონომისტთა პოზიციები გაამყარა. ეროვნულ-დემოკრატები, რომელთა პოლიტიკურ მიზანს ასევე საქართველოს ავტონომია წარმოადგენდა, თავს შორს იჭერდნენ ფედერალისტებისგან, ვინაიდან რეალურად არა ავტონომიისკენ, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდნენ. რასაც მოწმობს საზღვარგარეთ მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული ძალების უშუალო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. ამან კი ოპოზიციურ დღის წესრიგზე თავისი გავლენა იქონია, მანამდე უმაღლეს პოლიტიკურ სტატუსად აღქმული ავტონომია დამოუკიდებლობის იდეით ჩაანაცვლა. ავტონომია კი, შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში იმ პოლიტიკურ მინიმუმად გადაიქცა, რომელზეც პარტიებმა შეთანხმება შეძლეს.

ჯერ კიდევ 1913 წელს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებასა და მათ შორის სოციალ-დემოკრატებში ავტონომიამ მყარად მოიკიდა ფეხი. თუმცა დისკუსია შეიქმნა მის ფორმაზე. ნოე ჟორდანია საჭიროდ თვლიდა ნაციონალური კითხვის წამოყენებას, რომელსაც იგი კულტურულ მნიშვნელობას აძლევდა, რამდენადაც საერთო კულტურა ქმნიდა ეკონომიკურად და ტერიტორიულად დაშორებული ერის გამაერთიანებელ საფუძველს. მისთვის ფედერალისტების ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ისევ გაბატონებული კლასის ინტერესად დარჩა და თანამედროვე პროლეტარიატის ბრძოლას კულტურისთვის ბრძოლად აღიქვამდა (ჟორდანია, 1913: 18-39). ამდენად, იგი კულტურული ავტონომიის მომხრედ გამოდის. საგულისხმოა, რომ ჟორდანია თავის წერილში - „ეროვნული

კითხვა ჩვენში“, ემხრობა რა პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, საჭიროდ თვლის ადგილობრივ კანონმდებლობასა და ტერიტორიულ თვითმმართველობას (ჟორდანია, 1913: 64-65). ამავდროულად, ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულად გადაქცევის ფედერალისტურ მიდგომას და მოაქვს კავკასიის საერთო თვითმმართველობის იდეა.

შეიძლება ითქვას, რომ საკითხისადმი მენშევიკების დამოკიდებულებას პოლიტიკური ოპონენტებისადმი შეურიგებლობაც განსაზღვრავდა. მაშინ, როდესაც 1917 წლისთვის სოციალ-დემოკრატების სიჯიუტე უკვე დარღვეულია, მათში გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც მყარად გადავიდნენ ტერიტორიული ავტონომიის პოზიციებზე. 1917 წლის აპრილში სოციალ-დემოკრატიული გაზეთის, „ხალხის თავისუფლების“ რედაქცია თავის მიზნებს შორის ასახელებდა ავტონომისტთა გაერთიანებას, ხალხში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის პოპულარიზაციასა და ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებისთვის ბრძოლას (ხალხის თავისუფლება N7, 1917: 1). ფაქტობრივად, მენშევიკებმა დაიწყეს იმისთვის ბრძოლა, რაც მათი ფედერალისტებთან მრავალწლიანი შეურიგებლობის მიზეზი იყო.

ცნობილი მენშევიკი ივანე გომართელი თავისი წერილების კასკადში ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის გულმხურვალე აპოლოგეტად იქცა. მისი აზრით, ავტონომია კლასთა შეგნებულ ბრძოლას ხელს შეუწყობდა და ამავდროულად იგი უნდა ყოფილიყო არა უბრალოდ თვითმმართველობა, არამედ პოლიტიკური ხასიათის, საკანონმდებლო უფლებებით, არჩევითი პარლამენტითა და კონსტიტუციით აღჭურვილი ავტონომია (ხალხის თავისუფლება N3, 1917: 2-3). ავტონომია იქცა პოლიტიკურ პროგრამა მაქსიმუმად. გომართელი იმდენად უარყოფდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, რამდენადაც იმ ეტაპზე განუხორციელებლად მოიაზრებდა (ხალხის თავისუფლება N4, 1917: 2). ამ შემთხვევაში გომართელის პოზიცია სრულად „გეორგიევსკისეულ“ ფორმატში თავსდებოდა, იგი პატარა ერისთვის საჭიროდ თვლიდა მფარველს, რომლის ფუნქციასაც დემოკრატიული რუსეთი შეასრულებდა (ხალხის თავისუფლება N8, 1917: 2).

გომართელის აზრები შორს იდგა ჟორდანიას 1913 წლის შეხედულებებთან. თუმცა 1917 წლისთვის ჟორდანია კიდევ უფრო გაავტონომისტდა. კავკასიაში

ეროვნული საკითხის მოსაწესრიგებლად 1917 წლის ივნისში მის მიერ წარდგენილი პროექტი ითვალისწინებდა თითოეული ერის ნაციონალურ მმართველობას და პოლიტიკური მოწყობის ნაციონალურ-ტერიტორიულ პრინციპს (ალიონი N17, 1917: 2-3). იგი თავის ეროვნულ იდეოლოგიას და მისი განხორციელების პერსპექტივას დემოკრატიული რუსეთის ჩარჩოებში განიხილავდა (ვადაჭკორია, 2003: 419).

სოციალ-დემოკრატებში ამჯერად დავა წარიმართა ავტონომიის მასშტაბურობაზე გაზეთ „ალიონის“ და „ერთობის“ წარმომადგენლებს შორის. ალიონელები ფართო ტერიტორიულ ავტონომიას და თბილისში ეროვნული პარლამენტის არსებობას უჭერდნენ მხარს, ერთობელები კი ამაში განსაკუთრებული ნაციონალიზმისკენ სვლის საშიშროებას ხედავდნენ (ვადაჭკორია, 2003: 421). ფაქტობრივად, მენშევიკებსა და ფედერალისტებს შორის წლების განმავლობაში ავტონომიის საკითხზე არსებულმა დისკუსიამ აზრი დაკარგა, რამდენადაც იგი მენშევიკებისთვის უკვე შიდა პარტიულ საკითხადაც კი იქცა.

ამჯერად პარტიათაშორისი დისკუსია იმ ტერიტორიის განსაზღვრაზე წარიმართა, რომელიც საქართველოს ავტონომიას უნდა მოეცვა. მაგალითად, ჟორდანია მას ეროვნული შემადგენლობის პრინციპით განსაზღვრავდა, ფედერალისტები კი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შეხედულებით. ამავდროულად, ფედერალისტები მოითხოვდნენ ეროვნული საბჭოს მოწვევას, რათა ეს თემა არა რუსეთის, არამედ ადგილობრივ დამფუძნებელ კრებას გადაეწყვიტა (ვადაჭკორია, 2008: 37).

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში სიმძიმის ცენტრის ავტონომიისკენ გადახრას თავისი მიზეზები გააჩნია. უპირველესად, სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობამ ნათელყო, რომ ხალხის სამსახური მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ საკითხთან. მეორე მხრივ, მსოფლიო ომის მსვლელობამ პოლიტიკური ცვლილებების რეალური პერსპექტივა წარმოშვა. გარდა ამისა, საზღვარგარეთ არსებული ეროვნულ-დემოკრატიული ძალები საქართველოს დამოუკიდებლობისთვის პრაქტიკული საშუალებებით 1914 წლიდან იბრძოდნენ. 1917 წლის რევოლუციის გარიჟრაჟზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც ჩნდება ჯგუფი, რომელიც თანდათან სცდება ავტონომიის ფარგლებს. პარტიის რადიკალური ფრთის წარმომადგენელი, დავით ჩიქოვანი

ავტონომიას შეკვეცილ თავისუფლებას უწოდებს და ფაქტობრივად, ემხრობა სეპარაციას, ანუ დამოუკიდებლობას (ხალხის თავისუფლება N16, 1917: 3-4). მოგვიანებით ეს ფრთა რადიკალ-დემოკრატიულ პარტიად ყალიბდება და დამოუკიდებლობასაც შეფარულიდან აშკარა მოთხოვნად აყენებს. ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც შედარებით ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი, რადიკალ-დემოკრატი ალექსანდრე ახმეტელი ხაზგასმით ამბობდა, რომ ისინი უკიდურესი სეპარატისტები იყვნენ და მხარს უჭერდნენ დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოს, რომელიც გერმანიის მფარველობით უნდა შენარჩუნებულიყო (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 1, ფურც. 3-4).

დამოუკიდებლობისთვის აშკარა თუ შეფარული ბრძოლის ფონზე კი ავტონომია იმ მინიმუმად იქცა, რაზეც პარტიათაშორისი აზრი მეტ-ნაკლებად შეჯერდა. ამასთანავე, განმათავისუფლებელ კომიტეტსა და ადგილობრივ პარტიებს შორის 1914 წელს საქართველოს განთავისუფლების აუცილებლობაზე, ფაქტობრივად, თანხმობაც კი შედგა. ამჟამად, აქ დროისა და ტაქტიკის საკითხი იდგა, დამოუკიდებლობისთვის აშკარა ბრძოლას ქვეყნის შიგნით ვერავინ ბედავდა, ცხადია არსებობდა ლოგიკური შიში იმისა, რომ რთული კონიუნქტურით გარშემორტყმული და თავდაცვის უნარების არმქონე საქართველოს დამოუკიდებლობა ძლიერი მფარველის გარეშე განწირული იქნებოდა. თუმცა შიგნიდან არავის უცდია პოლიტიკური მოკავშირეების ძებნა და 1917 წლისთვის თითქმის ყველა პარტიის ოფიციალური და პრაქტიკული პოლიტიკური მიზანი იყო ავტონომია რუსეთის შემადგენლობაში, იმ მოლოდინითა და ოპტიმიზმით, რომ მას გადემოკრატიულებული რუსეთი დაიცავდა. 1917 წლის 26 დეკემბერს გიორგი მაჩაბელი წერდა: „სოციალისტური პარტიის ლიდერთა შორის კიდევ ბევრი იყო ისეთი, რომლებსაც რუსული დემოკრატიის ნდობა ჰქონდათ და რუსულ დემოკრატიასთან საერთო მუშაობა სურდათ“ (მამულია, ასტამაძე, 2019: 530). ერთადერთი ძალა, რომელიც თავად ცდილობდა შესაბამისი, ხელშესახები პირობების შექმნას, დამოუკიდებლობისთვის მფარველი ძალის პოვნასა და ქვეყნის შიგნით განთავისუფლების მომხრეთა რიცხვის გაზრდას, გახლდათ საქართველოს

განთავისუფლების კომიტეტი[18], რომელიც საყურადღებო პრაგმატიზმითა და აქტიურობით გახდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი ცვლილების ფაქტორი.

### III.4. ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა - მოულოდნელი დამოუკიდებლობა

წინა წლების შეურიგებლობის ფონზე ცალკე აღნიშვნის ღირსია პარტიების პირველი დიდი შეთანხმების მიღწევის ფაქტი. 1917 წლის ზაფხულში შეიქმნა ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო, რომელსაც აგვისტოში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო ეწოდა, იგი მიზნად ისახავდა მომავალზე მსჯელობასა და შეთანხმებას (ვადაჭკორია, 2008: 43). 19 ნოემბერს მოიწვიეს საქართველოს ეროვნული ყრილობა. მასში შედიოდა ყველა ძირითადი პარტია, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლები, ქალაქთა თვითმმართველობები, კოოპერატივები, პროფკავშირები და ა.შ. (ერთობა N205, 1917: 2). იგი ეროვნული კონსოლიდაციის ცალსახად მნიშვნელოვანი ეტაპია, ყრილობამ 22 ნოემბერს მოიწვია ეროვნული საბჭო, რომელმაც საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული ხელისუფლების ემბრიონის ფუნქცია შეასრულა. საბჭოს სამოქმედო პროგრამა ერთგვარად აჯამებდა პარტიების დაახლოებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსის სტატუსკვოს და მიუხედავად იმისა, რომ იგი ავტონომიის ფარგლებში თავსდებოდა, საბჭოს მუშაობა დამოუკიდებლობისთვის მზადების საწყის ეტაპად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რამდენადაც მიმდინარე მოვლენებმა ნაბიჯ-ნაბიჯ განსაზღვრეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მისასვლელი გზა. ეროვნულ საბჭოში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, რომლებსაც მოჰყვებოდნენ ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები და ა.შ. (ერთობა N206, 1917: 2).

---

[18] 1917 წლის 8 ოქტომბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტა გაუგზავნა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომლითაც აცხადებდა, რომ თუკი კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნებოდა და ოფიციალურ ურთიერთობებს დაამყარებდა გერმანიასთან, საიმპერიო მთავრობა აღიარებდა ამ სახელმწიფოს და დახმარებას გაუწევდა მეზობლებთან ურთიერთობების მოწესრიგებაში. გერმანიის პასუხს სრულად ეთანხმებოდა ოსმალეთის მთავრობა (მამულია, ასტამაძე, 2019: 497). მაჩაბლის ვიზიტის შემდეგ, კომიტეტი პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა საქართველოშიც, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მიხეილ წერეთელი, სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე და ა.შ.

თავდაპირველად, პარტიათა უმრავლესობის პოზიციიდან გამომდინარე, ეროვნულ საბჭოს რუსული ორიენტაცია ჰქონდა. სოციალ-დემოკრატები პრორუსულ ორბიტაზე ყოფნას ხსნიდნენ არა სურვილით, არამედ საჭიროებით, რომელიც ჟორდანიამ ეროვნულ ყრილობაზე გამოსვლისას განმარტა. მიმდინარე ომში მარტო დარჩენა, ჯარისა და მოკავშირის გარეშე, განადგურების ტოლფასად იყო აღქმული. იმედი კი ემყარებოდა დემოკრატიულ რუსეთს, რომელიც დაიცავდა საქართველოს პოლიტიკურ უფლებებს (ერთობა N203, 1917: 1-2). მხოლოდ რუსულ ორიენტაციას გამოკვეთილად ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ-დემოკრატია. გვაზავას აზრით, ეს ტაქტიკურად გამართლებული არ იქნებოდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროპასთან პირდაპირი კავშირების დამყარება შეიძლებოდა (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 29, ფურც. 21-23).

კავკასიის ფრონტის ჩამოშლის შემდეგ საქართველოს საზღვრებთან მომდგარი ოსმალები ზავს მოითხოვდნენ, ეროვნულ-დემოკრატები ფაქტობრივი მდგომარეობის გამოყენებას ცდილობდნენ. მათი შეხედულებით საბჭოს თავად უნდა ეწარმოებინა საზავო მოლაპარაკებები და თანდათან უნდა მომხდარიყო ფაქტობრივიდან იურიდიულ დამოუკიდებლობაზე გადასვლა. მაგრამ უმრავლესობაში მყოფი მენშევიკები დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ და რუსეთში დემოკრატიის გამარჯვების იმედს იტოვებდნენ. ოსმალეთისგან თავდასაცავად მობილიზაციის განხილვისას ნოე რამიშვილი ამბობდა, რომ ჯარი შეიკრიბებოდა 6 თვით, ამ პერიოდში კი გადაწყდებოდა რევოლუციის უმთავრესი საკითხი (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 3, ფურც. 32). მათთვის პეტერბურგთან შეთანხმების გარეშე მოქმედება ჯერ კიდევ შეუძლებლად მოჩანდა, ჟორდანია მიუთითებდა იმ ინფორმაციულ ვაკუუმზე, რაც რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე არსებობდა და მენშევიკების დაბნეულობას განაპირობებდა (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 2, ფურც. 28). შექმნილმა ანარქიამ ეროვნულ საბჭოს სხვა გზა მაინც არ დაუტოვა, ამიერკავკასიას თავად უნდა ემოქმედა.

ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ რუსეთის დემოკრატიზაციის იმედი თუ ილუზია დაიკარგა. მიუხედავად ამისა, ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი მაინც გარე მოვლენების განვითარებაზე დარჩა დამოკიდებული. შექმნილ მოცემულობაში, სადაც ბოლშევიკური რუსეთი ყველასთვის მიუღებელი იყო, არც დემოკრატიული ცვლილებების იმედები

არსებობდა და ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას გარანტორი მოკავშირე სჭირდებოდა. რეალური ინიციატივა იგვიანებდა. სიტუაცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ რუსეთში დემოკრატიული მმართველობის დამყარების იმედით მოღვაწე ქართველი სოციალ-დემოკრატები გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ.

დანარჩენი პარტიების ავტონომისტური ბურუსიდან გამორკვევა ეროვნულ-დემოკრატებმა სცადეს. ჯერ კიდევ 1917 წლის ივნისში, იოსებ მაჭავარიანი აცხადებდა, რომ თუ რუსეთის დანგრევამდე ეროვნულ-დემოკრატების მიზანს წარმოადგენდა „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“, ახლა დარჩა მხოლოდ „თავისუფალი საქართველო“, რამდენადაც პირველის შეუძლებლობაში ისინი დროზე დარწმუნდნენ. ფაქტობრივად, პარტია ეროვნულ საბჭოში დამოუკიდებლობის იდეით ხელმძღვანელობდა და პოლიტიკური აზრის ფორმირებასაც შესაბამისად ცდილობდა, რათა რუსეთის ორიენტაციიდან, რომელიც მათთვის თავისუფალი საქართველოს სამარედ იყო აღქმული, მყარად დაწყებულიყო ევროპულ გზაზე სვლა და თავისუფლების განმტკიცება (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 1, ფურც. 10).

მენშევიკებისთვის ეს ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებლობისთვის შესაბამისი დრო და ამ პოზიციას განსაზღვრავდა შიში იმისა, რომ მარტო მყოფი საქართველო განწირული იქნებოდა ოსმალური საფრთხისა და შიდა ანარქიის ფონზე. არც ეს შიში იყო უსაფუძვლო და არც თავშეკავება პრაგმატიზმისგან შორს. თუმცა აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართული პარტიების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ჩამოყალიბებული ორი მიმართულება, მიზნების შესასრულებლად ერთნი ელოდნენ ცვლილებებს, მეორენი ეძებდნენ გზებს ცვლილებებისთვის.

სწორედ ამ მოცემულობას აღწერდა ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე, როდესაც მენშევიკების პოლიტიკას აფასებდა თვითმოქმედებისგან თავის არიდებად და გარემოების იძულებით მოქმედებად (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 3, ფურც. 86).

მენშევიკებისთვისაც ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო სხვა გამოსავალი ნაცვლად მანამდე მთავარ პოლიტიკურ წყაროდ აღქმული რუსეთის დამფუძნებელი კრებისა. ამჟამად ჟორდანია ამიერკავკასიის ერთიანობაში ხედავდა გამოსავალს, ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს - სეიმს უნდა გადაეწყვიტა ტერიტორიების გამიჯვნისა და სხვა საერთო მნიშვნელობის საკითხები. რის შემდეგაც აირჩეოდა

ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები. თუ ამასობაში რუსეთის დამფუძნებელი კრება შედგებოდა, იგი ცნობდა ამიერკავკასიაში დამყარებულ წყობილებას და თუ არ ცნობდა, ეს იქნებოდა რეაქცია და მასთან შებრძოლების საფუძველი, რისთვისაც საჭირო იყო ძალა და ჯარი. მოკლედ რომ ვთქვათ, დემოკრატიული რუსეთის იმედი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული და მენშევიკებისთვის დამოუკიდებლობისკენ სვლის აუცილებლობას მისი მომავალი გაარკვევდა.

პარალელურად ეროვნულ-დემოკრატებისთვის ეროვნული მთავრობის შექმნა დროის საკითხს და ამიერკავკასიის დეცენტრალისტური მიდრეკილების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენდა (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 3, ფურც. 46-55). ამას არც მენშევიკები უარყოფდნენ, თუმცა ისინი ამიერკავკასიის ძალების გაერთიანებას ცდილობდნენ საერთო პრობლემებთან გასამკლავებლად. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საბჭომ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო და სეიმი შედგა, ყველა ითვალისწინებდა ერთსულოვნების საჭიროებას ურთულეს მდგომარეობაში.

უმრავლესობაში მყოფი სოციალ-დემოკრატების დაბნეულობა ქვეყანას ძვირი უჯდებოდა, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე მოწვევა მათ ხელიდან გაუშვეს.[19] ბოლშევიკებმა კი ოსმალეთს დაუთმეს ბათუმის, ყარსისა და არდაჰანის ოლქები. ოსმალები ზავის პირობებს აუცილებლად მიიჩნევდნენ ამიერკავკასიისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი ერთეული. ეროვნულ-დემოკრატები ახსენებდნენ მენშევიკებს, რომ ეს შედეგი მათმა თავშეკავებამ გამოიღო და დამოუკიდებლობა რომ მალევე გამოცხადებულიყო, ბრესტის ზავის პირობები სავალდებულო არ იქნებოდა (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 5, ფურც. 50). ოსმალეთის პოზიციამ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აუცილებლობაც ყველასათვის ნათელი გახადა. 22 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა. თუმცა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციების შეუთავსებლობა იმ საბოლოო საფეხურად იქცა, რამაც საქართველოს დამოუკიდებლობაზეც ყველას აზრი შეაჯერა. 1918 წლის 26 მაისს,

[19] ბრესტ-ლიტოვსკში ქართული ინტერესების დაცვას ცდილობდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მაჩაბელს კონფერენციაზე არ ჰქონდა ოფიციალური მანდატი, იგი გერმანელების გავლენით ახერხებდა ოსმალებთან საქართველოს ინტერესების დაცვას. თუმცა, გერმანელი დიპლომატის ცვლილებამ ეს მცდელობა ჩაშალა (წერეთელი, 1935: 3).

აუარებელი ხალხის ფონზე, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართული საზოგადოება უდიდესი მოვლენის წინაშე იდგა, აღდგა საუკუნის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა. მისი ამჟამინდელი მნიშვნელობა უპრეცედენტო ხასიათისა იყო იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენდა პირველ სახალხო, დემოკრატიულ მმართველობას ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში, რომელსაც წინ დიდი გამოცდა ელოდა.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს აღდგენას პოლიტიკური სპექტრი მაღალი პასუხისმგებლობით შეხვდა. ეროვნულ საბჭოში მობილიზაციის, ნაციონალიზაციის, აგრარული საკითხებისა თუ სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი თემის განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერები ცხადყოფენ, რომ თითოეული პოლიტიკური სუბიექტი აცნობიერებდა ერთსულოვნების მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად პოლიტიკოსებისთვის ერთობა პარტიულ პრინციპებზე წინ იდგა, რაც წარსული შეურიგებლობის ფონზე, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვან მიღწევად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

## დასკვნა

მსოფლიო ომის პირველ წლებში თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ არ იყო ისე დასუსტებული, რომ ქვეყნის შიგნით საქართველოს დამოუკიდებლობის მოსურნეებს ამაზე ხმამაღლა ელაპარაკათ. პარალელურად, საზღვარგარეთ შექმნილმა განთავისუფლების კომიტეტმა, რომელსაც ადგილზე ეროვნულ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, ცალსახა, მიზანმიმართული და აქტიური ბრძოლა დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, როგორც დიპლომატიური მოლაპარაკებების, ისე ფრონტზე ბრძოლის გზით. შექმნილმა მოცემულობამ ავტონომიის მნიშვნელობა დააკნინა და ერთ დროს პარტიებს შორის უთანხმოების მთავარი საკითხი გააქრო, 1917 წლისთვის ჟორდანიაც კი ეროვნულ ავტონომიას უჭერდა მხარს.

რუსეთის იმპერიის ჩამოშლის შემდეგ ხელისუფლება აიღო პარტიული კომპოზიციით შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ. ახალმა დღის წესრიგმა ერთი საქმის გარშემო შემოკრიბა დაპირისპირებული პარტიები და გამოცდის წინაშე დააყენა ისინი - შეძლებდნენ თუ არა თანამშრომლობას. მიუხედავად მსოფლმხედველობრივი

განსხვავებისა, საბჭოს მუშაობისას იდეოლოგია რეალიზმზე წინ არცერთ პარტიას არ დაუყენებია. დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიჭირა დამოუკიდებლობამ. ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდნენ, შესაბამისი საფუძვლის მომზადებას გერმანიის მხარდაჭერითა და ოსმალეთთან მოლაპარაკებების გზით ცდილობდნენ, სოციალ-დემოკრატები კი თავს იკავებდნენ და ბოლომდე ინარჩუნებდნენ რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების იმედს. ამ იმედის გაქარწყლების შემდეგ კი დაბნეულობაში აღმოჩნდნენ და მთავარი აქცენტი ამიერკავკასიის ერთიანობაზე გადაიტანეს. ილუზიური ერთობის დაშლის შემდეგ გამოცხადებული დამოუკიდებლობა ისევ ეროვნულ-დემოკრატების კონცეფციის მიხედვით შედგა, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ.

# თავი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზა (1918-1921)

## IV.1. ნეიტრალიტეტის მანტიით

### IV.1.1. საერთაშორისო მიზნები

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის მარცხმა კავკასიას განთავისუფლების საშუალება მისცა. რეგიონი ერთ-ერთ საფრონტო მიმართულებას წარმოადგენდა, რუსეთის უკანდახევის შემდეგ კი ოსმალების პრეტენზიები და შესაძლებლობები ლოგიკურად გაიზარდა. ამდენად, კავკასიური პოლიტიკური ერთეულების დამოუკიდებლობა მისი შენარჩუნებისთვის ბრძოლასთან ერთად დაიწყო.

როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, პირველი მსოფლიო ომის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, კავკასია კი მოვლენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად რჩებოდა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ვკითხულობთ: 3) „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“ 4) „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან“ (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 43, ფურც. 3). დეკლარაციის ეს ნაწილი, ცხადია, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტებისგან გამიჯვნას ემსახურებოდა, რაც თავდაცვის უნარების არქონის ფონზე, ეროვნული საბჭოს ცალსახად პრაგმატული გადაწყვეტილებაა. თუმცა ხელისუფლება რეალურად სხვა საერთაშორისო სტატუსის მოპოვებას ცდილობდა, ვიდრე ერთგვარად დეკლარირებული ნეიტრალიტეტის განმტკიცებას.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებს დამოუკიდებლობამდეც და შემდეგაც კარგად ესმოდათ, რომ თავდაცვის რესურსების არმქონე და ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიების ფონზე აღდგენილ სახელმწიფოს, სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის ძლიერი პოლიტიკური მოკავშირე სჭირდებოდა. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის განხილვისას, ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმამდე საჭირო იყო ისეთი მოკავშირის პოვნა, რომელიც დაიცავდა ამ

დამოუკიდებლობას (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 3, ფურც. 82). საქართველოს საკითხში ეს თემა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ოსმალური საფრთხე ქვეყანას ალყაში აქცევდა, აზერბაიჯანთან ერთად ოსმალურ ორბიტაზე იდგა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაც, რომელიც ტრაპიზონის მოლაპარაკებებისას ქართულ მხარეს პირდაპირ აუწყებდა, რომ ოსმალეთისთვის ომის გამოცხადების შემთხვევაში ისინი ნეიტრალიტეტს ვეღარ დაიცავდნენ (სცა, ფ. 1836, ან.1, საქ. 5, ფურც. 85). მყიფე იყო სომხეთთან ურთიერთობებიც და მეტად მზარდი საფრთხე მოდიოდა ბოლშევიკური რუსეთისგან. შექმნილმა კონიუნქტურამ და წარსულმა გამოცდილებამ გერმანული ორიენტაცია ბუნებრივ მოცემულობად აქცია.

ის რაც ეროვნულ-დემოკრატიულმა აგიტაციამ ვერ შეძლო, მოახერხა ტრაპიზონის, შემდეგ ბათუმის მოლაპარაკებებზე ოსმალების პრეტენზიების ზრდამ და გერმანიის მხარდაჭერამ - სოციალ-დემოკრატები მივიდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ 1914 წლის საიდუმლო შეხვედრაზე პარტიები თითქოს შეთანხმდნენ დამოუკიდებლობის აღდგენაზე, რისთვისაც საჭირო მომენტი უნდა დამდგარიყო, ჟორდანია ასეთ მომენტს იმდენად არარეალურად მოიაზრებდა, რომ მისი გათვალისწინება დღის წესრიგში არც კი დამდგარა (ჟორდანია, (1953) 1990: 89). შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობაში მყოფი მენშევიკების აზროვნებაში, გამოუცდელობით განპირობებულ დამოუკიდებლობის შიშთან ერთად, ბოლო მომენტამდე მძლავრობდა გარემოსთან მჭიდრო დამოკიდებულება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოცემულობა უფრო მეტად განსაზღვრავდა პარტიის დღის წესრიგს, ვიდრე თავად პარტია ცდილობდა სასურველი მოცემულობის შექმნას.

მენშევიკების ბოლოდროინდელი ეროვნული ხაზის მთავარი გამტარებელი, ჩხენკელი იქცა ამ შემთხვევაშიც მენშევიკებს შორის მთავარ აქტორად, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ის, რასაც ჟორდანია ბოლო მომენტამდე ვერ წარმოიდგენდა, მექანიკურად მისი მეთაურობით განხორციელდა.

პროგერმანული კურსი საბჭომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიიღო. გერმანია საქართველოს მფარველობისთვის მზადყოფნას აცხადებდა (შველიძე, 2022: 363). დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 2 დღეში თანამშრომლობის აქტი

გაფორმდა. 28 მაისის ფოთის დროებითი შეთანხმებით გერმანია ცნობდა საქართველოს სუვერენიტეტს და ომის მსვლელობისას რკინიგზით თავისუფალი სარგებლობის უფლებას იღებდა, რის უზრუნველსაყოფადაც განთავსდებოდნენ გერმანული რაზმები. აგრეთვე, დამატებითი შეთანხმებები ითვალისწინებდნენ ფინანსურ და მატერიალურ თანამშრომლობას (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 13, ფურც. 1, 5, 7). ფაქტობრივად, მთავრობა იმ სახის მხარდაჭერას იღებდა, რასაც ქართული პოლიტიკური აზრი თავისუფლების შენარჩუნების წინაპირობად ხედავდა, აქ კი ყველაზე მთავარი გერმანული სამხედრო შენაერთების საქართველოში განლაგება იყო. ოქტომბრისთვის მზად იყო ახალი ხელშეკრულების პროექტი ურთიერთობების განსამტკიცებლად, რომელიც, სხვათა შორის, ქართული ჯარის გაძლიერებისათვის მხარდაჭერას ითვალისწინებდა (ავალიშვილი, 1990: 153-154). თუმცა მისი რატიფიცირება ვეღარც მოესწრო და აზრიც დაკარგა, რადგან გერმანია ომში დამარცხდა. რეგიონში პოზიციები ინგლისმა დაიჭირა. გერმანიისგან განსხვავებით ისინი საქართველოში არა მთავრობის მოწვევით, არამედ საოკუპაციო ძალის სტატუსით შემოვიდნენ.

მოვლენების ამგვარი განვითარების შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკის კონცეფციის პრაქტიკული შინაარსი, რომელიც არ ეფუძნებოდა იდეოლოგიურ ან პერფექციონისტულ ძიებებს საერთაშორისო ურთიერთობებში, არამედ შექმნილი რეალობით გამოწვეულ აუცილებლობებთან შეძლებისდაგვარად მომგებიანად ადაპტირებას ცდილობდა.

რთული რეალობის გამო კი მთავარი მიზანი ძლიერი მოკავშირის პოვნას ემყარებოდა. გავლენის სფეროებად გადანაწილებულ მსოფლიოში პატარა ქვეყნის სრულფასოვანი დამოუკიდებლობის იმედიც არავის ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, მენშევიკების პროგრამა მინიმუმი, რომელიც ამ საკითხში, ზოგადად, ქართული პოლიტიკური პარტიების აზრსაც გამოხატავდა, მიზნად ისახავდა სამხედრო ძალისა და მჭიდრო ორგანიზაციის საფუძველზე დამოუკიდებლობის იმდენად შენარჩუნებას, რამდენადაც საჭირო იქნებოდა ერის თავისუფალი განვითარებისათვის (ერთობა N107, 1918: 1). ფაქტობრივად, ეს იყო რთულ დროსთან ადაპტაციის ფასი, რომელიც საქართველოს უნდა გადაეხადა საკუთარი პოლიტიკის რომელიმე დასავლური ძალის

ინტერესებთან შეთავსებით. შეიძლება ითქვას, რომ პირველი დემოკრატიული მთავრობა შექმნილ რეალობას შეხვდა არა მორალური სიჯიუტით, არამედ ცივი გონებით.

ამგვარი იყო მიდგომა გერმანიასთან და ასე გაგრძელდა ინგლისთანაც. მაგრამ ამჯერად ურთიერთობებს პარტნიორული სახე არ ჰქონია, ისინი აქ მათი დამარცხებული მოწინააღმდეგის, გერმანიის პოზიციების დასაკავებლად მოვიდნენ. ამიტომ, 1918 წლის 22 დეკემბერს ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლისადმი გაგზავნილ ცნობაში მთავრობა ხაზს უსვამდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მის შინაურ საქმეებში ნებისმიერი ჩარევა სუვერენული უფლების დარღვევად აღიქმებოდა. ხაზგასასმელია, რომ მთავრობა წინააღმდეგი არ იყო ჯარების შემოყვანის, ოღონდაც ეს უნდა მომხდარიყო მისი თანხმობით (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 26).

ომში მოკავშირეების მარცხმა ოსმალური საფრთხე დროებით ჩააცხრო. ამჯერად მთავარ პრობლემად დენიკინის რუსეთი იქცა, ქართველები მათთან გამკლავების საქმეში იმედს ინგლისელების მხარდაჭერაზე ამყარებდნენ. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პირიქითაც ხდებოდა და ქართველებს თავისი ინტერესების დაცვა თავად ინგლისელების წინაშე უწევდათ (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 82, ფურც. 1-4). გერმანელებისგან განსხვავებით, მათთან ურთიერთობები არათუ კეთილგანწყობით არ ხასიათდებოდა, არამედ ზოგჯერ სერიოზულ უთანხმოებას იწვევდა.[20] თუ გერმანია აქ მეტ-ნაკლებად მოკავშირის სტატუსით მოვიდა, ინგლისელები მხოლოდ თავიანთი მიზნებით მოვიდნენ, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის გაძლიერებას მყარი პოზიციები არ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, ინგლისელების საქართველოში ყოფნა ხელისუფლებას უსაფრთხოების გარკვეულ იმედს აძლევდა, განსაკუთრებით კი ბოლშევიკურ საფრთხესთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა იმის მიღწევას, რომ

---

[20] ამ საკითხის გარშემო საინტერესო დეტალები ასახულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში (ფონდი 1864) დაცულ საქმეებში, მათ შორის: ანაწერი 2, საქმეები 125, 275, 344.

ინგლისს საქართველოში ჯარები დაეტოვებინა (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 129, ფურც. 3). აღსანიშნავია, რომ დელეგაციის ნომერ პირველი ამოცანა იყო პოლიტიკური მოკავშირის პოვნა, რომლის ინტერესებთან საკუთარი პოლიტიკის შეთავსება მოხერხდებოდა, მანდატორის ძებნა კი, ასე ვთქვათ, იყო ქვეყნის გეგმა B.

ინგლისური გეზის ჩაშლის შემდეგ მთავრობამ იტალიაზე აიღო კურსი, რომელსაც კავკასიაში ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა და ფრანგებისგან განსხვავებით ინგლისელების ჩანაცვლებაზეც გამოთქვამდნენ სურვილს. თავის მხრივ საქართველომ ხელი ჩასჭიდა მოცემულ მდგომარეობას და იტალიაში წარმომადგენელი მიავლინა. მთავრობა ამ შემთხვევაშიც მის ხელთ არსებული შესაძლებლობებით ხელმძღვანელობდა, მას უსაფრთხოების გარანტორის ძებნაში არჩევანიც და დროც შეზღუდული ჰქონდა. ყველას კარგად ესმოდა, რომ იტალია რიგით იმპერიალისტურ და მოკავშირეთა შორის ყველაზე სუსტ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მისი კავკასიით დაინტერესება საქართველოს მიზნის განხორციელებას უფრო პრაქტიკულს ხდიდა. ამასთანავე, დახმარებაზე ზოგადი მიმართვა გაეგზავნა აშშ-ს და მთავრობა იმედოვნებდა, რომ სომხეთის მანდატის აღების შემთხვევაში ამერიკის საქართველოთი დაინტერესებასაც შეიძლება შედეგი გამოეღო (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 129, ფურც. 5-12).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული საგარეო პოლიტიკური კურსი ემყარებოდა პრინციპს - გარიგება ნებისმიერ დასავლურ სახელმწიფოსთან, ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთისგან თავდაცვის სანაცვლოდ. ქვეყანა ეძებდა ძალას, რომელიც დაიცავდა თავის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას, რასაც საფრთხეს რუსეთი და ოსმალეთი უქმნიდნენ.

და ბოლოს, საერთაშორისო სტატუსის მიებაში პირველი რესპუბლიკა უმთავრეს მიზნად ისახავდა ერთა ლიგაში გაწევრიანებას. 1920 წლის ივლისში მთავრობამ წარადგინა ოფიციალური მემორანდუმი და ლიგაში გაწევრიანებაზე აქტიური დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 351, ფურც. 2-17, 26-29). ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლი ითვალისწინებდა კოლექტიური თავდაცვის პრინციპს, წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ, დაეცვათ თითოეული წევრის ტერიტორიული მთლიანობა და

სუვერენიტეტი.[21] პირველი რესპუბლიკის ამ მცდელობის სისრულეში მოყვანა, რაც ვერ მოხერხდა, მოვლენათა განვითარების ყველაზე სასურველი სურათი იქნებოდა იმდენად, რამდენადაც იგი ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკურ მიზანს - თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფას.

### IV.1.2. აქტიური რეგიონული პოლიტიკა[22]

რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის ბედის გაურკვევლობის შემდეგ მენშევიკების პოლიტიკა ამიერკავკასიის ერთიანობის იდეით გაგრძელდა. თუმცა მეტწილად შეუთავსებელმა საგარეო ვექტორებმა ეფემერული ამიერკავკასიური ერთობის დაშლა განაპირობა. ამასთანავე, ტერიტორიების გამიჯვნის თემა ყველაზე საჩოთირო და პრობლემატურ ამოცანას თავიდანვე წარმოადგენდა და ამ მხრივ გამონაკლისი არცერთი მეზობელი არ ყოფილა. აზერბაიჯანი პრეტენზიას აცხადებდა ზაქათალასა და მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებზე, სომხეთი ლორეს, ახალქალაქის მაზრასა და მიმდებარე სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებზე. 1917 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირმა თავის შემადგენლობაში მიიღო აფხაზეთი. დეკემბერში, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა, რომ მთიელთა მთავრობას ქართველებთან კავშირის დამყარების სურვილი ჰქონდა, თუმცა ამას საზღვრების მოუწესრიგებლობა, კერძოდ კი, აფხაზეთის მთიელთა კავშირში მიღება აფერხებდა (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 3, ფურც. 11).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა. რუსული საფრთხე, პირველ რიგში, მთიელთა თავისუფლებას ემუქრებოდა. 1918 წლის 11 მაისის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ სამხრეთ საზღვარი ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით განისაზღვრებოდა (Союз…, 2013: 54, 76). მოცემულობა ნათელყოფდა, რომ მთიელთა დამოუკიდებლობა საქართველოსთან იყო გადაჯაჭვული. უფრო

---

[21] The Covenant of the League of Nations, 1923: 8.

https://archive.org/details/covenantofleague07leag/page/2/mode/2up

[22] დისერტაციის აღნიშნული ქვეთავის ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიის სახით ავტორის მიერ ჟურნალ აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნეში (ზაციკაძე, 2024).

მეტიც, საერთო პოლიტიკური საფრთხის გამოისობით, მთიელები ამიერკავკასიას გაერთიანების პოტენციური გზების გამონახვას სთავაზობდნენ, თავის მხრივ საგარეო საქმეთა მინისტრო აკაკი ჩხენკელი 1918 წელს მთიელებს სწერდა, რომ საქართველო მიესალმებოდა ახლობელ კავკასიურ ერებთან მჭიდრო კავშირების დამყარებას კონფედერაციულ საწყისებზე. ამავდროულად აცნობებდა, რომ გერმანიასთან მოლაპარაკებებში დაიცავდა მთიელთა ინტერესებს, მხარს დაუჭერდა მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებას (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 43, ფურც. 1-2).

1918 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, მოწვეულ იქნა კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია, რომელსაც მუშაობა უნდა დაეწყო 10 ნოემბერს და გადაეწყვიტა ყველა ძირითადი რეგიონული საკითხი, რათა მოახლებულ საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე კავკასიელ ერებს საერთო ინტერესების გარშემო მეტ-ნაკლებად კონსოლიდირებული სახით წარდგენა შეძლებოდათ (საქართველოს რესპუბლიკა N79, 1918: 2). კონფერენციაზე სომხეთის დელეგაცია არ გამოცხადდა, რის გამოც კონფერენციის გახსნა 20 ნოემბრისთვის გადაიდო (საქართველოს რესპუბლიკა N95, 1918: 2). სომხეთის დელეგაცია არც ამ შემთხვევაში გამოცხადდა. ისინი კავკასიის ერთა კონფერენციაში მონაწილეობის წინაპირობად ითხოვდნენ საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული სადავო საკითხების მოგვარებას (საქართველოს რესპუბლიკა N117, 1918: 2-3). რამდენიმე დღეში სომხეთმა შეიარაღებული კონფლიქტი წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ, რამაც აღნიშნული დიპლომატიური მცდელობა წყალში ჩაყარა.

მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, რომელსაც საქართველო დეკლარირებდა და ესწრაფოდა, პირველ რიგში, აზერბაიჯანთან ურთიერთშეთანხმებას ნიშნავდა. ოსმალეთის აქტიურობის ფონზე აზერბაიჯანის პროოსმალური პოზიციები საქართველოს დღის წესრიგთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა. თუმცა ხსენებულ პრობლემებს მეორე ადგილზე სწევდა საერთო ენის გამონახვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამ უკანასკნელის სარჩულს კი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები განსაზღვრავდნენ.

მუსავატელები შესანიშნავად აცნობიერებდნენ, რომ ბაქოს ნავთობი არაფერი იყო ბათუმის გარეშე. ამასთანავე, მიუხედავად ოსმალური ორიენტაციისა, ისინი

ბათუმზე საქართველოს კონტროლს ემხრობოდნენ, ვინაიდან ბაქოს ნავთობის ტრანზიტის წარმატებული მომავალი ოსმალების მიერ ბათუმის ფლობისა და საქართველოსთან შეფერხებული ურთიერთობების პირობებში ბუნდოვნად გამოიყურებოდა. ამიტომ, ისინი ბათუმის დაცვას უჭერდნენ მხარს და პირდაპირ ეუბნებოდნენ ქართველებს: „თუ ჩვენთვის ბაქოა საჭირო, თქვენთვის კიდევ ბათუმი არისო“ (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 5, ფურც. 73).

ქართული პოლიტიკური აზრის იერარქიაშიც აზერბაიჯანთან ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობა არსებულ უთანხმოებაზე წინ იდგა, რასაც იმჟამინდელი საჭიროება განაპირობებდა. საერთო პრობლემებზე საერთო გამოსავლის პოვნა იყო ის გადაუდებელი აუცილებლობა, რომლისთვისაც ხელი არაფერს უნდა შეეშალა.

1918 წლის 26 დეკემბერს ორ სახელმწიფოს შორის შედგა ეკონომიკური შეთანხმება. მხარეები შეთანხმდნენ ვაჭრობის გამარტივების ხელსაყრელ გზაზე, ტრანზიტული საქონელი გათავისუფლდა გადასახადისაგან, განისაზღვრა ტვირთის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარებოდა აქციზს, პურის გარდა ყველა პროდუქტზე მოიხსნა გადასახადები და ა.შ. ერთი სიტყვით, ხელშეკრულებით დარეგულირდა ეფექტური ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხი (სცა, ფ. 1864, ან. 1, საქ, 25, ფურც. 28).

ჩრდილოეთ კავკასია თავდაცვის ბუნებრივ ფარს ქმნიდა თბილისისა და ბაქოსთვის. ამდენად, ორივე სახელმწიფო პრაქტიკულად უწყვეტად აწარმოებდა მთიელთა რესპუბლიკის მხარდაჭერას, მორალური, დიპლომატიური და რაც მთავარია, პრაქტიკულ-მატერიალური რესურსით. 1919 წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც დაიწყო შეტაკება მთიელებსა და დენიკინელებს შორის, მხარდაჭერა უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა. დახმარების თხოვნის საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრს დაევალა მთავრობის სახელით შესაბამისი საპროტესტო ნოტის გამოცხადება და მთიელთათვის გამოეყო კრედიტი 3 მილიონი რუბლის ოდენობით (სცა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 5).

საქართველოს შიდა მდგომარეობის გათვალისწინებით მთიელებისთვის გაწეული დახმარების რაოდენობა კიდევ უფრო ცხადად გვაჩვენებს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგიონული პოლიტიკის კონცეფციას.

ოსმალეთთან და სომხეთთან შეიარაღებული კონფლიქტისა და პერმანენტული ბოლშევიკური აჯანყებების ფონზე, საქართველოს ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი თავდაცვაზე იხარჯებოდა. 1918-1919 წლებში თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა ქვეყნის მთელი ბიუჯეტის 30.39% (201.021.373 მანეთი). ხოლო თუ 1919-1920 წლებში ნავარაუდევი იყო 31.50%, რეალურად შეადგინა 36.56%. ლოჯისტიკური საჭიროებების გამო მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა გზათა სამინისტროზე, სამხედრო და გზათა სამინისტრო ერთად ბიუჯეტის ნახევარზე მეტს მოითხოვდა (პროექტი, 1920: V-VI). ეს ხდებოდა ეკონომიკური კრიზისის პირობებში, დარღვეული, ზოგიერთ შემთხვევაში შეწყვეტილი სავაჭრო ურთიერთობების ფონზე. მიუხედავად კოლოსალური ხარჯებისა, სამხედრო საქმეს ბევრი პრობლემა გააჩნდა, არადამაკმაყოფილებელი კვება, სურსათის კრიზისი, კეთილმოუწყობელი ყაზარმები და ა.შ. (სილაქაძე, 2023: 107).

საქმე ისაა, რომ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლით მთიელები არა მხოლოდ მათი, არამედ მთელი კავკასიის საქმეს აკეთებდნენ. ეს ყველაფერი ქართველებს კარგად ესმოდათ, სწორედ ამიტომ ჩრდილოეთ კავკასიას ვერავინ უყურებდა ნეიტრალური პოზიციიდან და მათ მატერიალურად ეხმარებოდნენ ქვეყნის უმწვავესი ფინანსური გამოწვევების პირობებშიც.

1919 წლის ივლისში სამხედრო მინისტრის დავალებით ჩეჩნეთში გაიგზავნა 36 ოფიცრისა და 100 ინსტრუქტორისგან შემდგარი ქართული ლეგიონი ჩეჩენი მებრძოლების დასახმარებლად, რომლის შეიარაღებაშიც შედიოდა: 500 შაშხანა რამდენიმე ასეული ათასი ვაზნით, 12 ტყვიამფრქვევი 200 ათასი ვაზნით, 14 აპარატი, ხელყუმბარები და 250 ათასი მანეთი (სცა, ფ. 1969, ან. 4, საქ. 6, ფურც. 67). აგვისტოში ქართული ლეგიონი ჩეჩნეთში ჩავიდა, რისთვისაც დამატებით გამოიყო ორი ტყვიამფრქვევი და 50 თოფი (სცა, ფ. 1969, ან. 2, საქ. 34, ფურც. 1). გარდა უშუალო დახმარებისა, მთავრობამ სამხედრო ფონდიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადადო 500000 მანეთი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა

კომიტეტისთვის დახმარების აღმოსაჩენად და საერთოდ მთიელთა საქმეებისთვის (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 59). ამით საქართველოს ხელისუფლება ერთგვარ რეზერვს ქმნიდა შემდგომი დახმარებისა და საჭიროებებისათვის. პარალელურად გრძელდებოდა მთიელთა დიპლომატიური საქმიანობა, რომელიც მთიელთა საკავშირო მეჯლისის შექმნასა და კავკასიური ერთობის საკითხზე მუშაობას აგრძელებდა. მთიელთა კომიტეტის ორგანიზებით 1919 წლის 27 აგვისტოს თბილისში კონფერენციის მოწვევა გადაწყდა. კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენელი ვალიკო ჯუღელი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ დენიკინის დასამარცხებლად საჭირო იყო კავკასიის გაერთიანება და ამ საქმისთვის საქართველო მზად იყო მაქსიმალური დახმარება გაეწია არა უბრალოდ სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო დენიკინის წინააღმდეგ საერთო კავკასიური ბრძოლა და ინტერესი[23] (სცა, ფ. 1969, ან. 4, საქ. 6, ფურც. 3-8). მთავრობის ცივი გონებით მიდგომა ეფუძნებოდა საკითხის სასიცოცხლო მნიშვნელობას.

ჩრდილოეთში დენიკინის წინსვლის ფონზე აზერბაიჯანთან ურთიერთობა ბუნებრივი დაახლოების ახალ საფეხურზე გადავიდა. საქართველო აზერბაიჯანისგან მოითხოვდა ერთობლივ წინააღმდეგობას, რამდენადაც რუსული საფრთხე საერთო კავკასიურ საქმედ მოიაზრებოდა. სამხედრო და საგარეო უწყებებს დაევალათ გაერკვიათ თუ რა პოზიციას დაიკავებდა აზერბაიჯანი დენიკინელებთან მოსალოდნელი ომის დროს და კატეგორიულად განეცხადებინათ, რომ თუ აზერბაიჯანი არ გაუწევდა წინააღმდეგობას დენიკინს, საქართველო დაიჭერდა ყველა სტრატეგიულ სასაზღვრო პუნქტს (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 26, 38).

მთიელების უკანდახევისა და საფრთხის მოახლოების ფონზე, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. 1919 წლის 16 ივნისს თბილისსა

[23] დიპლომატიური პროცესები ნელა ვითარდებოდა, მაშინ როდესაც თეთრი გვარდია წინ მიიწევდა და ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ნაწილის დაკავება შეძლო. საქართველოს ხელისუფლება შიშით უყურებდა დენიკინელების წინსვლას. 1919 წლის 2 ოქტომბერს საგარეო უწყება ნოტას უგზავნის დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებს კავკასიაში, რათა ისინი ჩარეულიყვნენ კონფლიქტში და სამშვიდობო გზით გადაეჭრათ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოსა და რეგიონს (საქართველოს რესპუბლიკა N223, 1919: 1-2).

და 27 ივნისს ბაქოში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება კოლექტიური თავდაცვის შესახებ, რომლის მიხედვითაც მხარეები ვალდებულებას იღებდნენ საერთო შეიარაღებული ძალებით დაეცვათ ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული ხელშეუხებლობა (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 76, ფურც. 1-3).[24]

აღნიშნული ხელშეკრულების მე-10 მუხლი სომხეთსაც სთავაზობდა მასში გაერთიანებას. სომხეთის მხრიდან 1918 წლის ბოლოს დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ საქართველოს მხრიდან ეს ნაბიჯი ცალსახად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი აჩვენებს რეგიონში არსებული დაძაბულობის განმუხტვისა და საერთო საჭიროებების ირგვლივ გაერთიანებისკენ მისწრაფებას. თუმცა სომხეთი მას არ შეერთებია.[25] მოგვიანებით, 1919 წლის 3 ნოემბერს გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 33, ფურც. 87-88).

მთავრობის რეგიონული პოლიტიკა იდენტური მიდგომით ხელმძღვანელობდა ყველა იმ მიმართულებით, რომელიც რუსული საფრთხის შემცირებას შეუწყობდა ხელს. 1920 წლის აპრილში ყუბანის რესპუბლიკის წარმომადგენლები ამიერკავკასიის ქვეყნებს აცნობებდნენ, რომ ისინი არ ენდობოდნენ არც თეთრგვარდიელებსა და არც ბოლშევიკებს, სურდათ დამოუკიდებლობა და აღიარებდნენ კავკასიაში წარმოქმნილი ქვეყნების დამოუკიდებლობას (სცა, ფ. 1869, ან. 1, საქ. 4, ფურც. 58-59). მთავარ საფრთხესთან მიმართებაში პოლიტიკური ვექტორების თანხვედრას მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. 20 აპრილს ყუბანის მთავრობისთვის გაიცა სესხი 15 მილიონი მანეთის ოდენობით (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 25, ფურც. 5).

---

[24] 1920 წლის აპრილში ბაქო ბოლშევიკებმა ფაქტობრივად უბრძოლველად დაიკავეს. ეფექტური წინააღმდეგობის პირობებში საგულისხმოა, რომ საქართველო ჩაერთვებოდა მასში, რის თქმის საშულებასაც ზემოთ მოყვანილი ჩრდილო კავკასიური გამოცდილება გვაძლევს.

[25] სომხეთთან ურთიერთობების დალაგება 1919 წლის ბოლოსკენ მოხერხდა. ჯერ კიდევ 1919 წლის აპრილში თბილისში გახსნილი კავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის მსვლელობისას, რომლის დღის წესრიგში მთავარი ადგილი ეჭირა კავკასიის ერთიანობის საკითხს, გამოჩნდა გარკვეული დისონანსი სომხური დელეგაციის მხრიდან (სცა, ფ. 1864, ან.1, საქ. 131, ფურც. 1-3).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მიდგომა ნათლად წარმოაჩენს ორ საკითხს: უპირველესად, მთავრობა თავისი ქვეყნის უსაფრთხოებად აღიქვამდა აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობას, რისთვისაც მზად იყო თავისი უმწვავესი მდგომარეობის ფონზეც კი შეძლებისდაგვარი დახმარება გაეწია. მეორე მხრივ, თანაბარ საფრთხედ მოიაზრებოდა როგორც თეთრგვარდიული, ისე ბოლშევიკური რუსეთი. ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიური ურთიერთობების კეთილმეზობლური კალაპოტით განვითარება დემოკრატიული რესპუბლიკის რეგიონული პოლიტიკის ამომავალი პრინციპი გახლდათ.

ამდენად, საქართველოს პირველი მრავალპარტიული მთავრობის საგარეო პოლიტიკის პროგრამა მაქსიმუმს წარმოადგენდა საერთაშორისო აღიარების მოპოვება, სრულფასოვან პოლიტიკურ ერთეულად ცნობა და ერთა ლიგაში გაწევრიანება. პროგრამა მინიმუმი კი მიზნად ისახავდა მოკავშირის ანდა პროტექტორის პოვნას, რომელიც სამრეწველო-ეკონომიკური ინტერესების სანაცვლოდ უზრუნველყოფდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ორივე შემთხვევაში პრინციპი კოლექტიური თავდაცვისა და პოლიტიკური გარანტიების ძებნაში მდგომარეობდა.

რაც შეეხება რეგიონულ პოლიტიკას, იგი ეფუძნებოდა კეთილმეზობლური და საერთო ინტერესების საფუძველზე დამყარებული თანამშრომლობის იდეას. ამ თვალსაზრისით კავკასიის სახელმწიფოებს თავადვე უნდა გამოენახათ საერთო ენა იმგვარი კოლაბორაციის დამყარებისათვის, რომელიც საყოველთაო საშიშროებებთან გამკლავებას შეძლებდა, რისი მაგალითიცაა საქართველოს ურთიერთობები განსაკუთრებით აზერბაიჯანთან და მთიელთა რესპუბლიკასთან. ამ მიმდგომის დღის წესრიგში მეორე ადგილზე იწევდა კავკასიელ ერებს შორის არსებული გაურკვევლობები, ეს, ასე ვთქვათ, შიდა რეგიონულ საქმედ ითვლებოდა, ხოლო პირველ ადგილას იდგა სწორედ საერთო საჭიროებები.

პირველი რესპუბლიკა არ იყო ნეიტრალური სახელმწიფო, დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნახსენები ნეიტრალიტეტი გამოხატავდა სიტუაციურ აუცილებლობასა და მსოფლიო კონფლიქტისგან გამიჯვნის საშუალებას. 1918 წლის 15 ოქტომბერს გერმანიის დელეგაციისთვის გაგზავნილ ნოტაში, რომელიც რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს ეხებოდა, ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ იგი

არასდროს მოიაზრებდა საქართველოს საერთაშორისო პოზიციას, როგორც აბსოლუტურად ნეიტრალურს, რაზეც ცხადი ფაქტებიც მეტყველებდნენ. არამედ ეს იყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების შესაბამისობა (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 11, ფურც. 6). ფაქტობრივად, რესპუბლიკა ამგვარი ნეიტრალიტეტის მანტიით აწარმოებდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დამყარებისა და საერთაშორისო ალიანსში გაწევრიანებისკენ მიმართულ პოლიტიკას დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით. საქართველო ნებისმიერი ალიანსის შექმნას ცდილობდა არა სხვისთვის საფრთხის შექმნის, არამედ თავდაცვის მიზნით. ნეიტრალიტეტი იყო სურვილი, რომელიც დაარღვია გარეშე საფრთხემ და თავდაცვის ალიანსის აუცილებლობამ.

### IV.2. პოლიტიკური თანაცხოვრება შინ და გარეთ

ქართული საზოგადოება დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდა დამოუკიდებლობის აღდგენას. 1918 წლის აპრილში, ქართველი სტუდენტების საერთო და სრულიად სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურეთა დამფუძნებელი კრება მოუწოდებდა ეროვნულ საბჭოს გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. 26 მაისის შემდეგ სასურსათო სამინისტროს მოხელეები, ქუთაისის, ბათუმისა და ყვირილის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლები და ა.შ. ერთმანეთის მიყოლებით გზავნიდნენ მისალოც ბარათებს და გამოთქვამდნენ აღფრთოვანებას (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 12, ფურც. 59-61, 135-137). ხევსურების დეპუტაცია აცხადებდა, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას (საქართველოს რესპუბლიკა N2, 1918: 3).

მოვლენის უაღრესად დიდ ისტორიულ მნიშვნელობას დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად ისიც განსაზღვრავდა, რომ პირველად ისტორიაში ქართულ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა დემოკრატიული ხელისუფლება.

1917 წლის აგვისტოში შექმნილი პარტიათაშორისი ბიურო პოლიტიკური პარტიების თანაბარი რაოდენობის დელეგატებისგან შედგა. ეროვნული საბჭო, რომელიც სხვადასხვა სფეროსა და კლასის 329 დელეგატისგან დაკომპლექტებულმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია, 67 კაცისგან შედგებოდა. მასში მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა: 28 სოციალ-დემოკრატი, 11 სოციალისტ-ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 7 სოციალისტ-რევოლუციონერი (ესერი), 4

ალიონელი (სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი), 1 რადიკალ-დემოკრატი, 3 სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელი, 1 ზაქათალის ოლქიდან, 1 სამხრეთ ოსეთის ოლქიდან და 2 უპარტიო (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 124, ფურც. 5-6). დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოს შემადგენლობა თითქმის გაორმაგდა, სოციალ-დემოკრატებმა ადგილების ნახევარზე მეტი, 66 მანდატი მიიღეს, ფედერალისტებმა 16, ეროვნულ-დემოკრატებმა 15, ესერებმა 12, რადიკალებმა 3, უპარტიო 2 და საინგილოდან 1 (ერთობა N111, 1918: 2). სოციალ-დემოკრატებმა პოზიციები გაიმყარეს და ფაქტობრივად, გადამწყვეტი უმრავლესობაც შექმნეს. სექტემბერში საბჭოს პარტიული მანდატები შემცირდა, ვინაიდან 26 ადგილი დაიკავეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა (აქტების კრებული, 1990: 62-63).[26]

დემოკრატიულ არჩევნებამდე ეროვნული საბჭო ასრულებდა მთავრობის როლს. შემადგენლობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა, მინისტრთა კაბინეტის რვა პორტფელიდან ოთხი სოციალ-დემოკრატებმა დაიკავეს (შინაგანი, საგარეო, სამხედრო და მიწათმოქმედების), ორი ფედერალისტებმა (განათლება და იუსტიცია), თითო-თითო ეროვნულ-დემოკრატებმა (ფინანსთა) და ესერებმა (გზათა), მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი, რომელიც მალევე ჩაანაცვლა ნოე ჟორდანიამ (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 12, ფურც. 128).

ფაქტობრივად, კოალიციურ ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ ოპოზიციაში ერთმანეთს გადაკიდებული პარტიები. მათ შორის დაძაბულობა წარსულში ზოგჯერ უმაღლეს საფეხურს აღწევდა. ამ ორთაბრძოლაში განსაკუთრებით მწვავე და ანტაგონისტური ხასიათი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებებს შორის დაპირისპირებას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლმხედველობრივ სხვაობასთან. უფრო იდეოლოგიურ შინაარსს ატარებდა

[26] 1918 წლის 13 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობებს გააჩნდათ თავიანთი ეროვნული საბჭოები, ეროვნული და კულტურული საქმეების სამართავად. კანონის თანახმად, საბჭოს 26 ადგილს დაიჭერდნენ აღნიშნული საბჭოების მიერ გაგზავნილი წარმომადგენლები. მანდატების რაოდენობა განსაზღვრული იყო ცალკეული ეთნიკური ჯგუფის რიცხოვნობის შესაბამისად (კანონთა კრებული, 1919: კანონი 58, გვ. 87).

სოციალისტურ პარტიებს შორის არსებული დაპირისპირება, რომელშიც არცერთი პარტია არ ჩამორჩებოდა ერთმანეთს. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები აქტიურობდნენ. ეს შეუთანხმებლობა მხოლოდ შიდა არენაზე არ დარჩენილა და გრძელდებოდა რუსეთის პირველ და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზეც.

ურთიერთობების მეტ-ნაკლები დარეგულირების პირველ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად 1914 წელს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენლის, გიორგი მაჩაბლის ვიზიტი და პარტიათაშორისი საიდუმლო შეხვედრა შეიძლება ჩავთვალოთ. აქ უკვე პირველ ადგილზე, მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური შეხედულებების ნაცვლად, დადგა სახელმწიფოებრივი საკითხი. 1918 წლიდან კი პოლიტიკური სპექტრის პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ხარისხის ნათელყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იწყება, რომელშიც პარტიებს საზოგადოებრივი და დემოკრატიული ინტერესების სახელმძღვანელო გზა უნდა მოენახათ.

საბჭოს მუშაობა ცხარე პარტიული კამათის, კინკლაობისა და დავის პირობებში მიმდინარეობდა. ცხადია, ყველაფერი იდეალურად არ იყო, ექსპრესიული, გაუწონასწორებელი დებატები ზოგჯერ სცდებოდა რაციონალური მსჯელობის ჩარჩოებს. თუმცა სტენოგრაფიული ჩანაწერები მოწმობენ, რომ ემოციური პოლემიკის მიუხედავად, მოიძებნებოდა კონსტრუქციული მუშაობის გზაც. შვიდი თვის განმავლობაში საბჭომ მიიღო 125 კანონი და დადგენილება (ჯონსი, 2018: 43). ოპოზიცია ხელისუფლების ეფექტურ მაკონტროლებელს წარმოადგენდა. ამასთანავე, ბევრი რეფორმის განხორციელება სწორედ მრავალპარტიული მთავრობის მოღვაწეობის დროს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობისთვის უცხო არ იყო ოპოზიციის აზრისა თუ დასაბუთებული შესწორების გათვალისწინება, იმდროინდელ პოლიტიკურ აზროვნებაში ჯერ კიდევ არ არსებობდა განსხვავებული იდეოლოგიისა და აზრის მტრულად აღქმის ტენდენცია.

უმრავლესობაში მყოფი სოციალ-დემოკრატების პრაგმატიზმი თუ სადმე გამოჩნდა, ეს იყო მათი მცდელობა ყოფილიყვნენ ყველა სოციალური კლასის მთავრობა. ჟორდანია ცდილობდა ოპორტუნიზმი არ ჩავარდნილიყო. საქართველოს საზოგადოებას გლეხები, მუშები და წვრილი ბურჟუაზია შეადგენდა, სოციალ-

დემოკრატები ბურჟუაზიის ინტერესებს გვერდს ვერ აუვლიდნენ. თუმცა, ისეთი სახელმწიფოს აშენებას ცდილობდნენ, რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებდა „ნაკლების მქონე და არა მქონე კლასების ინტერესებისთვის“. ნოე ჟორდანია კარლ კაუცკის პოზიციას მიჰყვებოდა, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული რესპუბლიკა იყო პოლიტიკური მოწყობის ერთადერთი ფორმა, რომლის შეთავსებაც შეიძლებოდა სოციალიზმთან (ჟორდანია, 2018: 47-57). ჟორდანიას შეხედულებით, ნაკლები ბიუროკრატიისა და საქმიანი კოლეგიის სახით წარმოდგენილი კაბინეტის მეშვეობით უნდა უზრუნველყოფილიყო ხალხის მმართველობა. ქართველი მარქსისტები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, მოქნილი დემოკრატიული მექანიზმის ჩამოყალიბებით უნდა შექმნილიყო მყარი სახალხო მმართველობის საფუძველი, პოლიტიკურ თვითმმართველობას კი უნდა შეესრულებინა შორეული მიზნის - სოციალური თვითმართველობის წინამავლის ფუნქცია (ჟორდანია, 2018: 60-63). ამასთანავე, სოციალ-დემოკრატები კისრულობდნენ იმ მანდატურის როლს, რომელიც სტაბილური კონტროლის გზით უზრუნველყოფდა დღევანდელი დემოკრატიიდან ხვალინდელ სოციალიზმზე გადასვლას.

ყველა ერთხმად თანხმდებოდა, რომ დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების საფუძველზე უნდა შემდგარიყო დამფუძნებელი კრება, რომელსაც ექნებოდა საზოგადოების ლეგიტიმაცია. 1918 წლის 22 ნოემბრის დებულების თანახმად, 130 წევრიან დამფუძნებელ კრებას აირჩევდნენ თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, სრულად პროპორციული წესით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა მოქალაქეს 20 წლის ასაკიდან, განურჩევლად სქესისა (აქტების კრებული, 1990: 84-85). მოქალაქედ ითვლებოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში 1914 წლის 19 ივლისამდე რეგისტრირებული მოქალაქე. ეს გადაწყვეტილება ემსახურებოდა პირველი მსოფლიო ომის ქაოსში მიგრირებული უცხო ელემენტების არჩევნებში მონაწილეობის პრევენციას.

გამჭვირვალობის მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა სხვადასხვა პარტიელებისგან შეიქმნა. თავმჯდომარედ დაინიშნა სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ლომთათიძე, ამხანაგებად ფედერალისტი არჩილ ჯაჯანაშვილი და ესერი ივანე გობეჩია, მდივნად სოციალ-დემოკრატი ოლა (ანა)

სოლოღაშვილი, ხაზინადრად კი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. მოგვიანებით ჯაჯანაშვილი ჩაანაცვლა ასევე ფედერალისტმა თედო ღლონტმა (სცა, ფ. 1834, ან. 2, საქ. 59, ფურც. 1, 13). კომისიაში შედიოდა თითოეული საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, თუ პარტიები ასეთს არ გაგზავნიდნენ კომისიაში, მაშინ წარმომადგენლად ითვლებოდა შესაბამისი პარტიის საკანდიდატო სიის პირველი ამომრჩეველი (სცა, ფ. 1834, ან. 1, საქ. 118, ფურც. 19-27, 33). იმ ადგილებში, სადაც არ არსებობდა თვითმმართველობა, საარჩევნო კომისია იქმნებოდა პარტიათა წარმომადგენლებისგან (სცა, ფ. 1834, ან. 2, საქ. 59, ფურც. 2).[27]

სოციალისტური პარტიების საარჩევნო პროგრამები ასახავდნენ საბოლოო მიზნამდე - სოციალიზმის განხორციელებამდე, მისასვლელ პარტიულ ხედვებსა და პრინციპებს. თითოეული მათგანი ემყარებოდა დემოკრატიასა და სრული თანასწორობის იდეას. სოციალ-დემოკრატები და ესერები ხაზს უსვამდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას, ფედერალისტები აქცენტს აკეთებდნენ წარმოების განვითარებაზე. პარტიების მიზნები მსგავსი იყო ჯარის საკითხში. მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის აგრარულ მიმართულებაზე. პოლიტიკურ ნაწილში, დანარჩენებისგან განსხვავებით, ესერები ემხრობოდნენ სრულ ნეიტრალიტეტს (ირემაძე და სხვა, 2015: 131-169). მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატები ეროვნული პოლიტიკის, კერძო საკუთრების და კულტურულ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირით საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების იდეით ხელმძღვანელობდნენ (ჯანელიძე, 1999: 247).

ფედერალისტების პროგრამა წარმოადგენდა ყველაზე ტრადიციულ პროგრამას, რამდენადაც ძირითადად თავდაპირველ პრინციპებს მიყვებოდა, განსხვავებით სოციალ-დემოკრატიულისგან, რომელსაც კარგად ეტყობოდა ეტაპობრივი ტრანსფორმაციისა და გარემოსთან ადაპტაციის კვალი. ამავდროულად, საარჩევნო ტაქტიკის მხრივ, საზოგადოებას ყველაზე დახვეწილი პროგრამა სოციალ-დემოკრატებმა შესთავაზეს. მასში დიდი ყურადღება დაეთმო ისტორიულ კონტექსტს,

---

[27] ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სოციალ-დემოკრატებს ჰყავდათ 8 კაცი, 2-2 ფედერალისტებს, ესერებსა და ეროვნულ-დემოკრატებს, თითო-თითო ეროვნულ პარტიას, რადიკალებს, ალიონელებს, დაშნაკებს, დამოუკიდებელთა კავშირს, თათრების ბლოკსა და კადეტებს (სცა, ფ. 1834, ან. 2, საქ. 74, ფურც. 2).

პარტიის დამსახურებას სოციალიზმის, თავისუფლების, ხალხის ინტერესების დაცვისა და ბოლოდროინდელი რეფორმების, განსაკუთრებით მიწის საქმეში. ფრთხილად, მაგრამ მაინც ერთ-ერთ დამსახურებად ითვლიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელსაც ისინი ასე უფრთხოდნენ და ბოლო მომენტამდე თავს იკავებდნენ.

წინასაარჩევნო კამპანია მშვიდად და თავისუფლად მიმდინარეობდა. პარტიებს გააჩნდათ თავიანთი ბეჭდური ორგანოები,[28] შეუზღუდავად წარმოებდა ტრადიციულად ინტენსიური და მწვავე პოლიტიკური პოლემიკა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უზრუნველყოფილი იყო თანასწორი უსაფრთხოება და ამ პირობებს უპირველესად უმრავლესობაში მყოფი სოციალ-დემოკრატები ქმნიდნენ. თავის მხრივ, საზოგადოებაც ცივილურად შეხვდა ამ პროცესებს.

მაგრამ სოციალ-დემოკრატების მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისა და რესურსის კონტროლი აჩენდა არჩევნების გაყალბების საფრთხეს. ამის თავიდან ასარიდებლად, საარჩევნო კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობებდა წინასაარჩევნო დარღვევების შესახებ და მიმართავდა მიეღოთ სასტიკი და სასწრაფო ზომები, რათა აღკვეთილიყო ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მილიციის მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიაში ნებისმიერი ჩარევა (სცა, ფ. 1834, ან. 1, საქ. 1, ფურც. 57, 79-84).[29] ამასთან დაკავშირებით გამოიცა შესაბამისი ცირკულარიც. საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ეს საფრთხე რეალური იყო. პარლამენტის წევრი სპირიდონ კედია იტყობინებოდა ხობისა და ზანძის კომისრების არჩევნებში არაოფიციალურად ჩარევის შესახებ. იმავეს აღნიშნავდნენ საგუბერნიო ინსტრუქტორი მარგველაშვილი და გორის ინსტრუქტორი კვალიაშვილი (სცა, ფ. 1834, ან. 2, საქ. 59, ფურც. 32, 36, 41). ადგილობრივი ადმინისტრაცია არასდროს ყოფილა ერთპარტიული, ამიტომ სხვა პარტიელებსაც ძლევდათ ცდუნება. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობით, საგარეჯოში კომისიის სოციალისტ-ფედერალისტი თავმჯდომარე დაფქვიაშვილი ამომრჩევლებს საჯაროდ მოუწოდებდა, რომ ხმა არ მიეცათ N9-ით

---

[28] სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი გამოცემა იყო გაზეთი „ერთობა“, სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“, ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“, ესერების გაზეთი „შრომა“ და ა.შ.

[29] ასევე იხილეთ: სცა, ფონდი 1834, ანაწერი 2, საქმე 59, ფურცელი 28.

რეგისტრირებული მაშვრალთა პარტიისათვის (სცა, ფ. 1834, ან. 1, საქ. 118, ფურც. 58). მართალია პარტიების ხელმძღვანელები დემოკრატიული ფასეულობებით ხელმძღვანელობდნენ, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ამ ღირებულებებს ზოგიერთ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ ჰქონდა უპირატესი მნიშვნელობა, რაც რესურსის არაობიექტურად გამოყენების ცდუნებასაც აჩენდა.

ამასთანავე, პარტიები უჩიოდნენ წინასაარჩევნო დროის სიმცირეს. ხმის მიცემისას გამოვლინდა ცალკეული დარღვევები, სიების უზუსტობა, ბიულეტენების მეტობა, ყუთის დაზიანება და ა.შ. თუმცა ასეთი შემთხვევების რაოდენობა არავის აძლევდა იმის თქმის საშუალებას, რომ არჩევნები გაყალბდა ან მსგავსმა უწესობებმა შედეგებზე გავლენა მოახდინა. ზემოთქმულს აღიარებდნენ თავად ოპოზიციური პარტიები (ჯანელიძე, 2021: 179).

სოციალ-დემოკრატების უპირატესობები, ხალხთან ურთიერთობის და პოლიტიკური ბრძოლის ის გამოცდილება, რაშიც ისინი აშკარად ჯაბნიდნენ სხვა პარტიებს, ჩანდა ჯერ მათი პროგრამის აქცენტებში და აისახა არჩევნების შედეგებზეც. ჯერ კიდევ საარჩევნო სიები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ არჩევნებში აბსოლუტური გამარჯვებისთვის მხოლოდ სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები იბრძოდნენ. სრული, 130 კაციანი საკანდიდატო სია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წარადგინა, ფედერალისტების სია 120 კანდიდატს მოითვლიდა, ეროვნულ-დემოკრატების 96, ესერების 73 სუბიექტს, დანარჩენ პოლიტიკური ერთეულების სიები კი ბევრად უფრო ნაკლებს (ირემაძე, ჭუმბურიძე, 2018: 30-31). არჩევნებში მონაწილე 15 სუბიექტს შორის, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა აბსოლუტური გამარჯვება, დამფუძნებელი კრების 130 ადგილიდან მიიღო 109 ადგილი (სცა, ფ. 1834, ან. 1, საქ. 118, ფურც. 100).[30] ამას ოპოზიციაც აღნიშნავდა, ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია წერდა: „ჩვენ არ გვინდა დავამციროთ სოც.-დემოკრატების პრესტიჟი, ამ პარტიას წარსულში უთუოდ ჰქონდა იდეალური ორგანიზაცია, რომელიც იყო სოციალისტური რწმენით შთაგონებული და ბევრი ტანჯვა და დევნა გადაუტანიათ სოციალ-დემოკრატების პროზელიტებს ძველი მთავრობისგან, მაგრამ დიდი ხანია, რაც მენშევიკები

[30] დარჩენილ ადგილებში არჩევნების ჩატარების შემდეგ 102-მდე შემცირდა (სცა, ფ. 1834, ან. 2, საქ. 59, ფურც. 61).

გამოვიდნენ „სარდაფებიდან“ და შეიქნენ ლეგალურ მართველ პარტიათ, სოციალ-დემოკრატებმა მოასწრეს შეექმნათ ურიცხვი კლიენტელა კურსდაუთავებელ პროპაგანდისტებიდან, რომელნიც თავიანთ მდგომარეობის შენარჩუნებისთვის მწვავედ იბრძვიან, და მათი ბრძოლა გამარჯვებით გათავდა კიდეც“ (საქართველო N39, 1919: 1). მემარჯვენეები ჯერ კიდევ 1914 წელს წერდნენ: „ს.-დემოკრატია ერთობ მმოძრავი, მომქმედი და ვრცელ მასასთან დაახლოებული პარტიაა...“ (კლდე N1, 1914: 4). სოციალ-დემოკრატების მიზანმიმართული და უწყვეტი აქტიურობა, გარემოსთან ადაპტაცია და ევოლუციის უნარი ყოველთვის პოულობდა ასახვას პარტიის პოლიტიკურ სიძლიერეში.

კლასობრივი ბრძოლის კონტექსტისთვის უნდა ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების აბსოლუტური უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებმა შეადგინეს, რომელთა ნახევარზე მეტს გლეხური წარმომავლობა ჰქონდა (ორჯონიკიძე, ზედგინიძე, 2020: 4). პირველმა არჩეულმა პარლამენტმა ოფიციალურად გააფორმა კლასობრივი ბრძოლის შედეგი, რაც არა შერიგებით, არამედ ფეოდალური კლასის მოსპობით დასრულდა. ჯერ კიდევ 1917 წელს თავადაზნაურობის კრებამ მათ ხელთ არსებული ქონება სრულად გადასცა სახელმწიფოს (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ, 11, ფურც. 1). ამით კლასმა დაკარგა შემორჩენილი უპირატესობაც.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: მაშინ, როდესაც ზოგიერთ წამყვან სახელმწიფოში ქალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს ხუთი ქალი.[31] უმცირესობების პოლიტიკური უფლებების უზრუნველსაყოფად საქართველოში მცხოვრებ ეროვნებებს თუ რელიგიურ ჯგუფებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ გაერთიანებები, რომლებიც არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ. ასეთები იყვნენ: სომხების „დაშნაკცუთიუნი“, მუსლიმთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრის მუსლიმთა ჯგუფი და ელინთა დემოკრატიული ჯგუფი, რომელთაგან დამფუძნებელ კრებაში შესვლა „დაშნაკცუთიუნმა“ შეძლო (ხვადაგიანი, 2016: 19, 39).

---

[31] საკანდიდატო სიების 600 კანდიდატიდან 26 ქალი იყო, მათ შორის ყველაზე მეტი ქალი კანდიდატი სოციალისტ-ფედერალისტებს ყავდათ (ირემაძე, ჭუმბურიძე, 2018: 31).

პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი პარლამენტში გადავიდა, მასში სოციალ-დემოკრატების გარდა ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია და სომხების დაშნაკცუთიუნი შევიდა. მწვავე კამათისა და დაპირისპირების საგნად იქცა ეკონომიკის, ინდუსტრიისა და თავდაცვის თემები. სტენოგრაფიული ჩანაწერები მოწმობენ, რომ დეპუტატები ერთმანეთს არ ინდობდნენ, გაისმოდა ბრალდებები და სუბიექტური შეფასებები. თუმცაღა, ასევე ბევრი შემთხვევა მოიძებნება, როდესაც პარტიები მხარს უჭერდნენ ერთმანეთის ინიციატივებს, აქცენტი კეთდებოდა არა წინადადების ავტორზე, არამედ შინაარსზე. დისკუსიას მეტწილად იდეოლოგიური რწმენა წარმოშობდა.

არსად ჩანს, რომ ოპოზიციისთვის ოპონირების სარჩულს ხელისუფლების ჩანაცვლების მოტივი განაპირობებდა. ნიკო ნიკოლაძე აზუსტებდა, რომ მათი ლაპარაკი მიზნად ისახავდა არა მთავრობაში მოსვლას, არამედ მამულის განმტკიცებას (ჯანელიძე, 2022: 14). პოლიტიკური კრიტიკა იყო ჭეშმარიტების ძიების საშუალება. ერთ-ერთ სხდომაზე ესერი ლეო შენგელაია თავის სიტყვაში ამბობდა: „და რომ მოისპოს ეს პარტიული ბრძოლა, ეს იქნება საქართველოს დასახიჩრება, ეს იქნება იგივე რომ ვსთქვათ, რომ ეპიდემიის დროს ექიმები არ უნდა იყვნენ" (სხდომის ოქმები VIII, 2020: 294-295). ეს გახლდათ საერთო მახასიათებელი, ოპოზიციისთვის მანდატი იყო ხალხის სამსახურის საშუალება და არა პოლიტიკური გავლენის მოპოვების. როგორც ეროვნულ-დემოკრატები წერდნენ: „ოპოზიციაში რომ ვართ, ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ, რასაც მთავრობა წაახდენს, არ გვეწყინება ან, სადაც ჩვენი დახმარება საჭიროა, არ დავეხმარებით" (საქართველო N122, 1918: 1).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ საგარეო ურთიერთობებისა და ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში გვერდზე იწევდა კინკლაობა. ოპოზიციის ამ თვისებას თავად სოციალ-დემოკრატებიც აღნიშნავდნენ (ჯანელიძე, 2022: 11-12). საგარეო საფრთხის წინაშე ერთიანობა კი სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და მაღალ პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

საგარეო ასპარეზზე ქართველები წარდგნენ ერთიანი, ერთი მიზნის გარშემო. მისიების წევრებსა და ელჩებს შორის ბევრნი იყვნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. მაგალითად, პარიზის საზავო კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგაციაში შედიოდა მთავრობის ორი და ოპოზიციის სამი წარმომადგენელი

(მენთეშაშვილი, 1992: 160). ერთა ლიგის მესამე კონფერენციაზე მიავლინეს სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე და ეროვნულ-დემოკრატი ზურაბ ავალიშვილი (სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 353, ფურც. 2). ასეთივე სურათია ელჩების შემთხვევაში.

ამდენად, საერთო საგარეო მიზნები, დამოუკიდებლობის აღიარება და თავისუფლების განმტკიცება ბუნებრივად აერთიანებდა განსხვავებული იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის პარტიებს. სოციალ-დემოკრატები ცალსახად ხელმძღვანელობდნენ ობიექტური საჭიროებებით, წარმომადგენლები ინიშნებოდნენ არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ შესაძლებლობების მიხედვით. მოწინააღმდეგეთა ერთიანობას უფრო სანდო გზა უნდა მოენახა ჭეშმარიტებისკენ. პოლიტიკური პასუხისმგებლობის უპირველესი გამოხატულება კი სწორედ ის იყო, რომ პოლიტიკოსებმა იცოდნენ თუ სად იყო დაპირისპირების სივრცე და სად თანხმობის, რაც განსაზღვრავდა მათ მოღვაწეობას. ის რომ პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობდა ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპებს გაჰყოლოდა, კიდევ ერთი მაგალითიდან ჩანს, 1919 წლის ოქტომბერში დამფუძნებელმა კრებამ უზენაესი სასამართლოს სენატი აირჩია, უმრავლესობაში მყოფმა სოციალ-დემოკრატებმა კანდიდატები არ დაასახელეს და სენატი უპარტიო და ოპოზიციონერი პროფესიონალებით დაკომპლექტდა (სცა, ფ. 1837, ან. 1, საქ. 420, ფურც. 1-2). დამოუკიდებელ სასამართლოს დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი უნდა შეექმნა და აღნიშნული შემთხვევაც, ალბათ, ყველაზე კარგად გამოხატავდა ამ მისწრაფების რეალურობას.

საკანონმდებლო ორგანოში პარტიების მოღვაწეობა მოწმობს ერთ მთავარ რამეს: ქართული პოლიტიკა დამყარებული იყო საკმაოდ მრავალფეროვან იდეოლოგიურ პრინციპებზე, რაც საქმიანი, და არა პოპულისტური, პოლიტიკის საფუძველს ქმნიდა და მუშაობის პროცესსაც მეტად სიღრმისეულ სახეს აძლევდა.

## IV.3. სახელმწიფო, რომელსაც აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კვლევისას ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო და მრავლისმომცემი ეპიზოდია პირველი რესპუბლიკის შიდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის, მასში საზოგადოების ინტერესებისა და პოლიტიკური დღის წესრიგის ურთიერთქმედების საკითხი. ამ თავში ჩვენ შევისწავლით პირველი რესპუბლიკის მმართველი სისტემის იმ პრინციპებს, ღირებულებებსა და იდეებს, რის საფუძველზეც იმართებოდა სახელმწიფო და მიიღებოდა პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში, რომელიც ყოველთვის აბსოლუტურ მონარქიას ეფუძნებოდა, 1918 წელს დადგა უპრეცედენტო მომენტი, ქვეყნის ცხოვრება პირველად გადავიდა დემოკრატიული ხელისუფლებისა და მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ხელში. მსგავსი გამოცდილების არარსებობა ერთი ორად საინტერესოს და საყურადღებოს ხდის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის საფუძვლებს. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია მუშაობს მაშინ, როდესაც ხელისუფლების მოქმედება მიმდინარეობს ხალხის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომის შესწავლა კი ყველაზე მკაფიოდ ავლენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შინაარსს.

### IV.3.1. მთავარი საფრთხე და უსაფრთხოება

დემოკრატიული საქართველოს უსაფრთხოება პრინციპულად ეფუძნებოდა ჯერ თეთრგვარდიული, შემდეგ ბოლშევიკური რუსეთისგან მომავალ საფრთხეს, როგორც სახელმწიფოებრიობისა და მშვიდობიანი არსებობისთვის მთავარ საშიშროებას.

1919 წელს მთავრობამ საიდუმლო დადგენილებით სამხედრო ფონდიდან გამოყო მილიონი მანეთი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში დაზვერვის საჭიროებებისათვის (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 76). იმავე წლის დეკემბერში შეთანხმება შედგა საგარეო უწყებასა და შავი ზღვის განმათავისუფლებელ კომიტეტს შორის, რეაქციასთან საერთო ბრძოლის, სოჭის ფრონტზე კოორდინირებული თანამშრომლობისა და სამომავლო პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცების თაობაზე (სცა, ფ. 1873, ან. 1, საქ. 1, ფურც. 1-3). დონთან, ყუბანთან და თერგის რესპუბლიკასთან ურთიერთობების ნორმალიზება შემდგომაც აქტიურად

გრძელდებოდა (სცა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 112, ფურც. 1). ჩრდილოური საშიშროება უსაფრთხოების მხრივ თავიდანვე ცალსახა პრიორიტეტი იყო იმდენად, რომ სომხეთის მხრიდან ომის დაწყება სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული უსაფრთხოების სისტემა სრულად მობილიზდა რუსეთზე, რასაც თავისი ახსნა აქვს. თუ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული პრეტენზია ჰქონდა, რომლის მოგვარება მეტ-ნაკლებად შეიძლებოდა, დენიკინიც და ბოლშევიკებიც ემტერებოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას, ამიტომ მთავრობა მთავარ რესურსს ამ მხრივ მიმართავდა, რადგან ეს საფრთხე იყო ყველა დანარჩენზე რთულად მოგვარებადი პრობლემა და ქვეყნად არსებობის წინაპირობა.

ბოლშევიკების ტრადიციული იმპერიალიზმით გაჯერებული კომუნიზმი, რომელიც მტრულად უყურებდა კავკასიის დამოუკიდებლობას, 180 გრადუსით განსხვავდებოდა დემოკრატიული და თავისუფალი განვითარების მოსურნე ძალების მიზნებისგან. ამდენად, მთავრობამ ანტიბოლშევიკური კურსი ჯერ კიდევ კავკასიური ერთობის არსებობისას აიღო. ამიერკავკასიის სეიმის გახსნისას თბილისში მიმდინარე ბოლშევიკების მიტინგი, რომელიც სეიმის დაშლას მოითხოვდა და პოლიციასთან შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა, იქცა გარდამტეხ მომენტად. ბოლშევიკები მიჩნეულ იქნენ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებად, დაიხურა მათი ბეჭდური გამოცემა (სცა, ფ. 1863, ან. 1, საქ. 3, ფურც. 11-12). ზოგადად, 1918 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით, ისეთ გაზეთს შეეძლო ეარსება, რომელიც აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის უფლებასა და საქართველოს დამოუკიდებლობას (სცა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 12).

1919 წელს მათი ორგანიზებითა და ლიდერობით მოხდა აჯანყებები დუშეთში, გურიაში, ლეჩხუმში და ა.შ. ფაქტობრივად, ბოლშევიზმი წარმოადგენდა შიდა სტაბილურობის მთავარ საფრთხეს. ძირითადად მასთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურები. განსაკუთრებული რაზმის 1920 წლის ანგარიშის თანახმად, დაპატიმრებულ იქნა 513 ბოლშევიკი და მათი აგენტი, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოს საწინააღმდეგოდ, გაძევებულ იქნა 179 დენიკინის მომხრე (სცა, ფ. 1863, ან. 1, საქ. 543, ფურც. 1, 11).

ლოგიკურად დიდი თანხები მოდიოდა უშიშროების სისტემის ორგანიზებაზე. 1920 წელს თავდაცვის ფონდისთვის გადაიდო 2 მილიარდი მანეთი, საიდუმლო

ხარჯებისთვის და მათ შორის დაზვერვისთვის დამატებით 6 მილიონი მანეთი (სცა, ფ. 1969, ან. 4, საქ. 14, ფურც. 2, 7). ბოლშევიკები მხოლოდ ქუჩასა და სოფლებში არ აქტიურობდნენ, როგორც ჩანს, აგენტები მრავლად იყვნენ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში. ამასთან გასამკლავებლად თანამდებობის პირები, კომისრები და გუბერნატორები ერთმანეთთან ურთიერთობდნენ საიდუმლო შიფრის საშუალებით, რომელიც პერიოდულად იცვლებოდა (სცა, ფ. 1938, ან. 1, საქ. 341, ფურც. 7, 17-18). ქვეყნის ჩამოყალიბება და თავდაცვისთვის ბრძოლა ერთად მიმდინარეობდა. ბუნებრივია, რომ თავდაცვა ნომერ პირველი პრიორიტეტი იყო. მართალია თავდაცვის ძალების ორგანიზების საკითხში პოლიტიკოსებისა და პროფესიონალი სამხედროების ხედვები ერთმანეთს არ ემთხვეოდა,[32] მაგრამ მიმდინარე დისკუსიაში ყველას მიზანს ეფექტური და მტკიცე თავდაცვის ძალების შექმნა წარმოადგენდა. საქართველოს არ ჰქონია იმის ფუფუნება, რომ რეგურალური ჯარის გარეშე ეარსება, არც ქართული საზოგადოება იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების იმ დონეზე, რომ ქვეყნის დაცვა სახალხო მილიციურ პრინციპზე აგებულიყო. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, სამხედრო ვალდებულების შესრულება საკმაოდ მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო. მაგალითისთვის, შესაბამის ასაკს მიღწეულ სტუდენტს საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლისთვის გავლილი უნდა ჰქონოდა სავალდებულო სამხედრო სამსახური, მასწავლებლები არ თავისუფლდებოდნენ სამხედრო ბეგარისგან და ა.შ. (სცა, ფ. 1935, ან. 1, საქ. 412, ფურც. 9).

ამდენად, რესპუბლიკისთვის ნომერ პირველ საფრთხეს წარმოადგენდა ის, რაც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ეს იყო ქვეყნის უშიშროების სისტემის ფუნქციონირების ამომავალი პრინციპი.

### IV.3.2. აგრარული რეფორმა, ანუ სოციალ-დემოკრატიული გამოსავალი

გლეხისთვის მთავარ საწუხარს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით კი მიწის ნაკლებობა წარმოადგენდა. რევოლუციის შინაარსის

[32] სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის გარშემო არსებულ დისკუსიაზე იხილეთ დიმიტრი სილაქაძის (2023) და ოთარ ჯანელიძის შესაბამისი ნაშრომები (2022). აგრეთვე, საინტერესო დეტალებს ეხება გიორგი კვინიტაძე თავის ნაშრომში - „ჩემი პასუხი : ნოე ჟორდანიას "ჩემი წარსულის გამო" (2023).

კვლევამ ნათელყო, რომ მოსახლეობა იბრძოდა მიწის საკუთრებაში მიღებისათვის. სოციალისტურ პარტიებს და განსაკუთრებით მენშევიკებს, რომლებიც უმრავლესობაში იყვნენ, საკითხი უნდა გადაეწყვიტათ გლეხის კერძო საკუთრებისადმი მიდრეკილებასა და სოციალიზმს შორის შუალედური გამოსავლის პოვნით. ყველას და ალბათ განსაკუთრებით მენშევიკებს ესმოდათ, რომ გლეხი იმდენად უჭერდა მხარს სოციალ-დემოკრატიას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ემსახურებოდა მას.

პარტიებს განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ. ფედერალისტები და ესერები ერთ აზრზე იყვნენ და მიწის სოციალიზაციას მოითხოვდნენ, ეროვნულ-დემოკრატები მიწების გამოსყიდვასა და საკუთრებას უჭერდნენ მხარს, სოციალ-დემოკრატების გეგმა კი მიწის მუნიციპალიზაციაში მდგომარეობდა, რომლის მიხედვითაც მიწა ადგილობრივი თვითმმართველობის, ანუ ერობის ხელში გადავიდოდა (ერთობა N146, 1918: 2).

გლეხი, რომელიც კერძო საკუთრების მოპოვებისათვის რამდენიმე წლის წინ რევოლუციის ქარცეცხლში გაეხვა და მწვავე წარსული გამოცდილების გამო არც ხელისუფლებისადმი ნდობით იყო განმსჭვალული, უიმედოდ უყურებდა მიწის მუნიციპალიზაციას, რაც ზრდიდა მოსახლეობის გულისწყრომას. გლეხების პესიმიზმი კი უკმაყოფილების გაღვივებისა და მანიპულაციისათვის ხელს აძლევდა ბოლშევიკებს. მდგომარეობამ აიძულა მენშევიკები, რომ ანგარიში გაეწიათ გლეხების აზრისთვის და გამოენახათ რეფორმის განხორციელების შუალედური ფორმა.

როგორც ჟორდანია აღნიშნავდა, რეფორმისას უნდა ეხელმძღვანელათ პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებით, კერძოდ, დაეკმაყოფილებინათ გლეხები და ხაზინას მიეღო რაიმე სარგებელი (ათანელიშვილი, 2006: 51). აგრარული რეფორმის მიხედვით მიწა საკუთრებაში გაიცემოდა, მაგრამ მდებარეობის მიხედვით წესდებოდა საკუთრებაში არსებული მიწის დასაშვები ნორმა. ნორმის ზემოთ არსებული ფართობები ჩამოერთვათ მემამულეებს და გადავიდა სახელმწიფო ფონდში. კონფისკაციის შემდეგ კი დაიწყო მიწების განაწილება უმიწაწყლო გლეხებზე, ნორმის შევსებისთვის მიწა გაიცემოდა შეღავათიან ფასში, მიღებული თანხა კი ხმარდებოდა ადგილობრივი დასახლებებისა და ერობის საჭიროებებს.

ამასთანავე, რეფორმით ცენტრალურ ხელისუფლებას ენიჭებოდა უფლება, სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩამოერთვა ან დროებით დაეჭირა კერძო საკუთრება. ამ მხრივ შეზღუდული იყო ერობა (სცა, ფ. 1938, ან. 1, საქ. 621, ფურც. 9).

კანონი მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით სრულად ათანაბრებდა მემამულისა და გლეხის ქონებრივ სტატუსს. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ანარქიის პირობებში ხშირი იყო გლეხების მიერ მემამულის ქონების დატაცებისა და ძალადობის შემთხვევები. მოცემული რეფორმის ფარგლებში კი ყოფილი მემამულეებიც იმავე პირობებით სარგებლობდნენ, უნარჩუნდებოდათ ოჯახის საჭიროებებისთვის დადგენილი ნორმა და იკრძალებოდა მისი ნებისმიერი ხელყოფა, რასაც სამართალი უზრუნველყოფდა (სცა, ფ. 1915, ან. 3, საქ. 36, ფურც. 1). საკითხი გადაწყდა დემოკრატიულ პრინციპზე, რომელიც უზრუნველყოფდა ყველას თანაბარ უფლებას. სოციალიზმის ადგილობრივ პირობებთან შერწყმამ და დემოკრატიულმა მიდგომამ განსაზღვრა აგრარული რეფორმის არსი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიდგომაც გამოიხატება, როგორც 'საზოგადოებრივ აზრს დაქვემდებარებული იდეოლოგია'.

რეფორმამ გლეხს ორი პრობლემა გადაუჭრა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, მიწის საკუთრებაში მიღებამ ბოლო მოუღო ელემენტარული შემოსავლის დაკარგვის შიშს და მეორე, პრივილეგიების გაუქმებამ მოსპო მემამულის მიერ გლეხის ჩაგვრის საშუალება.[33] მიწათმოქმედების მინისტრის, ნოე ხომერიკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „გლეხმა იცის დღეს რა უნდა გააკეთოს და რისთვის აკეთოს; ის დარწმუნებულია, რომ მის ნაშრომს ვერავინ წაართმევს, რომ თუ რამ შეიძინა და მეურნეობა გააუმჯობესა - ამის ნაყოფი მასვე დარჩება. გლეხი განთავისუფლდა მემამულის ბატონობისაგან, რომელიც მას მიწის სარგებლობისთვის ორკეც ტყავს აძრობდა“ (ხომერიკი, 1920: 7). ამის წყალობით კი იგი თანხმდებოდა გარკვეული საფასურის გადახდას, რადგან იცის, რომ ეს გადასახადი ისევ მას მოხმარდება:

[33] 1918 წლის ივლისში გაზეთ „ერთობის“ კორესპონდენტი წერდა, რომ საჩხერელი გლეხები სიხარულით ხვდებოდნენ მამულების მიმღებ კომისიას (ერთობა N135, 1918: 2). ხალხში მსგავს სიხარულს კი სწორედ კლასობრივ-წოდებრივი უთანასწორობის აღმოფხვრა განაპირობებდა.

მილიციის და სკოლების შესანახათ, გზების და სარწყავ არხების გასაყვანათ და სხვ.“ (ერთობა N138, 1918: 1).

ზოგიერთი მხარის სიმჭიდროვიდან გამომდინარე, სახელმწიფო ფონდში გადასული თავისუფალი ადგილები გამოიყენებოდა ხალხის გადმოსახლებისა და ახალშენების შექმნისათვის, რაც ამსუბუქებდა ზოგიერთი კუთხის მიწის ნაკლებობით გამოწვეულ პრობლემას. 1919 წლის 20 ივლისს პარლამენტმა გამოყო 5 მილიონი მანეთი გადასახლებულთა ნივთიერი დახმარებისთვის. 1920 წლის მაისის მონაცემებით გაშენდა 23 სოფელი, 2072 კომლით. ეს თემა ერთ-ერთ უმთავრეს სახელმწიფოებრივ საკითხად იქცა, როგორც ეკონომიკური გაჯანსაღების ერთ-ერთი გზა. გადასახლებულები იღებდნენ შეღავათებს, მათზე გაიცემოდა სესხი, რომლის გადახდაც ეკისრებოდათ 5 წლის შემდეგ, იფარებოდა ტრანსპორტირების, იარაღების შეძენის და მსგავსი ხარჯები. უპირატესობა ენიჭებოდა ნაკლებად დასახლებულ და სასაზღვრო ტერიტორიებს, აქ ქართველების ჩასახლება საზღვრების გამაგრებისა და კულტურული მუშაობის აღორძინების საშუალებადაც მოიაზრებოდა (სცა, ფ. 1915, ან. 3, საქ. 92, ფურც. 1-4, 8, 13-15).

შეიძლება ითქვას, რომ აგრარული რეფორმა 1905 წლის რევოლუციის საზოგადოებრივი მისწრაფებების სახელმწიფოებრივ დონეზე განხორციელების მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობა არ იძლევა ამ რეფორმის გრძელვადიანი ეფექტურობის სრულყოფილად შეფასების საშუალებას, აქ კარგად ჩანს ხელისუფლების მიდგომის პრინციპები, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „ერთობამ“ ამგვარად გამოხატა: „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისკენ“ (ერთობა N10, 1920: 1).

საძოვრები საკუთრებად გადაეცათ სოფლებს. მინერალური წყლები და ზოგადად, წყლის რესურსი სრულად გადავიდა სახელმწიფოს განკარგულებაში (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 402, ფურც. 25, 41, 72). ასევე სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა ტყე და მადნეული.

სასარგებლო წიაღისეული იყო ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მთავარი მაიმედებელი, ‘უცხოური ვალუტის პოტენციური შემომტანი’ და ევროპულ ძალებთან კავშირის დამყარების ბაზა (Jones, 2014: 4). გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალი იყო პოლიტიკური ინსტრუმენტი მთავრობის

ხელში. საერთაშორისო დელეგაციების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა დასავლეთის სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის შესახებ, რასაც ხელი უნდა შეეწყო ქვეყნით დაინტერესებაში. უცხოური კაპიტალის დაბანდება კი ბუნებრივად გაზრდიდა რეგიონში დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ აქტივობას და უსაფრთხოებისადმი ინტერესს.[34]

აქ საჭირო გახდა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გამორკვეული შუალედის წარმოჩენა. სწრაფი წინსვლისთვის ქვეყანა საჭიროებდა დახმარებას საზღვარგარეთიდან, კაპიტალსა და ინვესტიციებს. ამგვარი რესურსი კი დასავლეთის ქვეყნებს გააჩნდათ, სადაც კაპიტალიზმი დომინირებდა. სახელმწიფო საჭიროებების მიზეზით კერძო საკუთრების კონფისკაციის შემთხვევები დასავლურ წრეებში მთავრობის იმიჯს ლახავდა, ამის გამო ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდალი ჯორჯ მილნი მთავრობას ულტრასოციალისტურსაც კი უწოდებდა (კობახიძე, 2015: 44). ამ გარემოებაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭარ-მრეწველობის მინისტრი, კონსტანტინე კანდელაკიც წერდა: "საქონლის რეკვიზიციამ, ხანდახან ჩვენში ადგილი რომ ჰქონდა (თუმცა ბევრათ არა უმეტეს, ვინემ ევროპის მრავალ ქვეყანაში), ბევრი მტერი შეგვძინა უცხოელ ვაჭრებში [...]" (კანდელაკი, 1960: 188). საქართველოში ჩამოსული მარქსისტი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი აღნიშნავდა იმ პარადოქსულ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს სოციალისტური მთავრობა აღმოჩნდა: „ის ვალდებული იყო შეექმნა კაპიტალისათვის მიმზიდველი პირობები მოგების დაპირებითა და საჭირო გარანტიის გაცემით იმის შესახებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს კაპიტალის ექსპროპრიაცია კომპენსაციის გარეშე არ მოხდებოდა" (კაუცკი, 2018: 107). მთავრობას უწევდა იმის მტკიცება, რომ მიუხედავად სოციალისტობისა, ისინი თვალს უსწორებდნენ თანამედროვე რეალობას, ჟორდანია აცხადებდა: „ჩვენ ვდგევართ იმ ნიადაგზე, რომ სოციალისტური რევოლუციის დაწყება არ შეიძლება არც საქართველოდან, არც რუსეთიდან. ეს მოწინავე სახელმწიფოებმა - ინგლისმა ან საფრანგეთმა - უნდა დაიწყონ. სანამ ეს არ მომხდარა,

[34]გასაბჭოების შემდეგ, მთავრობის წევრები კიდევ უფრო აქტიურდ დაფიქრდნენ აღნიშნულ მიდგომაზე, განვითარებული მოვლენების ფონზე მიიჩნევდნენ, რომ ამ მხრივ დასავლეთთან ეფექტურ კომინიკაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და განთავისუფლებულ საქართველოში მეტი უცხოური კაპიტალის მოსაზიდად უფრო აქტიური ზომები უნდა მიეღოთ (სცა, ფ. 1891, ან. 4, საქ. 104, ფურც. 1-5).

ჩვენში უნდა იყოს განვითარებული ევროპის ფორმის საწარმოო ძალები და ამიტომ ვუღებთ კარებს ევროპის კაპიტალს და ამ მხრითაც საერთო ინტერესებიც გვაქვს დასავლეთთან“ (ჩუბინიძე, 1953: 162). შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკი სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ ყოფილიყვნენ მეტად პრაგმატიკოსები, ვიდრე იდეალისტები.

აღსანიშნავია, რომ საკითხში არსებობდა გარკვეული ეროვნული მნიშვნელობის ხაზები, რომლებიც უფრო წინ იდგა, ვიდრე მოკავშირის ინტერესის დაკმაყოფილება. მაგალითად, იტალიის წარმომადგენლობას სურდა ყარაიაზის ველების მოახალშენეებით ათვისება და დამუშავება, რაზედაც ქართულმა მხარემ, მიწის სიმცირის მიზეზით, უარით უპასუხა (სცა, ფ. 1915, ან. 3, საქ. 82, ფურც. 9-11). რეალურად, გარდა მიწის სიმცირისა, სასაზღვრო რეგიონების თავისუფალი ტერიტორიების ქართველებით დასახლებას მთავრობა ეროვნულ მნიშვნელობას აძლევდა საზღვრების უსაფრთხოების მიზნით, რასაც დეტალურად ქვემოთ დავინახავთ.

### IV.3.3. განათლება - მომავლის შენების პატრიოტული შტრიხები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის ცალკეული ასპექტები, რომლებიც დღესაც აქტუალურად შეიძლება ჩაითვალოს, კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს თუ როგორ აღიქვამდა პირველი ხელისუფლება განათლების სისტემის ფუნქციებს და რას აკეთებდა მისი განვითარებისთვის.

მინისტრ ლასხიშვილის ნათქვამი, რომ ყოველ სახელმწიფოს თავისი პირობების შესატყვისი განათლების სისტემა სჭირდება, კარგად გამოხატავს პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას. მთავრობა სკოლის მთავარ პრობლემად რუსულ სწავლებასა და მის წოდებრივ ბუნებას მიიჩნევდა. ყველას უნდა ჰქონოდა მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება (ჭუმბურიძე, 2000: 9). ჯერ კიდევ 1917 წლის 5 სექტემბერს, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის არსებობისას, გამოიცა დადგენილება დაწყებითი სკოლების გაეროვნების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ანბანის ნაციონალიზაციას და ეროვნული მნიშვნელობის საგნების გაძლიერებულ სწავლებას (სცა, ფ. 1935, ან. 1, საქ. 1, ფურც. 17).

განათლების სფეროში ყველაზე დიდი პრობლემა შექმნა სახსრების ნაკლებობამ, ჭირდა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება და სკოლების კეთილმოწყობა. მთავრობაში გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ცდილობდნენ, მაგალითად, 1918 წლის სექტემბერში ეროვნული საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა ხელფასების ზრდა 325-დან 400 მანეთამდე (ერთობა N203, 1918: 3). მაგრამ სიტუაცია კრიტიკული რჩებოდა, ზოგჯერ თვეობით იგვიანებდა ხელფასები. ამის გამო საკმაოდ ხშირი იყო მასწავლებლების გაფიცვები. ნივთიერი მდგომარეობის გამო 1918 წლის ბოლოს გაიფიცნენ დასავლეთ საქართველოს მასწავლებლები, ასევე პირობების გაუმჯობესების თხოვნით მთავრობას მიმართავდნენ თელაველი მასწავლებლები. ხელისუფლება განათლების მნიშვნელობას შესანიშნავად იაზრებდა, 1918 წლის 9 დეკემბერს მინისტრის ამხანაგი მთავრობის თავმჯდომარეს მოახსენებდა, რომ ჯარის შემდეგ პირველ რიგში სწორედ მასწავლებლების ჯამაგირით დაკმაყოფილება იყო საჭირო (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 35, ფურც. 6, 9-16). მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაციებისთვის ეს მთლად გასაგები არ იყო, რაც ასევე განათლების მხრივ არსებულ პრობლემებზე მეტყველებდა. ერობების გულგრილობა აუარესებდა სიტუაციას. საინტერესოა ერთი შემთხვევა, საჩხერეში მასწავლებლებმა ერობისგან საყვედური იმის გამო მიიღეს, რომ სტუმრად ჩასულ ნოე რამიშვილს თავის გაჭირვებაზე შესჩივლეს (ჭუმბურიძე, 2000: 90). განათლების კონცეფცია სრულყოფილად გათავისებული არ ყოფილა ყველა მმართველი რგოლის მიერ, ფუნდამენტური საფუძვლის შექმნა დროს მოითხოვდა.

სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა იყო შემდეგი მიზანი და ამასთანავე ყველაზე უფრო რთული ამოცანა. 1920 წლის 7 ოქტომბერს გამოიცა დადგენილება უფასო სწავლებაზე თანდათან გადასვლის შესახებ, რაც იმავე წელს დაიწყო. გადასახადები უნდა შემცირებულიყო მინიმუმამდე და რამდენიმე წელში ეს ყველა საფეხურს უნდა შეხებოდა (ჭუმბურიძე, 2000: 31).[35] სახელმწიფო და დემოკრატიის

[35] განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო გაჭირვებული მოსწავლეების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მინიმუმ დაწყებითი განათლების მისაღებად ყველა საშუალებით ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილი. აღნიშნული მიდგომა ამგვარად ჩაიწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 111-ე მუხლში: „სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად

ინსტიტუტები აუცილებლად მოითხოვდნენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიჰქცეოდა განაპირა კუთხეებს, რადგან სწორედ განათლების ხელშეწყობით გახდებოდა შესაძლებელი ქვეყნის კულტურული შედუღება და სულიერი გაერთიანება. 1919 წლის 11 თებერვალს ღარიბი მოსწავლეებისათვის გაღებული 150 ათასი მანეთის ერთი მესამედი განაპირა კუთხეებისთვის დაიხარჯა. იმავე წელს განათლების მინისტრის მოადგილემ აღძრა შუამდგომლობა 2 მლნ მანეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, აფხაზეთის, აჭარისა და სხვა რეგიონებისთვის. მიღებული დეკრეტით ფინანსდებოდა ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლა, მხოლოდ აფხაზეთიდან სტიპენდია დაენიშნა 40 სტუდენტს (სცა, ფ. 1935, ან. 1, საქ. 599, ფურც. 12, 16-19, 97, 177). შეიძლება ითქვას, რომ პირველ რესპუბლიკაში განათლების სისტემა უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი კონსოლიდაციის ერთ-ერთი საკვანძო რგოლი.

ხსენებული ამოცანების სრულად შესრულებას სათანადო ფინანსები სჭირდებოდა, რომელიც ქვეყანას არ ჰქონდა, ეს კი გამოუვალ მდგომარეობას ქმნიდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყანა განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ალბათ დემოკრატიული მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე სწორ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს ამ პრობლემაზე საკმაოდ გეგმაზომიერი აქცენტირება. მაგალითად, სოფლის მეურნეობის დაწინაურებისა და დარგის სპეციალისტებით უზრუნველყოფის მიზნით, 1919 წლის ოქტომბერში თბილისში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კურსები სხვადასხვა განყოფილებით, ორივე სქესის სტუდენტებისთვის (სცა, ფ. 1915, ან. 1, საქ. 752, ფურც. 2). მომდევნო წლის აპრილში დაარსდა მოკლევადიანი საბუღალტრო კურსები. ნაციონალიზაციის ფონზე აღსანიშნავია, რომ წესდება ხაზგასმით ადგენდა სწავლებას ქართულ ენაზე (სცა, ფ. 1880, ან. 1, საქ. 59, ფურც. 39-40).

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპული განათლების გაზიარებას და კადრების ამ ყაიდაზე მომზადებას. სტუდენტების ევროპაში სწავლის დასაფინანსებლად 1919 წლის 8 ივლისს 3 მილიონი მანეთი გამოიყო. დაფინანსება ხდებოდა პრიორიტეტული მიმართულებებით, სხვადასხვა უწყება წარადგენდა კანდიდატებს თავის სტრუქტურაში არსებული პროფესიული საჭიროებების

---

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1921: 32).

შესაბამისად (სცა, ფ. 1935, ან. 1, საქ. 505, ფურც. 109-115, 138). ხელისუფლების მთავარ მიზანს წარმოადგენდა რა ევროპული განათლების მქონე კადრების საქართველოში დამკვიდრება, დაფინანსებული სტუდენტები ხელწერილებით იღებდნენ ვალდებულებას, რომ ისინი დაბრუნდებოდნენ სამშობლოში და მიღებულ ცოდნას მოახმარდნენ შესაბამის ინსტიტუტს (სცა, ფ. 1863, ან. 1, საქ. 795, ფურც. 1-2). ამასთანავე, თითოეულ დაბრუნებულ კურსდამთავრებულს გარანტირებული ჰქონდა სამუშაო ადგილი მის წარმდგენ სტრუქტურაში. ამით სახელმწიფო ხელს უწყობდა ნასწავლი კადრების დაინტერესებასა და დაბრუნებას, ახალისებდა სამშობლოს სამსახურს.

სტიპენდიატებს უნაზღაურდებოდათ სწავლის, ცხოვრების, წიგნების, კვების, სამოსის და ა.შ. ხარჯები, რისთვისაც ნორმები წინასწარ იყო დადგენილი. პირველი ნაკადი, 9 სტუდენტი გერმანიაში გაემგზავრა 1919 წლის 28 ნოემბერს. 1920 წლის თებერვლის მდგომარეობით მხოლოდ გერმანიაში 40 სტიპენდიატი სწავლობდა (სცა, ფ. 1935, ან. 1, საქ. 1055, ფურც. 8-17, 48). აპრილის მდგომარეობით ეს რიცხვი 75-ს შეადგენდა, გერმანიის გარდა სტუდენტები სწავლობდნენ საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ბელგიასა და ამერიკაში, რისთვისაც ჯამში დახარჯული იყო 5 მილიონი მანეთი, 1920-1921 წლების ხარჯებისთვის დამატებით გამოიყო 12 მილიონი მანეთი (სცა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 294, ფურც. 6-9). მოცემული ციფრები აჩვენებს ამ საქმის დიდმნიშვნელოვან ადგილს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წელს გახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა უპირველეს ეროვნულ-საგანმანათლებლო კერად და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრად.

ამდენად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ყოველთვის შეიძლება ვისწავლოთ პირველი დემოკრატიული მთავრობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებიდან, ესაა განათლებისა და მისი ხელმისაწვდომობის უაღრესად დიდი მნიშვნელობის აღქმა მომავალი ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების და განმტკიცების საქმეში. ნებისმიერი მომავალზე გათვლილი სახელმწიფო მთავარ

ინვესტიციას განათლებაში დებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს განვითარების უწყვეტობა.[36]

### IV.3.4. ეროვნული საკითხი

XX საუკუნის დასაწყისში თაობებს და პარტიებს შორის მიმდინარე გაცხარებული დაპირისპირება, რომელიც უმთავრესად ეროვნული საკითხის გარშემო ტრიალებდა და სოციალ-დემოკრატებს ყველაზე არაეროვნულ ძალად მოიაზრებდა, ერთი ორად საინტერესოს და საყურადღებოს ხდის პირველი დემოკრატიული ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას 1918-1921 წლებში.

საისტორიო არქივში ინახება 1920 წლის 14 თებერვლით დათარიღებული ერთი საინტერესო დოკუმენტი, კერძოდ, საგარეო სამინისტროს წარმომადგენლის, ილია გობეჩიას წერილი რესპუბლიკის გზათა დეპარტამენტისადმი, რომელშიც გობეჩია აღნიშნავს, რომ შვეციის ატაშემ მას გადასცა ფოთის პორტის უფროსის მიერ გაცემული საბუთი რუსულ ენაზე და გაკვირვებით ჰკითხა ფოთში ქართველები არიან თუ რუსებიო?! აქვე გობეჩია იტყობინებოდა: „ასეთ მაგალითებს ხშირად ჩავუგდივართ ცუდ მდგომარეობაში, ამიტომ რესპუბლიკის პრესტიჟის დასაცავად აუცილებელია აქტები ქართულად იწერებოდეს“ (სცა, ფ. 1880, ან. 1, საქ. 46, ფურც. 18-20).

ბუნებრივია, დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძვლიანი და თვითმყოფადი განვითარებისათვის, ისევე როგორც საერთაშორისო არენაზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის, ქვეყანა საჭიროებდა კოლონიური საზოგადოებრივი ყოფის რელსებიდან სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების გზაზე გადასვლას, ანუ გამორკვეული ეროვნული პოლიტიკით სვლას, დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. პირველი დემოკრატიული ხელისუფლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ გამორჩეულ მახასიათებლად შეგვიძლია სწორედ ეროვნული პოლიტიკა მივიჩნიოთ.

უკვე აღინიშნა სასწავლებლების ნაციონალიზაციის შესახებ, შემოღებულ იქნა სწავლება სრულად ქართულ ენაზე, რათა უპირველესად ახალი თაობის აღზრდა

---

[36] შთამბეჭდავია საისტორიო არქივში დაცული წერილები, რომლებიც საზღვარგარეთ სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებით ოფიციალურ პირებს შორის მიმოწერას ასახავს და გვაჩვენებს თუ რაოდენ დეტალებში იყვნენ თანამდებობის პირები ჩართული სწავლის პროცესის არსსა და მისი ხელშეწყობის საქმეში

გადასულიყო ეროვნულ კალაპოტში. ცვლილებები შეეხო არაქართულ დაწესებულებებსაც, 1918 წლის ოქტომბერში, მთავრობის დადგენილებით, სავალდებულო გახდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება (სცა, ფ. 1935, ან. 1, საქ. 11, ფურც. 5-6).[37] შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ენასა და ისტორიაზე აქცენტი ემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული საფუძვლის ხაზგასმასა და ეროვნული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

ნაციონალიზაცია შეეხო ყველა სფეროსა და ინსტიტუტს. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 10 სექტემბრის კანონით გარდაიქმნა საგამომძიებლო სისტემა და რაც შეიძლება მოკლე ხანში საქმის წარმოება უნდა დაწყებულიყო ქართულ ენაზე. იუსტიციის მინისტრის 30 ოქტომბრის ბრძანებით, 1919 წლის 1 იანვრიდან კვლევა-ძიება იწყებოდა სახელმწიფო ენაზე, რუსულად გაგრძელდებოდა მხოლოდ 1918 წლის საქმეები. მთავრობის დადგენილებით განხორციელდა სასამართლოს სრული ნაციონალიზაცია (სცა, ფ. 1938, ან. 1, საქ. 243, ფურც. 2-9, 49). ნიშანდობლივია, რომ თუ მომჩივანი არ ფლობდა ქართულ ენას, მას საქმის განხილვისას ენიჭებოდა არაქართული ენის გამოყენების უფლებაც (სცა, ფ. 1938, ან. 1, საქ. 337, ფურც. 9-10). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ენის შესახებ 1919 წლის 14 იანვრის კანონის შესაბამისად, მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა შემოიღეს ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო ენასთან ერთად სხვა ენის გამოყენება შეიძლებოდა მაშინ, თუ მოსახლეობის ნახევარზე მეტის სალაპარაკო ენას სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდა (სცა, ფ. 1863, ან. 1, საქ. 1430, ფურც. 5). აღნიშნული მიდგომა ეფუძნებოდა დემოკრატიულ პრინციპს და ნაციონალიზაციის პირობებში

[37] დამფუძნებელი კრების დეკრეტით იკრძალდებოდა საქართველოს ტერიტორიიდან ნებისმიერი არქეოლოგიური, საისტორიო, სამხატვრო და კულტურული მნიშვნელობის ნივთების შეუთანხმებლად გატანა (სცა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 294, ფურც. 11-12).
ზოგადად, მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო ეროვნული მნიშვნელობის განძეულობა. 1920 წელს, ჟორდანიას ბრძანებით გელათისა და ჯრუჭის მონასტრის განძი ხაზინის დაქვემდებარებაში გადავიდა. ეკლესიისთვის განძის ჩამორთმევამ მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდესა და ჟორდანიას შორის. ოკუპაციის შემდეგ, მთავრობამ მის განკარგულებაში მყოფი განძი საზღვარგარეთ წაიღო, ექვთიმე თაყაიშვილი უშედეგოდ ცდილობდა ეკლესიის დარწმუნებას, რომ დარჩენილი განძეულობის გატანაც უმჯობესი იქნებოდა, რადგან მას ბოლშევიკები გაანადგურებდნენ. სამწუხაროდ, ასეც მოხდა, სვეტიცხოვლისა და სიონის განძი, რომელიც საქართველოში დარჩა, ბოლშევიკებმა გაყიდეს. უცხოეთში გატანილი განძი კი შენარჩუნდა (ვარდოსანიძე, 2018: 214-217).

უზრუნველყოფდა უმცირესობების უფლებების დაცვას. ამგვარი ნაბიჯები ემსახურებოდა ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებას და ნათლად წარმოაჩენს მთავრობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შინაარსს. აღსანიშნავია, რომ რეფორმის მზადება ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში დაიწყო, უპირველესად ადგილობრივი პირობების წინასწარი გამორკვევით (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 18, ფურც. 72-84).

პირველი რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის ყველაზე ნიშანდობლივი და ალბათ განსაკუთრებით საყურადღებო გამომხატველია სახელმწიფოს მიდგომა შიდა მიგრაციისა და თავისუფალი მიწების ათვისების საკითხებთან დაკავშირებით. უკვე აღინიშნა, რომ ტერიტორიული პრეტენზიებისა და საზღვრების გამიჯვნის პრობლემა არსებობდა ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან, რასაც ბოლო დროინდელი უკონტროლო მიგრაცია და ომით გამოწვეული ქაოსი ართულებდა. მაგალითისთვის, მსოფლიო ომის შედეგად დაცლილ არტაანის სოფლებში თანდათან დასახლება დაიწყეს ქურთებმა და იმავეს ითხოვდნენ თურქები (სცა, ფ. 1915, ან. 3, საქ. 90, ფურც. 14). მეზობლებთან პოტენციური ომის მუდმივი საშიშროების ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა სასაზღვრო რაიონების ეთნიკურ შემადგენლობას, ვინაიდან მოსახლეობა მხარეთათვის ბუნებრივ საყრდენს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, ქართული მხარე მაქსიმალურად ცდილობდა შექმნილი სიტუაციის გამოყენებასა და თავისუფალ ადგილებში ქართული, ასე ვთქვათ, საიმედო ელემენტების ჩასახლებას, რაც საზღვრის დაცულობას მნიშვნელოვნად გაზრდიდა პოტენციური კონფლიქტის შემთხვევაში თუ ზოგადად.

გენერალი ზაქარიაძე თავის მოხსენებაში ხაზს უსვამდა სასაზღვრო რაიონებში ქართველების ჩასახლების სტრატეგიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას და უპირველეს აუცილებლობად მიიჩნევდა ყარაიაზის, ბორჩალოს, ახალქალაქის, წითელი ხიდის, აფხაზეთის თავისუფალი და ნაყოფიერი მიწების ათვისებას სანდო ელემენტების ჩასახლებით (სცა, ფ. 1915, ან. 3, საქ. 90, ფურც. 1).

ამ პროცესს ეროვნულ და სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად ეკონომიკური დატვირთვაც ეძლეოდა, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობდა ახალი მეურნეობების გაჩენას და ეკონომიკურად გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, საკითხი დიდი ყურადღების ქვეშ მიმდინარეობდა. გადასახლების განყოფილების

გამგე მარუაშვილი იკვლევდა ასათვისებელი ტერიტორიების ფართობებსა და პოტენციურ მასშტაბებს. მიწათმოქმედების მინისტრს მიეცა წინადადება ბორჩალოს დაცლილი სოფლების ქართველებით დასახლების შესახებ (სცა, ფ. 1915, ან. 3, საქ. 87, ფურც. 7-10). ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული პოლიტიკა წარმოებდა არა ადგილობრივების შევიწროების ხარჯზე, არამედ თავისუფალი მიწების ათვისების საშუალებით (ხომერიკი, 1920: 24).

მტკიცედ შეიძლება იმის თქმა, რომ პირველი დემოკრატიული ხელისუფლება ეწეოდა მკვეთრად ეროვნულ პოლიტიკას. ნაციონალურ საკითხზე წარსულში მიმდინარე კამათისა და ქართველი მენშევიკების ტრადიციული კრიტიკის ფონზე, სადაც ამ უკანასკნელთ ინტერნაციონალიზმსა და ეროვნული ინტერესების უგულებელყოფაში ადანაშაულებდნენ, ერთი შეხედვით გასაკვირია ზემოთ ახსნილი პოლიტიკა და ერთგვარი ტრანსფორმაცია. თუმცა საქმე სხვაგვარადაა. მენშევიკები თავს ხალხის ინტერესების გამომხატველად თვლიდნენ როგორც ოპოზიციაში, ისე მთავრობაში. უნდა ითქვას, რომ ეროვნულ ფასეულობებს ისინი ყოველთვის იცავდნენ, რასაც სათათბიროს გამოცდილებაც ნათლად მოწმობს. თუმცა ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იმხანად უმაღლეს პოლიტიკურ ინსტანციად აღქმულ ავტონომიას იმ მოტივით, რომ ეს ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ბატონობას შეუწყობდა ხელს. ამასთანავე, შორს იყვნენ დამოუკიდებლობისგან, რადგან მას შეუძლებლად თვლიდნენ და ბოლო მომენტამდე ამ ბურუსში დარჩნენ. რევოლუციის შედეგად ხელში შერჩენილ დამოუკიდებლობას კი ისე ჩაუდგნენ სათავეში, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. დავიწყებულ და ყოფილ კოლონიურ ერს, პირველ რიგში, საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება სჭირდებოდა, ეს კი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საშუალებით მოხდებოდა. ამდენად, პირველი დემოკრატიული ხელისუფლება ცალსახად ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდა, სიღრმისეული, შორს გამიზნული და პრაგმატული მიდგომებით, რომელთა მნიშვნელობა დღესაც აქტუალურია.

### IV.3.5. საზოგადოებრივი განწყობები

1905 წლის რევოლუციამ გამოკვეთა, რომ ხალხი მოითხოვდა მიწის საკუთრებას, ნორმალურ სამუშაო პირობებს, სოციალურ თანასწორობას, საკუთარ

ეროვნულ სასამართლოს, მშობლიური ენის გამოყენებისა და თვითმმართველობის უფლებებს. ხალხის მსახურის მისიით ხელისუფლებაში მოსულ სოციალ-დემოკრატებს ამ მოცემულობით უნდა ეხელმძღვანელათ.

აგრარული რეფორმით ხალხმა საკუთრებაში მიიღო მიწა და ეს ისე განხორციელდა, რომ კლასობრივი უთანასწორობის ბოლო ნიშანწყალიც მოისპო. მუშებისთვის უსაფრთხო და სამართლიანი სამუშაო პირობები სამართლებრივად დარეგულირდა. სკოლების ნაციონალიზაციით მოსახლეობას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება მიეცა, უფასო სწავლებაზე ეტაპობრივი გადასვლის მცდელობამ ხალხში სიმპათიები ლოგიკურად გაზარდა. როგორც უკვე ითქვა, გაეროვნულდა სასამართლოც, რამაც, ბუნებრივია, მისდამი ნდობის ფაქტორი აამაღლა და სამართალი ხელმისაწვდომი გახადა.[38]

ბოლო ასი წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართველი ერი მოკლებული იყო საკუთარი ცხოვრების სურვილისამებრ მოწყობის რეალურ საშუალებებს, ეს იმდენად დიდი დროა, რომ ხალხის სახელმწიფოებრივი შეგნება დაეცა, ავტოკრატიული წარსულის, კლასობრივი საზოგადოებისა და იმპერიალიზმის პირობებში მოქალაქის როლი სრულად უმნიშვნელო გახდა.

ეროვნული ერთობის და რეალური დემოკრატიის ასაშენებლად რიგით მოქალაქეს, პირველ რიგში, უნდა ჩამოჰყალიბებოდა გრძნობა იმისა, რომ სახელმწიფო ეკუთვნის ხალხს და ხალხი ქმნის სახელმწიფოს მომავალს. ამისთვის კი მას უნდა მისცემოდა ქვეყნის მართვაში პირდაპირი ჩართვისა და სრულფასოვანი თვითმმართველობის საშუალება. ქართული დემოკრატიის მშენებლობის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა ხელისუფლების დეცენტრალიზაცია. გაზეთი ერთობა წერდა: „დემოკრატიულ მართვა გამგეობას საძირკველი უნდა გაუმაგრდეს. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ახლა ის თითონ არის თავისი საქმეების პატრონი." (ერთობა N88, 1920: 1). პირველ რესპუბლიკაში შეიქმნა სამაზრო და სათემო თვითმმართველობა, ანუ ერობა. ადგილობრივი საქმეები ხალხის მიერ არჩეული თვითმმართველობის ხელში გადავიდა. სამაზრო ერობას ექვემდებარებოდა მობილიზაციის, სასამართლოების მოწყობის, მომრიგებელი მოსამართლეების, პოლიციის უფროსისა და კომისრის

[38] დეტალურად იხილეთ: (დოლიძე, 2019), (პაპაშვილი, 2013), (ლაცაბიძე, 2018).

არჩევის, ინფრასტრუქტურისა და სოციალური მხარდაჭერის, ადგილობრივი რესურსის მართვისა და სხვა საქმეები. წარმოების განვითარების მიზნით ერობებს ევალებოდათ საწარმოების მოწყობა, 1921 წლისათვის სხვადასხვა მაზრაში უკვე მოწყობილი იყო ათეულობით ქარხანა და ფაბრიკა, მათ შორის სახერხი, აგურის, აბრეშუმის, ყველის, საქსოვი ქარხნები, მაღაზიები, წისქვილები და ა.შ. (ხვადაგიანი, 2017: 186-187, 228).

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს თვითმმართველობის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა ერთ ბლოკად გაერთიანებაც კი შეძლეს, რაც შიდა პოლიტიკური განვითარების კიდევ ერთ დადებით მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ამ თვალსაზრისით მდომარეობა არაერთგვაროვანი იყო, მაგალითისთვის თუ შორაპნისა და სენაკის მაზრებში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ, ზუგდიდის მაზრაში პარტიათაშორისი პოლემიკა ზოგჯერ ერობის მუშაობის პარალიზებას იწვევდა (ხვადაგიანი, 2017: 224-225). ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური კულტურის განვითარება უნდა ყოფილიყო სრულფასოვანი დემოკრატიის ჩამოყალიბების თანმდევი პროცესი, რაც რთულ და ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ამოცანად ჩანდა.

ფაქტობრივად, ხელისუფლება მიჰყვებოდა იმ სახალხო მოთხოვნებს, რომელიც 1905 წელს გამოვლინდა. რთული მემკვიდრეობისა და ფორსმაჟორული სიტუაციის ფონზე მიმდინარე რეფორმების განხორციელება, ბუნებრივია, ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. საგარეო თუ შიდა ქაოსი, ფინანსების ნაკლებობა, მექრთამეობა,[39] კადრების დეფიციტი და ა.შ. სერიოზულ წინაღობებს ქმნიდა რეფორმათა სრულფასოვნად განხორციელებისთვის. ეს ზოგიერთ შემთხვევაში იწვევდა უკმაყოფილებას, უკვე გვქონდა საუბარი მასწავლებლების გაფიცვაზე, რთული მდგომარეობა ზოგჯერ სხვა გზას აღარ უტოვებდა ამ უკანასკნელთ, თუმცა ეს მდგომარეობა ზემოხსენებული პრობლემებით იყო გამოწვეული და თავად

[39] იხილეთ: კობახიძე ბექა, ირემაძე ირაკლი, ხვადაგიანი ირაკლი, ხავდაგიანი დავით, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბილისი. 2020

მთავრობის საფიქრალსაც წარმოადგენდა, რომელმაც თავდაცვა-უსაფრთხოების შემდეგ ნომერ პირველ საკითხად სწორედ განათლება გამოაცხადა.

სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ განსაკუთრებით მაღალი მოლოდინები მუშებში გააჩინა. რესპუბლიკის პოლიტიკა მუშების საკითხში მათი რევოლუციური ბრძოლის მიზნებს გაჰყვა, დაკანონდა 8-საათიანი სამუშაო დღე, სამუშაო პირობების, შეღავათებისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიისთვის პროლეტარიატის როლი მისდამი ბუნებრივად დიდ ყურადღებას განაპირობებდა, ზოგადი ეკონომიკური კრიზისი ამ სფეროშიც ბევრ რამეს მოუგვარებელს ტოვებდა, ბევრ საწარმოში ისევ აუტანელ პირობებში უწევდათ მუშაობა.[40] გარდა პედაგოგებისა, დაბალი და ზოგჯერ დაგვიანებული ანაზღაურების გამო გაფიცვებს აწყობდნენ მუშებიც, 1918 წლის შემოდგომაზე ასეთს ადგილი ჰქონდა ტყიბულში. ეს გაფიცვები სოციალ-დემოკრატიული პარტიის გულისწყრომას იწვევდა, მაგრამ ხელისუფლება მას გულგრილად არ უყურებდა და საერთო ენის გამონახვას ცდილობდა, პროლეტარიატთან „ვალში" მყოფი სოციალ-დემოკრატია დილემის წინაშე იდგა (ირემაძე, 2024: 208-209) (ერთობა N201, 1918: 1) (ბეჟანიძე და გულიაშვილი, 2018: 183-184). თვითმპყრობელობისგან განსხვავებით, დემოკრატიული ხელისუფლებისთვის ხალხის უკმაყოფილება რეპრესიების მიზეზი არასდროს ქცეულა, პირიქით, იმართებოდა მოლაპარაკებები და სიტუაციის გამოსწორებისთვის პერიოდულად გარკვეული ნაბიჯებიც იდგმებოდა. მაგალითად, 1920 წლისათვის გზათა დეპარტამენტის მუშა-მოსამსახურეების ხელფასი 30-დან 60%-მდე გაიზარდა. საგულისხმოა, რომ რაც უფრო ნაკლები იყო არსებული ჯამაგირი, მით უფრო მეტი იყო ნამატი (სცა, ფ. 1880, ან. 1, საქ. 46, ფურც. 4, 12). ხელისუფლების პროხალხური მიდგომა, ანუ მათი დღის წესრიგზე დამყარებული პოლიტიკა კი განაპირობებდა იმას, რომ სახალხო პროტესტი არასდროს მისულა ხელისუფლების დამხობის მცდელობამდე. ამას მხოლოდ ბოლშევიკები ცდილობდნენ, რასაც ადგილი ჰქონდა დუშეთში, ცხინვალში, ლეჩხუმში, გურიაში, სენაკში, აფხაზეთში და ეს არ იყო საზოგადოებრივი უკმაყოფილების საფუძველზე დამყარებული გამოსვლები, არამედ

---

[40] იხილეთ კრებული „საქართველოს რეგიონების ცხოვრება 1918-1921 წლებში", სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრი, თბილისი. 2018

პოლიტიკური შინაარსის, ორგანიზებული აჯანყებები. 1918 წელს დუშეთის მაზრის აჯანყებაში მონაწილეობდნენ რუსი სამხედროები, სომხები, ოსები და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილი ქართველები, რაც მკაფიოდ მიუთითებს, რომ იგი არ იყო სტიქიური მოძრაობა, არამედ დაგეგმილი აჯანყება (ერთობა N146, 1918: 1). 1919 წლის გამოსვლები სწორედ რუსეთის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის ორგანიზებით ხორციელდებოდა (ჩხაიძე, სიხარულიძე, 2018: 85). მას ასევე არ ჰქონია კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ გაფიცვებთან. ამასთანავე, ზოგჯერ კრიმინალურ სახეს ატარებდა. მაგალითად, ცხინვალში ვინმე ხარებაშვილი (ხარებოვი) ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისგან აყალიბებდა ბანდებს, რომლებიც ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას (სცა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 33, ფურც. 26).

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პრობლემები შეიძლება ბოლშევიკებისთვის ნიადაგის გამყარების ფაქტორი გამხდარიყო, საქართველოში მას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა არასდროს ჰქონია. მსგავსი გამოსვლების დროს იყო შემთხვევები, როდესაც ბოლშევიკებს წინააღმდეგობას ადგილობრივებისგან შემდგარი რაზმები უწევდნენ (ერთობა N142, 1918: 2). ქართველები ბოლშევიზმს არ მიიჩნევდნენ უკეთესი მომავლის საშუალებად, ამიტომ ხალხის პრობლემები არასდროს დაჰკავშირებია ბოლშევიკურ პოლიტიკურ ბრძოლას. როგორც კარლ კაუცკი აღნიშნავდა: „დანარჩენი ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში ბოლშევიზმი დასაწყისიდანვე ნაცნობი იყო და აქ ის ვერავის მოატყუებდა. მიუხედავად სასაზღვრო მიჯნისა, ქართველები ზედმეტად მჭიდროდ არიან რუსეთთან დაკავშირებულნი იმისათვის, რომ ზუსტად არ უწყოდნენ იქ რა ხდება. განსხვავებით იმ ჯოჯოხეთისაგან, რომელსაც საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს, საქართველო სამოთხედ მოჩანდა.“ (კაუცკი, 2018: 121). იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებამ, რისთვისაც ხალხი წლები იბრძოდა, მოსახლეობას ცვლილების და პროგრასის იმედიც გაუჩინა და მათთვის ხელშესახები შედეგებიც მოიტანა. სწორედ ამიტომ, შეიძლება პირველ დემოკრატიულ ხელისუფლებას გულმხურვალე სიმპათიები არ გამოუწვევია საზოგადოებაში, მაგრამ რთული გამოწვევების მიუხედავად, ხალხი არც ხელისუფლების მოწინააღმდეგედ ქცეულა.

### IV.3.6. ქართული დემოკრატიის შარავანდი : 1921 წლის კონსტიტუცია

თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიის პირველი ქართული მოდელი შეაჯამა 1921 წლის კონსტიტუციამ. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეშივე კონსტიტუციის პროექტის შესადგენად აირჩა პარტიათაშორისი კომისია, რომელშიც შედიოდა ოთხი პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელი და ერთი დამოუკიდებელი წევრი (სახალხო საქმე N254, 1918: 2), პერიოდულად იცვლებოდა პირადი შემადგენლობა. დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, ასევე პარტიათაშორის პრინციპზე შეიქმნა ახალი საკონსტიტუციო კომისია, იმ განსხვავებით, რომ მასში მკვეთრად გაიზარდა სოციალ-დემოკრატების რიცხვი (მაცაბერიძე, 2021: 96-97).

კონსტიტუციის პროექტი განსახილველად გამოქვეყნდა 1920 წლის მაისში. განხილვა რამდენიმე თვე მიმდინარეობდა და დამფუძნებელი კრების არაერთი სხდომა მიეძღვნა, ფრაქციებმა განსახილველად წარმოადგინეს თავიანთი შესწორებანი, მსჯელობა გრძელდებოდა და ყველა ასპექტს დეტალურად ეხებოდა. კონსტიტუციის ზოგად შინაარსზე პარტიულ აზრს წარმოშობდა იდეოლოგიური საფუძველი. ფედერალისტებისთვის პროექტი მისაღები იყო, რამდენადაც იგი ხალხოსნური მმართველობის პრინციპს ეფუძნებოდა. მათგან განსხვავებით უფრო კრიტიკულები იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები და ესერები. ეს უკანასკნელნი კონსტიტუციის პროექტს ბურჟუაზიულ საფუძველზე დამყარებულს უწოდებდნენ და ამის გამო აკრიტიკებდნენ, ეროვნულ-დემოკრატები კი პირიქით, მასში სოციალისტურ ხასიათს ხედავდნენ (მაცაბერიძე, 2021: 119-124). პროექტის საბოლოო ვერსია ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვის შემდეგ. საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული ცვლილებები ეფუძნებოდა ცალკეული ფრაქციების შენიშვნებს, დაკმაყოფილებულ შესწორებებს შორის, სოციალისტურ პარტიებთან ერთად, საკმაოდ მრავლადაა ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატების შესწორებებიც (მასალები და დოკუმენტები, ტ. II, 2018:709-775). ამდენად, ქვეყნის უმაღლესი კანონი მეტ-ნაკლებად დამფუძნებელი კრების ოთხივე პოლიტიკური ძალის შეხედულებებს ასახავდა. კრებამ კონსტიტუცია საბოლოო სახით 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა.

ეს ის დროა, როდესაც წითელმა არმიამ უკვე თბილისს მიაღწია, ოთხ დღეში კი დედაქალაქი დაეცა და მთავრობა ბათუმში გადავიდა. ამიტომ, კონსტიტუცია ბათუმში დაიბეჭდა. ქვეყანა უკვე ბოლშევიკების ხელში იყო და თითქოს აზრი აღარ ჰქონდა კონსტიტუციის დაბეჭდვა-არდაბეჭდვას. თუმცა კონსტიტუციამ გვირგვინი დაადგა პირველ ქართულ დემოკრატიას და შეაჯამა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისწრაფებები, რამაც განსაზღვრა მისი ისტორიული და არც მეტი, არც ნაკლები, ეპოქალური მნიშვნელობა.

ქვეყნის უმაღლესი კანონის პირველი მუხლი აცხადებდა: “საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა”. სახელმწიფო და ეკლესია გაიმიჯნა ერთმანეთისგან,[41] საყოველთაო საარჩევნო უფლება დამტკიცდა კონსტიტუციურად.

უმაღლესი კანონი ეფუძნებოდა მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებს, კანონის წინაშე ყველა გათანაბრდა, წოდებები მოისპო, სიკვდილით დასჯა გაუქმდა. იგი უზრუნველყოფდა სინდისის, რწმენის, გადაადგილების, სიტყვის და ა.შ. სრულ თავისუფლებას, ეთნიკური უმცირესობების ეროვნულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა. ზოგადად, აღნიშნული კონსტიტუცია, მისი დემოკრატიული ფასეულობებითა და იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, ცალკე სიღრმისეული კვლევის საგანია.

---

[41] ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების კანონი 1920 წელს მიიღეს. ზოგადად, მთავრობამ სრული და თანაბარი თავისუფლება მიანიჭა ყველა რელიგიას. საპატრიარქო მთავრობასთან ურთიერთობაში პრივილეგიებით არ სარგებლობდა, სასულიერო და საერო ხელისუფლება ერთმანეთის საქმეებში ჩარევისგან მკვეთრად გაიმიჯნა და ურთიერთობამ ხისტი სახე მიიღო. ზოგადად, ხელისუფლება ცდილობდა ეკლესიას არ ჰქონოდა სამოქალაქო ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის საშუალება (სცა, ფ. 1863, ან. 1, საქ. 543, ფურც. 10), რაც კონსტიტუციის 31-ე მუხლში ასე ჩაიწერა: „სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1921: 11). სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ დამოკიდებულებებზე უფრო ვრცლად იხილეთ სერგო ვარდოსანიძის შესაბამისი ნაშრომი (ვარდოსანიძე, 2018: 214-225).

კანონი ერთია და მისი აღსრულება მეორე. 1921 წლის კონსტიტუციის კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობაც სწორედ იმაშია, რომ მან კონსტიტუციურად გააფორმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი გამოცდილება, ცხოვრებაში უკვე დანერგილი პრინციპები და ღირებულებები.

**დასკვნა**

დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე პირველ რესპუბლიკას კოალიციური მთავრობა მართავდა, განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპების მქონე პარტიებმა პოლიტიკურ შეხედულებებზე წინ ქვეყნის ინტერესები დააყენეს და ხელისუფლებაში შეთანხმება მოახერხეს, სამთავრობო მანდატები გადანაწილდა არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ კომპეტენციების მიხედვით. რეფორმების ნაწილის განხორციელება კოალიციური მთავრობის დროს დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იდეოლოგიასა და რეალურ მოცემულობას შორის იდგა. თუმცა ამ არჩევანის წინაშე ყოფნა მისთვის დილემად არასდროს ქცეულა, რეალობა ყოველთვის დომინირებდა იდეოლოგიურ პრინციპებზე. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა და რეფორმირების საფუძვლად აქცია ყველა ის გამოწვევა, რაც 1905 წლის რევოლუციამ წარმოაჩინა. ამ მიდგომამ ხალხი და ხელისუფლება „მოკავშირეებად“ აქცია.

რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მიზნები ეფუძნებოდა მკაფიო პრინციპს: ძლიერი მოკავშირის პოვნა, რუსეთისგან თავდასაცავად. საგარეო ურთიერთობებში უნაკლო მეგობრებს არავინ ეძებდა, აქ მიდგომას განსაზღვრავდა მთავარი და გამორკვეული მიზანი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფისა. დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე იყო აგებული რეგიონული ურთიერთობებიც.

პირველმა ქართულმა დემოკრატიამ მკაფიოდ ეროვნული სახელმწიფო შექმნა, სადაც ყველას უფლება თანაბრად იყო დაცული. დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად კი დაიწყო იმ საფუძვლის მომზადება, რომელიც ქვეყნის ცხოვრებისა და ხელისუფლების შეურყეველ წყაროდ აქცევდა ხალხს.

## შემაჯამებელი დასკვნა

მე-20 საუკუნეს ქართული საზოგადოება ნაირგვარი პრობლემებით შეხვდა. სოციალური უთანასწორობა, ეკონომიკური გამოწვევები, პოლიტიკური და ეროვნული უფლებების შეზღუდვა საერთო სახალხო პროტესტის მყარ საფუძველს ქმნიდა. მზარდ საზოგადოებრივ მღელვარებაში მოწინავე ადგილი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეჭირა, მაგრამ იგი არ ყოფილა ცალკე სოციალური, პოლიტიკური ან ეროვნული მოძრაობა, არამედ კომპლექსური შინაარსის პროცესი, რომელიც აერთიანებდა საზოგადოების მისწრაფებებს სრული თანასწორობის, სამართლიანობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური უფლებებისა და ეროვნული თავისუფლებისადმი. იმპერიის ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფამ სახელმწიფო და ხალხი ერთმანეთისგან განაცალკევა. კლასობრივ ბრძოლაში ერთ მხარეს აღმოჩნდა გლეხი და მუშა, საპირისპირო მხარეს კი ხელისუფლება, მემამულე და ბურჟუა. ამასთან ერთად, სამართლის არარსებობის შედეგად ხალხში თვითორგანიზებისკენ სწრაფვის სურვილი გაძლიერდა. მწვავე სოციალურმა დაყოფამ სოციალიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა და მას ბუნებრივი საყრდენი შეუქმნა.

საუკუნეების მიჯნაზე თანდათან ჩამოყალიბდა პლურალისტური პოლიტიკური გარემო, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცენტრში ცალსახად ხალხის ინტერესები დადგა. პოლიტიკურ ასპარეზზე სრულად დომინირებდნენ მემარცხენე ძალები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატებით წარმოდგენილმა მემარჯვენე ბანაკმა პირველ ეტაპზე პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბება ვერ შეძლო. ოპოზიციაში პარტიების თანხმობა ვერ შედგა, მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის დაპირისპირება იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე მიმდინარეობდა, რაც სრულ ანტაგონიზმში გადაიზარდა. სოციალური კლასების შერიგებისა და ერის უნივერსალური ერთობის იდეით მოღვაწე მემარჯვენეების პოზიცია სრულად მიუღებელი აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა, ისინი თანაბარ მოწინააღმდეგედ აღიქვამდნენ როგორც გარე პოლიტიკურ დამპყრობელს,

ისე შიდა ეკონომიკურ ექსპლუატატორს და მიზნად ისახავდნენ არათუ შერიგებას, არამედ კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებასა და მასში მშრომელი ხალხის გამარჯვებას. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა ყველაზე მისაღები აღმოჩნდა უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი უმრავლესობის აზროვნებისათვის. სოციალისტურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას კი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და არსებითად საქართველოს ავტონომიის გარშემო ტრიალებდა. იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ავტონომია უმაღლეს პოლიტიკურ სტატუსად ითვლებოდა, ამავდროულად იგი ეროვნული საკითხის ინდიკატორად იქცა. ინტელიგენცია, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ, როგორც ეროვნული უფლებების უზრუნველყოფის საშუალებას, სოციალ-დემოკრატები კი ფართო თვითმმართველობას. ამ უკანასკნელთა აზრით ავტონომია გაბატონებული კლასების ინტერესებს გაამყარებდა. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატების ანტი-ავტონომისტურ პოზიციას ტაქტიკური და პოლიტიკური ასპექტებიც განსაზღვრავდნენ, ისინი 1903 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილი იყვნენ და მისგან ჩამოშორებას ტაქტიკური თვალსაზრისით უფრთხოდნენ, მეორე მხრივ, სხვა ქართული პარტიებისგან განსხვავებული ნიშის დაჭერას ცდილობდნენ. მიმდინარე პოლემიკაში მხარეები ერთმანეთს რეგრესისტებად და ანტიეროვნულობად ნათლავდნენ. მენშევიზმმა საქართველოში იმდენად ჭრელი საზოგადოება გააერთიანა, რომ პარტიაში ერთი აზრი არც დასაწყისში არსებობდა და მომდევნო წლებშიც ევოლუციის მრავალფეროვანი გზა განვლო. ქართველი მარქსისტებისთვის რსდმპ-სთან გაერთიანება გაძლიერების ინსტრუმენტი გამოდგა, ინტერნაციონალურმა ერთობამ პარტიას თავიდანვე ფართო მასებში გაუდგა ფეხი, თუმცა ისინი უფრო ორგანიზაციულად იყვნენ დაკავშირებული რუსეთის პარტიასთან, ვიდრე იდეურად. მესამე დასელებში ადრევე დაიწყო ცალკე იდეური ხაზის ჩამოყალიბება, რომელიც სოციალისტურ იდეოლოგიასა და ქართულ რეალობას შორის კომპრომისის საფუძველზე განვითარდა, რის შედეგადაც წარმოიშვა ქართული სოციალიზმი.

ხალხმა და ოპოზიციამ თვითორგანიზებისა და დამოუკიდებლობის პირველი რეპეტიცია 1905 წელს გაიარა.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. საერთო მისწრაფებები, რისთვისაც ადამიანები იბრძოდნენ, ეხებოდა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს. ხალხი მოითხოვდა მიწის პრივატიზაციას, აბსოლუტურ სოციალურ და იურიდიულ თანასწორობას, დემოკრატიულ მმართველობას, დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, სამართლიან ეკონომიკურ და საგადასახადო პოლიტიკას და საკუთარი ენისა და ეროვნული იდენტობის თავისუფლებას. მოთხოვნები მთელი საქართველოს მასშტაბით იდენტური იყო. საერთო გამოწვევები ბუნებრივ საფუძველს ქმნიდა საზოგადოების ერთიანობისთვის. პოლიტიკურმა პარტიებმა კარგად გამოიყენეს გარემოებები, მათმა საქმიანობამ აქციებს შედარებით ორგანიზებული სახე მისცა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვექტორები ერთმანეთს შეერწყა. 1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში რამდენიმე რევოლუციური თვითმმართველობა წარმოიქმნა, მათ შორის გამორჩეულია ე.წ. გურიის რესპუბლიკა, რომელიც სრულად ხალხის ინტერესების შესაბამისად მოეწყო.

ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება და ეს დემოკრატიული პრინციპები ბუნებრივ გარემოებებში დაიბადა. გურიის რესპუბლიკა წარმოადგენდა გლეხებისა და მუშების სახალხო მმართველობას. მარქსიზმი გლეხობას რევოლუციურ ძალად არ აღიარებდა. თუმცა გურიაში განსხვავება გლეხებსა და პროლეტარიატს შორის პრაქტიკულად არ არსებობდა. ამ რეალობამ ქართველ სოციალ-დემოკრატებს იდეალიზმსა და პრაგმატიზმს შორის კომპრომისი გაუადვილა. სოციალური და პოლიტიკური ვექტორები ეფექტურად გაერთიანდნენ გურიაში და შექმნეს წარმატების მეტი შესაძლებლობა. ახალი წესრიგი იყო სრულიად დემოკრატიული, საზოგადოება ცხოვრებას საკუთარი ინტერესების შესაბამისად აწყობდა, განხორციელდა მიწის პრივატიზაცია, საერთო საკუთრების სოციალიზაცია, აირჩიეს თანამდებობის პირები, დამყარდა სრული თანასწორობა, გადასახადები გროვდებოდა მოსახლეობის შემოსავლების შესაბამისად და გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, დაარსდა არჩევითი სასამართლო და ხელმისაწვდომი ეროვნული სკოლა. ეს იყო ქართული დემოკრატიის გარიჟრაჟი, რომელშიც ყველაზე ცხადად გამოჩნდა საზოგადოებრივი აზრი, ხალხმა შესაძლებლობისთანავე თავისი ინტერესების შესაბამისად მოაწყო ცხოვრება.

ქართული დემოკრატია არ შეუქმნია რუსულ ავტოკრატიას, იგი შექმნა ქართველი ერის კონსოლიდაციისა და განვითარების ბუნებრივმა კალაპოტმა. პირველი ქართული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობა სრულად იშვა ავტორიტარიზმთან ბრძოლაში, შესაბამისად საზოგადოების და პოლიტიკის მიზნებმა ერთი ტრაექტორიით მოძრაობა დაიწყო, ამან გააძლიერა დემოკრატიული ფუნქციონირების პრინციპები და შეიქმნა ქართული დემოკრატიის საფუძვლები, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო ავტორიტარიზმის ნიშნებისგან. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ცალსახად ხალხის ინტერესების გარშემო ჩამოყალიბდა.

1906 წლიდან პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში გადაინაცვლა და ხალხის ყურადღებაც მას მიეპყრო. სათათბიროს მოწვევამ პარტიებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები გააჩინა, ახალი პოლიტიკური ასპარეზის ათვისებას ენთუზიაზმით შეუდგნენ მენშევიკი სოციალ-დემოკრატები და ოთხივე მოწვევის სათათბიროში აქტიურად ჩაებნენ, თანმიმდევრულმა მიდგომამ მათ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში ყოფნისა და პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერების საშუალება მისცა. წინასაარჩევნო კამპანიასა და სათათბიროს მუშაობაში ყველაზე კარგად გამოჩნდა, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგს არა რომელიმე პარტია, არამედ ხალხის საჭიროებები განსაზღვრავდა, პარტიების წარმატება კი საზოგადოებრივი აზრის სწორად აღქმაში მდგომარეობდა, ხალხთან ყველაზე ახლო კავშირი პირდაპირ აისახებოდა პარტიის პროგრესში, ქართველი პოლიტიკოსი თავს ხალხის წარმომადგენლად თვლიდა და ამის საქმით დამტკიცება პარტიათაშორის შეჯიბრების ერთ-ერთ გადამწყვეტ კრიტერიუმს ქმნიდა. აღნიშნული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ხალხის მოთხოვნებისა და სოციალიზმის შეზავების საფუძველზე აღმოცენდა.

სათათბიროში ქართველი დეპუტატების გამოსვლის შინაარსი სრულად იყო აგებული იმ პრობლემებზე, რამაც 1905 წლის რევოლუცია გამოიწვია და ისევ ურთულეს გამოწვევებად რჩებოდა, მათ შორის იყო ეროვნული საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს სრულიად რუსეთის წარმომადგენლად თვლიდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი მხოლოდ საქართველოს სახელით გამოდიოდნენ, ეროვნულ პრობლემებს ორთავე ძალის

საპარლამენტო მოღვაწეობაში გამოკვეთილი ადგილი ეჭირა. მათ შორის არსებითი განსხვავება იყო ავტონომიის საკითხი, სოციალ-დემოკრატები ბოლო მომენტამდე თავდადებით უარყოფდნენ ავტონომიას. თუმცა ხალხის მსახურის იდეით მოღვაწე ვერცერთი ძალა არსებულ ეროვნულ გამოწვევებს გვერდს ვერ აუვლიდა. სოციალ-დემოკრატებში არსებობდა ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტური სეგმენტიც, მაგრამ პარტიის იდეოლოგები კარგად ხედავდნენ ხალხში ეროვნული საკითხის მნიშვნელობას, გარემოსთან ადაპტაციით გამორჩეულმა ქართველმა მენშევიკებმა კარგად გააცნობიერეს, რომ ამ საკითხს ფართო თვითმმართველობა ვერ მოაგვარებდა და კულტურული ავტონომიის იდეაზე გადაინაცვლეს. მეორე ათწლეულის დასაწყისში მემარჯვენეთა ბანაკი გაძლიერდა და მოცემულობა შეიცვალა, საზღვარგარეთ მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული ძალები, რომლებმაც 1914 წელს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი ჩამოაყალიბეს, არათუ საქართველოს ავტონომიის, არამედ დამოუკიდებლობისთვის იწყებენ პრაქტიკულ ბრძოლას, რამაც ავტონომიაზე კამათი გააუფასურა. ამასთანავე, ქართველმა მარქსისტებმა იმდენად მყარად მოიკიდეს ფეხი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ რსდმპ-სთან მჭიდრო სიახლოვის ტაქტიკური მნიშვნელობაც განელდა და თანდათან ისინიც გაავტონომისტდნენ. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ორი პოზიცია გამოიკვეთა: ქვეყნის შიგნით მოღვაწენი საქართველოს ავტონომიის იდეით და საზღვარგარეთ მოღვაწენი საქართველოს დამოუკიდებლობის გეგმით.

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის ჩამოშლამ მანამდე რთულად წარმოსადგენი დამოუკიდებლობა რეალური გახადა. ამ საქმისთვის საზღვარგარეთ მოღვაწე განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელმა ეროვნულ-დემოკრატებმა პირველებმა დაიწყეს პოლიტიკოსების ავტონომისტური ზურუსიდან გამორკვევა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დამოუკიდებლობის შიში შეინიშნეოდა უკიდურეს მომენტამდე. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, მართლაც საფრთხილო გეოპოლიტიკური ვითარება, პოლიტიკურ პარტიებს ახასიათებდათ წინდახედულობა მოქმედებებში და ეს კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა მაშინ, როდესაც ქვეყნის მომავლისთვის მათი გადაწყვეტილებების მნიშვნელობა გაიზარდა, მაგრამ თუ სოციალ-დემოკრატები ელოდნენ ხელსაყრელ ვითარებას, მემარჯვენეები ცდილობდნენ სასურველი კონიუნქტურის შექმნას. მეორე მხრივ, ამ შიშში თავისი

როლი ჰქონდა მმართველობის გამოცდილებისგან საუკუნოვან მოწყვეტას, სახელმწიფოებრიობის არარსებობასა და მოლოდინის რეჟიმში მყოფისთვის დამახასიათებელ გაუბედაობას.

1917 წელს შეურიგებელი პარტიები თანამშრომლობის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მარცხმა და რევოლუციამ კავკასიას თავისუფლებისკენ გზა გაუხსნა, საქართველოში ძალაუფლება მრავალპარტიული ეროვნული საბჭოს ხელში გადავიდა. ეროვნული საბჭო იდგა უმთავრესი ამოცანის წინაშე - უზრუნველეყო საქართველოს უსაფრთხო განვითარება, რისთვისაც პარტიებს ანტაგონისტური წარსულიდან ეფექტური თანამშრომლობის ფაზაზე გადასვლა უნდა ეკისრათ. ამ უკანასკნელ მისიას დემოკრატიული მთავრობის ემბრიონმა თავი წარმატებით გაართვა. ეროვნული საბჭოს მუშაობა ზოგჯერ ფრონტს ჰგავდა, თუმცა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას ქვეყნის საჭიროებები პარტიულ მიზნებზე წინ იდგა. ყველა ლოგიკურად ცდილობდა მსოფლმხედველობრივი პრინციპების დაცვას, იდეოლოგიური პოლემიკა ქართულ პოლიტიკას უფრო სერიოზულ სახეს აძლევდა და შინაარსიანს ხდიდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ერთობის მნიშვნელობასაც ყველა აცნობიერებდა და მეტ-ნაკლები თანხმობის სივრცეც მოიძებნებოდა, უმრავლესობაში ყოფნა არც სოციალ-დემოკრატებისთვის ქცეულა პრაქტიკულ რეალობაზე წინ იდეოლოგიური მიზნების დაყენების ინსტრუმენტად. რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნის გულუბრყვილო იმედის გაქარწყლების შემდეგ სოციალ-დემოკრატებიც დაადგნენ დამოუკიდებლობის გზას, დიდი სიფრთხილითა და თავშეკავებით.

ისინი საგარეო და საშინაო საფრთხეების შესამცირებლად ამერიკავკასიურ ერთობას ებღაუჭებოდნენ, ეროვნულ-დემოკრატები დამოუკიდებლობას ჩქარობდნენ. ჯერ ოსმალური, შემდეგ კი დენიკინურ-ბოლშევიკური საფრთხეებისა და შიდა ქაოსის ფონზე კავკასიის ერთიანობის იდეა პრაგმატულად ჟღერდა, თუმცა იდეის დონეზე, რეალობასთან ყველაზე ახლოს კი ეროვნულ-დემოკრატების მისწრაფება აღმოჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობაც პრაქტიკულად მათივე კონცეფციის მიხედვით შედგა - ძლიერი მოკავშირის მხარდაჭერითა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხოლო 28 მაისს თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა გერმანიის იმპერიასთან.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზა და მთავარი გამოცდა დაიწყო, პოლიტიკური ელიტა თეორიულ-იდეოლოგიური მსჯელობიდან სახელმწიფოს მშენებლობის ეტაპზე გადავიდა. სოციალ-დემოკრატები უმრავლესობაში იყვნენ როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე კოალიციურ მთავრობაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია ავტომატურად ქართული სოციალიზმის ისტორიაა. ერთ დროს საქართველოს ავტონომიაზეც კი რთულად მოფიქრალი სოციალ-დემოკრატები სათავეში ჩაუდგნენ პირველ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის გუშაგებად იქცნენ. პირველი რესპუბლიკის არსებობის დოქტრინა აგებული იყო თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფაზე. როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებლად სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე და ამ საკითხში ისინი ისე იყვნენ ერთიანნი, როგორც არსად სხვაგან. იქ სადაც საქმე ეხებოდა ქვეყნის არსებობის, შენარჩუნებისა და მსოფლიოს წინაშე წარდგენის საქმეს, თანამშრომლობა ზეპარტიული ნიშნულიდან მომდინარეობდა. აღნიშნული თვისება, როგორც სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკური კულტურის და რაც მთავარია პასუხისმგებლობის გამომხატველი, მოცემული პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

საერთაშორისო ურთიერთობებში სულიერ მოკავშირეს და გულის მეგობარს არავინ ეძებდა. პრაგმატიზმი ალბათ ყველაზე კარგად აქ იჩენდა თავს და ყველას კარგად ესმოდა, რომ დათმობებისთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ მკაფიოდ იცოდნენ ისიც თუ რა იყო მეორე მხარეს და რისთვის იბრძოდნენ, ეს იყო საქართველოს თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა. მთავრობა ნეიტრალიტეტის ფორმალური მანტიით ცდილობდა სამხედრო მხარდაჭერისა თუ ძლიერი მანდატორის პოვნას, უსაფრთხოების მიზნით დიპლომატიური სვლების უმაღლეს მიზანს ერთა ლიგაში გაწევრიანება წარმოადგენდა. როგორც მმართველობას, ისე ხალხს ბევრი რამ არ მოსწონდა უცხოელ პარტნიორებსა თუ მანდატორებში. თუმცა უმაღლესი ღირებულების - დამოუკიდებლობის წინაშე ყოველგვარი ანტიპათია გვერდზე იწევდა.

ქართული პოლიტიკური აზრი რეგიონული პოლიტიკის წარმოების საკითხში სრულად ეფუძნებოდა საკუთარი და მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების კომბინაციის პრინციპს, რაშიც მთავარ როლს საკუთარი ინტერესები თამაშობდა და მიზანი საშუალებას ამართლებდა პრაგმატიზმის ფარგლებში. საქართველოს მიდგომას მეზობლურ ურთიერთობებში განსაზღვრავდა არა ქიშპი ან მოძმე-მეგობრული იდეები, არამედ საერთო საჭიროებები. ეს კი იმდენად გამორკვეული საკითხი იყო, რომ საერთო რეგიონული პრობლემების მოგვარებისათვის ქვეყნის ურთულესი შიდა ეკონომიკური გამოწვევების პირობებშიც კი ყოველთვის მოიძებნებოდა მატერიალური რესურსი.

1919 წელს საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსული სოციალ-დემოკრატები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, მათ უნდა უზრუნველეყოთ დემოკრატიული განვითარება, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების დაცვა ისე, რომ სოციალისტური მიზნებისთვის არ ეღალატათ.

საქართველოში კლასობრივი ბრძოლა მშვიდობით დასრულდა, რასაც სამი მიზეზი განაპირობებდა: 1. ხალხის ჰომოგენური მისწრაფებების შედეგად შექმნილი დემოკრატიული განვითარების საფუძვლები; 2. ცვლილებებისადმი სურვილის სიმძლავრე და 3. ქართული პოლიტიკური სპექტრის სრულად პროხალხური ძალებით შევსება. კლასობრივი პრობლემა ძალადობის გარეშე მოგვარდა. მართალია სოციალ-დემოკრატები კლასობრივი ბრძოლის იდეით გამოვიდნენ ასპარეზზე, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისას ისინი არ ქცეულან მუშების ან გლეხების მთავრობად, როგორც ხელისუფალთათვის, მათთვის განყენებული არცერთი სოციალური ფენა არ ყოფილა. ფაქტობრივად, სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მთავარი მიზანი განახორციელეს, დემოკრატიზაციის და სრული თანასწორობის მმართველობის უმაღლეს რანგში აყვანის საშუალებით. სრული თანასწორობა პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

პირველმა რესპუბლიკამ იმდენად რთული მემკვიდრეობა მიიღო, რომ კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირება უფრო ქაოტურად ხდებოდა, ვიდრე ორგანიზებულად, სტრატეგიებზე ფიქრის დრო არავის ჰქონდა. ოპოზიცია მთავრობის საქმიანობას კონტროლს უწევდა, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

ოპონირების მთავარი მიზანი ხელისუფლების ჩანაცვლების სურვილი არასდროს ყოფილა, არამედ ქვეყნისთვის სასიკეთო პოლიტიკის წარმოება მათი რწმენის შესაბამისად. ეს მოცემულობა დამფუძნებელი კრების მუშაობას აჯანსაღებდა, მთავრობისთვის ოპოზიციის მნიშვნელობასაც ზრდიდა და პოლიტიკაში საქმიანი თანამშრომლობის სივრცეს ტოვებდა. ზოგადად, პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა ახლოს იყო ხალხთან და კარგად იცნობდა მის პრობლემებს, ვინაიდან პოლიტიკოსები სწორედ ამ პირობებსა და საზოგადოებაში ჩამოყალიბდნენ. სოციალ-დემოკრატები იდეალისტებზე მეტად რეალისტები იყვნენ, სოციალიზმსა და არსებული კრიზისის შუა მდგომნი იდეოლოგიასა და პრაგმატიზმს შორის არჩევანისას დილემის წინაშე არასდროს დამდგარან. გადაწყვეტილებებსა და რეფორმებში სოციალიზმი ექვემდებარებოდა პრაქტიკულ საჭიროებებს და არა პირიქით. აგრარული რეფორმა წარმოადგენდა ერთგვარ შუალედურ გამოსავალს გლეხების მისწრაფებებსა და სოციალიზმის საფუძვლის მომზადებას შორის.

